საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

21–27 აპრილი * №16(695) * ფასი 1,50 ლარი



რა შემთხვევაში „იკაჩავებს“ დუტა სხირტლაძე

გვ. 71

გვ. 66

როდის დაასხა საკუთარ ამპარტავნებას ბენზინი თეონა კონტრიძემ და როგორ იქცა ის „ორი ვარსკვლავის“ მძაფრ ელემენტად

გვ. 14

ქალებთან ურთიერთობის როგორი პრინციპები აქვს გიორგი სუხიტაშვილს და როდის ჩაიკეტა ის საკუთარ ნაჭუჭში



რა საერთო აქვთ ხატია შამუგიასა და ანტონიო ბანდერასს გვ. 62



გვ. 3

რომანოვების აღდგომა



რა შემთხვევაში დაასრულებს მოდის სფერო პროგრესს და როგორ ურჩევს შემოსვას ბანკეტზე გოგონებს თეონა თავართქილაძე

გვ. 63



გვ. 11

რა უთხრა რუსა ამირეჯიბს მისი ქმრის მეორე მეუღლემ და რა მიზნით გამოიცვალა მან ტელეფონის ნომერი



როგორ ცხოვრობს რეჟისორი გოჩა კაპანაძე ბაქოში და რატომ მოყვა ის რეპრესიებში ლენინის თავის გამო

გვ. 34



გვ. 15

როგორ ქალთან „გადაკვეთას“ ელოდება ცხოვრებაში გიგა კვენეტაძე და რას უფრთხილდება ის საკუთარი შვილივით

# ქრისტე აღსდგა!

**მოდის მოყვარულებს მაისში სასიამოვნო სიახლე ელით – თბილისს „თბილისის მოდის კვირეული“ უბრუნდება. მოდის კვირეულის ერთ-ერთი მონაწილე კი ნიჭიერი დიზაინერი, ᲓᲘᲐᲜᲐ ᲥᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ იქნება. ის თავისი კოლექციით პირველად წარდგება სტუმრების წინაშე. დიანას კოსტიუმებს კი ᲯᲔᲘ.ᲑᲘᲡ ქუდები დაამშვენებს.**

# რის გამო შეიძლება, მოეკლა თავი დიანა ქვარიანს და რის გამო თქვა მან წარმატებულ სამსახურებზე უარი

**ᲓᲘᲐᲜᲐ ᲥᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ**: ბავშვობიდან ვხატავდი, თუმცა, როგორც პროფესია, უფრო მოგვიანებით მომეწონა. როდესაც სკოლას ვამთავრებდი, ძალიან მინდოდა, სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება, მინდოდა, მხატვარი გავმხდარიყავი, მაშინ „ფეშენ-დიზაინზე“ არც მიფიქრია. მაგრამ, არ ჩავაბარე აკადემიაში, რადგან მშობლები წინააღმდეგები იყვნენ. თუმცა, მათ ხელოვნებასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, აფასებენ. მათ კარგად ესმოდათ, როგორ მიყვარდა ხატვა, მაგრამ რადგან დაუფასებელი პროფესიაა, ამიტომ დედამაც და მამამაც არ მომცეს აკადემიაში ჩაბარების საშუალება. იმდენად მიყვარდა ხატვა, რომ ყველაფერს ვხატავდი, რასაც ვხედავდი. ერთხელ რემონტიც კი დავხატე: მუშები, როგორ დარბოდა ძაღლი, როგორ ჭამდა გაჯს... განსაკუთრებულად მიყვარდა ადამიანების პროფილის ხატვა, ნაოჭების... ანუ სილამაზეს კი არ ვხატავდი ზედმეტად, არამედ იმ რეალობას, რაც სინამდვილეში იყო. ისე მომწონდა ეს ყველაფერი, ამით რომ ვცხოვრობდი. რუსული სკოლა მქონდა დამთავრებული, რუსი ბებია მყავდა, რომელმაც რუსულ ენაზე გამზარდა. საბოლოოდ კი ჩამაბარებინეს ეკონომიურზე, თან ქართულ ფაკულტეტზე. ვერ შევეგუე, ძალიან ცუდად ვიყავი, ბევრს ვტიროდი. ოდნავ უფრო დეპრესიული რომ ვიყო, ალბათ, თავს მოვიკლავდი. თან, ჩემი მშობლები ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანები არიან და ვფქრობდი, რადგან ასე გადაწყვიტეს, ალბათ, ასე იქნება უკეთესი-მეთქი. შემდეგ მოსკოვში გადავედი საცხოვრებლად, სადაც მუშაობის გარდა, სხვა არაფერს ვაკეთებდი. ძალიან კარგი სამსახურები მქონდა, კარგი თანამდებობა, ხელფასი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, რომ „ფეშენ-დიზაინისკენ“ გადამეხვია, რადგან თუ იმ დროს არ გავაკეთებდი ამას, მერე ძალიან გვიან იქნებოდა.

**– და წახვედი რომში სასწავლებლად?**

– რადგან ევროპული განათლების მიღება მინდოდა, ამიტომ იტალიაში წავედი. რომში ფეშენ-დიზაინის ფაკულტეტზე, ჩავაბარე ისე, რომ არავისთვის არაფერი მითქვამს. მშობლები ფაქტის წინაშე დავაყენე. ვსწავლობდი და ვაკეთებდი იმას, რაც ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო. მეორე წლიდან დაგვეწყო პრაქტიკები და კონკურსები, რაც კიდევ უფრო საინტერესო იყო. ჩვენთან მოდიოდნენ ადამიანები როგორც ცნობილი სხვადასხვა მოდის სახლიდან, ასევე წარმატებული, ნიჭიერი იტალიელი დიზაინერები. ყოველთვის ვმონაწილეობდი კონკურსებში და რატომღაც, მე და სხვა უცხოელი სტუდენტები ვიმარჯვებდით. ალბათ იმიტომ, რომ სხვანაირი ხედვა გვქონდა და ეს მოსწონდათ იტალიელებს. იტალიის ოტ-კუტიურის პრეზიდენტი იყო ჩვენი მუდმივი ლექტორი, მოდიოდნენ წარმომადგენლები: Diesel -დან, Paul & Shark-დან, Miuccia Prada-დან. ეს არ იყო მხოლოდ თეორია, პატარა ფეშენ-დიზაინერები ვიყავით, რომლებიც ნელ-ნელა ვიზრდებოდით. ერთხელ მახსოვს „ზარას“ წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, მოგვცეს დავალება და ვინც გაიმარჯვებდა, ის „ზარასთვის“ იმუშავებდა. „ზარასთვის“ მუშაობა დიზაინერისთვის რთულია, რადგან ყველა დიზაინერი მაინც შემოქმედია, ხოლო „ზარა“ კომერციაზეა გათვლილი. ასეთ დროს შემოქმედს უჭირს საკუთარი ფანტაზიების მოთოკვა და კომერციის კეთება. შესაბამისად, ეს იყო რთული, მაგრამ ამ კონცეფციის შესრულებით დიდი გამოცდილება მივიღე. „ზარამდე“ ოტ-კუტიური ძალიან მომწონდა, რადგან, როცა ამ სფეროში ხარ, გინდა, მაქსიმუმი გააკეთო. „ზარას“ კონკურსიც ზუსტად ამიტომ ვერ მოვიგე. მე და ჩემს მეგობარს გვითხრეს: ძალიან კარგია, მაგრამ თქვენ უფრო ოტ-კუტიურში უნდა იმუშაოთო. სამაგიეროდ, ეს ჩემთვის კარგი გამოცდილება იყო, ციდან დავეშვი და მივხვდი, რომ მოდა არ უნდა იყოს მხოლოდ ოტ-კუტიური. როგორც შანელმა თქვა: მოდა მოდა არ არის, თუ მან ქუჩაში არ გადაინაცვლაო. მოკლედ, როდესაც რომში სწავლა დავამთავრე, გავაკეთე სადიპლომო ჩვენება, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა. მოგვცეს იმის საშუალება, რომ გამომეხატა ის, რაც მინდოდა – სიგიჟე თუ სხვა რამ. ამის მერე დავბრუნდი რუსეთში, მოსკოვში გავაგზავნე ჩემი „სივი“ და საკმაოდ კარგი შემოთავაზება მივიღე. დიზაინერ მაშა ციგალთან ასისტენტად დავიწყე მუშაობა, შემდეგ – კირა პლასტინინასთან, რომელიც საკმაოდ ცნობილი დიზაინერია. „ცუმისთვის“ ვქმნიდით კოლექციებს, დიდი გამოცდილება მივიღე, ბევრი რამ ვისწავლე. ერთ დღესაც გადავწყვიტე, თბილისში ჩამოვსულიყავი და აქ გამეხსნა ჩემი მაღაზია.



ᲓᲘᲐᲜᲐ: „კოლექციას ჰქვია „ლედი-დენდი“. ეს არის 50-იანი წლების მამაკაცი, თუმცა ასეთი მამაკაცი, მეთვრამეტე საუკუნეშიც არსებობდა – ნარცისი და იმავდროულად, სნობი, აცვია იდეალურად. ზუსტად რომ ვთქვათ, ეს არის დორიან გრეი“

**– სულ მალე თბილისის „ფეშენ-ვიქი“ დაიწყება, სადაც პირველ ჩვენებას გამართავ.**

– ამისთვის დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი. ჩვენება იქნება გრანდიოზული, განსხვავებული ყველასა და ყველაფრისგან, ვიზუალურად ძალიან კარგი სანახავი. ყველა დეტალი წინასწარ მაქვს გათვლილი. ეს არ იქნება კოლექცია, რომელიც თბილისს როდესმე უნახავს. რაც მთავარია, ჩვენება ჩატარდება არა იქ, სადაც მოდის კვირეული იქნება, არამედ სხვა ლოკაციაში, რომელიც ძალიან უხდება კოლექციის თემას და მე და ჯეი.ბიმ შევარჩიეთ.

**– როგორი იქნება შენი კოლექცია, რა არის მისი თემაა?**

– თემა არის მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების ევროპაში გავრცელებული გამოყვანილი პიჯაკები, მოკლე საყელოები, მაღალი ცილინდრები, ხელჯოხები. რადგან დღეს ასეთი კოსტიუმები ქალებზე გადმოვიდა, ამიტომ ჩემი იდეა იყო – მაშინდელი მამაკაცის ჩაცმულობა, რომელიც ძალიან ტენდენციური გახლდათ, დღევანდელ ქალზე გადმომეტანა. ანუ, რეალურად, კოლექციას ჰქვია „ლედი-დენდი“. დენდი – ასეთი კულტურული მიმდინარეობა ინგლისში დაიბადა, ანუ ეს არის 50-იანი წლების მამაკაცი, თუმცა ასეთი მეთვრამეტე საუკუნეშიც არსებობდა – ნარცისი და იმავდროულად, სნობი, აცვია იდეალურად. ზუსტად რომ ვთქვათ, ეს არის დორიან გრეი. ამიტომაც შედგა ასე წარმატებულად ჩემი და ჯეი.ბის კოლაბორაცია, რადგან ჯეი.ბი რეალურად არის დორიან გრეი. მოკლედ, ვიქტორიანული ეპოქა და „დენდი“ გახდა ჩემი შთაგონების წყარო. თუმცა, მიმაჩნია, რომ საკმაოდ რთული დავალება ავიღე, რადგან უნდა გამეკეთებინა იგივე სტილი, თარგი, რომელიც კარგად უნდა მომერგო დღევანდელობისთვის. კოლექციის ფუნდამენტური იდეა მოდის იმ პერიოდიდან – მეიქაფი, ჯეი.ბის ქუდები, გარემო, მუსიკა იქნება ისეთი, რომ ყველას გაახსენდება ის დრო, დაბრუნდებიან წარსულში. თუმცა, იმავდროულად, კოლეცია იქნება თანამედროვე, გაყიდვადი, კომფორტული. დენდი-ქალი არის თანამედროვე ქალი, რომელმაც ეს ყველაფერი შეითვისა.

**– როცა შენს კოსტიუმებს ვუყურებ, აშკარად იგრძნობა, თუ როგორ კარგად ახერხებ ფერების შეხამებას, კარგად მუშაობ ფერებზე.**

– რეალურად იქნება ფერადი კოლექცია – „გაზაფხული-ზაფხული 2014“, თუმცა არა ისეთი, როგორსაც აქამდე ვაკეთებდი. იქნება ფერების საინტერესო შეხამება. ასევე, დიდ აქცენტს ვაკეთებ ქსოვილებსა და დეტალებზე. ვფიქრობ, ჩემი და ჯეი.ბის კოლაბორაცია წარმატებულად ჩაივლის.

**– როგორ დაიწყო შენი და ჯეი.ბის კოლაბორაცია?**

– მე ვაკეთებ კოლექციას, ჯეი.ბი აკეთებს ქუდებს, რაშიც, ვფიქრობ, გენიოსია. თან, თემა მისია, მისი სტილი და როგორ შეიძლებოდა, მასთან ერთად არ მემუშავა? მხოლოდ ქუდებს არ აკეთებს, ყველაფერშია ჩართული და ზუსტად იცის, რა დეტალი რას მოუხდება. კოლექციის აწყობაში ძალიან მეხმარება.

**ᲯᲔᲘ.ᲑᲘ**: დიანასთან ანანო დოლაბერიძემ დამაკავშირა, რომელიც საშა პრიშვინთან ერთად იღებდა მის კოლექციას. მაშინვე დავინტერესდი, რადგან მომეწონა თემა. როცა რაღაცაში ჩემი სახელი ერევა, მე ის აუცილებლად უნდა მომწონდეს. უპირველეს ყოვლისა, მომწონს ყველაფერი, რასაც დიანა აკეთებს და რაც მთავარია, კოლექცია მე მგავს, ჩემთან ძალიან ახლოსაა, ჩემი ესთეტიკაა. აქედან გამომდინარე, ყველასთვის საინტერესო იქნებოდა ასეთ ადამიანთან ერთად მუშაობა, რომელიც დაახლოებით შენ მსგავს ტიპაჟებს ქმნის. რაც შეეხება ქუდებს, უნდა ჩაჯდეს დიანას კოლექციაში, მაგრამ არ უნდა დაკარგოს ჯეი.ბის ხელწერა. ეს არის ჯეი.ბი – დიანასთვის.

**– ორი ხელოვანის კოლაბორაციას ჰქონდა გარკვეული სირთულეები?**

– ზოგადად, ორი ხელოვანის ერთად მუშაობა ძალიან რთულია, რადგან ყველას თავისი სუბიექტური აზრი აქვს და არ სიამოვნებს პარტნიორის აზრის მოსმენა. მაგრამ, თუ აზროვნებ, გიყვარს შენი საქმე და ამ საქმეში ხედავ ადამიანს, რომელთან ერთადაც წარმატებულად იმუშავებ, კარგად ეწყობი, ერთმანეთს ავსებთ, მაშინ, თუ გოიმი არ ხარ, კონფლიქტი არ უნდა მოგივიდეს.

**ᲓᲘᲐᲜᲐ**: უსაყვარლესი ბიჭია, მუშაობაში ძალიან კომფორტული. ორი დიზაინერი ერთად საშინელებაა, მაგრამ ჩვენ ერთად კარგად ვმუშაობთ. რაც მთავარია, შევეცდებით, რომ გავაკეთოთ ისეთი შოუ, რომელიც ხალხს დიდხანს დაამახსოვრდება. ვფიქრობ, ჩემი და ჯეი.ბის კოლაბორაცია საინტერესო იქნება და კოლექციით ხალხს თავს დავამახსოვრებთ.

**ᲯᲔᲘ.ᲑᲘ**: ძალიან ბევრს ვფიქრობდით სტუმრების დახვედრაზეც, რადგან ეს დიზაინერის პატივისცემაა და არ გვინდოდა, ცუდი რაღაცეები მომხდარიყო, რაც ხშირად ხდება ხოლმე. ასე რომ, სტუმრები, წესით, ყველაფრით კმაყოფილები და სერიოზული შთაბეჭდილების ქვეშ უნდა დარჩნენ.

**ᲜᲐᲗᲘᲐ ᲣᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# როგორ ხვდებოდა აღდგომას რომანოვების სამეფო ოჯახი

სავალდებულო ცერემონიალებს შორის რუსეთის იმპერატორების ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სარიტუალო აღდგომას, რომელიც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ტარდებოდა. ეს ტრადიცია უძველესი დროიდან არსებობდა მეფის რუსეთის კარზე, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუკი 1830 წლამდე რუსეთის მონარქები სარიტუალო აღდგომას მხოლოდ უახლოეს გარემოცვასთან ერთად ატარებდნენ, ნიკოლოზ პირველმა აქცენტები შეცვალა – ცერემონიალს უბრალო ხალხიც დაემატა, რაც გამოხატავდა ურყევობას ტრიადისა – „მართლმადიდებლობა – თვითმპყრობელობა – ხალხოსნობა“.

სხვათა შორის, ეგრეთ წოდებული „სახალხო“ სარიტუალო აღდგომის დროს სკანდალებიც ხდებოდა. ფრანგი მხატვარი ვერნე თავის ახლობლებისადმი მიწერილ წერილში წერს: ღვთისმსახურების შემდეგ იმპერატორმა უნდა გადაკოცნოს პირველივე შემხვედრი. როგორც წესი, ეს ეკლესიის კართან მდგომი მცველია. ერთხელ ისე მოხდა, რომ იმპერატორმა გადაკოცნა პრეობრაჟენსკის პოლკის გრენადერი სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა“, მან კი უპასუხა: „არავითარ შემთხვევაში“, რადგან სამხედრო მოსამსახურე ებრაელი ყოფილა. მას შემდეგ ებრაელი სამხედროები, უკლებლივ ყველა, ფლოტში გადაუყვანიათ და არც ერთ მათგანს აღარ უმსახურია მეფის ქვეით ჯარში.

ნიკოლოზ მეორემ ცვლილებები შეიტანა სარიტუალო აღდგომაში და თავის დღიურებში აღწერა კიდეც ეს მუშა პროცესი. როგორც წესი, სარიტუალო აღდგომის ცერემონიალი მეფეს 4 დღეს ართმევდა. საინტერესოა, რომ 1917 წელსაც კი, როდესაც რუსეთის ბოლო იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ოჯახი ბოლშევიკებს შინაპატიმრობაში ჰყავდათ, იმპერატორს არ უღალატია ტრადიციისთვის. სარიტუალო აღდგომის ცერემონიალი ყველა თავის მოსამსახურესთან ერთად ჩაატარა, მისმა მეუღლემ მარია ფეოდოროვნამ კი მათ ფაიფურის კვერცხები დაურიგა, რომელიც გადანახული ჰქონდა. ეს გახლდათ რუსეთის მეფის ოჯახის ბოლო სარიტუალო აღდგომა.

ცნობილი ისტორია უკავშირდება იმპერატორ ალექსანდრე მესამეს – 1885 წელს მას იუველირმა აგაფონ ფაბერჟემ დღეს უკვე საყოველთაოდ სახელგანთქმული პირველი „ფაბერჟეს კვერცხი“ მიართვა (ავტორი – მიხეილ პერხინი), რომელიც დღეს უკვე რევოლუციამდელი რუსეთისა და იმპერატორის სამეფო სახლის სიმდიდრისა და ფუფუნების სინონიმად იქცა. პირველი „ფაბერჟეს კვერცხი“ ალექსანდრ მესამემ თავის მეუღლეს – მარია თეოდორის ასულს მიუძღვნა. ეს გახლდათ გარედან თეთრი ემალით (ცილის იმიტაცია) დაფარული „ქათმის“ კვერცხი, რომლის გულშიც ფერადი ოქროსგან გაკეთებული ქათამი იჯდა. ოქროს ქათმის შიგნით კი ლალის გვირგვინი იყო მოთავსებული. იმპერატრიცა ისე მოიხიბლა საჩუქრით, რომ 1885 წლიდან მოყოლებული კარლ ფაბერჟე სამეფო კარის იუველირად აქცია და დაუკვეთა, ყოველ წელს სააღდგომო „კვერცხი“ დაემზადებინა.



**სააღდგომო კვერცხი წმიდა ნიკოლოზის გამოსახულებით, 1908–1917 წლები, რუსეთი, მოსკოვი. ფაბერჟეს სახელოსნო. ადგილმდებარეობა – საქართველო, თბილისი**

ეს ტრადიცია იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემაც გააგრძელა – ყოველ აღდგომას ის ორ კვერცხს ამზადებინებდა. ერთს დედამისისთვის – დაქვრივებულ მარია თეოდორის ასულისთვის, მეორეს – ახალ იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასულისთვის.

თითოეული „ფაბერჟეს კვერცხის“ დამზადებას სრული ერთი წელი სჭირდებოდა. ფაბერჟეს სახელოსნოები განთავსებული იყო პეტერბურგში, მოსკოვში, ლონდონსა თუ სხვა ქალაქებში. მათ შექმნაზე 300-ზე მეტი ხელოსანი მუშაობდა. სახელოსნოები იყო, როგორც მოსკოვში ასევე პეტერბურგში და დაყოფილი იყო არტელებად. სულ დამზადებულია ფაბერჟეს 71 კვერცხი, თუმცა ჩვენ დრომდე მხოლოდ 62-მა მოაღწია. საიმპერატორო, ანუ უშუალოდ იმპერატორის ბრძანებით დამზადებული – „ფაბერჟეს კვერცხი“ 54-ა, მათგან ჩვენამდე მხოლოდ 46-ა შემორჩენილი, 8 კვერცხი დაკარგულია. აღსანიშნავია, რომ ფაბერჟეს ნამუშევრებიდან ყველაზე მეტად სწორედ რომანოვების სამეფო სახლისთვის შექმნილი სააღდგომო კვერცხები ფასობს.

„ფაბერჟეს კვერცხების“ ყველაზე დიდი კოლექცია, ბუნებრივია, კრემლის მუზეუმშია, – სხვათა შორის, 14 მათგანი სტალინის ბრძანებით გაუყიდიათ უსახსრობის გამო და, როგორც იმდროინდელი წყაროები იტყობინება, საკმაოდ იაფადაც (დაახლოებით, 400 000 აშშ დოლარად). შესაბამისად, მეორე ყველაზე დიდი კოლექცია ნიუ-იორკელ მაგნატ ფორბსს ეკუთვნოდა – 11 საიმპერატორო კვერცხი. 2004 წელს ფორბსის შთამომავლებმა კოლექცია გაყიდეს აუქციონზე და ის მთლიანად შეისყიდა რუსმა ოლიგარქმა ვიქტორ ვექსელბერგმა, რაც მას 100-ზე მეტი მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა. ვიქტორ ვექსელბერგის ძალისხმევითვე რესტავრაცია გაუკეთდა პეტერბურგში, შუვალოვის სასახლეს, სადაც გახსნა „ფაბერჟეს მუზეუმი“.

„ფაბერჟეს კვერცხები“ მზადდებოდა ოქროსგან, ვერცხლისგან, ძვირფასი ქვებისგან, ემალისგან, ხანდახან ოსტატები იმპროვიზაციას მიმართავდნენ და აქსესუარებად უმატებდნენ მთის ბროლსა და ხის ძვირფას ჯიშებს. თითოეული ნაკეთობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. „ფაბერჟეს კვერცხები“ დღესაც გვახსენებს რომანოვების სამეფო კარზე ერთ დროს არსებულ ფუფუნებასა და სიმდიდრეს.

**ნინო ბარამიძე**

# გაცდენის მადლი

## ანუ გამცდენი ბევრია, დაჯარიმებული – ნაკლები!

მართალია, ამ ჩვენს **დეპუტატთა თანამდებობრივი სარგოები კვლავაც ისეთია,** საქართველოს **მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიზმარში რომ შენატრის**, თუმცა ისიც **ფაქტია, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში (ოდითგანვე,** როგორც წესი) **სიხალვათეა**. ხალხის **რჩეულებს არც არასდროს მოუკლავთ თავი იმის ახსნით, თუ რატომ აცდენენ პარლამენტის სხდომებს**, თუმცა, წესითა და კანონით, **არასაპატიო მიზეზით სხდომის გაცდენა საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს.** ერთი ისაა, რომ **გამცდენი ბევრი გვინახავს, დაჯარიმებული – გაცილებით ნაკლები.**



**რაკი**, ერთი მხრივ, **ევალება**, მეორე მხრივ კი, **სიხალვათე უკვე ერთობ ჭრის თვალს**, საპროცედურო კომიტეტმა **იმ დეპუტატების სია გამოაქვეყნა, რომლებიც სხდომებს პერმანენტულად აცდნენ** (არასაპატიო მიზეზით). აღმოჩნდა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა უმცირესობის წევრია. **სიაში „ნაციონალი“ დეპუტატი აკაკი მინაშვილი ლიდერობს** (26 გაცდენა) და **მას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება კოლეგა და თანამოაზრე – ჩიორა თაქთაქიშვილი** (ესეც გენდერული ბალანსი!).

წინასწარი ინფორმაციით, **გამცდენ დეპუტატებს ხელფასის 10 პროცენტი დააკლდებათო** (არსებული წესის თანახმად), თუმცა ამ ფაქტს უმცირესობა ჩვეული ლოგიკით გამოეხმაურა. კერძოდ, პარლამენტის წევრმა ბ-ნმა **თევდორაძემ (პათოსით, გვდევნიანო) ბრძანა, პოლიტიკური წნეხი არ გვაკმარეს, ახალი სადამსჯელო ღონისძიებები წამოიწყესო.**

თუ გავიხსენებთ, რომ **გაცდენა ობიექტური რეალობაა, გაცდენების გამო ფულადი ჯარიმები კი კარგა ხანია, მოქმედებს** (აი, იმ მოწვევის პარლამენტებში, რომლებშიც „ნაციონალები“ საკონსტიტუციო უმრავლესობა იყვნენ), **„ნაციონალური“ ლოგიკა აშკარად მოიკოჭლებს**, თუ, რა თქმა უნდა, იმას არ გულისხმობენ, რომ **ხელფასს პარლამენტის სხდომათა დარბაზში მათ სახელზე მდგარი ცარიელი სკამებიც კი იმსახურებენ** (პათოსით: აქ იჯდა ...).

# პირის ჩასაკოკლოზინებლები

## „ჯარიმები არის ჩემი გამხარებელი“

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ **„სი თი პარკის“ მიერ გამოწერილი ჯარიმების ოდენობამ,** სულ რაღაც **4 წელიწადში** (2009-2013 წლებში) **11,6 მილიონი ლარი შეადგინა** (ეს თანხა თბილისის მთავრობის ანგარიშზეა ჩარიცხული).




საინტერესოა, რომ ხსენებულმა ორგანიზაციამ **ვერ მოიპოვა ცნობები იმ ჯარიმების შესახებ, რომლებიც 2007-2009 წლებში გამოწერა ავად სახსენებელმა** „სი თი პარკმა“ (თბილისის **მერია დუმილის უფლებას იყენებს**!), თუმცა მოპოვებული დადგენილებების მიხედვით (მერიის დადგენილებებით), კეთდება დასკვნა, რომ **არჩევნების წინა პერიოდებში დედაქალაქის მერია „სი თი პარკისგან“ ჯარიმების გამოწერაში ლიბერალიზაციას მოითხოვდა** (რის **დანაკლისსაც**, სავარაუდოდ, **არჩევნებამდე პერიოდში ინაზღაურებდნენ**).

როგორც უნდა იყოს, **მიუწვდომელია თბილისის მერიასა და „სი თი პარკს“ შორის 7 წლის წინათ გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები**, რაც საშუალებას მოგვცემდა, **ბოლომდე ჩავწვდომოდით თბილისის მერიისა და ამ კომპანიის ასე ჰარმონიულად შეთავსებისა და შეხმატკბილების არსს.**

თუმცა, **თუ ჯარიმებით დაგროვილ თანხას გავიხსენებთ** (11 „ს ჩემ ტო“ მილიონ ლარს), როგორც ჩანს, **შავი დედლებივით გაკეთებულან.** შესაბამისად, ვეჭვობ, **საკმარისად მოსუქებულან „დასაკლავად“, ანუ ამომრჩეველთა პირების ჩასაკოკლოზინებლად.**

# იმიჯზე მზრუნველები

## ანუ კონიაკის ქურდი

**„ედინაია როსიის“ მურმანკსის ოლქის პარტორგანიზაციამ გადაწყვეტილება მიიღო და თანაპარტიელ ჩინოვნიკ-პოლიტიკოსებს სამუშაო საათებში სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლის მიღება აუკრძალა** (იმიტომ რომ **რუსი ჩინოვნიკის სული და სხეული სპეტაკი და შეურყვნელი უნდა იყოს).**



ხოლო, თუკი **რომელიმე ანცი „ედინაია როსიიელი“ მაინც გააბოლებს პაპიროზს სამუშაო საათებში**, მას **საყვედურს გამოუცხადებენ** (პირად საქმეში შეტანით), ხოლო, **თუ არაფხიზელ მდგომარეობაშიც წაასწრებენ**, საერთოდაც **გაათავისუფლებენ სამსახურიდან.**

**გადაწყვეტილებას ინსტრუქციაც მიაყოლეს** და არა მხოლოდ რეგიონულ მმართველობაში დასაქმებულთათვის, არამედ მუნიციპალური ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვისაც. **მთლად ოფიციალურ კრემლს ამ გადაწყვეტილებაზე კომენტარი არ გაუკეთებია**, თუმცა **თავად „ედიანაია როსიაში“ განუცხადებიათ, რომ** ამ აკრძალვაში არაფერი საგანგაშო არ არის, რადგან ის **დადებითად იმოქმედებს პარტიის წევრების იმიჯზე!**

მეორე მხრივ, **ამ აკრძალვების მიზეზი მთლად ასე პლატონის სტილშიც არ ყოფილა** და **მეტად პროზაულ მოტივს ეფუძნება**. სახელდობრ, ქალაქის პარლამენტში **მმართველი პარტიის დეპუტატ** ვინმე ანდრეი კრუპადეროვს **თავისი სეხნია კოლეგისთვის,** ვინმე ანდრეი ჩერნევისთვის, **ორი ბოთლი საკოლექციო კონიაკი მოუპარავს, რომელიც შემდეგ დედის რძესავით შეურგია.** . ამბავი იმდენად გახმაურებულა, რომ **კონიაკის ქურდი იძულებული გამხდარა, პოსტი დაეტოვებინა** – არადა, საოლქო „დუმის“ თავმჯდომარის მოადგილე და დიმიტრი მედვედევის საზოგადოებრივი მისაღების თავკაცი იყო.

**ხოლო, თუ ხსენებული აკრძალვის ინსტრუქციას გავიხსენებთ** (დადებითად იმოქმედებს რფ-ის მმართველი პარტიის იმიჯზეო), ლოგიკურად იბადება კითხვა: **თუ ასე ადარდებთ, სხვის მიწებს რომ იტაცებენ, იმიჯი მაშინ რატომ არ ახსენდებათ,** თუ, კონიაკი წმიდათაწმიდაა?!


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ქლენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# მშობლიური ბაქტერიები?

## სტომატოლოგები VS ჯანდაცვა

**უმაღლესი სასწავლებლების არ იყოს**, ისე მოხდა, რომ **სტომატოლოგიური კლინიკებიც ლამის ყველა სახლის სადარბაზოშია გახსნილი.** იმაზე აღარაფერს მოგახსენებთ, რომ **ზოგიერთ საავადმყოფოში ისეთი ანტისანიტარიაა, შინაურ ცხოველს არ მიიყვან პროფილაქტიკური გასინჯვისთვის** (ოღონდ, ბუნებრივია, ეს არ მოქმედებს სამედიცინო მომსახურების ფასზე). ასე, მაგალითად, **ალადაშვილის სახელობის კლინიკაში თეთრ ხალათში გამოწყობილმა ექიმმა ქალბატონმა,** ჩემს ფრიად უწყინარ და პროზაულ **შეკითხვაზე**, თუ **რატომ არ იყო გულით ავადმყოფთათვის განკუთვნილ სარეანიმაციო განყოფილების ფეხსალაგში საპონი**, კოპები შეკრა და ირონიულად ჩამეკითხა: **თქვენ საიდან ჩამოფრინდითო** (დაახლოებით, ამ პათოსით: **თუ ინტრიგანი არ ხარ, რა უნდა რეანიმაციის ფეხსალაგში საპონსო).**



მე არ ვიცი, აღიქურვა თუ არა ხსენებული საავადმყოფოს ხსენებული სარეანიმაციო განყოფილება ელემენტარული ჰიგიენისთვის დამახასიათებელი უწყინარი ატრიბუტით (ანუ საპნით), თუმცა **პირველი მაისიდან გარკვეული ნორმების დაცვა აუცილებელი ხდება სტომატოლოგიური კლინიკებისთვის**: მათ შორის, ჰიგიენური პირობებისაც. თუმცა **მცირე სტომატოლოგიური კლინიკების წარმომადგენლები აღშფოთებას ვერ მალავენ, დახურვა მოგვიწევს**, რადგან **ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება მხოლოდ მსხვილ-მსხვილ სტომატოლოგიურ კლინიკებს აქვთო.**

თავის მხრივ, **ჯანდაცვის სამინისტრო ირწმუნება,** რომ მოთხოვნები, მართალია, პირველი მაისიდან ამოქმედდება, მაგრამ **მათი დანერგვა ეტაპობრივად მოხდება** და, თუკი აქამდე **ჰიგიენური ნორმების დაცვა სტომატოლოგიური კლინიკების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული,** ამიერიდან **ჩვენც გავაკონტროლებთო**.

ჩვენ არ ვიცით, რით დასრულდება **სტომატოლოგებისა და სამინისტროს შერკინება** (ისიც გვახსოვს, როგორ აპროტესტებდნენ ხორცის სასაკლაოზე დაკვლის მოთხოვნას, პროდუქტს გვიძვირებსო, თუმცა სასაკლაოს ფაქტორი ხორცის უვნებლობის გარანტიაა), **ბაქტერიები გაიმარჯვებენ** (რომლებმაც, ფაქტია, რომ აქამომდე დიდად ვერაფერი დაგვაკლეს) **თუ ევროსტანდარტები**, თუ მესამე ვარიანტიცაა შესაძლებელი – **იქნებ ევროკავშირის სივრცეში ჩვენი მშობლიური ბაქტერიებიანად ჩაგვიხუტონ?!**

# თანამედროვე „სანეხვე“

## ქართველი ბანკების მოკრძალებული ხიბლი

**არა მგონია, იმიტომ, რომ „ზოგისთვის ეს წუთისოფელი დედაა, ზოგისთვის – დედინაცვალი“,** მაგრამ ფაქტია, რომ **საბანკო გიგანტი „ბენქ ოვ ემერიქა“ რეკორდული თანხით – 783 მილიონი აშშ დოლარით დააჯარიმეს**. ხოლო, რაკი ამ ინფოს წყარო „ბი ბი სია“, **უეჭველად გადაიხდის**.



ეს ზემოხსენებული **საბანკო გიგანტი კი იმისთვის დაუჯარიმებიათ, რომ საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით კლიენტები შეცდომაში შეჰყავდათ.** სახელდობრ, **ამერიკის მომხმარებელთა ფინანსური დაცვის ბიუროს ცნობით**, „ბენქ ოვ ემერიქა“ **მომხმარებლებს საბანკო ბარათების დამატებითი დაცვის საბაბით თანხას უკანონოდ ახდევინებდა**.

შესაბამისად, **დაზარალებულად ბანკის 3 მილიონამდე კლიენტი გამოცხადდა** და, თუმცა ამ ჩვენმა, თუმცა, რაღა ჩვენმა, ოკეანისგაღმელმა გიგანტმა **ბრალდება არც უარყო და არც დაადასტურა, რაც მთავარია, ჯარიმის გადახდას მაინც დათანხმდა** (სავარაუდოდ, საკუთარი თეთრეულის გაქექვა აღარ ისურვა).

მეორე მხრივ, თუ გავიხსენებთ, რომ **ჯერაც ვერავინ გარკვეულა, რას და რატომ ახდევინებენ ეს ჩვენი ბანკები მომხმარებლებს** (მთავარია, კლიენტი მოიგდონ ხელში და სულსაც კი ამოაცლიან – ) და, როგორც წესი, **სიტყვიერ საპროცენტო განაკვეთს არაფერი აქვს საერთო რეალურთან** (უფრო მეტიც, ბანკს აქვს უფლება, როცა მოუნდება, მაშინ გაუზარდოს კლიენტს ეს ავბედითი საპროცენტო განაკვეთი).

**ჩვენდა სამწუხაროდ**, ხოლო **აქაური ბანკების საბედნიეროდ,** ეჭვი მაქვს, რომ **მათ არავინ და არც არასდროს შეამოწმებს** (სულაც რომ ცოცხლად გაატყავონ კლიენტები), შესაბამისად, **მოარული ფრაზის:** „ბედი მომეც, სანეხვეზე დამაგდეო“, **თანამედროვე პერიფრაზი ასეთია: „ბედი მომეც, ქართულ ბანკში დამაგდეო“.**

# „ულვაშას“ ლოგიკით

## „რადგან ჩიჩია უყვარდა...“

რუსმა მესაზღვრეებმა გასულ კვირას **სამი ქართველი ჟურნალისტი სოფელ ეძვთან დააკავეს**, ლამის **სამყაროსავით ძველი ბრალდებით – „საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა“,** თუმცა **ჩვენი თანამემამულეები ეძვთან „საზღვრის“ გადმოწევის ფაქტს აშუქებდნენ** და **ფეხიც არ შეუდგამთ სეპარატისტ-ოკუპანტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე**. დაკავების ფაქტი **„პრ“. თიბილოვის სპეცწარმომადგენელმა მარატ ჯიოევმაც** (მეტსახელად **„ულვაშამ“) დაადასტურა**: „უკანონოდ გადმოკვეთესო“.



**რუსეთის საგარეო უწყებამ** კი **ვრცელი ტექსტი აფრინა, თუ როგორ შეიჭრნენ ქართველი ჟურნალისტები „იუჟნაია ოსეტიის“ ტერიტორიაზე**. სახელდობრ, ლავროვის უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „... არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ **საზღვრის დამრღვევები შეგნებულად და დემონსტრაციულად გადავიდნენ სოფელ ეძვიდან, მის მიმდებარედ, სამხრეთ ოსურ დასახლებულ პუნქტში, სადაც სასაზღვრო ინფრასტრუქტურა გადაიღეს.“**



აქედან გამომდინარე კი, დაასკვნეს, რომ „ქართულ საზოგადოებაში **გრძელდება ბრძოლა იმ ძალებს შორის, რომლებიც ცდილობენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებასა და მათ შორის, ვინც იზიარებს მტრობის გაღვივებისკენ მიმართულ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გატარებულ კურსს**.“

ცხადია, რომ რუსი მესაზღვრეების, ისევე, როგორც მათი **დიპუწყების მოქმედების პრინციპი საარაკოა: „... რადგან ჩიჩია უყვარდა, გამოიგონა შარები**“. თუმცა საქმეს ისეთი პირიც უჩანს, რომ **„დიდ კაცსა პატარა კაცთან“,** იმას ვინლა ჩივის, „როდის გასვლია“, **კიდევ კარგა ხანს არ გაუვა მართალი...**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მას შემდეგ, რაც ყირიმი დედის რძესავით შეირგო, რუსეთის ფედერაციაში რამდენიმე აკრძალვა ამოქმედდა: ჯერ ერთი, მას, ვინც ყირიმს რუსეთის განუყოფელ ნაწილად არ აღიარებს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება; თუ ყირიმის შემოერთებას გააპროტესტებს (მოტივით: თავი გაგვჭირვებია, დამატებით მუქთამჭამელები რად გვინდოდაო), მის მიმართ რფ-ის სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი ამოქმედდება, რომელიც ქსენოფობიასა და დისკრიმინაციას ეხება. კიდევ ერთი საკანონმდებლო სიახლე რუსეთის მოქალაქეებისთვის უცხოური დომენების ზონაში არსებული საიტების მონახულების აკრძალვაა. და კიდევ ერთი: რუსეთის მასშტაბით ამერიკული ფილმების ჩვენებაც უნდა შეიზღუდოს (ოფიციალური მოტივით, ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით) 50-50-ზე. კვლავაც ჩვეული ამბავია უცხოური კინოფილმებიდან არასასურველი სცენებისა და დიალოგების ამოჭრა ან, სულაც, შეცვლა (სხვათა შორის, სამწუხაროდ, უამისობას წინა ხელისუფლების დროს არც ჩვენი კინოხელოვნება და მედიასივრცე უჩიოდა). რაც მთავარია, გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოქალაქეების ნახევარზე მეტი თანახმაა, რომ რუსულმა მედიამ რუსული სახელმწიფოსთვის არასასურველი ფაქტები საერთოდაც არ გააშუქოს, სულ ოდნავ ნაკლებს კი დეზინფორმაციის გავრცელებაც დასაშვებად მიაჩნია. ჩვენს ჩრდილოეთით არსებულ რეალობას რამაზ საყვარელიძესთან ერთად შევაფასებთ.**

# რა გონებამახვილური სვლა აქვს მოფიქრებული ვლადიმირ პუტინს, როგორც მოქნილ „კაგებეშნიკს“, საქართველოს დასავლური არჩევნის დასამუხრუჭებლად

**– რიტორიკულად უნდა ვიკითხო: რა ხდება? მსოფლიო უფრო გამჭვირვალე, კომუნიკაბელური, მობილური გახდა, მაგრამ მეთოდები ისევ საბჭოურია? რატომ ეგუება ამას რუსული სივრცის მოსახლეობა?**

– რატომ არ უნდა შეეგუოს?! რუსეთის მოსახლეობამ ისე იცხოვრა დიდი ხნის განმავლობაში, რომ მას დიქტატურის გარეშე არსებობის პერიოდი, ჩვენი არ იყოს, თითქმის არ ჰქონია. ჩვენი არ იყოს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენც ფეოდალური სახელმწიფო გვქონდა. ავტორიტარიზმი კი ყველაზე მეტად ფეოდალური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ იყო ერთი რამ, რამაც შეასრულა როლი თავისუფლებისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში: საუკუნეების განმავლობაში სხვისი დიქტატურის ქვეშ ვცხოვრობდით და მუდმივად გვქონდა ბრძოლა, ხან – შინაგანი, ხან გარეთ გამოტანილი თავისუფლებისთვის. ამან თავისუფლების სულისკვეთება ჩვენში მეტნაკლებად უფრო დაამკვიდრა, ვიდრე იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს იმპერიის ამბიცია. ოღონდ იმპერია იყოს და ყველაფერზე თანახმაა იმპერიის მოქალაქე. სიამოვნებს, რომ იმპერიის ნაწილია და ვერ დათმობს ამას იმ გაუგებარი მოვლენისთვის, რასაც თავისუფლება ჰქვია. მე რუსეთის მოსახლეობის დიდ სტატისტიკურ რიცხვზე ვამბობ, თორემ მათ ბრწყინვალე პიროვნებებიც ჰყავდათ.

**– ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ თავისუფლების ჰიმნია.**

– და რამდენი სხვა კიდევ. მათ მხოლოდ მცირე რაოდენობას შეეძლო დასავლური სტანდარტის დონეზე აზროვნება, ღირებულებების ჩამოყალიბება, გაცილებით მეტი კი შუა საუკუნეებში იყო დარჩენილი. ასეთი გაორება რუსეთს ყოველთვის ჰქონდა.

**– შუა საუკუნეები ვახსენეთ, ფეოდალიზმი, თუმცა მეფე ღმერთთან ასოცირდებოდა. ეპოქა იყო ისეთი, რომ გლეხი შეგუებული იყო თავის ყმობას და უუფლებობას, მაგრამ ეს სქემა ხომ მოიშალა პროგრესთან ერთად?**

– სქემა არ მოიშალა, პიროვნებები მოიშალნენ.

**– ყველანი ან ღვთისგან ვართ შექმნილნი, ან მაიმუნისგან, არ გამოვა, ზოგი მაიმუნის შთამომავალი ვიყოთ, დანარჩენები – ღვთის შვილები?**

– რუსეთი, ამ მხრივაც, რთული ქვეყანაა: ერთი შეხედვით ის თითქოს ამ ფორმულას ემორჩილება, ზემოდან ვინც არის, ის მართალია, მაგრამ, თუ აჯანყდა, მტრისას ისე აჯანყდება.

**– 1917 წლის რევოლუციას გულისხმობთ?**

– მანამდეც იყო ასეთი ჯანყის მომენტები რამდენიმეჯერ.

**– პუგაჩოვი?**

– დიახ. უცბად შეუძლია, შეუტრიალდეს მას, ვისაც თაყვანს სცემდა და ჩამოაგდოს, მაგრამ



**ცხენს ვირთხასთან ვერ შეაჯვარებ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს თემა არ არის ხოლმე გადამწყვეტი დიქტატორებისთვის, ისინი მაშინ არც ერთ ქვეყანაზე არ აღმართავდნენ ხელს**

მის ნაცვლად ვისაც დასვამს, შემდეგ მის მიმართ განაგრძობს მორჩილებას. ასე რომ, უკმაყოფილების ტალღამ შეიძლება, ერთი მეფე ჩამოაგდებინოს, მაგარამ მეორეს ისევ მეფეს დასვამს და იმავე რეჟიმში განაგრძობს არსებობას. იმიტომ რომ ვერ გამოსულა ამ ფეოდალური რეჟიმიდან, თუმცა იყო პერიოდები, მეცხრამეტე საუკუნისას, როდესაც მწიფდებოდა კაპიტალიზმი, მაგრამ არ დააცალეს ბოლშევიკებმა მომწიფება და ისევ ფეოდალური აზროვნების წესზე დააბრუნეს რუსეთი.

**– ვლადიმირ პუტინს მისმა თანაშემწემ უკვე უწოდა მიწების შემგროვებელი, გამოვა მიწების შეგროვება და რკინის ფარდის ჩამოფარება ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში?**

– ეპოქა არაფერს ცვლის. გამოგირთავს ინტერნეტს, იმავე დადგენილებებით, რა დადგენილებებითაც ცენზურას დააწესებს ფილმებზე და ასე შემდეგ. ქვის ხანის დონეზე იყვნენ და არიან ის ტომები, რომლებიც დღესაც არსებობენ ავსტრალიისა თუ ამაზონის ჯუნგლებში. მსოფლიო არ არის ერთნაირი, ეტყობა, ჩვენ გარკვეული პრობლემები გვაქვს მსოფლიოს გააზრებაში: მიგვაჩნია, რომ მსოფლიო ისეთია, როგორიც დასავლეთ ევროპაა, არადა, არ არის მსოფლიო ისეთი, როგორიც დასავლეთ ევროპაა.

**– რა თქმა უნდა, როდესაც არსებობს ჩრდილოეთ კორეა, სადაც მოსახლეობას სჯერა, რომ მათი ასტრონავტები მზეზე იყვნენ და იმიტომ არ დაიწვნენ, რომ ღამით გაფრინდნენ.**

– ასე რომ, როგორც ჩანს, ყველაფერია შესაძლებელი.

**– რუსეთს აქვს პრეტენზია, რომ იყოს ტექნოლოგიურად მოწინავე ქვეყანა, ჩაკეტილობა ამაში არ შეუშლის ხელს?**

– რომ დავაკვირდეთ პუტინის მოქმედებებს, მიწების შემგროვებლობა და ამის აღება მისი პოლიტიკიის ქვაკუთხედად, მგონი, ზედმეტი კომპლიმენტია. იმ მხრივ, მეეჭვება, ასეთი განსაზღვრული მიზანი და გეგმა ჰქონდეს.

**– ანუ სიტუაციურად მოქმედებს?**

– მგონია, რომ სიტუაციურია მისი ქცევა. ჩვენთან ომი იყო კოსოვოს გამო დასავლეთთან შეუთანხმებლობაზე რეაქცია, 2008 წლით მუშტი დაუბრახუნა. ანალოგიურად, ერთი მხრივ, იგივე უკმაყოფილების ფონი იყო უკრაინაში, ტყუილად ხომ არ გაიხსენა, რომ დასავლეთის წარმომადგენლები „პონჩიკებს“ ურიგებდნენ უკრაინელ ამბოხებულებს?! მაგრამ, მეორე მხრივ, პრაგმატული მოტივიც იყო, ყირიმში შავი ზღვის ფლოტი ედგა. მე მგონი, უფრო ამ ფაქტორებით იყო განპირობებული ყირიმის კამპანია და არა მიწების შეგროვების მოტივით. უფრო კარგი აზრის გამოვდივართ მე და თქვენ პუტინის შესახებ, თუ მას მიწების შემგროვებლად ვიგულისხმებთ, რაც არ მგონია, ასე იყოს. სხვა თუ არაფერი, ერთი მარტივი მიზეზით, ასეთი გრძელვადიანი ხედვის შემთხვევაში, ის განავითარებდა ეკონომიკას. მაგრამ რუსეთი ისევ ნე-

## აკაკი წერეთლის

### თვალცრემლიანი და ტკივილიანი მონატრება



შვილო, აკაკი! მესამედ მოვიდა აღდგომა უშენოდ, რომელიც ძალიან გიყვარდა. ამ დღეს, რომელსაც სიხარულით ვზეიმობდით, დღეს ცრემლებითა და სევდით შევხვდებით შენი მშობლები და ისინი, ვისაც ძალიან-ძალიან უყვარხარ.

*აკაკი, გწამდეს*

*შენ ჩვენი სუნთქვა ხარ*
*და ჩვენი სიცოცხლე,*
*შენ ჩვენში ცოცხლობ და*
*ჩვენ შენში ვიცოცხლებთ.*

**შენი უეცარი, თავზარდამცემი, მოულოდნელი გარდაცვალებით გაუბედურებული**
**მშობლები – ციალა და თენგიზ წერეთლები**

დღეულის გამყიდველ ქვეყნად ჩარჩა. აი, ასეთი ეკონომიკური პროფილის ქვეყნის მიერ მიწების გაერთიანება, ვილაცეების მოხიბვლა და შემოერთება, გამორიცხულია. მხოლოდ სამხედრო ძალით ვერ დაიკავებს ვერაფერს.

**– მაგრამ აღმოსავლეთ უკრაინას სავარაუდოდ, წაეპოტინება.**

– დავუშვათ წაეპოტინება, თვითონ ფედერალიზაციის იდეა რომ გაჩნდა, ეს ნიშნავს, რომ რუსეთს არ უნდა, საკუთარ თავზე აიღოს სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის რჩენა. ამავე დროს არ უნდა, რომ ერთიანი და ძლიერი იყოს უკრაინა, ამიტომ იმ ვერსიის შესრულებას ითხოვს, რითაც სუსტი იქნება უკრაინული სახელმწიფოებრიობა და თან, თავად უკრაინასვე მოუწევს, არჩინოს თავისი რეგიონები.

**– ჩვენ ცოტა უცნაურად კი გავიგეთ თავისუფლება, გადავაჭარბეთ, მაგრამ, ასეა თუ ისე, ვერ აუხსნი, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, რატომ არ უნდა უყურო ამა და ამ ფილმს, არ მოუსმინო კონკრეტულ მუსიკას, რატომ არ უნდა ლანძღო ყოფილი ან მოქმედი პრეზიდენტი და ა. შ. ეს წინააღმდეგობა არ არის ჩვენი ევრაზიულ სივრცესთან შეუთავსებლობის მთავარი მიზეზი?**

– იმას, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, არ მგონია, ძალიან უწევდეს ანგარიშს ბატონი პუტინი.

**– ჩვენ? ცხენს ვერ შეაჯვარებ ვირთხასთან.**

– ცხენს ვირთხასთან ვერ შეაჯვარებ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს თემა არ არის ხოლმე გადამწყვეტი დიქტატორებისთვის, ისინი მაშინ არც ერთ ქვეყანაზე არ აღმართავდნენ ხელს.

**– ყირიმში არის რუსი მოსახლეობა, რომელსაც უნდა რუსეთთან, აღმოსავლეთ უკრაინაშიც არის ბევრი ასეთი, ჩვენთან ასეთი კრიტიკული მასის არარსებობის პირობებში როგორ გამოვა რუსულ ორბიტაზე დაბრუნება? მაშინ ჯარით უნდა შემოვიდეს.**

– არ დგას ასე საკითხი, გინდა თუ არა, შემოდით ევრაზიულ სივრცეშიო. არც ჯარით შემოსვლის საკითხი დგას. რატომ გავრბივართ წინ?! დიდად არის შემდეგი ნაბიჯები დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება უკრაინის პროცესის ფინალი.

**– კერძოდ?**

– მძიმე, ანუ, თუ უკრიანული ისტორია ეკონომიკურად მძიმე აღმოჩნდა რუსეთისთვის. ყირიმი, მართალია, უკვე წაიღო, მაგრამ ყირიმის გამო ბრძოლა არ მიდის, პრობლემაა აღმოსავლეთი უკრაინა. ჯერჯერობით რუსეთმა არ იცის, რა შედეგს მოუტანს ყირიმის შეერთება. პროცესების შეფასება იმ წერტილიდან, რომ პუტინი ყველა მიწას აერთიანებს კრემლის ქვეშ, არასწორი მგონია. ასეთი გრძელვადიანი და მასშტაბური გეგმები დღევანდელ პოლიტიკაში არ არსებობს, დღეს პოლიტიკოსები უფრო მოკლევადიან გეგმებზე არიან ორიენტირებულნი.

**– თუმცა აღმოჩნდა, რომ ამერიკის დამფუძნებელი მამები სწორედ გრძელვადიან გეგმებზე იყვნენ ორიენტირებულნი, მათ შექმნეს მოდელი, რომელიც ხარვეზის გარეშე მუშაობს ორ საუკუნეზე მეტია.**

– ამერიკის დამფუძნებელი მამები არც ყოფილან პოლიტიკოსები. კონსტიტუციონალიზმის ხაზი კი ბრწყინვალე ჰქონდათ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ევროპიდან წასულმა ბანდიტებმა გააკეთეს ეს. პუტინს აქვს ერთი გონებამახვილური სვლა საქართველოსთან დაკავშირებით, ის „კაგებეშნიკია“ და ამიტომ, წესით, სალდაფონივით არ უნდა იმოქმედოს.

**– „კაგებეშნიკი“ უფრო დახვეწილია?**

– „კაგებე“ უფრო დახვეწილი სტრუქტურა იყო. მან შესაძლოა, საქართველოს შესთავაზოს ისეთივე ფედერალიზაცია, როგორსაც უკრაინას სთავაზობს, აფხაზურ-ოსური ავტონომიით და ამაში მოითხოვოს ევროპულ-ამერიკული მისწრაფების დამუხრუჭება.

**– მე უფრო მძიმე პროგნოზი მაქვს: მგონია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე აღარ შემოგვევაჭრება, ეცდება არეულობას ჯავახეთსა და სხვა რეგიონებში და მათი წართმევით დაგვაშანტაჟებს.**

– ორი ვარიანტია: ჯავახეთის აბუნტება ან, რაც ვთქვი, იმ სვლით საქართველოს ევროპული არჩევნის შეჩერება. ვფიქრობ, ის გააკეთებს შემოთავაზებას: თუ უკრაინაში ფედერალიზაცია გამოვიდა, შემდეგ იმ მოდელს გადმოიტანს საქართველოში.

**– მაგრამ ეს ხომ ნიშნავს რუსულ სივრცეში დარჩენას?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს რთული არჩევანია. შენ უნდა გადაწყვიტო: მივდივარ ევროპისკენ, მაგრამ ამ რეგიონების გარეშე და მაშინ რა ჯანდაბა გინდა ევროპაში?!

**– არასდროს გავა ცხინვალიდან რუსული ბაზა, არც ენგურიდან. იმ ბაზების იქ ყოფნა კი ნიშნავს, რომ მუდმივად დაჭერილი ვეყოლებით.**

– საინტერესოა, რა სურვილები აქვთ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს. დღევანდელი ევროპის შემხედვარეს მეჩვენება, ნუ იქნება ოღონდ ბუნტი, სხვა რაც გინდა, იყოს. თუ დათანხმდი ევროპისკენ სწრაფვას ამ რეგიონების გარეშე, რა გამოდის, მხოლოდ მილის გამტარი ხარ მაშინ?! მაშინ რატომ უნდა მიგიღოს?

**– ირანზე გავლენა არ ექნება და ირანის ნავთობსა და გაზს ვერ გაიტანს.**

– მიუღებლად ვერ დარეგულირდება ეგ საქმე?! მე ვთვლი ევროპის მხრიდან, რადგან ჩვენ ხშირად მხოლოდ ჩვენი მხრიდან ვთვლით. დღეს დასავლეთის ინტერესი ნაკლებადაა რუსეთთან შებრძოლება, იმიტომ რომ ბევრი თემაა ჩართული: ჩინური, ისლამური… დასავლეთი ისე მკვეთრადაც არ უნდა დაუპირისპირდეს რუსეთს, რომ მან დასავლეთის მტრების ბანაკში გადაინაცვლოს და მათი კონსოლიდაცია არ მოახდინოს. თუ რუსეთს გამოაგდებენ დიდი რვიანიდან, ის ისლამურ ქვეყნებთან პარტნიორობაზე წავა და მათ ჩაუდგება სათავეში. ევროპამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ რუსეთი თავისი პოლიტიკური ორიენტაციით ან ჩინეთთან არ აღმოჩნდეს, ან ისლამურ ქვეყნებთან ან ვინმე სხვასთან. რუსეთის ნებისმიერი გარიყვა ასეთ პოლიტიკურ გადაადგილებას ხელს შეუწყობს.

**– ისევ ჩვენი საუბრის მთავარ თემას დავუბრუნდები: რუსეთის მოსახლეობა დემოკრატიისთვის მზად არ არის?**

– მე ჯერ არ მინახავს ქვეყანა, სადაც დემოკრატია დემოკრატიით არ ისწავლებოდეს. უნდა მიეცეს იქ ცხოვრების საშუალება და ამის შემდეგ სწავლობს ხალხი ამ დემოკრატიას. წიგნებიდან ნასწავლი დემოკრატია არ არსებობს.

**– რატომ? ჩემი შეგრძნებებით მოქმედება რომ სჯობს, სხვისი კარნახით მოქმედებას, ამას სწავლა სჭირდება?**

– ვის შეგრძნებებზე ვლაპარაკობთ?! რუსეთში ადამიანები ცხოვრობენ ძალიან მძიმე ეკონომიკურ პირობებში. ისტორიულად არსებობდა ორი საჩვენებელი ქალაქი: მოსკოვი და პეტერბურგი, დანარჩენებისთვის კი რუსეთი იყო ჯოჯოხეთი.

**– ჩემთვის შოკი იყო: ისინი ძალიან და გულწრფელად ემადლიერებიან საბჭოთა კავშირს.**

– იმიტომ რომ სხვა არ იციან, მათ დღევანდებლობას კი საბჭოთა კავშირი სჯობდა. ჩვენ მცირე ზომის ქვეყანა ვართ და განწყობები მოსახლეობაში უფრო სწრაფად გადაეცემა. ორ დღეში გაიგებ ყველაფერს, ასეთი პროცესები კი რუსეთში ძალიან ნელა მიდის. მეორეც, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და თავისუფლება შეუძლებელია კერძო საკუთრების დაცვისა და დაკანონების გარეშე. ამ მიმართულებით დიდი პერსპექტივები რუსეთში ვერ მოიძებნა, თუმცა ნედლეულის გაყიდვით თავს ირჩენენ.

**ნინო ხაჩიძე**

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL

*კითხვებს პასუხობს „ჰეალაინის“ პლასტიკური ქირურგი, მედიცინის დოქტორი დეა კაკასკირი.*



**კითხვა: მინდა თმის გადანერგვა, მაგრამ ოპერაციის შიში მაქვს. მაინტერესებს, მართლა აბსოლუტურად უმტკივნეულოა, თუ ნაკერის გაკეთებას მაინც ახლავს ტკივილი?**

**პასუხი:** თმის გადანერგვის პროცედურა ტარდება ამბულატორიულად, ადგილობრივი ანესთეზიით, აბსოლუტურად უმტკივნეულოდ. პაციენტი მოთავსებულია მოხერხებულ სავარძელში; შეუძლია, უყუროს ტელევიზორს, მოუსმინოს მუსიკას, პერიოდულად კი – დაისვენოს; ერთი სიტყვით, თმის გადანერგვის ყველა მანიპულაცია პრაქტიკულად უმტკივნეულოა.

**კითხვა: როდის არის შესაძლებელი თმის გადანერგვის საბოლოო შედეგის მიღება?**

**პასუხი:** მაქსიმალური სიხშირისა და მოცულობის თვალსაზრისით, საბოლოო შედეგი თმის გადანერგვიდან 12 თვის შემდეგ მიიღება. ჩვენი კლინიკა – „ჰეალაინ ინტერნეიშნლი” გთავაზობთ ახალ მიმართულებას თმის ტრანსპლანტაციაში – გრძელი თმის გადანერგვას.

პაციენტს საშუალება აქვს, ოპერაციის დამთავრებისთანავე ნახოს თმის გადანერგვისშემდგომი შედეგი. ამასთანავე, ის თამამად შეძლებს, გამოჩნდეს საზოგადოებაში, რადგან, გრძელი თმის ქვეშ შესაძლებელია „დაიმალოს” თმის გადანერგვის შემდგომ კანზე გაჩენილი უმნიშვნელო სიწითლეები, რომელიც ყოველთვის თან ახლავს თმის გადანერგვას, მიუხედავად თმის ტრანსპლანტაციის მეთოდისა და უკვალოდ ქრება 7-10 დღის შემდეგ.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**იმ მარტივი მიზეზით, რომ საქართველოს მოქალაქის ცხოვრება, მოქმედი კანონმდებლობით, გადაშლილი წიგნია შესაბამისი დაინტერესებული ძალოვანი უწყებებისთვის (და კვლავაც სიცოცხლისუნარიანია მოსაზრება, რომ ყველას ყველგან და ყოველთვის უსმენენ), ახალი კანონპროექტი შემუშავდა, რომ საქართველოს მოქალაქეების ცხოვრება მეტ-ნაკლებად დაცული იყოს მოსმენებისა და თვალთვალისგან. ის უკვე პარლამენტშია ინიცირებული, თუმცა არასამთავრობო სექტორი ცდილობს, მთავრობა დაიყოლიოს და ძალოვანებს მოქალაქეების მოსმენისა და თვალთვალის ფუნქცია შეუზღუდოს – ბუნებრივია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა. საიას იურისტი გიორგი გოცირიძე განგვიმარტავს ამჟამად არსებულ ვითარებას და იმას, თუ რა პუნქტებში ვერ თანხმდებიან მთავრობასთან.**

# როგორ შეაძენინა წინა ხელისუფლებამ საკომუნიკაციო კომპანიებს აბონენტების პირადი ინფორმაციის გამაკონტროლებელი აპარატურა და როგორ იყენებს მას წარმატებით დღევანდელი ხელისუფლებაც

**– ამჟამად არსებული საკანონმდებლო ნორმით, რა შემთხვევაში აქვთ ძალოვანებს მოქალაქეების მოსმენის უფლება?**

– დღეს მოქმედი კანონმდებლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს უფლება, რომ საკომუნიკაციო კომპანიების გარეშე, ეს იქნება ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები თუ ინტერნეტპროვაიდერები, ჰქონდეს წვდომა ჩვენს სატელეფონო საუბრებზე თუ ინტერნეტმიმოწერაზე.

**– ქალაქის სატელეფონო ქსელზე?**

– დიახ, აქვს საკომუნიკაციო ქსელებზე მიერთების უფლება და ინფორმაციის ფიქსაციისა და მოხსნის შესაძლებლობა. მართალია, კანონი არ იძლევა მუდმივი მიერთების შესაძლებლობას, მაგრამ პრაქტიკა ისეთია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მუდმივადაა მიერთებული იმ ონკანზე, რომლის გახსნის შედეგადაც ინფორმაცია მოედინება. საინტერესოა, რომ წინა ხელისუფლებამ ეს აპარატურა თავად საკომუნიკაციო კომპანიებს შეაძენინა, თუმცა ყოველგვარი კონტროლის შესაძლებლობას, ვის უსმენენ, კომპანიის რამდენი მომხმარებლის სატელეფონო საუბარი ისმინება და ასე შემდეგ, საკომუნიკაციო კომპანიები მოკლებულნი არიან.

**– ფიზიკურად ეს აპარატურა საკომუნიკაციო კომპანიებში დგას, მაგრამ მასთან წვდომა აქვს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს?**

– დიახ, წვდომა აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკომუნიკაციო კომპანიის გვერდის ავლით.

**– კანონში რა დათქმებია მოსმენებთან დაკავშირებით?**

– შეიძლება, მოისმინონ ნებისმიერი ადამიანის სატელეფონო საუბარი ისე, რომ ეს ადამიანი პირდაპირ არც კი იყოს დაკავშირებული დანაშაულთან. მაგალითად, იყოს დანაშაულის ჩამდენი პირის მეზობელი ან ნათესავი. კანონი არ ზღუდავს ადამიანთა წრეს. ერთადერთი კანონით ის არის განსაზღვრული, რომ მხოლოდ ისეთი დანაშაულის შემთხვევაშია მოსმენა ნებადართული, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წელზე მეტი ვადით. 2 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა კი ძალიან ბევრი დანაშაულისთვის არის განსაზღვრული.

**– მოსამართლის ნებართვა ხომ სჭირდება?**

– მოსამართლის ნებართვა სჭირდება, მაგრამ არავინ აკონტროლებდა მოსმენის პროცესს, როგორც კი მოსამართლე ამ ნებართვას გასცემდა. თანაც, განჩინების გაცემა იყო სტანდარტული პროცედურა, იმიტომ რომ კანონში არ ეწერა, რა შემთხვევაში უნდა ეთქვა უარი მოსამართლეს, საკმარისი იყო, პროკურორს ეთქვა, რომ ეს დანაშაული ითვალისწინებდა ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას.

**– სატელეფონო კომპანიებთან მიმართებაში გასაგებია, როგორ ისმინება და იწერება საუბრები. მაგრამ გამოდის, რომ ინტერნეტპროვაიდერებმაც აპრიორი იციან ჩვენი ელექტრონული ფოსტისა თუ სოციალური ქსელების პაროლები. როგორც ვიცი, მათ ჩვენი გვერდების გატეხვა არც სჭირდებათ, პირდაპირ პაროლს იგებენ.**

– შესაძლებელია, გამოგიგზავნონ სპეციალური ვირუსი, რომელსაც თქვენ გახსნით და ამით მოიპოვონ თქვენი პაროლი და ვერც შენიშნავთ, ისე წავა თქვენი პერსონალური ინფორმაცია ვირუსის გამომგზავნთან. ეს ერთერთი მექანიზმია, რომელსაც სპეცსამსახურები მიმართავენ, თუმცა რამდენად იყენებენ, სხვა საკითხია.

**– რამდენად იცავს დღეს არსებული კანონი პირად ცხოვრებას?**

– კანონში არის ასეთი დათქმა, რომ დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მაკომპრომეტირებელ ცნობებს. მაგრამ რა შეიძლება იყოს მაკომპრომეტირებელი? მაგალითად, მამის და შვილის საუბარში მაკომპრომეტირებელი შეიძლება, არაფერი იყოს, მაგრამ მაინც პირადი საუბარია, მაგრამ, რადგან მაკომპრომეტირებელი არ არის, კანონი არ ავალდებულებს შესაბამის ორგანოებს ამ ჩანაწერის დაუყოვნებლივ განადგურებას. როგორც აღმოჩნდა, სასამართლოშიც კი წარადგინეს მტკიცებულებად გიგი უგულავასა და მისი შვილის საუბარი. კანონი იძლევა ასეთ საშუალებას, იმიტომ რომ არ აკვალიფიცირებს, როგორც მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას. მაკომპრომეტირებელი შეიძლება, იყოს, მაგალითად, სექსუალური ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია, თუმცა ისიც ყოველთვის არა.



**შეიძლება, მოისმინონ ნებისმიერი ადამიანის სატელეფონო საუბარი ისე, რომ ეს ადამიანი პირდაპირ არც კი იყოს დაკავშირებული დანაშაულთან. მაგალითად, იყოს დანაშაულის ჩამდენი პირის მეზობელი ან ნათესავი**

**– და ამიტომ შეიძლება, არ განადგურდეს?**

– დიახ. ასეთი აბსურდული ჩანაწერებია კანონში.

**– რაც თქვენ თქვით მოსმენების ტექნიკის შესახებ, ნიშნავს, რომ აბონენტი ვერასდროს მიხვდება, უსმენენ თუ არა: ხმის გაორება, შიშინი, უსაფუძვლო არგუმენტებია?**

– ეს ეჭვი არსებობს, მაგრამ ამით თქვენ ვერაფერს დაამტკიცებთ და არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ მოსმენის უკანონოდ განმახორციელებელი ორგანოს წინააღმდეგ შეიტანოთ საჩივარი სასამართლოში. ასეთ ეჭვს სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს. მტკიცებულება იქნებოდა ის, თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც თქვენი მოსმენა დამთავრდა, ეცნობებინათ, რომ ამა და ამ პერიოდის განმავლობაში თქვენი საუბრები ისმინებოდა. დღეს მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შეტყობინებას, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებს, თუმცა კანონპროექტი, რომელიც პარლამენტშია წარდგენილი, ითვალისწინებს შეტყობინების ვალდებულებას.

**– რამდენი აბონენტის მოსმენის საშუალებაა?**

– იმ შავი ყუთის მეშვეობით ტექნიკურად შესაძლებელია ათასობით აბონენტის ერთდროულად მოსმენა. იმ აპარატურას, რომელიც „ჯეოსელის“ და „მაგთის“ ქსელშია დამონტაჟებული, ერთდროულად გააჩნია წვდომა რამდენიმე ათას აბონენტთან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

**– შეიძლება, ამას ტოტალური მოსმენა დავარქვათ?**

– ეს სპეკულირება იქნებოდა, მაგრამ გავიხსენოთ ჩვენი წარსულიც: 24 000 უკანონო ჩანაწერი აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს.

**– საუბრის მხოლოდ ჩანაწერებია თუ გაშიფრული ტექსტიც ახლავს?**

– არის რამდენიმე შესაძლებლობა: ერთი, იცოდე აქტივობები, ვინ რა დროს, ვისთან გააგზავნა ტექსტები, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ შინაარსობრივი ნაწილიც იყოს გაშიფრული.

**– როგორც ჩემთვისაა ცნობილი, შესაძლებელია აბონენტისა თუ სოციალური ქსელების მომხმარებლების უკვე წაშლილი მიმოწერის აღდგენაც.**

– აღდგენა შეუძლია საკომუნიკაციო კომპანიას.

**– უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები თუ შეძლებენ ჩვენი საკომუნიკაციო კომპანიების მეშვეობით მოსმენას ისე, რომ ამ საკომუნიკაციო კომპანიებს არაფერი ეცოდინებათ?**

– ტექნიკური საშუალებები საკმაოდ იხვეწება და უფრო მეტი საშიშროებაა, რომ კერძო პირები მოისმენენ ადამიანების სატელეფონო საუბრებს, ვიდრე სპეცსამსახურები, თუმცა სპეცსამსახურები თავისთავადაც უსმენენ მოქალაქეებს. გვახსოვს, როგორ უსმენდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს, სპეციალურ აპარატურას იყენებდნენ, რომელსაც ტელეფონების ანძად აღიქვამდნენ და საუბარი პირდაპირ მიდიოდა. ამის გაკეთება მარტივად შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მოსმენის ობიექტთან ახლოს იმყოფება. დღეს არსებული ტექნიკური საშუალებები იძლევა შესაძლებლობას, რომ უცხო ქვეყნის აგენტმა, რომელიც იმყოფება საქართველოში, ამ გზით ჩაიწეროს სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობის პირის საუბრები. ძალიან ბევრი ჩანაწერი ვრცელდება ინტერნეტით: თუნდაც, ქეთრინ ეშთონისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საუბრის. აღმოჩნდა, რომ მათი საუბრებიც არ იყო დაცული ამ შემთხვევაში რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან.

**– ახალი კანონპროექტი რას სთავაზობს მოქალაქეებს უკანონო მოსმენისგან თავდაცვის მიზნით?**

– პირველი ის, რომ შეიზღუდოს იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელიც ითვალისწინებს მოსმენას. ამ კანონპროექტით მოსმენა დასაშვებია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში. მოსმენა იმ პირების, რომელთა მიმართ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, ფაქტების ერთობლიობა, რომ

# რატომ არ ირიცხება კახა ბუცხრიკიძის სახელზე არანაირი ქონება და რომელ თანამდებობაზე მუშაობისას შეადგინა მისმა წლიურმა სახელფასო შემოსავალმა 118 000 ლარი

პარლამენტის წევრი კახა ბუცხრიკიძე 1972 წელსაა დაბადებული თერჯოლაში. უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, კვალიფიკაციით ინჟინერ-ეკონომისტია, ხოლო მისი სპეციალობაა საქალაქო, საბინაო და საყოფაცხოვრებო ეკონომიკა და მართვა. თუმცა ის იმავე თსუ-ში მეორე სპეციალობასაც დაუფლებია – სამართალმცოდნეობას.

მისი შრომითი ბიოგრაფია 1997 წელს დაიწყო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, სადაც მან 2006 წლამდე იმუშავა. თუმცა იმ წელს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადასულა, 2008 წელს კი თავდაცვის სამინისტროში დანიშნულა. 2010 წლიდან მუშაობდა: თავდაცვის მინისტრის მოადგილედ და თავდაცვის მინისტრის მრჩევლად. 2012 წელს კი არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა და საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრიც გახდა.

კახა ბუცხრიკიძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2011 წლით თარიღდება, რომელიც მან თავდაცვის მინისტრის მოადგილის რანგში შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე, 1973 წელს დაბადებული სოფიკო ლაჭავა და ორი შვილი: 1994 წელს დაბადებული ლევანი და 2004 წელს დაბადებული გვანცა.

ოჯახის კუთვნილი უმეტესი ქონების მფლობელი დეპუტატის მეუღლეა, თავად დეპუტატის სახელზე არანაირი უძრავი ქონება არ ირიცხება. კერძოდ, ლევან ბუცხრიკიძის საკუთრება იყო საცხოვრებელი ბინა ჩაქვში (55 კვ.მ. ფართობის); სოფიკო ლაჭავას კი ეკუთნოდა საცხოვრებელი ბინა თბილისში, გოთუას ქუჩაზე (126 კვ. მ. ფართობის) და კიდევ ერთი საცხოვრებელი ბინა თბილისში, ამბროლაურის ქუჩაზე (54 კვ. მ. ფართობის). დეპუტატს კი ჰყავდა ავტომანქანა BMW X5.

დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფულიც მხოლოდ მას ჰქონდა – 10 000 აშშ დოლარი და 25 000 ლარი.



2010 წლის განმავლობაში კახა ბუცხრიკიძემ, საერთო ჯამში, 100 000-მდე ლარი აიღო: 53 747 ლარი, როგორც თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა და 36 064 ლარი, როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ.

2012 წელს კახა ბუცხრიკიძემ დეკლარაცია შეავსო როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ. უცვლელია მისი ოჯახის წევრთა შემადგენლობა და უძრავი ქონების ოდენობა, თუმცა ავტომანქანა ამჟამად სოფიკო ლაჭავას ჰყავს, კერძოდ, 2008 წლის hyundai Tucson. ნაღდი ფული, დეკლარაციის შევსების მომენტში, ამჯერად ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრს ჰქონდა: დეპუტატს – 19 850 ლარი, მის მეუღლეს – 15 000 ლარი, ხოლო შვილს, ლევანს – 1 500 ლარი.

დასაქმებული კვლავაც მხოლოდ ოჯახის უფროსი იყო და 2011 წლის განმავლობაში კახა ბუცხრიკიძეს, როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ხელფასისა და პრემიის სახით 118 942 ლარი აუღია.

2013 წელს კახა ბუცხრიკიძე უკვე პარლამენტის წევრის ამპლუაში ავსებს დეკლარაციას. უცვლელია მისი ოჯახი წევრთა ოდენობაც და უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალიც. ერთი ისაა, რომ დეპუტატს „რესპუბლიკა ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე 25 147 აშშ დოლარი ერიცხებოდა. დეკლარაციის შევსების მომენტში კახა ბუცხრიკიძეს ნაღდი ფულის სახით ჰქონდა 10 000, მის მეუღლეს კი, სულ რაღაც, 1 500 ლარი.

რატომღაც, საგრძნობლად დაუკლია დეპუტატის შემოსავლებს. კერძოდ, 2012 წლის განმავლობაში მან, როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, 18 000 ლარი მიიღო, ხოლო, როგორც დეპუტატმა – 5 000 ლარი.

დეპუტატის მიერ სულ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2014 წლის თებერვლით თარიღდება. მის ქონებრივ ნაწილში არანაირი ცვლილება არ არის, ერთი ისაა, რომ ნაღდი ფული, 1 500 ლარი, მხოლოდ სოფიკო ლაჭავას დარჩენია. დეპუტატის წლიურ სადეპუტატო შემოსავალს კი 2013 წლის განმავლობაში 55 485 ლარი შეუდგენია.

**ნინო ხაჩიძე**

---

მან ჩაიდინა დანაშაული და ამ მოსმენით მოპოვებული იქნება ამ პირისგან კონკრეტული ინფორმაცია. აგრეთვე, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ შეიძლება, ის სხვის სახელზე გაფორმებულ ტელეფონს იყენებდეს. ეს უნდა დაადასტუროს პროკურატურამ სასამართლოში. გარდა ამისა, სასამართლო მოსმენაზე ნებართვას არ გასცემს, თუ პროკურორი არ დაამტკიცებს, რომ ეს არის უკანასკნელი საშუალება მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოსაპოვებლად. მაგალითად, თუ კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მოწმეთა ჩვენების საფუძველზე ან სხვა მოქმედებებით, მაგალითად, ჩხრეკით, ასეთ შემთხვევაში ფარული მიყურადება დაუშვებელია. ამასთან, დღეს ჩვენ არ ვიცით, რა ვადით აქვს სამართალდამცველ ორგანოებს მოსმენის უფლება. ეს კანონში არ წერია, წესრიგდება უწყებრივი ნორმატიული აქტით, რომელიც მიეკუთვნება დახურულ ინფორმაციას. ამ კანონპროექტით კი, წესდება ორთვიანი ვადა.

**– მაგრამ გაგრძელების საშუალებაც ექნებათ?**

– სასამართლომ შეიძლება, გააგრძელოს. ასევე, ძლიერდება პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება. და ეგრეთ წოდებული ონკანი გადავა საკომუნიკაციო კომპანიების ეფექტიანი კონტროლის ქვეშ.

**– მე საიდან ვიცი, რომ ახლა უკვე საკომუნიკაციო კომპანიის რომელიღაც თანამშრომელი არ მომისმენს?**

– გამორთული იქნება აპარატურა. თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროს ან პროკურატურას დასჭირდება რამე ინფორმაციის მოპოვება, მან ჯერ სასამართლო განჩინება უნდა წარადგინოს საკომუნიკაციო კომპანიაში. თუ არ არის განჩინება, ამის გარეშეც შეუძლია, დაიწყოს მოსმენა, მაგრამ 12 საათის განმავლობაში მაინც უნდა არსებობდეს სასამართლოს გადაწყვეტილება. თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო 12 საათის განმავლობაში სასამართლოს განჩინებას არ წარუდგენს საკომუნიკაციო კომპანიას, საკომუნიკაციო კომპანია მოსმენას შეწყვეტს. და კიდევ ერთი – როდესაც დაიწყება მოსმენა, დგება ოქმი, ვის უსმენენ, რის საფუძველზე, შეიძლება, ოქმში არ ჩაიწეროს მოსმენის შინაარსი, მაგრამ ამ ოქმის ასლი ავტომატურ რეჟიმში გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ანუ ინსპექტორს ექნება შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ მოიპოვოს ინფორმაცია, თუ ვის უსმენენ, რომ საჭიროების შემთხვევაში შეამოწმოს, რამდენად კანონიერია ის მოსმენა, რამდენ ხანს გაგრძელდა, რა ინფორმაცია მოიპოვეს ამ კონკრეტული ადამიანის შესახებ. აქამდე კონტროლის არანაირი მექანიზმი არ ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს. ისინი მარტონი იყვნენ დარჩენილნი მოქალაქეების პერსონალურ მონაცემებთან. არავინ აკონტროლებდა, რამდენ ხანს უსმენდნენ ერთ ადამიანს ან ვის უსმენდნენ. ამ შემთხვევაში კი შემოდის პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი, თუმცა ამადვროულად საჭიროა, რომ ამ ინსტიტუტის მიმართაც არსებობდეს ნდობა და მას ჰქონდეს დამოუკიდებლობის გარანტიები. მოქმედი კანონით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი, თუმცა დანიშვნის უფლებამოსილება უნდა გადაეცეს პარლამენტს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა შეიძლებოდეს მისი გადაყენება; ანუ იგივე გარანტიები უნდა ჰქონდეს, რაც აქვს ომბუდსმენს.

**– გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროსი, კიდევ რომელ სახელმწიფო უწყებებს აქვთ მოსმენის უფლება?**

– კანონი რამდენიმე ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს აძლევს ამის უფლებას, თუნდაც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებს ამ უფლებამოსილებას.

**– თქვენ მიერ შეთავაზებულ რა ცვლილებებს არ თანხმდება მთავრობა?**

– წინააღმდეგობას სწევს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მიიჩნევს, რომ პრევენციის მიზნითაც, ანუ სანამ დანაშაული მოხდება, უნდა არსებობდეს მოსმენის შესაძლებლობა და მეორე – არ სურს, რომ საინფორმაციო ონკანი გადაეცეს კერძო საკომუნიკაციო კომპანიებს. ეს ორი წინააღმდეგობა არსებობს.

**– არ დავმალავ, კერძო კომპანიის ხელში რომ რჩება საინფორმაციო ონკანი, არც მე მომწონს. თუმცა არც ის მხიბლავს, თუ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში დარჩება.**

– ამ კანონპროექტის მიზანია, ავიცილოთ ის მავნე პრაქტიკა, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, როდესაც პოლიტიკური მოტივით იყენებდნენ მოსმენებს.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# როგორ დახატა გიორგი მახარაშვილმა 13 ტილო რეკორდულ დროში და როგორ შეაფასა მისი ნამუშევრები ჰოლანდიურმა პრესამ

*ჩვენი რესპონდენტი, გიორგი მახარაშვილი, სამხატვრო აკადემიის 26 წლის ახალგაზრდა ლექტორია, რომელიც ამჟამად ჰოლანდიაში ცხოვრობს და იქ განაგრძობს თავის საქმიანობას. 2012 წელს თოჯინების თეატრში მას ჰქონდა პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით „მეტამორფოზები.“ მისმა გამოფენამ დააინტერესა თითქმის ყველა ტელევიზია, რადგან, გამოფენილი ტილოები გამოირჩეოდა ინდივიდუალიზმითა და საიდუმლოებით, ეს იყო ძალიან კარგი სანახაობა უცნაური თემებითა და შინაარსებით. 2014 წელს კი მთელი ამიერკავკასიიდან მხოლოდ გიორგი აირჩიეს ჰოლანდიაში გასამგზავრებლად და იქ საქველმოქმედო და სამხატვრო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. ამჟამად ახალგაზრდა და ნიჭიერი ქართველი მხატვარი თავის მოღვაწეობას სწორედ ჰოლანდიაში, კერძოდ კი, ქალაქ დენ-ჰელდერში განაგრძობს.*



**სადაც ვცხოვრობ, ძალიან წყნარი ადგილია, სულ სიჩუმე და სიმშვიდეა. მინდოდა, ამ ადგილის რაღაც ნაწილი ჩემს გამოფენაში შემეტანა და ამიტომაც დავარქვი გამოფენას „სიჩუმე“**

**– ბოლო პერიოდი ჰოლანდიაში ცხოვრობ. რამ გადაგაწყვეტინა უცხოეთში, კერძოდ კი ჰოლანდიაში წასვლა?**

– საქართველოში მყავს არტწარმომადგენელი– მარია შირშოვა. სწორედ მან იპოვა პროგრამა, რომლითაც შემეძლო, ჰოლანდიაში წამოვსულიყავი და ჩემი პერსონალური გამოფენაც მომეწყო.

**– ამჟამად რას საქმიანობ? ერთი გამოფენა, როგორც ვიცი, უკვე გქონდა და მასზე მოგვიანებით გკითხავ.**

– ჩემი პერსონალური გამოფენისთვის ვემზადები, პარალელურად – ვმუშაობ. პირველ სართულზე გალერეაა, მეორეზე კი ვცხოვრობ. ამ პროგრამით სამნი ვართ აქ ჩამოსული: ჩემთან ერთად არიან ინგლისელი ბიჭი და ლატვიელი გოგონა.

**– როგორი შთაბეჭდილება მოახდინა შენზე უცხო ქვეყანამ?**

– ძალიან კარგი და პოზიტიური შთაბეჭდილებები მაქვს. აქაურობა ძალიან ლამაზია, მშვიდი ადგილია.

**– როგორც გავიგე, ლექტორიც ხარ.**

– თბილისის სამხატვრო აკადემიაში ვმუშაობ, თუმცა, ამ ეტაპზე დროებით წამოსული ვარ, გამოფენა რომ მოვაწყო. მერე კი ისევ დავუბრუნდები აკადემიაში ჩემს საქმეს.

**– ანუ, ამ პროგრამის შემდეგ საქართველოში ბრუნდები?**

– აუცილებლად.

**– ახლა კი გამოფენაზე მომიყევი, რომელიც ჰოლანდიაში მოაწყვე და მას „სიჩუმე” დაარქვი.**

– თავიდან ცოტა პრობლემა შემექმნა გამოფენასთან დაკავშირებით, რადგან, ჩამოვედი და აღმოვაჩინე, რომ საღებავები საქართველოში დამრჩა. ცოტა უცნაურია, მაგრამ, ასე იყო. თან, აქ ძალიან ძვირი ღირს და ამის გამო ცოტა გაიწელა დრო. მეშინოდა, არ ვიცოდი, როგორ ჩავეტეოდი გამოფენის სამზადისში, რადგან, დრო ცოტა რჩებოდა. ორი კვირა იყო დარჩენილი, საქართველოდან საღებავები რომ მომაწოდეს, ამიტომ, საკმაოდ ჩქარ ტემპში მომიწია დახატვა, დარბაზი რომ შემევსო.

**– ანუ, ყველაფერი მანდ დახატე, რაც გამოფენაზე გამოიტანე?**

– დიახ, ყველაფერი, რაც გამოიფინა, აქ დავხატე, საქართველოდან არაფერი არ წამომიღია.

**– რამდენი ტილო გქონდა გამოფენილი?**

– 13 ტილო, რომელიც ორ კვირაში დავხატე. ამჯერად კიდევ ვხატავ და ნახატებს ვამატებ, ანუ ყოველდღიურად შევსებადი გამოფენაა.

**– როგორ შეაფასეს?**

– შეფასება ძალიან კარგი იყო, ბევრს მოეწონა. ხალხიც ბევრი იყო და რამდენიმე ნახატიც გაიყიდა. საერთოდ, მუშაობის დროსაც კი, როცა ვხატავთ, ხალხს, ჩვეულებრივად, შეუძლია, შემოვიდეს და თვალი ადევნოს სამუშაო პროცესს.



**– პრესის წარმომადგენლებმა როგორ შეაფასეს გამოფენა?**

– რამდენიმე გაზეთში გამოფენის გახსნამდეც კი დაიბეჭდა მასალა: „საქართველოდან ჩამოსული ნიჭიერი მხატვარი” – და მსგავს რაღაცეებს წერდნენ. გამოფენის შემდეგაც დაინტერესდნენ ჟურნალისტები.



**– „სიჩუმე” რატომ დაარქვი გამოფენას?**

– ძალიან წყნარი ადგილია აქ, სულ სიჩუმე და სიმშვიდეა. მინდოდა, ამ ადგილის რაღაც ნაწილი ჩემს გამოფენაში შემეტანა და ამიტომაც დავარქვი „სიჩუმე”.

**– თითქმის ორი წლის წინ გქონდა პირველი გამოფენა თბილისში, რომელსაც „მეტამორფოზები” ერქვა.**

– ეს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა იყო, მანამდე ჯგუფურ გამოფენებში მქონდა მონაწილეობა მიღებული. პერსონალური გამოფენისთვის მზადება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავიწყე. სერიებივით გამომივიდა და, რაღაცნაირად, ჩამითრია მზადების პროცესმა. შემდეგ განვავრცე და ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა ამ თემის ერთ კონცეფციად შეკვრა. დრო გავიდა, დავამთავრე სამხატვრო აკადემია და გამოფენაც გავაკეთე. ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა, რომლებიც, როგორც მე, ისინიც კმაყოფილები დარჩნენ. პირველი იყო ჩემთვის და კარგი შთაბეჭდილებაც დამრჩა. გამოხმაურებაც საკმაოდ დიდი ჰქონდა.

**– გარდა იმისა, რომ ხატავ და, პარალელურად, მუშაობ, ასევე, ქველმოქმედებასაც ეწევი.**

– აქ ვასწავლი ხატვას იმათ, ვისაც დეპრესია აქვთ, ან, რაღაც მიზეზების გამო, სამშობლოში ვერ ბრუნდებიან და ასე შემდეგ. ასეთი ადამიანები ხშირად ვარდებიან დეპრესიაში. მათ ხატვა ან სხვა სახის თანადგომა ეხმარებათ და დეპრესიიდან გამოდიან. მარტოხელა ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარ პრობლემებს ხატვით გამოხატავენ. ამისთვის ჰოლანდიაში სპეციალური პროგრამებია და ერთ-ერთ მათგანში, როგორც გითხარით, მეც ვარ ჩართული. რომ შემომთავაზეს ამ პროგრამაში ჩართვა, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემს გამოფენაზეც იყვნენ მოსული და დადებითი ემოციებითაც ამავსეს.

**მარიკა ხიდურელი**



**ფოტოსესიის დროს დაწყებული მხიარული განწყობა ინტერვიუს ოთახშიც გადმოიყოლეს რუსა ამირეჯიბმა და მისმა ქალიშვილმა – მეი ჩინეკემ. ყველაზე და ყველაფერზე ვისაუბრეთ: ჭაბუა ამირეჯიბზე, რუსას ახალ წიგნზე, მიმის მომავალზე .. საუბარში გართულებს დრო შეუმჩნევლად გაგვეპარა.**

# რა უთხრა რუსა ამირეჯიბს მისი ქმრის მეორე მეუღლემ და რა მიზნით გამოიცვალა ტელეფონის ნომერი მან

**– მიმი, როგორ გაზრდილხარ, ვერც გიცნობდი, რუსას გარეშე რომ შემხვედროდი. რამდენი წლის ხარ უკვე?**

**მიმი**: თოთხმეტის.

**რუსა**: არც ისე გაზრდილია, უბრალოდ, საგრძნობლად გამაღლდა, ჩემზე მაღალია უკვე. მე 177 სანტიმეტრი ვარ სიმაღლეში, მეი კი უკვე 182 სანტიმეტრია. ისე მიხარია, მის გვერდით პატარა და საყვარელი რომ ვჩანვარ ***(იცინის).*** მე მიყვარს მიმისთან ერთად სიარული, მას კი არა.

**– რატომ?**

**მიმი**: ბავშვივით იქცევა ***(იცინის).***

**რუსა**: ამბობს, გიჟი დედა მყავსო ***(იცინის).*** მაინცდამაინც წარბი-წარბში უნდა მქონდეს გაყრილი და „სწერვა" დედები რომ არიან ისეთი სახით დავყვებოდე?! მე ხალისიანი და მხიარული ვარ. მიხარია, ასე რომ გაიზარდა. ეჭვი მაქვს, კიდევ გამაღლდება, იმიტომ, რომ მამამისის დედა იყო 184 სანტიმეტრი სიმაღლის, ჰოდა, მგონია, რომ იქით წავიდა.

**– მეც ძალიან მომწონს. სიმაღლესთან ერთად, აღნაგობაც ძალიან კარგი აქვს მიმის, ამიტომ, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, მოდელის კარიერით რომ არ ყოფილა დაინტერესებული.**

**მიმი**: ჯერ ერთი, ვფიქრობ, წონის პრობლემა შემექნება, მეორეც, არც მხიბლავს ეს პროფესია, მით უმეტეს, რომ ხალხი ხშირად იმეორებს – ყველა მოდელი სულელიაო. მე უფრო სხვა რაღაცეები მიტაცებს, მოდელობა – არა.

**– მაგალითად, რა გიტაცებს?**

– მსახიობობა, კულინარია.

**რუსა**: ისეთ გემრიელ სალათებს ამზადებს ხოლმე... ყველაფერი კარგი გამოსდის, მაკარონსაც კი ისე გემრიელად წვავს...

**– კიდევ რა ინტერესები გაქვს, მიმი? სკოლაში როგორ არის საქმე?**

**მიმი**: სკოლაში არც ისე კარგადაა საქმე, თუმცა, ახლა უკვე ვცდილობ.

**რუსა**: მხოლოდ ხელოვნებასა და მუსიკაში აქვს მაღალი ნიშნები, დანარჩენი – საშუალო. სამწუხაროდ, ცოტა ზარმაცები ვართ.

**– დედა რა ზომებს იღებს ასეთ სიტუაციაში?**

**მიმი**: დედა მკაცრია. თუ ცუდი ნიშანი მოვიტანე, არაფერს მაკარებს: არც კომპიუტერსა და ტელევიზორს, არც პლანშეტსა და ტელეფონს, სანამ გაკვეთილებს არ ვისწავლი. არც ვამტყუნებ ამ საქციელისთვის, რადგან, ჩემი შვილი კარგად რომ არ სწავლობდეს, მეც ანალოგიურად მოვიქცეოდი ***(იცინის).***

**რუსა**: ჰო, მაგრამ, ჩანს, საკმარისს ვერ ვაკეთებ. იძულებით ვერაფერს ვერ გააკეთებინებ. იძულება ჩემთვის ჩაგვრას ნიშნავს, რადგან, მისი თავისუფლება იზღუდება – მე ასე ვფიქრობ, მაგრამ, მაღიზიანებს – როგორ შეიძლება, ბავშვს სულ ინტერნეტში ყოფნა უნდოდეს?! სულ! ამაზე უფრო ვჩხუბობ, ვიდრე იმაზე, რომ არ სწავლობს. მერე ინანებს და თვითონ აანაზღაურებს, რაც ამ პერიოდში გამოტოვა. მე არაფერს მაიძულებდნენ ბავშვობაში. დედაჩემი აბსოლუტურად თავისუფლად გვზრდიდა მე და ჩემს დას. თუ რამის შესწავლის ინტერესი გაგვიჩნდებოდა, ხელს გვიწყობდა. რაც არ მინდოდა – არ ვსწავლობდი, რაც მაინტერესებდა – კი. მეც მინდა ამგვარად მივუდგე მიმის, მაგრამ, ცოტა მიჭირს ერთი რამის გამო: მე თუ რამეს არ ვსწავლობდი, იმ თავისუფალ დროს კითხვაში ვდებდი – მაშინ ყველა ასე ვიყავით, ამათი თაობა კი თავისუფალ დროს ცუდად იყენებს. არ ვამბობ, რომ ინტერნეტი ცუდია, ყველაფერს მივესალმები, რაც ტექნიკურ წინსვლას ეხება, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ მთელი თავისუფალი დრო ამას მიუძღვნა. ახლა იმდენს მივაღწიე, რომ „მარტოობის ას წელიწადს" კითხულობს.

**– სამწუხაროდ, ეს თაობის პრობლემაა. რუსა, გარდა მიმის აღზრდისა, ამ ეტაპზე კიდევ რა საქმიანობით ხართ დაკავებული?**

– ჩემს ძირითად საქმიანობად მხოლოდ მწერლობას მოვიხსენიებ. ბოლო ხუთი-ექვსი წელია, რაც ჩემი მოთხრობები სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება, თუმცა, წიგნის გამოცემას თავს ვარიდებდი. ჭაბუა პაპა რომ გარდაცვალა, პანაშვიდზე ვიჯექი, მის ფოტოს ვუყურებდი და ვიხსენებდი – სულ ყოველთვის, სანამ რამეს გამოვაქვეყნებდი, მასთან მიმქონდა, ვაკითხებდი და კომენტარებს მიწერდა ხოლმე. მხოლოდ ერთხელ იყო, რომ ასე არ მოვიქეცი და, როცა ჭაბუასთან მივედი, გაბრაზებულმა მითხრა, იქნებ, პატივი დამდო და, სანამ გამოაქვეყნებ, წამაკითხო ხოლმეო, – გამიბრაზდა საყვარლად. ჰოდა, პანაშვიდზე უცებ გავიფიქრე, საერთოდ რატომღა უნდა ვწერო-მეთქი – ჭაბუას სიკვდილმა თითქოს ლიტერატურული ძალა გამომაცალა. თუმცა, რაღაც პერიოდის შემდეგ გადავწყვიტე, რომ უფრო ბევრს დავწერდი, ყოველთვის და ყველგან; წიგნსაც გამოვცემ-მეთქი, შევპირდი ფიქრებში და ძალიან გული დამწყდა რომ, მის სიცოცხლეშივე არ მომინდა წიგნის გამოცემა. ამას მოგვიანებით ვაკეთებ, ჩემი მოთხრობების კრებულს გამოსცემს გამომცემლობა „ინტელექტი", ჭაბუა ამირეჯიბს ეძღვნება. ალბათ, ორ კვირაში უკვე გამოიცემა.



**რუსა: „მეი სულ მთხოვს, მამაჩემთან გამიშვიო. სანამ სრულწლოვანი არ გახდება, არ ვუშვებ, მერე თვითონ გადაწყვიტოს"**

წიგნის გამოცემის პარალელურად, ვაკეთებ ავტორის ვებ-გვერდს, რომელიც მსოფლიოში ყველას აქვს, საქართველოში, რატომღაც – არა. ასევე, ტექსტის შექმნისა და რედაქტირების კურსებსაც ვაკეთებ პარტნიორთან ერთად.

**– მიმის თუ აქვს რამე შემოქმედებითი გეგმა ამ ეტაპზე?**

**მიმი**: ჯერჯერობით პაუზა მაქვს.

**რუსა**: „ჯიდიესთან" ლამის კონფლიქტი მომივიდა. ერთ-ერთ რეჟისორს ქასთინგი ჰქონდა გამოცხადებული სერიალ „დროის მანქანისთვის". მივიყვანე მიმი, მაგრამ, რატომღაც, ფოტოები მეც გადამიღეს და რომაელი ქალის როლი შემოთავაზეს, მაგრამ, ჰონორარი იმდენად მცირე იყო, არ დავინტერესებულვარ. ამის შემდეგ მიმის შესთავაზეს ზანგი მონის როლი. იცით, რა, ჯერ ერთი, თბილისის ნაწილი მაინც იცნობს მიმის, ვისი შვილია, ვისი შვილთაშვილი და ასე შემდეგ. თანაც, მიმის კანის ფერი მაშინვე ამ როლთან გააიგივა?! საინტერესოა, ნეტავი ვინ გადაიღო მონა ზანგის როლში? იმ რეჟისორს აქედან მინდა ვუთხრა, რომ ჩემს თვალში, უბრალოდ, ხანში შესული რასისტია. ამერიკაში ან ევროპაში ამას ასე არ მივიღებდი, მაგრამ, საქართველოში ეს დისკრიმინაციაა. მე ხომ ვიცნობ ჩვენს ხალხს, არ არსებობს, მიმი ქუჩაში გავიდეს და ვინმემ არ მოაძახოს, ზანგოო.

**– მართლა?!**

**მიმი**: კი, სკოლაშიც. არ მაინტერესებს. შეიძლება, მეწყინოს, მაგრამ, არ ვიმჩნევ.

**– მიმი, შენ ყველაზე კარგი და ლამაზი გოგო ხარ. კარგი და სახელოვანი ადამიანების შთამომავალი. დედის მხარეს კარგად ვიცნობთ. მოდი, მამის მხარეც გაგვაცანი.**

**რუსა**: ნამდვილად. როგორც კი დაიბადა, მიმიო, – დაუძახა მამამისმა. „მიმი" იქ, ნიგერიაში, ნიშნავს წარმოდგენას, რომელშიც გაერთიანებულია მონოლოგი, სიმღერა და ცეკვა. მიმის ბებია აფრიკაში ძალიან ცნობილი და წარმატებული „მიმი" ყოფილა. ის რომ გარდაიცვალა, ხალხი სხვადასხვა კონტინენტიდან ჩამოდიოდა პატივის მისაგებად. 3 თვე ვერ დამარხეს, ყინულებში ჰყავდათ, რადგან პანაშვიდი არ წყდებოდა. მეის მამაც კარგად მღეროდა და მუსიკასაც წერდა, ბაბუა კი გუბერნატორი იყო ლაგოსთან ახლოს, ერთ-ერთ შტატში. მერე, სიკვდილის შემდეგ, ძმამ შეცვალა. ბიძის გარდაცვალების შემდეგ რეი (ჩემი ყოფილი ქმარი) მიიხმეს ამ თანამდებობაზე, მე არ წავყევი ნიგერიაში და ამის გამო ურთიერთობები გაგვიფუჭდა.

**მიმი**: მე ვერ გავიგე, რატომ არ გინდოდა?

**რუსა**: არ მინდოდა! საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, რამდენიმე წელი აქტიურად ვკონტაქტობდით. მერე აღარ. ახლა დაოჯახებულია, სამი შვილი ჰყავს, თვითონ არა, მაგრამ, მისი მეუღლე აქტიურად მეკონტაქტება.

**– ბავშვს კითხულობს?**

– რეის ცოლი კითხულობს ხოლმე, ამბობს, მამამისი ძალიან განიცდის, რომ ვერ ნახულობსო. სკაიპი რომ სკაიპია, იქ მაინც მოულოცოს დაბადების დღე წელიწადში ერთხელ! მე არ მესმის ამ კატეგორიის მამაკაცების და ამის გამოც დავშორდით. თუმცა, მეი სულ მთხოვს, მამაჩემთან გამიშვიო. სანამ სრულწლოვანი არ გახდება, არ ვუშვებ, მერე თვითონ გადაწყვიტოს.

**– მეის მამის პირველი და მეორე მეუღლის დაკავშირება როგორ მოხდა?**

– მეილი მივწერე რეის და მისმა ცოლმა მიპასუხა: იცით, რა, რეიმ ცოლი შეირთო, შვილები ჰყავს და აღარ მოსწეროო! მე გამიხარდა – ახლა უფრო შერბილდება ჩვენი ურთიერთობა-მეთქი და მივწერე: გილოცავთ, ძალიან გამიხარდა, ბედნიერებას გისურვებთ, რა კარგია, ჩემს შვილს ნახევარძმა რომ ჰყავს-მეთქი. როგორც ჩანს, არ ელოდა ასეთ პასუხს, მერე გამომიტყდა ამაში, ჰოდა, ამის შემდეგ ისე ხშირად მირეკავდა, რომ შევწუხდი და ნომერი შევიცვალე, თანაც, მაღიზიანებდა, რადგან, რეი მითვლიდა, ბავშვი აქ გამოგზავნე, ჩვენ გავზრდითო. მაინც მომძებნა ცოლმა და ისევ ვკონტაქტობთ „ფეისბუქით", მაგრამ, იშვიათად. ერთხელ მითხრა, ჩემმა ქმარმა თქვა, რომ რუსა ჩემი ყველაზე დიდი სიყვარული იყოო. გამიკვირდა. მე ჩემი ქმრის ყოფილ ცოლს ამას არ ვეტყოდი. კარგი ადამიანია, მაგრამ, მგონი, ცოტა ვერ არის ***(იცინის).***

**– მიმი, შენთანაც ასე აქტიურად კონტაქტობს?**

**მიმი**: ისე, რა. ერთხელ მომწერა, შემოდი საღამოს სკაიპში, მამაშენს ძალიან უნდა შენი ნახვაო. არ შევედი. როგორია, ამდენი წელი არ მინახავს...

**– მგონი, ემოციებმა შეგაშინა.**

– ჰო, ასეა...

**რუსა**: მერე, შედი. შეიძლება, ჰგონიათ, რომ მე გიკრძალავ.

**მიმი**: შევალ.

**ეკა სალაღაია**

**ყველას როდი აქვს ბედნიერება, საყვარელი პროფესია და ჰობი ერთმანეთს შეუთავსოს. ამ მხრივ ჩვენს რესპონდენტს, ზურაბ ასტახიშვილს, ნამდვილად გაუმართლა. აგერ უკვე 30 წელზე მეტია, რაც ის, როგორც ექიმი, სხვადასხვა ექსპედიციებში დაჰყვება მთამსვლელებს და თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მათი ცხოვრებითაც ცხოვრობს; გარდა ამისა, იგი მონაწილეობას იღებს სამაშველო ოპერაციებში.**

# როგორ განარისხეს ზურაბ ასტახიშვილმა და გია თორთლაძემ ტიბეტელების ღმერთი და რა მოჰყვა ამას

**ზურაბ ასტახიშვილი:** ბავშვობიდან ხშირად დავყვებოდი მამაჩემს ყაზბეგის რაიონში. დავდიოდით იმიტომ, რომ მამას კოლეგებთან ერთად, იქ ყოველ ზაფხულს დაჰყავდა მოზარდ მთამსვლელთა ალპინისტური ბანაკები. მამაჩემი გახლდათ სპორტის ოსტატი ტურიზმის დარგში. ასე გაიარა ბავშვობამ.

მოგვიანებით, როდესაც უკვე ექიმი ვიყავი და უკვე ვმუშაობდი კიდეც იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში, შემთხვევით მოვხვდი სამედიცინო ინსტიტუტის ალპინიადაზე მყინვარწვერზე. ეს იყო 1979 წელს. მომდევნო წლიდან უკვე პროფესიონალ მთამსვლელებს დავყვებოდი ექსპედიციებში.

**– როგორც ექსპედიციის ექიმი თუ როგორც მთამსვლელი?**

– როგორც ექიმი. თუმცა, მხოლოდ საბაზო ბანაკში არ შემოიფარგლებოდა ჩემი ყოფნა, ხშირად მიწევდა ასვლა ზემო სასიმაღლო ბანაკებშიც.

**– ალბათ, ბევრჯერ აღმოჩენილხართ ექსტრემალურ სიტუაციაში?**

– არაერთხელ. მახსოვს, 1980 წელს პამირში ვახლდი შოთა მირიანაშვილის ექსპედიციას. ამ ექსპედიციის დროს დაგვეღუპა ხუთი მონაწილე მთამსვლელი. უფრო სწორად, სამი მათგანი ქვათაცვენაში მოჰყვა, ერთი დაიკარგა და მის კვალს ვეღარ მიაკვლიეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა არაერთი სამძებრო ექსპედიცია და, კიდევ, ერთი დაიღუპა მაღალ სიმაღლეზე ჟანგბადის უკმარისობის შედეგად ტვინის შეშუპების გამო. შემდგომში იყო პამირის ექსპედიციები. 1984 წელს მოხდა უშბის ტრაგედია, სადაც საქართველოს ნაკრების 6 წევრი დაიღუპა – ისინი ზვავმა იმსხვერპლა.



**თოვლში არავის კვალი აღარ ჩანდა, ყველაფერი წაშლილი იყო ქარბუქის გამო. ორიენტაცია დავკარგე, თუმცა, თვითგადარჩენის ინსტინქტით მოძრაობა არ შემიწყვეტია. ნამდვილად არ მახსოვს, ამ ვითარებაში რამდენი ხანი გავიდა, სამაგიეროდ ის მახსოვს, რომ დიდი სიხარული განვიცადე, როცა შემთხვევით ვირების ჯოგს გადავაწყდი**

**– რას ფიქრობთ როგორც ექიმი, რა შეიძლება გახდეს მთამსვლელისთვის ფატალური დასასრულის მიზეზი?**

– პირველ ყოვლისა, ალბათ, უბედური შემთხვევის მიზეზი არის ტრავმა ან რომელიმე სახის კატაკლიზმები, ვთქვათ – ზვავი, მეწყერი და ასე შემდეგ. ამას ემატება კიდევ მაღალ სიმაღლეებზე ჟანგბადის უკმარისობით გამოწვეული მთელი რიგი პრობლემები: ფილტვის შეშუპება, ტვინის შეშუპება, თრომბოემბოლია და სხვა. ასეთი პრობლემები გვხვდება ძირითადად ზღვის დონიდან 5 ათასი მეტრის ზემოთ. კავკასიონზე ექსპედიციის დროს, ძირითადად იჩენს ხოლმე თავს ტრავმატიზმი და ბუნებრივი პირობების – ისევ და ისევ ზვავის, მოყინულობის თუ ზოგადი გადაციების სახით გამოწვეული უბედური შემთხვევები.

**– რომელ ექსპედიციას გამოყოფდით მთაში 30-წლიანი სიარულის ფონზე?**

– გამოყოფით ვერც ერთს გამოვყოფ, თუმცა, ამჯერად რამდენიმეს გავიხსენებ. ჩემთვის ღირსშესანიშნავი იყო 1995 წელი, როდესაც გია თორთლაძის თაოსნობით ჰიმალაებში მოეწყო პირველი ქართული ექსპედიცია დაულაგირის 8-ათასიან (8 167 მეტრი) მწვერვალზე. ეს ექსპედიცია წარმატებით დასრულდა – ქართველ მთამსვლელთა ჯგუფმა დაიპყრო დაულაგირის მწვერვალი. უკან დაბრუნებისას ამინდი მკვეთრად შეიცვალა, იყო ქარბუქი და ხილვადობაც, ფაქტობრივად, მინიმუმამდე დავიდა. ამ ამბავს ხშირად ვიხსენებ ხოლმე: როგორც ბატებმა გადაარჩინეს რომი, ისე მე გადამარჩინეს ვირებმა. ხილვადობის პრობლემის გამო მე ქართულ ჯგუფს ჩამოვრჩი, ძირითადად, ორ დაზარალებულს ვუწევდი დახმარებას. ცოტა ხანში აღმოვაჩინე, რომ სრულიად მარტო ვარ, გარშემო აღარც ჯანმრთელები არიან და აღარც დაზარალებულები. თოვლში არავის კვალი აღარ ჩანდა, ყველაფერი წაშლილი იყო ქარბუქის გამო. ორიენტაცია დავკარგე, თუმცა, თვითგადარჩენის ინსტინქტით მოძრაობა არ შემიწყვეტია. ნამდვილად არ მახსოვს, ამ ვითარებაში რამდენი ხანი გავიდა, სამაგიეროდ, ის მახსოვს, რომ დიდი სიხარული განვიცადე, როცა შემთხვევით ვირების ჯოგს გადავაწყდი. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ექსპედიციის ტვირთი გადაჰქონდათ ასეთი ჯოგების დახმარებით. მეც, ბედად, გადავაწყდი და აღარც მოვშორებივარ, სანამ სამშვიდობოს არ გავედი.

**– ნამდვილად არ არის მთამსვლელების გზა ია-ვარდით მოფენილი, თუმცა, როგორც ჩანს, გამარჯვების სურვილი იმდენად დიდია, რომ ეს გეხმარებათ ბევრ დაბრკოლებასთან გამკლავებაში.**

– იყო სიტუაცია, როდესაც ლუდმა მიშველა. 1998 წელს, კვლავ გია თორთლაძის თაოსნობით, მოეწყო მეორე ქართული ექსპედიცია ჰიმალაებში 8-ათასიან მანასლუს (8 163 მეტრი) მწვერვალზე. უკანა გზაზე, საკვები შემოგვაკლდა, მოძრაობა გვიწევდა საკმაოდ ღარიბ რაიონში, სადაც ძირითადად მხოლოდ მოხარშული კარტოფილით გვიმასპინძლდებოდნენ. ასე გაგრძელდა მთელი კვირა. ამ სიტუაციაში ჩემთვის ენერგიის წყაროდ იქცა ადგილობრივი ლუდი, რომელსაც, მოგეხსენებათ ევროპაში თხევად პურსაც უწოდებენ. ლუდი რომ არ ყოფილიყო, ალბათ გზა ერთი-ორად გამიგრძელდებოდა.

ძალიან ღირსშესანიშნავი იყო 1999 წელი, რამეთუ, ამ წელს ორი ქართული ექსპედიცია უტევდა მსოფლიოში უმაღლეს მწვერვალს – ევერესტს (8 848 მ). სამხრეთის მხრიდან მიდიოდა ბენო ქაშაყაშვილის ჯგუფი, ჩრდილოეთის მხრიდან კი – გია თორთლაძის. დროში განსხვავება იყო ორი კვირა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ჩრდილოეთის მხარეს უფრო გვიან ხდება გამოდარება. ჩვენდა სასიხარულოდ, ორივე ქართულმა ექსპედიციამ, ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იგივე სეზონზე, წარმატებით დალაშქრა ევერესტი. მე სამი კვირა მომიწია 6 400 მეტრზე ყოფნა, რის გამოც 10 კილოგრამი დავიკელი.

**– რატომ მოხდა, რომ ასეთ სიმაღლეზე დაჰყავით 3 კვირა, მაშინ, როცა მანამდე თვითონვე აღნიშნეთ, რომ ეს ჯანმრთელობისთვის საზიანოა?**

– პირველი საკლიმატიზაციო ასვლისას დამემართა კვებითი ინტოქსიკაცია, რის გამოც იქ ყოფნა გამიგრძელდა. ევერესტზე ყოფნისას, სხვადასხვა ჯგუფის მთამსვლელთა სამედიცინო დახმარებისას, ხშირად ვიყენებდი სხვადასხვა ხსნარის ინტრავენურ გადასხმებს. როგორც ჩანს, უცხოურ პრესაში ეს გაჟღერდა, როგორც „ჩემ მიერ ჩატარებული ოპერაცია." ამის შემდეგ თბილისში ჩამოსულს ხშირად მეკითხებოდნენ, რა ქირურგიული ოპერაცია ჩაატარე ზღვის დონიდან 6 400 მეტრზეო.

**– ოცდამეერთე საუკუნის თავგადასავლებიც გაიხსენეთ.**

– ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, 2000 წელს მოხდა, არ ვიცი, რომელ საუკუნეს მივაწერო, რადგან, ხშირად დავობდნენ, რომელ ათასწლეულს ეკუთვნის 2000 წელი. საქმე ისაა, რომ, გია თორთლაძე, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი და, მე, როგორც ექიმი მიგვიწვიეს ეგრეთ წოდებულ კომერციულ ექსპედიციაში, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელებს. ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ჩასვლამდე დავყავით დაახლოებით ერთი კვირა. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბევრმა მთამსვლელმა ვერ მიიღო მონაწილეობა ზემოთ აღნიშნულ ექსპედიციაში, უფრო სწორად, ექსპედიცია ჩაიშალა, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, ვინაიდან, გზაში ვიმყოფებოდით. ადგილზე ჩასულებს ელდა გვეცა. რამდენიმე დღე გაურკვეველ ვითარებაში ვიყავით. ის იყო, ხელმოცარულები უკან ვაპირებდით დაბრუნებას, რომ ბედად გიას შეხვდა ნაცნობი იაპონელი მთამსვლელი, რომელიც ხელმძღვანელობდა ეკოლოგიურ ექსპედიციას ევერესტის რაიონში.

**– ეს რას ნიშნავს?**

– წლების განმავლობაში ხდება ექსპედიციების ასვლები, რის შედეგად, ტოვებენ ხან ალჭურვილობას, ხან ჟანგბადის ცარიელ ბალონებს, ერთი სიტყვით, ამ გამოუსადეგარი ნივთების გამო, არაჯანსაღი ეკოლოგიური ვითარება იქმნებოდა ევერესტზე. ამ ექსპედიციის მიზანი იყო ექსპედიციის ნარჩენების ჩამოტანა ევერესტიდან და იაპონიაში ტრანსპორტირება უტილიზაციის მიზნით. ასე გადაგვარჩინეს იაპონელებმა სამშობლოში ხელმოცარულ დაბრუნებას. ამ შემთხვევამ დაგვაახლოვა იაპონელების ჯგუფთან და მომდევნო სამი წლის განმავლობაში უკვე რეგულარულად ვიღებდით მონაწილეობას მათ ექსპედიციებში.

სწორედ ამ პერიოდში მხვდა წილად ბედნიერება, ერთ-ერთ სოფელში შევხვედროდი ლეგენდარულ მთამსვლელს – ედმუნდ ჰილარს. ის 1953 წელს მსოფლიოში პირველი ავიდა ევერესტზე ადგილობრივ შერპ თენსინგ ნოერგეისთან ერთად. ბატონი ედმუნდი სახელგანთქმული იყო არა მარტო მთამსვლელობით, არამედ, დიდი წვლილი აქვს შეტანილი ნეპალის ღარიბთა განათლებისა და სამედიცინო მომსახურების საქმეში.

იაპონელებთან გატარებული სამი წლიდან კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ: ისინი იკვებებოდნენ ერთფეროვანი საკვებით, ძირითადად, დაკონსერვებული ზღვის პროდუქტებით, რამაც გია აიძულა, ჩვენს მენიუში რაიმე სახის სიახლე შეეტანა.

**– რა მოჰყვა მის ამ წამოწყებას?**

– საბაზო ბანაკში ყოფნისას, ადგილობრივ ტიბეტელ ტვირთმზიდავებს გიამ სოფლიდან ქათმები ამოაყვანინა. თურმე, ტიბეტელების რელიგია კრძალავს რაიმე ცხოველის ან ფრინველის დაკვლას (ყოველ შემთხვევაში, იმ რაიონში ასე აგვიხსნეს). გიამ შემომთავაზა, მაგრამ მე ცხოვრებაში ქათამი არ დამიკლავს და, უარის შემდეგ, იძულებული გახდა, თვითონ ეთავა ეს საქმე. საუბედუროდ, მეორე დღეს ამინდი მკვერთად შეიცვალა. ადგილობრივებმა ეს ღვთის რისხვად აღიქვეს და ცუდად დაგვიწყეს მზერა.

**– მერე რა მოხდა?**

– საბედნიეროდ, ყველაფერი მხოლოდ ამ მზერით დასრულდა. რამდენიმე დღის შემდეგ გამოიდარა და გიამ წარმატებით დაასრულა თავიანთი მორიგი ასვლა ევერესტზე.

**ეკა სალაღაია**

# ინტიმური საუბრები

## დედამთილს ყველაფერი ვაპატიე

გოჩამ ცოლად რომ შემირთო, ჩემი დედამთილი ცუდად შემხვდა – არ მოვწონდი რძლად; გარეგნობას კი არა, დონეს მიწუნებდა და სულ იმას უსვამდა ხაზს, რომ ჩემი მშობლები რაიონში ცხოვრობდნენ, მეც იქ მქონდა სკოლა დამთავრებული და, როცა თავისი დაქალები მოდიოდნენ მასთან სტუმრად, ჩემს გასაგონად ეუბნებოდა ხოლმე:

– რა ვქნა, გენაცვალე, არ მინდოდა სოფლელი რძალი, მაგრამ, არ დამიჯერა ჩემმა შვილმა. არ ვიცი, ან ამას რაზე ველაპარაკო, ან ამის პროვინციელ მშობლებთან რა ურთიერთობა უნდა მქონდეს. დედამისს, ჩემს ძვირფას მძახალს (ამ სიტყვებს განსაკუთრებული ირონიით ამბობდა), მეოთხე კურსზე მიუტოვებია ინსტიტუტი, გათხოვილა და, მას შემდეგ, მგონი, ორჯერაც არ ჩამოსულა თბილისში. იმ თავის სოფელში ბიბლიოთეკარად მუშაობს და ჰგონია, რომ ძალიან განათლებულია და ბევრი წიგნი აქვს წაკითხული. იქ, შეიძლება, ვილაცეებს თვალში ნაცარს აყრის, მაგრამ, ეგ მე მომატყუებს?!

ის თუთიყუშებივით მორთულ-მოკაზმული დაქალებიც თანაგრძნობით უქნევდნენ თავებს და შეწუხებული ამოოხვრით გადმომხედავდნენ ხოლმე, როგორც კეთროვანს. მათ შორის ერთადერთი იყო, ლალი დეიდა, რომელიც ყოველთვის მე მიცავდა და ჩემს დედამთილს შეუტევდა ხოლმე: რა გინდა ამ ანგელოზივით ბავშვისგან, რას ერჩი. ან მისი მშობლებისგან რა გინდა, მშრომელი ხალხია, თავიანთ რაიონში პატივცემული, აქეთ თუ დაეხმარებიან ბავშვებს, თორემ, თქვენგან არაფერი უნდათო. დაქალის ეს სიტყვები ჩემს დედამთილს ძალიან სწყინდა, მაგრამ, რატომღაც, ვერაფერს ეუბნებოდა. ერთხელ კი, თავისი დაქალების თანდასწრებით ძალიან დამამცირა – სულ სოფლელი და გაუნათლებელი მეძახა იმის გამო, რომ ისე ვერ გავუწყვე ტკბილეულის სუფრა, როგორც მის დონეს შეეფერებოდა. გოჩა სახლში არ იყო და ამდენი ამიტომაც გაბედა. მე ისე მეწყინა, რომ ოთახიდან გასვლაც ვერ მოვახერხე და სტუმრების თანდასწრებით დავიწყე ტირილი. ლალი დეიდა მოვიდა, მომეხვია და დაწყნარება დამიწყო, თან ჩემს დედამთილს საკმაოდ თამამად უსაყვედურა, როგორ იქცევიო. ის საშინლად გაბრაზდა და ისე ისტერიულად უკივლა ლალი დეიდას, შენ ვინ გეკითხება, ჩემი ოჯახის საქმეში რომ ეჩრებიო, აშკარად დაავიწყდა თავისი „სვეცკობა“ და „დონე“. ამაზე ლალი დეიდას გაეცინა და უთხრა, იძულებულს მხდი, ნიღაბი მოგხსნა, რადგან, ამ წუთას ზუსტად ის ხარ, ვინც სინამდვილეში ბრძანდები, ერთი ჩითის კაბით ჩამოსული, მშობლების მიერ მიტოვებული, მაგრამ, მიზანსწრაფული სოფლელი გოგო, რომელსაც სკოლაც არ აქვს ბოლომდე დამთავრებული, მაგრამ, ლამაზი სახისა და ეშმაკობის წყალობით, მოახერხე შენზე ოცდახუთი წლით უფროსი კაცის თვალების აბმა და ასე გახდი „მაღალი წრის“ ქალიო.

ეს სიტყვები ბომბის გასკდომას უდრიდა. ჩემს დედამთილს არც ეგონა, მისი საიდუმლო ასე დაწვრილებით ვინმემ თუ იცოდა და მოულოდნელობისგან კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. ლალი, რა თქმა უნდა, მაშინვე წავიდა, მალე დანარჩენებიც მიჰყვნენ და ჩემი დედამთილი ისე ცუდად გახდა, სასწრაფო დახმარების გამოძახება მომიწია. ექიმმა თქვა, გულის შეტევაა და ან საავადმყოფოში უნდა დააწვინოთ, ან ერთი კვირა გაუნძრევლად იწვეს სახლშიო. ამასობაში გოჩაც დაბრუნდა და დედამისის საავადმყოფოში წაყვანა გადაწყვიტა. დღეში ორჯერ მივდიოდი მასთან და როგორც საკუთარ დედას, ისე ვუვლიდი, მას კი, ეტყობა, რცხვენოდა – თვალს ვერ მისწორებდა და თითქმის არ მელაპარაკებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, სძლია თავს, ბოდიში მომიხადა და პატიება მთხოვა. რა თქმა უნდა, შევურიგდი და ახლა ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ, მაინტერესებს, ლალი დეიდას რომ არ ჩამოეხსნა მისთვის ნიღაბი, მაშინაც მომიხდიდა ბოდიშს?!

**სალომე, 23 წლის.**

## ყოფილი შეყვარებულის საქციელმა გამაღიზიანა

სტუდენტობისას ერთი გოგო მიყვარდა, ჩემი თანაკურსელი. მთელ ფაკულტეტზე ყველაზე პოპულარული გოგო იყო, თითქმის ყველა ცნობილ ბიჭს უყვარდა და, რა თქმა უნდა, მე საერთოდ არ მაქცევდა ყურადღებას, რადგან, არც მდიდარი და ცნობილი მშობლების შვილი ვიყავი, არც ალენ დელონს ვგავდი და, რაც მთავარია, არც ძველბიჭობითა და მუშტიკრივით ვცდილობდი სახელის დამკვიდრებას, მას კი ჩემნაირები არ აინტერესებდა. ერთხელ, სიყვარული რომ ავუხსენი, მითხრა კიდეც – შენნაირი ტიპები ჩემს გემოვნებას არ აკმაყოფილებენ. შენ ვერასდროს შემიქმნი ისეთ პირობებს, მე რომ შემეფერება, მე კი კარგი ცხოვრება მიყვარსო. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, დამცინა და ისე გამომაგდო. სწორედ იმ დღეს გადავწყვიტე, რომ მდიდარი და ცნობილი გავმხდარიყავი და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი მიზნისკენ. ნატას უარის შემდეგ დიდხანს არავინ შემყვარებია, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი გავიცანი ერთი ძალიან ღირსეული გოგონა, შეგვიყვარდა ერთმანეთი და დავქორწინდით.

ცნობილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, საკმაოდ მსხვილი ბიზნესი მაქვს და, სადაც საჭიროა, მიცნობენ კიდეც, როგორც წარმატებულ და ქველმოქმედ ახალგაზრდა კაცს. ნატას შესახებ კი ბევრი არაფერი ვიცოდი. სანამ ცოლს შევირთავდი, ვილაც შემხვდა და მითხრა, რომ ცოლად ერთ მდიდარ „დედიკოს ბიჭს“ გაჰყვა და მეტი აღარაფერი გამიგია.

ერთ დღეს ჩემმა ცოლმა მთხოვა, „გუდვილში“ წამიყვანე, რაღაც უნდა ვიყიდოო. მანქანა რომ გავაჩერე და გადმოვედით, იქვე, ტროტუარზე, ვილაც შებუდნული ახალგაზრდა ქალი მიდი-მოდიოდა წინ და უკან, წინ პატარა „ტაბურეტკა“ ედგა, რომელზეც გასაყიდად ჰქონდა დაწყობილი სიგარეტები, სანთებელები, რაღაც სხვა ხარახურები და გამვლელ-გამომვლელს ეხვეწებოდა, რამე შეიძინეთო. უცებ ხმა მეცნო, მისკენ მივბრუნდი, სახეში შევხედე და ნატა არ შემრჩა ხელში?! თვითონაც მიცნო და თავი ჩაღუნა. არ მინდოდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა და, ვითომ ვერ ვიცანი, გვერდის ავლა დავაპირე, მაგრამ თვითონ გამომელაპარაკა. იძულებული გავხდი, შევჩერებულიყავი, ჩემს ცოლს ვუთხარი, შენ შედი, დაგეწევი-მეთქი და ნატასთან გავჩერდი. ჩემს ცოლს ერთგვარი შურით გააყოლა თვალი, მეც კარგად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და გულდაწყვეტილმა მითხრა: ტყუილად გატკინე მაშინ გული. თავში მქონდა ავარდნილი ლამაზი ბიჭების ყურადღება და, მეგონა, დედოფლად დამსვამდნენ, მაგრამ, მათხოვრად მაქციეს. ორჯერ გავთხოვდი, ორჯერვე მაშინ ყველა გოგოსთვის საოცნებო ბიჭებზე, მაგრამ ორივემ ერთმანეთზე უარეს დღეში ჩამაგდო და, საბოლოო ჯამში, მათხოვრად მაქციეს – ყველაფერი წამართვეს და, ან წააგეს, ან გაიყიდეს და, აი, ამ მდგომარეობამდე მომიყვანეს. პირველი ქმარი გარდამეცვალა, მეორე – ციხეშია. ორივესგან თითო შვილი მყავს და ასე წვალებით ვარჩენ. მშობლებიც აღარ მყავს და მთლად მარტო დავრჩი, გულშემატკივარი ადამიანების გარეშეო.

გული დამიწვა მისმა ნაამბობმა, ამოვიღე ჯიბიდან, რაც კი ფული მქონდა თან წამოღებული და მორიდებით ჩავუდე ხელში (მეშინოდა, არ ეწყინოს ან არ ითაკილოს-მეთქი) – ეს თანხა ცოტათი მაინც გაგიმართავს ხელს-მეთქი. გამომართვა ფული, გადათვალა და საკმაოდ თავხედურად მითხრა: ამისთანა მანქანიდან გადმოხვედით შენ და შენი გაპრანჭული ცოლი და ძველი სიყვარულისთვის ამის მეტი არ გემეტებაო?! თან, ისეთივე დამცინავი სახე ჰქონდა, როგორც მაშინ, როცა სიყვარული ავუხსენი და დამამცირებელი უარით გამომისტუმრა. ამან ისე გამაღიზიანა, რომ არც კი დავმშვიდობებივარ, ისე შევედი „გუდვილში“. ადამიანურად კი შემეცოდა, მაგრამ ისევ ისეთი ამპარტავნება რომ გამოიჩინა, ძალიან გავბრაზდი და ამიტომაც გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწარა, თორემ, წესით, ჩემი სტატუსის კაცმა ასეთი წერილები არ უნდა წეროს. ამიტომ, სახელსაც და ასაკსაც ვცვლი, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი სიმართლეა.

**ვახტანგი, 34 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**„უპირველეს ყოვლისა, მინდა, რომ საქართველოში ევროპული ხარისხის განათლება იყოს; არ მინდა, იყოს კორუფცია, იმპერიალისტური შეხედულებები; მინდა, ჩემი ქვეყნის საზღვრებს პატივი სცენ და მეც პატივი ვცე სხვის საზღვრებს. მინდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები იყოს დაცული – ბევრი ასეთი მეგობარი მყავს და მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ: მერაბ დუკაშვილი, რომელიც ოლიმპიადისთვის ემზადება, პრიზები ჩამოიტანა და ჩემზე მეტს აკეთებს; გია მარიამიძე, ჩვენი მეგობარი, რომელიც ზღაპრებს წერს და, გვინდა მისი ზღაპრები ბავშვებს გადავცეთ. მას კი არ სჭირდება ჩვენი დახმარება, აქეთ, ჩვენ გვჭირდება მისი მსგავსი ადამიანების დახმარება – ეს არის ჩემთვის ევროპა," – ეს სიტყვები გიორგი სუხიტაშვილს ეკუთვნის, რომლის აზრი ბევრ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესოა.**

# ქალებთან ურთიერთობის როგორი პრინციპები აქვს გიორგი სუხიტაშვილს და როდის ჩაიკეტა ის საკუთარ ნაჭუჭში

**– ბოლო დროს თითქმის ყველა ტელევიზიაში დაიწყო ახალი სატელევიზიო შოუები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ ცნობილი და არაცნობილი მომღერლები. თუმცა, შენ ასეთ პროექტებში არასდროს იღებ მონაწილეობას.**

– შემომთავაზეს მონაწილეობა „ერთი ერთში". „X-ფაქტორზე" არაფერს ვამბობ, რადგან, ამ ტიპის პროექტი უკვე იყო ჩემს ცხოვრებაში, გამარჯვებულიც ვარ და ამიტომ ეს ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. თან, მე არასრულფასოვნების კომპლექსი არ მაქვს; არც საკუთარ თავთან და არც არავისთან მჭირდება იმის მტკიცება, რომ რაღაცას ვმღერი.

**– სხვადასხვა შოუში მონაწილეობით მომღერლები გარკვეულწილად მაინც ახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას, მაყურებელს არ ავიწყებენ თავს, რადგან დღეს სხვა მხრივ ამის საშუალება ნამდვილად არ არის.**

– რეალიზების საშუალება იქნება იმ შემთხვევაში, თუ ფონოგრამაზე სიმღერა ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალება. ვფიქრობ, რომ ეს არის კრიმინალი. რომ აიკრძალება, კონტინგენტი შემცირდება, კონკურენცია გაიზრდება და ნიჭიერი ადამიანების რეალიზებაც მოხდება. თან, ჩვენთან ყველგან არის „ჩემიანი" და „შენიანი". შეიძლება, სულ არ ვიცოდე, ვინ არის ამა თუ იმ პროექტის ორგანიზატორი, მაგრამ, რომ შევხედავ კონტინგენტს, მაშინვე ვხვდები, ვინ აკეთებს ამ პროექტს, რადგან, მისი მიკროსოციუმი მონაწილეობს. ასეთი ტიპის პროექტები მაინტერესებს, რადგან, განათლებით მსახიობი ვარ და, მიმაჩნია, რომ, შემიძლია, რაღაც დონეზე კარგადაც ვიმღერო. მაპატიოს ყველამ და, ჩემი სურვილი მთავრდება მაშინ, როცა ეთერში „პახაბნად" სასაცილო რაღაცეები ხდება. თან, მერე ამბობენ, მაყურებელს გემოვნება არ აქვსო. არადა, ჩვენ რასაც ვაწვდით, იმაზე აქვთ ადეკვატური რეაქციები. მონაწილეებზე არ მაქვს საუბარი, შეფუთვას, ორგანიზებას ვგულისხმობ. ეჭვიანი ტიპი არ ვარ, არც იმას ვამბობ, ვინმე მებრძვის-მეთქი, და თუ მებრძვიან, ესეც მაგრად „მკიდია" – ასე მოვდივარ მთელი ცხოვრება, მსიამოვნებს და მაძლიერებს კიდეც. მე ვგულისხმობ იმ დამოკიდებულებას, რომ შენ ეთერში უშვებ რაღაცას და ეზოს, მეგობრების იქით არ იხედები. როდესაც ნიჭიერებაზეა საუბარი, აი, იქ „გვერხევა", რადგან გვინდა, რომ მხოლოდ ჩვენი მეგობრები და ახლობლები იყვნენ, ან, არ იყვნენ ისინი, ვისთანაც ცოტა დაძაბული ურთიერთობა გვაქვს. მე, შეიძლება, ადამიანთან, აზრებთან, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით დაძაბული დამოკიდებულება მქონდეს, მაგრამ, როცა საქმეზე მიდგება ჯერი, ამ ყველაფერს გვერდით გადავდებ – ეს არის პროფესიონალიზმი.

**– თუმცა, ვფიქრობ – ის, რომ არ ჩანხარ შოუებში, ეს გარკვეულწილად შენს მსმენელს აზარალებს, იმას, ვისაც სიამოვნებს გიორგი სუხიტაშვილის მოსმენა.**

– იმდენად დიდ პატივს ვცემ იმ ნიჭს, რომელიც ღმერთმა მომცა, ერთი წამით არ შეურაცხვყოფ მას იმით, რომ ვიღაცას ვეხვეწო. შეიძლება, ამ კუთხით ამპარტავანი, ქედმაღალი ვარ, მაგრამ, ჩემს ნიჭს ვერ დავწევ ძალიან დაბლა და ვერ გავყიდი იმაზე ნაკლებად, ვიდრე ის ღირს. ეს ნიჭი არ მაძლევს იმის უფლებას, რომ ვიღაცას შევეხვეწო, მამღერემეთქი. თან, ვფიქრობ, რომ მაყურებელს არ აქვს ჩემი დეფიციტი, რადგან, ბევრ რამეში ვარ ჩართული. არარეალიზებული მაშინ ვიქნები, სახლში რომ ვიჯდე და ველოდებოდე, როდის დამირეკავენ. თუმცა, ასეთი პერიოდები, კრიზისები საკმაოდ ბევრი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. ხასიათიც ისეთი მაქვს, არ შემიძლია, ვინმეს შევუძვრე, ამის მცდელობაც არ მქონია. როცა წარმომიდგენია, მაშინვე შემზიზღებია საკუთარი თავი. რომ წერენ ხოლმე: მარინა ბერიძე დაეხმარა, მოაგებინეს; მიშა დაეხმარა... – საერთოდ არ ვიცნობ მიშას. ამიტომ, ყველას ვეუბნები, რომ, თუ ამ მხრივ აქვთ რამე სათქმელი, გამოვიდნენ და თქვან. რატომ მლანძღავენ, მაინც ვერ გავიგე, გააკეთე ჩემზე მეტი და, მერე, თუ გინდა, გამლანძღე, ტაშსაც კი დაგიკრავ, ოღონდ, არგუმენტირებულად გამლანძღე, უბრალოდ კი ნუ გამლანძღავ – ამ გორელ ბიჭს რაღა უნდაო. შიდა შოვინიზმი გვღუპავს ქართველებს – რა მნიშვნელობა აქვს, ვინ საიდან არის? ჩემთვის სოფლელობა სიამაყე და მეამაყება ის, საიდანაც ვარ. ამის გამო ადრე ვიღაცეები დაგვიბარებია, გაგვილახავს. ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე მოგვივიდა კონფლიქტი და, მივხვდი, რომ ეს არ ამოიწურებოდა. როცა 21-22 წლის ხარ, რაღაცას არასწორად აკეთებ. ამიტომ, არის რაღაცეები, რისიც ახლა მრცხვენია.



**ხასიათიც ისეთი მაქვს, არ შემიძლია, ვინმეს შევუძვრე, ამის მცდელობაც არ მქონია. რომ წარმომიდგენია, მაშინვე შემზიზღებია საკუთარი თავი**

**– რისი გრცხვენია?**

– „ჯეოსტარი" ჩემთვის პირველი დიდი კონკურსი იყო. იმ დროს ძალიან ჩავიკეტე. არ მიყვარს ახალი მეგობრები, რომლებიც რაღაცისთვის გემეგობრებიან და ეს სახეზეც მაწერია ხოლმე. ამიტომ, მოვერიდე, ჩავიკეტე, გარკვეული პერიოდი აგრესიულიც ვიყავი, სტრესი მქონდა. მეგობრებთანაც მომსვლია კონფლიქტები. ჩემი პატარა ნაჭუჭი შევიქმენი, ანალიზის პერიოდი მქონდა, არ გავდიოდი სახლიდან და არც არავის ვუშვებდი. მაგრამ, მერე მე უცებ თვითონ გამოვედი ამ პერიოდიდან. ანუ, უპირველეს ყოვლისა, ამისი მრცხვენოდა და ახლაც მრცხვენია ჩემი ხასიათის. ფიცხი ვარ და, ამას, სამწუხაროდ, ვერ ვაკონტროლებ. ალბათ, ქართლის ბრალიც არის – ჩვენს რეგიონში სერიოზული პრობლემებია და, შეიძლება, ეს ყველაფერი ძველი სტრესის ბრალია. 7 წლის ვიყავი, როდესაც ომი ვნახე ჩემს ეზოში, მერე მეორე ომი ვნახე და, ეს ყველაფერი, გინდა-არგინდა, შენში მაინც ილექება და სულ თან დაგყვება. არასდროს მრცხვენია, ვთქვა, სად დავიბადე, საიდან ვარ, პირიქით, მეამაყება. შეიძლება, დამოკიდებულებებში სუბიექტური ვარ, მაგრამ, სამართლიანობას არასდროს ვკარგავ.

**– არასდროს მოქცეულხარ უსამართლოდ?**

– არასდროს, დავიფიცებ კიდეც. შეიძლება, შეცდომა დავუშვა დაუფიქრებლობის ან უცოდინრობის გამო, მაგრამ, შეგნებულად არავის დავაზარალებ. თუ ვინმეს სადმე გავულახივარ ან სერიოზული ჩხუბი მომსვლია, ეს მომხდარა ვიღაცის საქმეში ჩარევით. როდესაც ვინმეს უსამართლოდ ექცევიან, მას კი თავდაცვის უნარი არ აქვს და შველას ითხოვს, ამ დროს ვერ ვიკავებ თავს, პირდაპირ თავით ვეშვები და, ამიტომ, ხშირად დავზარალებულვარ კიდეც. როცა მრავალფეროვნება გინდა ურთიერთობაში, რაღაცას ეძებ და შეცდომასაც უშვებ. ქალისა და კაცის ურთიერთობა რომ ავიღოთ, თუ სულ ერთფეროვანი ხარ, ერთსა და იმავეს აკეთებ, იქ შეცდომას ვერ დაუშვებ, ეს კი, რაღაც ეტაპზე, მოსაბეზრებელი ხდება და კონფლიქტიც იწყება. მაგრამ, თუ ცდილობ, ახალი ფერი შეიტანო ურთიერთობაში, შეცდომასაც დაუშვებ.

**– ერთგული ხარ?**

– ერთგული ტიპი ვარ. ზოგადად, პრინციპული ადამიანი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალი ვარ და ამას ერთვის ჩემი ფიცხი ხასიათი, ვცდილობ ხოლმე, წავიდე, დავწყნარდე და მერე ცივი გონებით შევხედო. თუმცა, ეს ყოველთვის არ მუშაობს – 50/50-ზეა.

**– რა პრინციპებს არ ღალატობ ქალებთან ურთიერთობაში?**

– ერთგულებას – ეს ხომ აქსიომაა. ზოგადად, ნდობის დარღვევა იწვევს ყველაფრის რღვევას, მათ შორის – ერთგულებისასაც, ალბათ, ასეთ დროს ვალდებულებაც გეხსნება. ცხადია, უნდა გსიამოვნებდეს ადამიანთან ურთიერთობა. ინტერნეტიდან ჩემზე ბევრ რამეს ვიგებ. მაგალითად, იმას, რომ აზიატი ვარ, თან, ქალებთან ურთიერთობაში. რატომ – არ ვიცი. ვინმეს ვცემ თუ რამეს ვუკრძალავ? არ ვარ ისეთი ტიპი, რომელიც ითხოვს, რომ სახლი აუცილებლად ქალმა უნდა დაგავოს – მეც შემიძლია, ეს გავაკეთო, თეფშიც შემიძლია, გავრეცხო. დიდი ხანია, მარტო ვცხოვრობ, არ მაქვს ამის პრობლემა და არც მექნება ვინმესთან თანაცხოვრების დროს. არ უნდა მუშაობდეს ქალი... რატომ არ უნდა მუშაობდეს? ან, ჩემზე მეტი შემოსავალი რატომ არ უნდა ჰქონდეს, ან მაკიაჟი რატომ არ უნდა გაიკეთოს? არ მესმის ასეთი რაღაცეები, არ ვარ მე ასეთი ტიპი. ჩემზე ლამაზიც უნდა იყოს და, თუ მე ვჯობივარ, არც ეს არის პრობლემა; ჩემზე მეტი შემოსავალიც უნდა ჰქონდეს... მოკლედ, უნდა შეგხვდეს ისეთი ადამიანი, რომელთან ურთიერთობისას რაღაცეებში სინთეზი გექნება.

**ნათია უტიაშვილი**

**არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორი გიგა კვენეტაძე როგორც ყოველთვის, აქტიურად მუშაობს. ის უკვე მეექვსე წელია, მოსკოვში ცხოვრობს და რუსულ შოუ-ბიზნესში დროთა განმავლობაში საკუთარი ადგილიც დაიმკვიდრა. მის დაწერილ სიმღერას დღეს არაერთი ცნობილი მომღერალი თუ ჯგუფი ასრულებს. მართალია, პირველი ეტაპი რუსულ შოუ-ბიზნესში მისთვის ავტორის სტატუსით დაიწყო, თუმცა მოგვიანებით თავადვე ამღერდა და მსმენელის წინაშე უკვე როგორც ავტორ-შემსრულებელი ისე წარსდგა, თან საკმაოდ წარმატებულად.**

# როგორი ქალის გადაკვეთას ელოდება ცხოვრებაში გიგა კვენეტაძე და რას უფრთხილდება ის საკუთარი შვილივით

**– გიგა, ამ ეტაპზე რით ხარ დაკავებული?**

– ამ ეტაპზე ჩემს ახალ ალბომზე ვმუშაობ, რომლის სახელწოდებაც იქნება „ოკეან მოეი ლუბვი." ალბომში შევა 12 სიმღერა, მათ შორის, სავარაუდოდ, რამდენიმე დუეტიც.

**– დუეტი ვისთან?**

– არ ვიცი, ვნახოთ. ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მაქვს მომღერლებთან და ვნახოთ, როგორ გადაწყდება. წინასწარ არ მინდა, ვილაპარაკო.

**– როგორც ყოველთვის, სამუშაო განწყობა მაღალია.**

– რა თქმა უნდა, აქტიურად ვმუშაობ და იმედი მაქვს, კარგი ალბომი გამოვა საბოლოოდ. ვფიქრობ, ოქტომბრისთვის პრეზენტაციასაც გავაკეთებ.

**– საქართველოში თუ გეგმავ ჩამოსვლას?**

– სააღდგომოდ მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ, არ გამომივიდა. თუ ჩამოვედი, ისიც რამდენიმე დღით, დედა რომ მოვინახულო. ზაფხულში კი ივნისში აუცილებლად ჩამოვალ და ალბათ, თვეზე მეტხანს დავრჩები.

**– კლიპის გადაღებაც ხომ არ გაქვს დაგეგმილი საქართველოში?**

– კლიპის გადაღებას ვგეგმავ აუცილებლად, მაგრამ საქართველოში არა. უკრაინაში მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ მიმდინარე მოვლენების გამო, ვერ მოხერხდება და ალბათ, მოსკოვში გადავიღებ.

**– რომელ სიმღერაზე აპირებ კლიპის გადაღებას?**

– კლიპს იმ სიმღერაზე გადავიღებ, რომლის სახელწოდებაც ექნება ჩემს ახალ ალბომს – „ოკეან მოეი ლუბვი." ეს ჩემი ახალი სიმღერაა, რომლზეც ტექსტს ცნობილი რუსი პოეტი, ინა კამინსკაია მიწერს. ინა ძალიან ნიჭიერი ადამიანია და ჩემი ძალიან ახლო მეგობარია. სიმღერა ძალიან მომწონს, უკვე დასრულების ეტაპზეა. ცოტა ხანში, თქვენც გადმოგიგზავნით და შეაფასეთ.

**– გიგა, ამ ეტაპზე კონცერტები თუ გაქვს დაგეგმილი?**

– რა თქმა უნდა, მოსკოვის სხვადასხვა კლუბში ეწყობა კონცერტები, რომელშიც მეც ვიღებ მონაწილეობას. 30 აპრილიდან კი, იწყება პოპულარული სიმღერების ფესტივალი, რომელშიც ვმონაწილეობ როგორც სიმღერების ავტორი და ვიმღერებ ყველა იმ ჩემს სიმღერას, რომელიც პოპულარულია რუსეთში და ასევე, საქართველოშიც. ერთსაათიან რეპერტუარს ცოცხალ ბენდთან ერთად ვაკეთებ.

**– ფესტივალის ორგანიზატორი ვინ არის?**

– ფესტივალის ორგანიზატორი „ა სტუდიოს" ხელმძღვანელი, გულისა და სულის ჩამდგმელი, ბაიგალ სერგაზაევია. მან შემომთავაზა, რომ ერთ-ერთ დღეს მონაწილეობა მიმეღო ამ ფესტივალში. ფესტივალის პარალელურად, გაიმართება კონკურსი, რომელშიც ახალბედა მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას. კონკურსზე ჟიურის ერთ-ერთი წევრი მეც ვიქნები.

**– მარტო იმღერებ, თუ მათთან ერთად, ვინც შენს სიმღერებს ასრულებს?**

– ვფიქრობ, დავიხმარო ისინიც, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, როგორ იქნება. ისე, მინდა, ყველა ჩემი სიმღერა თვითონ შევასრულო ჩემს მანერაში. ანუ, თავიდანვე როგორც მქონდა ისინი წარმოდგენილი. თუმცა, ყველას დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო, ჩემი სიმღერების ლამაზი შესრულებისთვის.



თითზე ჩამოსათვლელად ვიცი ისეთი ოჯახი, რომლის წევრებიც შოუ-ბიზნესში მოღვაწეობენ და პირად ცხოვრებაშიც ბედნიერები არიან

**– უკვე რამდენი წელია, რაც რუსეთში ხარ?**

– უკვე მეექვსე წელია, აქ ვარ. დრო სწრაფად მიფრინავს, მაგრამ ყველაფერი წინ არის.

**– 6 წელი ცოტა ნამდვილად არ არის. თუმცა, არც იმდენი, რომ თავისუფლად შეგეძლოს წარმატების მიღწევა უცხო ქვეყანაში. შენ კი ეს საკმაოდ სწრაფად მოახერხე.**

– როდესაც რუსეთში ჩამოვედი, ვოცნებობდი, სწორედ იმ წრეში და იმ ხალხთან მოვხვედრილიყავი, ვინც დღეს ჩემს სიმღერებს აფასებს. ბედნიერი ვარ, რადგან ასე სწორად და მიზანმიმართულად ვითარდება ჩემი მუსიკალური მოღვაწეობა.

**– ალბათ, ეს შენი მხრიდან ძალიან კარგი და ზუსტი გათვლა იყო. რუსეთში ჩახვედი და რუსულ შოუ-ბიზნესს თავი, როგორც მომღერალი კი არა, როგორ სიმღერების ავტორი ისე შესთავაზე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქ მომღერლების მხრივ ძალიან დიდი კონკურენციაა, ხოლო კარგი სიმღერა იშვიათად იწერება. სიმღერის ავტორის სტატუსით კი, საკუთარ თავს პოპულარობის პირველი ბიძგი მიეცი.**

– რა თქმა უნდა, ასეა. მოსკოვში ძალიან რთულია, იმ ადამიანებს შორის მოხვდე, რომლებიც უკვე დაფუძნებული არიან შოუ-ბიზნესში, მართავენ მას და მისი ნაწილი გამხდარან. მე ყველაფერს ვაკეთებდი, რომ საქმე ისე წარმართულიყო, როგორც საჭირო გახლდათ. დღეს თავისუფლად შემიძლია, თითქმის ყველა ცნობილ შემსრულებელს გადავუგზავნო ჩემი სიმღერა, შევთავაზო მათ და პირდაპირ დავამყარო მათთან ურთიერთობა და არა მესამე პირის დახმარებით.

**– თუ ყოფილა შემთხვევა, რომ შემსრულებელს უარი უთხარი შენი სიმღერის შესრულებაზე? მომღერალს შეუძლია, სიმღერა გააჰიტოს, ან პირიქით – დაძიროს.**

– ცნობილებიდან არავისთვის, მაგრამ ყოფილან მომღერლები, რომლებსაც მოსწონებიათ ჩემი სიმღერა, მე კი უარი მითქვამს. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულ სიმღერაში მათ ვერ ვხედავდი. როგორც შვილს, ისე ვუფრთხილდები ჩემს ყველა სიმღერას. ჩემი დაწერილი სიმღერები, ჩემი პატარა ბავშვები არიან, რომლებსაც ვზრდი და მინდა, ყველა წარმატებული გამოვიდეს. როგორც ყველა მშობელს უნდა, თავისი შვილის წარმატება, ასე ვარ მეც.

**– პირად ცხოვრებაში ხომ არ გაქვს სიახლე?**

– სამწუხაროდ, პირად ცხოვრებაში სიახლე არ მაქვს. როცა შოუ-ბიზნესში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, დედამ მითხრა, შენთვის ძალიან რთული იქნება ოჯახის შექმნაო. თითზე ჩამოსათვლელია ის ოჯახები, რომლის წევრებიც შოუ-ბიზნესში მოღვაწეობენ და პირად ცხოვრებაშიც ბედნიერები არიან. ალბათ ისეთი ქალი უნდა „გადამეკვეთოს" ცხოვრებაში, რომელიც საჭირო მომენტში გამიგებს. ხან კონცერტზე ვართ, ხან ჩვენებაზე, სადაც უამრავი ლამაზი ქალია. ის ადამიანი კი, რომელიც გიყვარს და უყვარხარ, თითქოს იჩაგრება. ამიტომ რთული მოსაძებნია ისეთი ქალი, რომელიც ასეთ მომენტებში გაგიგებს. ალბათ, ამიტომაც ვარ მარტო, თუმცა მთლად მარტოც არ ვარ. მე უფრო სერიოზულ ურთიერთობებს ვგულისხმობ.

**– გაზაფხულმაც ვერ გაათბო შენი გული?**

– გული გათბა, სული გათბა და ირგვლივ ძალიან თბილი სიტუაციაა.

**– ალბათ, მალე იმასაც გვეტყვი, რომ შეყვარებული ხარ.**

– მეც დიდი იმედი მაქვს ამის.

**მარიკა ხიდურელი**


**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# რა ვერაგობას სჩადის ზოგიერთი ქალი სასურველი მამაკაცის „დასათრევად"

**ამბობენ, რომ ქალისთვის ყველაზე სანდო მესაიდუმლე მისი დედა და ბალიშია; რომ, ფაქტობრივად, არ არსებობს სრული ნდობა თუნდაც საუკეთესო მეგობრის მიმართ. ისიც გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ქალებს მანამდე შეუძლიათ მეგობრობა, სანამ მათ შორის მამაკაცი ჩადგება. ბევრი ფაქტია ცნობილი, როცა კაცს ოჯახი ცოლის დაქალის გამო დაუნგრევია... ანუ, მართლაც უნდა გვეშინოდეს თუ არა ჩვენს ცხოვრებაში სასურველი მამაკაცის გამოჩენის შემდეგ საკუთარი დაქალების? იქნებ, ყველაფერი მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებაზეა დამოკიდებული და პრობლემას მასშტაბური სახე არ უნდა მივცეთ?!**



ელენე *(29 წლის)*: ისეთი გულნატკენი და იმედგაცრუებული ვარ... ლამის ყველა ჩემი დაქალი ჩამოვიშორო და გავაქრო ჩემი ცხოვრებიდან. ვერ დავიჯერებდი, რომ გეთქვათ, ბედნიერებას ის ადამიანი დაგინგრევს, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობიო; საერთოდაც, მეცინებოდა დაქალების მეტოქეობაზე – ეგ რანაირი დაქალობაა-მეთქი, სულ ვამბობდი... იმაშიც არავის ვეთანხმებოდი, რომ ამბობდნენ, ქალებს მეგობრობა არ შეუძლიათო.

**– ვფიქრობ, მეგობრობის შეძლება-არშეძლება სქესზე საერთოდ არ არის დამოკიდებული.**

– მეც ასე ვფიქრობ და, მიუხედავად ძალიან დიდი იმედგაცრუებისა, ჯერჯერობით ბოლომდე ხელი ჩაქნეული მაინც არ მაქვს. ერთი უღირსი ადამიანის გამო ყველას ვერ გადავუსვამ ხაზს. მინდა, ვიფიქრო, რომ თავიდანვე მოვტყუვდი მასში. არადა, როგორ გინდა, ეჭვის თვალით უყურო ადამიანს, რომელიც შენი სულისა და გულის ნაწილი გეგონა?! იმდენი წელი გვაკავშირებდა ერთმანეთთან, იმდენი ღამე გაგვითენებია ერთად, ლაპარაკში... თითქოს უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის – ერთი შეხედვით... თუ რამე მიჭირდა, მასთან ვიოხებდი გულს და, ვიცოდი, რომ ყოველთვის გამიგებდა. 9 წლიდან მახსოვს, წარმოგიდგენიათ?! როგორ შემეძლო, მეფიქრა, რომ ჩვენს ასეთ ურთიერთობას რამე მიაყენებდა ჩრდილს. რომელი კაცი ღირდა იმად, რომ მე ჩემი საუკეთესო დაქალისთვის მეტკინა გული?!

**– არ გსმენიათ, როგორ ართმევენ ქალებს ქმრებს მეგობრები?**

– იცით, ყოველთვის გაზვიადებული მეგონა ეს ამბები. არ ვფიქრობდი, რომ შეუძლებელი იყო, ასეთი რამ მომხდარიყო, მაგრამ, რატომღაც, მჯეროდა, რომ, მე არ დამემართებოდა. გულუბრყვილო ვიყავი, მეტისმეტად ვენდობოდი ჩემს დაქალს. და არ მყავს და, რომც მყოლოდა, მასზე მეტად არ მეყვარებოდა. არაფერი მენანებოდა მისთვის. ჩემს თავზე მეშლება ნერვები – როგორ ვერ გამოვიცანი მისი ჭეშმარიტი ბუნება? ჩემი მომავალი ქმარი შემთხვევით გავიცანი – ქუჩაში მოვეწონე და გამომეკიდა. კარგა ხანს მდია მანქანით... მეცინებოდა და უკანმოუხედავად მივდიოდი. მესმოდა, როგორ მომძახოდა, გოგონა, რა ჩქარა გარბიხარ, ვერ გეწევიო. მოახერხა და გამიცნო. ზედმეტად თავდაჯერებული, პრინციპული და მიზანდასახული იყო. მოიხდომა და თავიც შემაყვარა. ერთ წუთს ვეღარ ვძლებდი მის გარეშე.

**– გააცანით მეგობარს?**

– რა თქმა უნდა, მალევე, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მისი აზრი მაინტერესებდა. უკვე სკანდალის შემდეგ ჩემი ქმარი გამომიტყდა, შენ შემიყვარდი, მაგრამ, იმან მიმიზიდაო. როგორი უტიფრობაა! ისე მინდოდა, სახლიდან გამეგდო და მისი სახელიც აღარასოდეს გამეგონა, მაგრამ, თავი მხოლოდ იმიტომ შევიკავე, რომ ქმარი იმ საზიზღარი მოღალატისთვის არ ჩამეგდო ხელში.

**– ანუ, გინდოდათ ქმართან გაშორება და, მარტო იმიტომ, რომ დაქალისთვის არ დაგეთმოთ, აპატიეთ ღალატი?**

– ასე გამოვიდა. სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. არ ვიცი, სიტყვებით როგორ აგიწეროთ ჩემი იმდროინდელი მდგომარეობა და ემოციები. ჩემი ქმარი არაჩვეულებრივად მეპყრობოდა – ყურადღებას არ მაკლებდა, პრინცესასავით მანებივრებდა. სულ მიმეორებდა, მე შენზე პასუხისმგებელი ვარ. ისე გამაბედნიერე, თვალის ჩინივით გაგიფრთხილდებიო. ამას მელაპარაკებოდა და მშვიდად აძლევდა ნებას ჩემს დაქალს, მის დასათრევად ეჩალიჩა.

> **ქმარი გამომიტყდა – შენ შემიყვარდი, მაგრამ, შენმა მეგობარმა არანორმალურად მიმიზიდაო**

**– ეჩალიჩა მის დასათრევად რას ნიშნავს?**

– იმას, რომ ქალბატონმა ყველაფერი იკადრა, რაც შეიძლებოდა და რაც არ შეიძლებოდა, არანაირი მორიდება ან ზღვარი – უსირცხვილოდ შესთავაზა საკუთარი თავი.

**– ეს ქმარმა გითხრათ?**

– არა, თავად მომახსენა. არ უარუყვია, რომ ჩემი ქმრის დათრევა იყო მისი მიზანი. ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა მეჩალიჩოს დაქალის ქმარი, რომ ლოგინში ჩავუწვე, ეს ხომ აბსურდია?! დიახ, მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედებდა. საერთოდ არ გახსენებია ის, რომ ოჯახს მინგრევდა, ფეხებზე დამიკიდა. უფრო სწორად, გველივით შემომიძვრა და სწორედ ჩვენი მეგობრობა გამოიყენა, ჩემს ქმარს რომ დაახლოებოდა. კაცის გამო როგორ უნდა წახვიდე ყველაფერზე. ოღონდ, არ მითხრათ, რომ, შეიძლება, ეს სიყვარულმა გაგაკეთებინოს. ასეთი სიყვარული არც მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ, არ მინდა.

**– მოკლედ, თქვენი ქმრის ბრალეულობას საერთოდ გამორიცხავთ?**

– იცით რა, კაცი ყველა ერთნაირია. მე არ ვიცნობ ისეთ მამაკაცს, რომელიც ქალის შეთავაზებაზე უარს იტყვის, განა ვამართლებ, ფაქტს ვამბობ. ვერაგობა ჩემი დაქალის მხრიდან გამიკვირდა და გავბრაზდი. გამიკვირდა – რბილად ნათქვამია. თან, ფორმასაც ხომ გააჩნია. ფეხმძიმობისას წოლითი რეჟიმი მქონდა. მინდა, ყველაფერი გითხრათ, რომ ბოლომდე ჩაწვდეთ ჩემი დაქალის ვერაგობის სიმძიმეს. შეიძლება, თვითონ ფიქრობს, რომ სიყვარული ყველანაირ საზიზღრობას ამართლებს, მაგრამ, რეალურად ასე არ არის. ვერასოდეს ჩამოირეცხავს იმ ლაქას, რომელიც მოეცხო. მე არ ვაპირებ, ნამუსი შევუნახო და ისე მოვიქცე, თითქოს არაფერი მომხდარა. რატომ?! კიდევ ვინმეს რომ არ გაუმწაროს ცხოვრება. ეგ ისეთი გველია, კიდევ მოახერხებს ამას. ოჯახში ჩამისახლდა ჩემზე და ჩემს მომავალ შვილზე ზრუნვის ნიღბით – ამაზე უარესი რაღა უნდა ექნა, არ ვიცი.

**– დიახ, გეთანხმებით, საკმაოდ მძიმე პრობლემა გქონიათ.**

– მერე, ვინ შემიქმნა ეს პრობლემა? ადამიანმა, რომელიც ყველაზე ძალიან მეიმედებოდა და, მეგონა, რომ მიერთგულებდა. ანუ, რა გამოდის? მეგობარი, დაქალი, ისეთ დისტანციაზე უნდა გყავდეს, რომ შენი ცხოვრების ინტიმური კი არა, ოდნავ მნიშვნელოვანი დეტალებიც არ იცოდეს?! წარმოიდგინეთ, როგორი დაძაბული უნდა იყო, მუდმივად მომზადებული და ჩასაფრებული. საშინელებაა! მაშინ, საერთოდ რაღად გინდა ან მეგობარი ან დაქალი? მათ გარეშე ყოფნა გაცილებით ადვილია. ჩემმა ქმარმა მითხრა, სანამ ცოლად მოგიყვანდი, როგორც კი გამაცანი, მაშინვე დამიწყო თვალების ნაბვაო. ეს ჩემს ქმარზე დადებითად არ მეტყველებს, მაგრამ, ამჯერად მასზე არ ვლაპარაკობთ. იმას ცალკე

# რუსეთში მცხოვრები შვილები მამას საქართველოში ეძებენ

***23 წლის ნინო იოსების ასული მილოვა ეძებს 44 წლის იოსებ ელგუჯას ძე სიმონიშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს – 44 წლის იოსებ ელგუჯას ძე სიმონიშვილს. ჩემი მშობლები დაშორდნენ ერთმანეთს და მას შემდეგ მამაზე არანაირი ინფორმაცია აღარ გაგვაჩნია. მეც და ჩემს დასაც ძალიან გვინდა მამის პოვნა და გაგება, თუ როგორ არის ის. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ და მოგვაძებნინოთ მამა. იმედია, ის გამოეხმაურება ჩვენს სტატიას. გიგზავნით მამის ფოტოს, სადაც ის დედასთან ერთადაა გადაღებული ხელისმოწერის დღეს.



**– როგორ დაკარგეთ მამა-შვილებმა ერთმანეთი? მოგვიყევი შენი ისტორია.**

– ვეძებ მამაჩემს, 1970 წლის 9 ივნისს დაბადებულ იოსებ ელგუჯას ძე სიმონიშვილს. ჩემი მშობლები დაქორწინდნენ 1990 წელს (დედა – ოლღა ივანეს ასული კაპიტონოვა). ჩვენი ოჯახი საქართველოდან 1992 წლის ბოლოს გადმოვიდა საცხოვრებლად რუსეთში, სოფელ მატვეევკაში, დღემდე ვცხოვრობთ დედასთან ერთად. 1991 წელს მე დავიბადე (ნინო იოსების ასული სიმონიშვილი), 1993 წელს რუსეთში დაიბადა ჩემი და – თამარ იოსების ასული სიმონიშვილი. დაახლოებით 2002 წელს დედა და მამა დაშორდნენ ერთმანეთს და მას შემდეგ ჩვენ მამა აღარ გვინახავს, არაფერი ვიცით მის შესახებ, ანუ, რას საქმიანობს, როგორ არის და ასე შემდეგ. ბუნებრივია, ძალიან გვინდა მისი პოვნა. ის ხომ ჩვენი მამაა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მისი დამოუკიდებლად მოძებნა და, ამიტომ, მეც და ჩემმა დამაც, გადავწყვიტეთ, დახმარებისთვის სამძებრო საიტისთვის მიგვემართა. ჩვენ მამის პოვნის იმედს არ ვკარგავთ და, აი, უკვე მესამე წელია, მას აქტიურად ვეძებთ, დიდი იმედი გვაქვს, რომ, იქნებ, თქვენ მაინც გვაპოვნინოთ ის.

**– ამდენი წლის განმავლობაში მამა არც ერთხელ არ შეგხმიანებიათ?**

– სამწუხაროდ, არა. არ ვიცით, რა უნდა იყოს ამის მიზეზი – საცხოვრებელი ადგილი ჩვენ არ შეგვიცვლია და ჩვენი პოვნა თითქოს ადვილი უნდა იყოს მისთვის, თუკი, რა თქმა უნდა, კარგადაა და არაფერი არ შემთხვა. მეც და ჩემს დასაც კარგის იმედი გვაქვს და, ვფიქრობთ, რომ ამდენი წლის განმავლობაში მამა, უბრალოდ, რაღაც სხვა სერიოზული მიზეზის გამო არ შემოგვეხმიანა.



**– ტერიტორიულად სად გგონიათ მამათქვენი?**

– რატომღაც, გვგონია, რომ ის საქართველოში დაბრუნდა და, შეიძლება, ტერიტორიული სიშორის ან მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ გვიკავშირდება. სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფერი გავარკვიეთ. არც ის ვიცით, დაახლოებით მაინც სად უნდა იყოს, თუმცა, სავარაუდოდ, თბილისში გვგონია, რადგან, ადრე, ჩვენი ოჯახის რუსეთში გადასვლამდე, მამა თბილისში ცხოვრობდა.

**– არ გიფიქრიათ, რომ, შეიძლება მამათქვენს უკვე მეორე ოჯახი აქვს და სწორედ ამ მიზეზით არ გიკავშირდებათ?**

– ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, ნამდვილად არ ვიცი, აქვს თუ არა მას ახალი ოჯახი, მაგრამ, რომც ჰქონდეს, იმედია, ჩვენ მას ვახსოვართ. თუკი მას ოჯახი აქვს და სხვა შვილებიც ჰყავს, ჩვენ, ანუ, მე და ჩემს დას, ამასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გვექნება. კარგად მესმის, რომ ის და დედა ამდენი წელია, დაშორებულები არიან და, ამდენი ხნის მერე, მას სრული უფლება ჰქონდა, შეექმნა თავისი ოჯახი.

**– მამის პოვნის შემთხვევაში მასთან შეხვედრას ხომ არ გეგმავთ?**

– ნეტავ, ვიპოვოთ მამა ან რამე მაინც გავიგოთ მის შესახებ და, თუკი მასაც ენდომება ჩვენთან შეხვედრა, რატომაც არა, ამაზე კარგი რა იქნება. უბრალოდ, საინტერესოა, როგორ არის ის ამჟამად და რას საქმიანობს; ანდა, რა არის იმის მიზეზი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ შეგვეხმიანებია.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

# თავი მხოლოდ იმიტომ შევიკავე, რომ ქმარი იმ საზიზღარი მოღალატისთვის არ ჩამეგდო ხელში

მოვთხოვე პასუხი, თუმცა, გეუბნებით, დანაშაულის ლომის წილი ჩემს ძვირფას დაქალზე მოდის. მთავარი მოღალატე ეგ არის და არა ჩემი ქმარი, რომელიც დღემდე თვალებში ვერ მიყურებს. მეც ვერაფრით დავივიწყე ეს ამბავი, ან, როგორი დასავიწყებელია? ჩემს სახლში მოდიოდა, ჩემს ტანსაცმელს იცვამდა და ჩემს სამკაულს იკეთებდა – არასდროს არაფერზე მითქვამს მისთვის უარი. ვდარდობდი, შეუყვარებული რომ არ ჰყავდა. თურმე, რა გეგმები ჰქონია ქალს და მე კი ბრმა ვიყავი. სანამ ჩემს საწოლშივე არ წამოვადექი თავზე, ვერაფერს ვამჩნევდი, არადა, თურმე, სხვები ხედავდნენ იმას, რაც ჩემთვის დაფარული რჩებოდა. ეტყობა, ზედმეტმა ნდობამ ასე იცის. ჩემი ქმარი ლამის მოვკალი. საწოლი კი საერთოდ გადავაგდე. მითხრა, გასაქანი აღარ მომცა, ყველგან კისერზე მეკიდებოდაო... შენი ბრალია, ცხვირწინ რომ მიტრიალებდა ზოგჯერ ნახევრად შიშველიო... – ისევ მე აღმოვჩნდი დამნაშავე. როგორ გამოვედი შოკიდან, არ მახსოვს. ქმარი არ გავაგდე მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალბატონი არ გამეხარებინა.

**– ქმართან ნორმალური ურთიერთობა გაქვთ?**

– კი, საკმაოდ. ძალიან შეწუხებულია და სინდისიც აშკარად აწუხებს, განიცდის მომხდარს. ამიტომ, აღარ იცის, რით მასიამოვნოს და გამახაროს. ის ქალბატონი კი მაინც სწერდა მესიჯებს, ურეკავდა – აღარ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ისევ შეხვედრა. ჩემი ქმარი ყველაფერს მეუბნებოდა, ჩემი ნდობა რომ დაებრუნებინა. ნდობას ველარ დაიბრუნებს – ეს ფაქტია, მაგრამ, იმ არარაობას არ გავახარებ და არ გავეყრები. სამწუხაროდ, უკვე დანარჩენი მეგობრების მიმართაც მაქვს უსიამოვნო ეჭვი, მით უფრო, იმათ მიმართ, რომლებსაც კარგი გარეგნობა აქვთ. ამიტომაც აღვკვეთე ჩემს ოჯახში მათი სტუმრობა – აღარ მინდა პრობლემები...

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ქმრის უსინდისო ღალატის შემდეგ მამაკაცების მიმართ ნდობა საერთოდ დავკარგე. სამი წლის წინ საყვარელი ჰყავდა (არ მჯერა, რომ ახლაც არ მაიმუნობს) და ჩვენი საქმე ლამის გაყრამდე მივიდა. ძალიან მძიმედ გადავიტანე ეს ამბავი, რადგან, ის ქალი, რომელიც ლოგინში ჩაიწვინა, მეც მემეგობრებოდა. იყო სკანდალები, ცრემლების ღვრა და უბედურება. თითქოს შევრიგდით, მაგრამ, ნდობა აღარ მაქვს. ღირდა კი, მასთან დავრჩენილიყავი?! ჩუმად ზარებსა და ესემესებს ვუმოწმებ... ძალიან დავიღალე.**

**გამოხმაურება**: ნდობა ორგვარი არსებობს: პირველი ვარიანტი აბსოლუტურად გაუცნობიერებელი და უფრო ინსტინქტური, როცა გულუბრყვილოდ გჯერა, რომ საყვარელი ადამიანი გულს არ გატკენს. თუ ეს ნდობა დაინგრა, მისი აღდგენა შეუძლებელია; მეორე ფორმა რაციონალურია და, ხვდები, რომ ბოლომდე ვერ ენდობი საკუთარ თავსაც კი. ასეთ შემთხვევაში, პატიება უფრო შესაძლებელია და შემდგომში გართულებებიც არ ახლავს. მოკლედ, ქმარს უნდა უთხრათ, რომ ბოლომდე ველარ ენდობით და, თუ ურთიერთობის შენარჩუნება უნდა, გააკეთოს ისე, რომ თქვენში ეჭვი აღარ გააჩინოს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

–ექსკლუზივი: ჩვენი სიმართლის რეპორტაჟი–

# ექსკლუზივი: ჩვენი სიმართლის რეპორტაჟი „როდესაც ვთქვი, რომ ზედმეტ წონას დავიკლებდი, ჩემმა დაქალებმა კარგად იხალისეს...“

## ... მაგრამ დღეს მათ შურთ ჩემი ახალი სილუეტის!

გაეცანით ანას ისტორიას, რომელიც გვიმხელს, თუ როგორ შეძლო ზედმეტი კილოგრამების დაკლება 2 თვეში და ყველას გაოცება მოახერხა!







**ერთი წლის წინ ვიწონიდი 160 კგ (სიმაღლე 1.70 მ). მინდა გითხრათ, რომ ძალიან მაწუხებდა ჩემი სხეული.**
ისევე როგორც ჩემ მდგომარეობაში მყოფმა ბევრმა ადამიანმა, მეც ბევრი რამ ვცადე გასახდომად. ყველაფრის ჩამოთვლას არ დავიწყებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს ყველაფერი კარგი ფული დამიჯდა. მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა და უფრო და უფრო უიმედობა მეუფლებოდა.
აკვიატებული მქონდა ჩემი წონა და ამის გამო უფრო მეტად ვსუქდებოდი. ყველაზე მკაცრი დიეტებითაც კი ერთ გრამსაც ვერ ვიკლებდი, თითქოს ერთი ჭიქა წყალიც კი მასუქებდა! აღარ ვიცოდი რა მექნა. ის იყო ხელი ჩავიქნიე და შევეგუე იმ აზრს, რომ მუდამ მსუქანი ვიქნებოდი, რომ...

**... აღმოვაჩინე „რაღაც“, რამაც საბოლოოდ დამაკლებინა**
შვილთან ერთად ექიმის მისაღებში ვათვალიერებდი სამედიცინო ჟურნალს, სადაც ვნახე სტატია გახდომის სფეროში შვეიცარიის ლაბორატორიის ახალ აღმოჩენასთან დაკავშირებით. ცნობისმოყვარეობის გამო დავიწყე კითხვა. როდესაც კითხვას მოვრჩი, მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ჭარბი წონის პრობლემის მოგვარების გზა. მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ იმ დღესვე ვიყიდდი, ჩავიწერე მისამართი, სადაც SlimNature (სლიმნეიჩარის) ყიდვა შეიძლებოდა.

**ამის თაობაზე ველაპარაკე ჩემს ექიმს.**
მან დამიდასტურა, რომ დღეს ეს ყველაზე უტყუარი გასახდომი საშუალებაა, რომელმაც თავი დაიმკვიდრა ამ სფეროში. რევოლუციური ისაა, რომ ხილის მჟავაზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გაათმაგებულია. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირეულად და საბოლოოდ შეუბრალებლად არის დამწვარი, ამავდროულად, საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განეიტრალდებიან ჩანაცვლებითი კალორიებით, წყალმცენარე ქლორელას საშუალებით, რომელიც SlimNature-ს შემადგენლობაშია. რამდენიმე სპეციალიზებულმა ჟურნალმა უკვე მიულოცა ლაბორატორიას, რომელიც აწარმოებს SlimNature-ს ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც ხელს უწყობს სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლას.

**პირველივე დღეებში დავიკელი 2 კგ!**
როდესაც SlimNature-ის მიღება დავიწყე, ვერც კი წარმომედგინა, რომ უკვე ახალგაზრდობის წონის დასაბრუნებლად დროის ათვლა დაიწყო... თანაც იმ დღეს ჩემი გოგოს დაბადების დღე იყო და დიდი შოკოლადის ტორტი გავაკეთე. როგორც ყველამ, მეც ვჭამე ტორტი, რადგანაც კარგად არის განმარტებული, რომ თავი არ უნდა შემეზღუდა და დიეტა არ უნდა დამეცვა.
მეორე დღეს გულაჩქარებული შევდექი სასწორზე. და აი, საოცრება – 5 კგ მქონდა დაკლებული! თვალებს არ ვუჯერებდი!

**ერთ კვირაში უკვე 7 კგ.**
შემდეგ დღეებში, ვკარგავდი საშუალოდ 1 კგ-ს დღეში. როდესაც სარკეში ვიხედებოდი, განსხვავება შესამჩნევი იყო. თვალის დახამხამებაში ვდნებოდი, ეს შთამბეჭდავი იყო!
პირველი კვირის ბოლოს დავიკელი 7 კგ და უფრო მოტივირებული ვიყავი, რომ წარმატებისათვის მიმეღწია.

**მხოლოდ 2 თვეში მე დავიკელი 43 კგ!**
შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სიზმარში. ეს მართლაც ძალიან იოლი იყო. მე მხოლოდ SlimNature-ის კაფსულებს ვსვამდი და რეგულარულად ვიკლებდი კვირაში 5 კგ-ს.
ნელ-ნელა ვხედავდი, თუ როგორ გარდაიქმნებოდა ჩემი უფორმო სხეული ჩემს საოცნებო სილუეტად.

**ჩემი მეუღლე გაოგნებული იყო სწრაფი შედეგით!**
როდესაც სასწორი საბოლოოდ 65 კგ-ზე გაჩერდა, ბედნიერების ზენიტში ვიყავი! მე მოვახერხე 43 კგ-ის დაკლება! 54 ზომიდან გადავედი 40 ზომაზე! რა ბედნიერი ვიყავი! მე მქონდა ლამაზი, ბრტყელი და მკვრივი მუცელი, არანაირი ცელულიტი, არამედ სრიალა და მკვრივი ბარძაყები, თეძოებზე ქონი გამიქრა, ხოლო მუხლები და მკლავები დაიხვეწა. როდესაც ჩემმა მეუღლემ ნახა, რომ ისეთი გამხდარი ვიყავი, როგორც ქორწინებამდე, მითხრა, რომ ჩემით ამაყობდა. ეს ჩემთვის საუკეთესო კომპლიმენტი იყო.

**ახლა ჩემი ჯერია, ვიხალისო...**
ჩემი დაქალები გაოგნდნენ ჩემი ახალი სილუეტის ნახვით. ზოგიერთმა ჩემი საიდუმლოს გამხელა მთხოვა და მე მათ ვუთხარი, როგორ შევძელი 43 კგ-ის დაკლება ასე მცირე დროში, ყველანაირი ძალისხმევის, შიმშილისა და დაღლის გარეშე. მათ თვითონაც სცადეს SlimNature და თითქმის ყველა გახდა.

**მას შემდეგ აღარ გავსუქებულვარ.**
დღეს უკვე ამ უცნაური გამოცდილების მე-15 თვეა და ერთი გრამითაც არ მომიმატებია. მე არ მჭირდება, თვალყური ვადევნო ჩემს კვებას და შემიძლია რაც მინდა ის გავაკეთო. უკვე აღარ მაწუხებს ზედმეტი წონა.

**ჩემი რეალური ისტორია ამტკიცებს Slimnature-ის ეფექტურობას.**
მთელი გულით მინდა, რომ ყველა ქალმა, ვისაც გახდომა უნდა, დაიბრუნოს მომხიბლავი და გამხდარი სილუეტი. სწორედ ამიტომაც დავთანხმდი, რომ ჩემი ისტორია გამოქვეყნებულიყო პრესაში. ყოფილი მსუქნისგან ეს წარმატების ყველაზე მეტი მტკიცებულებაა! ამგვარად, ვინც ჭარბი წონით იტანჯება და ვისაც უკვე აღარაფრის არ სჯერა, ვურჩევ, გამოცადოს Slimnature. ნახავთ, რომ ეს იოლი და ეფექტურია.

ანა

**SlimNature (სლიმნეიჩარი) – ით გარანტირებული შედეგები**

- კუჭი: –14 – 17 სმ
- ზომა: 12 – 18 სმ
- თეძოები: 9 – 16 სმ
- საჯდომი: 12 – 19 სმ
- ბარძაყები: 7 – 15 სმ

www.slimnature.net

# გახდომა: კიდევ 650 ადამიანს ვეძებთ, ვისაც სურს სწრაფად გახდომა!



ნუტრიციოლოგი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სპეციალისტ-დიეტოლოგი ს.ჰოფბაუერი

**მნიშვნელოვანია: ეს აქცია ეხება იმათ, ვისაც სულ ცოტა 5კგ აქვს დასაკლები.**
ანას ისტორიამ, რომელიც წაიკითხეთ, ალბათ გაგაოცათ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა არაა, პირიქით. ამ ახალი აღმოჩენის წყალობით 2894 ადამიანმა შეძლო დაკლება და ჯამში მათ დაიკლეს 37900კგ! და ამიტომაც დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენც დაიკლებთ SlimNature-ის მეშვეობით.

**რატომ გინდათ გახდომა?**
ამაზე გვიფიქრია? იფიქრეთ იმაზე, რის გაკეთებას შეძლებთ, იმაზე როგორი თვალით შეხედავთ ყველაფერს ზედმეტი კილოგრამების შემდეგ. ნამდვილად გინდათ გახდომა? და თანაც მარტივად? გინდათ დაიბრუნოთ ლამაზი ეფექტური და სექსუალური სილუეტი? ჩაიცვათ ისე, როგორც გსურთ?

**თუ თქვენი პასუხია კი...**
**წაიკითხეთ როგორ დაიკლოთ რისკის გარეშე**
კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ სულ ცოტა 5 კგ მაინც უნდა გქონდეთ დასაკლები. თუ ეს ასეა, მაშ დღესვე იმოქმედეთ **და ისარგებლეთ ჩვენი 30%** სპეცშემოთავაზებით, რომელიც განკუთვნილია ამ ჟურნალის მკითხველისათვის. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

SlimNature გაგახდუნებთ იმ შემთხვევაშიც, თუ აქამდე არაფერმა არ გაჭრა. მისი კალორიების ჩანაცვლებითი მოქმედებით თქვენი საკვები აღარ გადაიქცევა ცხიმების მარაგად, არამედ თქვენი სხეული უბრალოდ გამოყოფს იმას, რაც მას არ სჭირდება. SlimNature არის 100 % ნატურალური პრო-



ჩვენმა კვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დუქტი, ყველანაირი გვერდითი მოვლენების გარეშე. წონას კარგავთ ბუნებრივად, დიეტისა და იმედგაცრუების გარეშე. ამიტომაც, თქვენს ინტერესებში შედის, რომ აღარ იყოყმანოთ და რამდენიმე კვირაში დაიბრუნოთ საოცნებო სილუეტი. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

**რა ღირს დაკლება Slimnature-ით?**
თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ძვირი იქნება. მაგრამ დამშვიდდით, ეს ასე არაა. SlimNature ისეთივე ეფექტურია, როგორიც ქირურგიული ლიპოსაქცია, მაგრამ მისი ფასი ამგვარი ჩარევის მეათედიც არაა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ თქვენ შეძლოთ გახდომა ისე, რომ ფულმა დაბრკოლება არ შეგიქმნათ. ამიტომაც გთავაზობთ მნიშვნელოვან 30%-იან ფასდაკლებას Slimnature პაკეტის ყიდვისას, რომელსაც აირჩევთ ქვემოთ მოცემულ კუპონზე.

**მნიშვნელოვანია!!**
თუ თქვენ ძალიან სწრაფად ხდებით (იკლებთ 7 კილოზე მეტს კვირაში) გირჩევთ, შეწყვიტოთ SlimNature-ის მიღება 2 დღის განმავლობაში და შემდეგ გააგრძელოთ მანმადე, სანამ არ მიაღწევთ სასურველ წონას.

www.slimnature.net

## Slimnature (სლიმნეიჩარი) = კილოობით ხილს + ქლორელა კონცენტრირებული ერთ კაფსულაში






SlimNature ძირითადად დამზადებულია ტროპიკული ხილის მჟავებისაგან (AHA), რომლის გასახდომი ეფექტურობა საეჭვო აღარაა. რევოლუციური ისაა, რომ ხილის მჟავაზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გაათმაგებულია. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირეულად და საბოლოოდ შეუბრალებლად არის დამწვარი.

**კალორიებით ჩანაცვლებითი მოქმედებით.**

საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განეიტრალდებიან, წყალმცენარე ქლორელას საშუალებით, რომელიც SlimNature-ის შემადგენლობაშია. მაშასადამე შემდგომში თქვენ აღარ გასუქდებით. ეს უდავოდაა დამტკიცებული.
ქლორელა ცხიმებისა და ტოქსინების ნამდვილი შთანმთქავია, მდიდარია მინერალებითა და მიკროელემენტებით (იგი შეიცავს 17 ვიტამინს და მინერალს, 18 ამინმჟავას და ვიტამინ B12). იგი აძლიერებს, ხელს უწყობს ორგანიზმის რემინერალიზაციას და დეტოქსიკაციას. აბალანსებს ორგანიზმს.
ციტრუსის Aurantium სამმაგად მოქმედებს ცხიმების გამოდევნასა და მათ წვაზე და ამავდროულად ზრდის თერმოგენეზს, რომელიც არის გახდომის გამომწვევი ბუნებრივი პროცესი.

**სანახაობრივი შედეგები.**

SlimNature-ის კოქტეილის გასახდომი ეფექტი მაშინვე შესამჩნევია:
1. ცელულიტი ქრება და თქვენი კანი ნაზი და სრიალა ხდება.
2. თქვენი მუცელი კვლავ ბრტყელი და მკვრივია პირველი დღეებიდანვე.
3. თქვენი სილუეტი მთლიანად ტრანსფორმირდება და იღებს ლამაზ ფორმებს, კარგავთ სანტიმეტრებს იქ, სადაც საჭიროა.
4. Slimnature ხელს უშლის ახალი ცხიმების დაგროვებას, მაშასადამე, შემდგომშიც ინარჩუნებთ სასურველ წონას.
5. შედეგები გარანტირებული და მდგრადია. ნელ-ნელა ეს პრეპარატი მთლიანად აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.
ისარგებლეთ ჩვენი 30 %-იანი შემოთავაზებით!
დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30 %-იან ფასდაკლებას SlimNature–ის ოფიციალურ ფასზე. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

**ისარგებლეთ ჩვენი 30 %-იანი შემოთავაზებით !**
დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30 %-იან ფასდაკლებას SlimNature (სლიმნეიჩარი) - ის ოფიციალურ ფასზე.

## გახდომის კუპონი

**დიახ,** მეც მინდა დავიკლო ჭარბი წონა SlimNature-ის მეშვეობით. თქვენი 30% ფასდაკლებით კმაყოფილი დარჩებით

☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N1, 6 კგ-მდე დასაკლებად 59ლ (ნაცვლად 85ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N2, 7 დან 12 კგ-მდე დასაკლებად 89ლ (ნაცვლად 127ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N3, 13 დან 18 კგ-მდე დასაკლებად 129ლ (ნაცვლად 185ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N4, 18 კგ-ზე მეტის დასაკლებად, 149ლ (ნაცვლად 215ლ) რომ

მიიღოთ სლიმნეიჩარის კაფსულები, ესტუმრეთ ჩვენს ვებ გვერდს ან დაგვიკავშირდით www.slimnature.net ოფისი მუშაობს დილის 9 სთ-დან საღამოს 21 სთ-მდე, კვირის გარდა ტელ: 2244 024; 2244 025.
იჩქარეთ ! პირველი 100 შეკვეთა მიწოდებული იქნება სრულიად უფასოდ. ჩვენი ექსპრეს სერვისით. ასევე შეგიძლიათ ადგილზე შეიძინოთ SlimNature შემდეგ მისამართზე:

პეკინის ქ. 34, მესამე სართული, თბილისი 0172

R

**აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ერთ-ერთი ყველაზე აღმატებული საეკლესიო დღესასწაულია, რომლის დადგომასაც ყველა ქრისტიანი დიდი სასოებით, იმედითა და რწმენით ელოდება. აღდგომის მომდევნო მთელი კვირა ბრწყინვალე შვიდეულად იწოდება და ამ ხნის განმავლობაში ყველა ეკლესიაში ღიაა აღსავლის კარი ამ დღეებში ასევე შემსუბუქებულია ლოცვის ტიპიკონი, მხოლოდ „პასექის ჟამნი“ იკითხება. როგორ უნდა გაატარონ ქრისტიანებმა ეს კვირა და რა არის „არტოსი“, ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# რისგან თავის შეკავება სჭირდებათ ქრისტიანებს დიდი მარხვის დამთავრების შემდეგ და რატომ არ შეიძლება აღდგომის სიხარულის ერთ დღეში დამთავრება

– წმიდა გრიგოლ ნოსელი წერს: „პეტრე ხედავდა არა მარტო ხორციელი თვალით, არამედ მოციქულებრივი გონებითაც – მაცხოვრის საფლავი აევსო ნათელს, და თუმცა ღამე იყო, ორგვარი ხედვით ჭვრეტდა შინაგანს – გრძნობიერად და სულიერად. დიდი შაბათის შემდეგ, პირველივე დღეს, ქრისტეს საფლავთან დიდი მიწისძვრა მოხდა, უფლის ანგელოზმა გადააგორა ლოდი საფლავიდან. მენელსაცხებლე დედებს დახვდათ გადაგორებული ლოდი და მასზე მჯდომი ანგელოზი, რომელმაც აუწყა მათ მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა: „რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებს შორის?“ მათე მახარებელი კი მოგვითხრობს: „და აჰა, ძვრა იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდამოჰხდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისი საფლავისა და დასჯდა მას ზედა“. მაგრამ, აღმოსავლეთ საქრისტიანოს, სამართლმადიდებლოსა და, სახელდობრ, საქართველოს ძველი ოსტატები ამ ამბავს არასდროს გამოგვისახავდნენ. მათ აირჩიეს სხვა, რომელსაც წმიდა მათეც ყვება და, ოდნავ სხვაგვარად – წმიდა ლუკა მახარებელიც: „რომელი განსთენდებოდა ერთ შაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალინელი და სხვა იგი მარიამი, ხილვად საფლავისა მის. მიუგო ანგელოსმან მან და რქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქვენ, ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარცმულსა ეძიებთ. არ არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა სთქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი.” ეკლესიათა და სამღვდელთმსახურო წიგნების მომხატველნი, ხატთა დამწერნი, მქანდაკებელნი თუ მქარგველნი საფლავის გადმობრუნებულ ქვაზე მჯდომარე ანგელოზს გამოსახავდნენ, რომლისკენაც მიემართებოდნენ წმიდა დედანი ნელსაცხებლიანი ჭურჭლით ხელში. ორივე მარიამისადმი ანგელოზის გაწვდილი ხელი გვიხატავს მის მიერ ქრისტეს აღდგომის ხარებას. არსებობს კიდევ მეორე ხატი, რომელსაც ქართულად „ჯოჯოხეთის წარმოტყვენა“ ჰქვია. ეს გამოსახულება ეგრეთ წოდებულ ნიკოდიმეს წიგნს მისდევს, რომელიც კანონიკურად არ არის აღიარებული, მაგრამ ეკლესიისგან აკრძალული არ ყოფილა. ნიკოდიმე მოგვითხრობს, თუ როგორ შთახდა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე ქვესკნელად, დალეწა კლიტენი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი, შებორკა ბოროტი ძალები და აღმოიყვანა მანამდე გარდაცვლილები. შესაბამისად, გამოიხატებოდა მაცხოვარი, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს ჯვარი, მეორით კი ამოჰყავს ადამი. როგორც წესი, ასევე, გამოსახულია ევა, წინასწარმეტყველნი – დავითი და სოლომონი, ზოგჯერ – იოანე ნათლისმცემელი და გათოკილი სატანა. რაც შეეხება აღდგომის მომდევნო კვირას, ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. ეს კვირა კი ერთადერთი დღეა, რომელსაც ეწოდება აღდგომის თანასწორი დღე, იგივე კვირაცხოვლობა – თომას კვირა, რომელიც იმავე სიხარულითა და თანასწორი ზეიმით უნდა აღნიშნონ მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის აღდგომის სიხარული მხოლოდ ერთი დღით არ შემოიფარგლება, ამას ერთი დღე კი არა, რამდენიმე წელიწადი არ ეყოფა. ყველა ბრწყინვალე მოვლენას ანგელოზები აუწყებენ ადამიანს, მაგრამ, არც ანგელოზებმა და არც ადამიანებმა არ იციან ბოლომდე ამ სიხარულის შესახებ, რომ ეს სიხარული ღვთაებრივი, ზეციური, გონებით მიუწვდომელია.

**– როგორ უნდა გაატარონ ქრისტიანებმა დიდმარხვის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეული?**

– ძალიან ბევრი, იმის გამო, რომ 47 დღის განმავლობაში თავგამოდებით მარხულობდა და არ გაეკარა არაფერს სახსნილოს, მიეცემა თავაშვებულობას და ისეთ ცოდვაში ჩავარდება, შეიძლება, თომას კვირას ეკლესიაშიც ვერ მოვიდეს. როგორც ბასილი დიდი ამბობს, ქრისტიანი, დღესასწაულს ბოყინითა და სლოკინით არ უნდა ზეიმობდეს. მე უფრო მეშინია ქრისტიანის ცხოვრებისა არა ვნების შვიდეულში, არამედ, ბრწყინვალე შვიდეულში. მარხვის მძიმე დღეებში მორწმუნე მაინც ორგანიზებას უკეთებს საკუთარ საქციელს – დადის ეკლესიაში, ლოცულობს, მეტანიებს აკეთებს, ბრწყინვალე დღეებში კი ყველა ერთობა, მოლხენითაა და ამ დროს ეშმაკი მათთან ახლოს არის. შესაბამისად, ამ დღეებში ქრისტიანს მეტი გულისხმისყოფა, სიფრთხილის, თავმდაბლობისა და ყურადღების გამოჩენა სჭირდება, რათა არ დაკარგოს ის მადლი, რაც 47 დღის განმავლობაში მიიღო. რამდენჯერაც დავეცემით, იმდენჯერვე უნდა ავდგეთ, დავიმდაბლოთ თავი, მივიდეთ ეკლესიაში. მოძღვარიც ადამიანია და გაგვიგებს. კვირაცხოვლობა დღეს ქრისტიანებს ეკლესიაში არტოსი ურიგდებათ, რომელიც არის სიმბოლო იმისა, რომ, როდესაც მოციქულები მაცხოვრის ამაღლების შემდეგ აზიარებდნენ ხალხს და სხდებოდნენ ტრაპეზზე, ერთ ადგილს ცარიელს ტოვებდნენ. იქ დებდნენ პურს და ამბობდნენ: ეს არის მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ანუ, არტოსი არის წმიდა პური, სიმბოლო იესო ქრისტესი, იკურთხება აღდგომა დღეს, ერთი კვირის განმავლობაში არის დაბრძანებული ტაძარში და თომას კვირის წინა შაბათს ურიგდებათ მორწმუნეებს. მათ ის აქვთ მთელი წლის განმავლობაში და სნეულებაში, განსაცდელში იხმევენ. აქაც საჭიროა ჩვენი სარწმუნოება, რწმენა – ზოგს ბევრი პური მიაქვს და უობდება. პური იქნება თუ სანთელი, რწმენით უნდა მივიტანოთ სახლში და რწმენით გამოვიყენოთ.



**თომას „ურწმუნო” კი არ უნდა ვუწოდოთ, არამედ, ის არის ჩვენი წინამძღვარი რწმენაში, რომელმაც დაიმდაბლა თავი, დაეჭვდა და სიმდაბლით იკითხა ეს**

**– აღდგომის შემდეგ მთელი კვირის განმავლობაში ყველა ეკლესიაში ღიაა აღსავლის კარი, სწორედ იქ არის არტოსი დაბრძანებული. ზოგიერთ ადამიანს დღემდე სჯერა იმის, რომ ვინც ბრწყინვალე შვიდეულში გარდაიცვლება, მისთვის სამოთხის კარი ღია იქნება. თუმცა როგორც ცნობილია, ეს სწავლება არასწორია.**

– სამოთხის კარი მაშინ გაიღო, როდესაც ქრისტე აღსდგა და ამაღლდა. ის ყოველთვის ღიაა მათთვის, ვინც ეკლესიურად ცხოვრობს, ვისაც უფალმა მისცა უფლება – ცხონდეს, მას ყოველთვის შეუშვებენ. მართლაც, აღსავლის კარი მთელი კვირის განმავლობაში ღიაა თომას კვირამდე. ეს ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანს ცხონების მეტი შესაძლებლობა აქვს – მეტი მადლია ამ დროს და მეტად მიეტევება ცოდვები. თუ ადამიანს ცოდვილი ცხოვრება ჰქონდა, არ შეინანა და გარდაიცვალა ბრწყინვალე შვიდეულში, ბუნებრივია, მას არანაირი შეღავათი არ ექნება, მაგრამ, თუ ის სასოებდა ღმერთს და ღვთის რწმენით გარდაიცვლება, შეიძლება, მას დიდი მადლი არ ჰქონდეს, მაგრამ, ექნება გარკვეული შემწეობა.

**– ადამიანებს ხშირად უჭირთ ქრისტეს აღდგომის დაჯერება, თუმცა, არა მხოლოდ დღეს, ეს პირველ საუკუნეებშიც ხდებოდა, თუნდაც, თომა მოციქულის შემთხვევაში, რომელმაც მაცხოვრის ჭრილობებზე ხელის შეხება ითხოვა.**

– არ შეიძლება, ყველაფერი ბრმად ირწმუნო. ამიტომაც ინება ღმერთმა, რომ თომა მიეშვა საკუთარ სხეულთან. შეეხო თუ არა მას თომა, არ ვიცით, მაგრამ, უფალი ჩვენგან ითხოვს რწმენას არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმითაც. ირწმუნო მხოლოდ – არ არის საკმარისი, ამის მატერიალური დადასტურებაც უნდა შეგეძლოს. თომამ თამამად გამოხატა თავისი შინაგანი ბრძოლა, შინაგანი საღვთო ეჭვი. ადამიანი, რომელიც ლაზარეს აღდგომას დაესწრო, იგებს, რომ მაცხოვარი უნდა ეწამოს, აღდგეს მკვდრეთით. მაცხოვარი კი ეუბნება: „თომა, მოვედი და იხილე, ურწმუნო კი არა, მორწმუნე იყავ“. როდესაც განცხადებულად შეეხები ღვთაებრივს, ადვილია, ირწმუნო, მაგრამ, როცა არ გინახავს და მაინც მტკიცედ გწამს, რომ იესო ძე ღვთისაა და ჭეშმარიტად აღსდგა მკვდრეთით – აი, ასეთ რწმენას აქებს უფალი. ადამიანის ხასიათი ისეთია, უჭირს იმის რწმენა, რაც არ უხილავს. თომას კვირა ჩვენთვის არის კიდევ ერთი განმტკიცება, დაჯერება, დარწმუნება იმაში, რომ ქრისტე მართლა აღსდგა. თომას „ურწმუნო” კი არ უნდა ვუწოდოთ, არამედ, ის არის ჩვენი წინამძღვარი რწმენაში, რომელმაც დაიმდაბლა თავი, დაეჭვდა და სიმდაბლით იკითხა ეს. დღესაც ბევრი რამ არ იციან, მაგრამ, ერიდებათ, რომ ჰკითხონ სულიერ ძმას, დას, მას, ვინც შედარებით განსწავლულია, ან, მოძღვართან თქვან აღსარებაში: მამაო, არ ვიცი, რას ნიშნავს ესა თუ ის საიდუმლო. თუ ადამიანი ამ ყველაფერს არ გაიგებს, არ შეიმეცნებს, ის მართლა ურწმუნო ქრისტიანი იქნება. ჩვენ ჩვენი მრევლის ცხოვრების გარკვეული ნიუანსები უნდა ვიცოდეთ, რათა, რამე რომ დაგვემართოს, არ ჩავცვივდეთ სასოწარკვეთილებაში, არ ვთქვათ – ეს მე რატომ დამემართაო. პირველი საუკუნიდანვე, მრავალი ცრუ, მწვალებლური სექტა გაჩნდა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ქრისტე მოვიდა სულიერად, ხილვით, მოჩვენებით და არავითარი ჯვარცმა არ დაუთმენია. ამიტომაც არის საჭირო, რომ ხორციელად, მატერიალურად შევეხოთ საღვთო საიდუმლოს.

**ნათია უტიაშვილი**

# ვინც კეთილ საქმეებს არ იქმს, მისთვის სხვისი ლოცვა უსარგებლოა

ერთი მონასტრის წინამძღვარი ყოველგვარი სათნოებებით გამოირჩეოდა და ღატაკთა მიმართ მოწყალე იყო. ის დღედაღამ ღვთის მიმართ ასეთ ლოცვას აღავლენდა: „უფალო! ცოდვილი ვარ, მაგრამ, შენი გულმოწყალების იმედი მაქვს, შენი წყალობით ცხონებას ვიმედოვნებ. გევედრები, მეუფეო, ნუ განმაშორებ ჩემს ძმებს მომავალ საუკუნეში; ისინიც ჩემთან ერთად დაამკვიდრე სასუფეველში!“

დიდხანს ლოცულობდა კაცთმოყვარე წინამძღვარი და უფალმა ასეთი სახით გამოუცხადა მას თავისი ნება: მათთან ახლოს მყოფ სხვა სავანეში ტაძრის დღესასწაული მოახლოვდა; წინამძღვარი თავის ძმებთან ერთად მიიპატიჟეს. მას არ სურდა თავისი მონასტრიდან გამოსვლა, მაგრამ, ძილში ზეციური ხმა ჩაესმა: „წადი, მაგრამ, შენზე ადრე შენი მოწაფეები გაგზავნე, თვითონ კი მათ შემდეგ მიდი“.

როდესაც დღესასწაულის დღე დადგა, ძმები წავიდნენ სადილზე და გზად ღატაკი, დაძონძილი კაცი დაინახეს, რომელიც ძლივს ითქვამდა სულს. მათ შეკითხვაზე, თუ რა სტკიოდა, საბრალომ მომაკვდავის ხმით ძლივს უპასუხა:

– გზად მივდიოდი, მაგრამ, მხეცი დამესხა თავს, დამგლიჯა და დამაგდო, არავინ გამოჩნდა, რომ სოფელში წავეყვანე.

– გვეჩქარება, – უპასუხეს ბერებმა, – არაფრით შეგვიძლია დახმარება.

ამ სიტყვებით მათ გზა განაგრძეს.

მალე იმავე ადგილას წინამძღვარმა გამოიარა და დაინახა, როგორ კვნესოდა საბრალო ადამიანი. როდესაც შეიტყო, რაც დაემართა, შეეკითხა:

– აქ ცოტა ხნის წინ ბერებს არ ჩაუვლიათ? ნუთუ მათ ვერ დაგინახეს?

– იყვნენ, – უპასუხა სნეულმა, – გაიგეს ჩემი ამბავი და გზა განაგრძეს, მითხრეს, რომ მხარზე ვერ მომიკიდებდნენ და ვერ წამიყვანდნენ.

– შეგიძლია, ნელ-ნელა გამომყვე? – ჰკითხა ბერების საქციელით განაწყენებულმა წინამძღვარმა.

– არ შემიძლია, – უპასუხა გლახაკმა.

– მაშინ, მხარზე შემაჯექი, – უთხრა წინამძღვარმა, – ღვთის შეწევნით, მიგიყვან.

დიდხანს უარობდა დაუძლურებული გლახაკი, ამბობდა, რომ წინ შორი გზა ედო, ის კი მძიმე იყო. სთხოვდა, რომ სოფლიდან გამოეგზავნა ვინმე მის წასაყვანად, მაგრამ, ღვთივსათნო წინამძღვარმა, ყველაფრის მიუხედავად, ის ხელში აიყვანა და გზას გაუდგა. თავდაპირველად ჩვეულებრივ ადამიანურ სიმძიმეს გრძნობდა, შემდეგ ტვირთი სულ უფრო და უფრო შემსუბუქდა, ბოლოს კი თითქოს მხრებზე არანაირი სიმძიმე არ ჰქონდა. წინამძღვარმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა; უეცრად უძლური მოხუცებული გაქრა და ზეციდან მოესმა ხმა: „შენ მუდამ ლოცულობ შენი მოწაფეებისთვის, რათა ისინი შენთან ერთად შევიდნენ ცათა სასუფეველში, მაგრამ, მათი საქმეები შენგან განსხვავებულია. ასე რომ, ასწავლე მათ შენს კვალზე სიარული, სხვანაირად ისინი ცათა სასუფეველს ვერ მიაღწევენ. მე მართლმსაჯული ვარ, თითოეულს თავისი საქმეების მიხედვით მივუზღავ“.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ეკლესიაში იქაურმა მრევლის წევრებმა (განსაკუთრებით ასაკოვანმა ქალბატონებმა) ხშირად იციან ხოლმე რაღაცეების სწავლება. ვერწმუნოთ თუ არა მათ რჩევებს?**

**პასუხი:** ასეთმა ადამიანებმა უმეტესად ძალიან ცოტა რამ იციან საეკლესიო წეს-ჩვეულებებზე. ამიტომ, თუ რამე კითხვა გაგიჩნდებათ, ჰკითხეთ მოძღვარს ან იკითხეთ წმინდა წერილი და წმინდა მამათა გადმოცემები და პასუხებსაც მიიღებთ.

**კითხვა: როგორია წმინდა წერილის ან, ზოგადად, სასულიერო ლიტერატურის წაკითხვის წესი?**

**პასუხი:** იმისთვის, რომ წმინდა წერილის კითხვა სულიერად სასარგებლო იყოს, საჭიროა ჩვენდა მეოხად სულიწმინდის მადლს მოვუხმოთ კითხვის დაწყების წინ. ვიკითხოთ აუჩქარებლად, რამდენჯერმე გავიმეოროთ ის, რაც გაუგებარია ჩვენთვის და არ ვიზრუნოთ იმაზე, რომ მაინცდამაინც ბევრი წავიკითხოთ.

**კითხვა: ხანდახან უნებურად ჩავდივართ ისეთ საქციელს, რაც ცოდვად გვეთვლება, თუმცა ეს არ გვქონდა განზრახული. როგორ გავთავისუფლდეთ ამისგან?**

**პასუხი:** აღსარების დროს მოძღვართან უნდა მოინანიოთ უნებლიე შეცოდებები და თუ გულწრფელად შეინანებთ, უფალი მოგიტევებთ.



**კითხვა: გვშორდება თუ არა ჩვენი მფარველი ანგელოზი, როდესაც ცოდვას ჩავდივართ?**

**პასუხი:** ანგელოზი რომ ასე იოლად ტოვებდეს ადამიანს, სამყარო დიდი ხნის წინ დაიღუპებოდა. მფარველი ანგელოზი ადამიანს არასდროს ტოვებს, მაგრამ, როდესაც ადამიანი ცოდვას ჩადის, ანგელოზი იტანჯება და ცარიელი ხელებით ბრუნდება ღმერთთან.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## მიცვალებულთათვის ლოცვისა და მოწყალების გაცემის მნიშვნელობისთვის

ერთ ქალს ომში დაკარგული ქმარი დაღუპული ეგონა და ყოველ შაბათს ეკლესიაში მისი სულისთვის პანაშვიდებს ახდევინებდა. გავიდა ხანი და იმ ქალის ქმარი შინ ცოცხალი დაბრუნდა. მან ცოლს უამბო, რომ ტყვედ ჩავარდა და საპყრობილეში ჰყავდათ გამოკეტილი. იქ თურმე ერთი მორწმუნე კაცი მსახურობდა, რომელსაც მორიგეობა შაბათობით უწევდა. ის დილის საათებში ამ კაცთან საკანში შედიოდა და მცირე ხნით ბორკილებს ხსნიდა. აღმოჩნდა, რომ ეს სწორედ იმ საათებში ხდებოდა, როცა ამ კაცის მეუღლე მის სახელზე ტაძარში პანაშვიდს იხდიდა.

***

წმიდა ათანასიამ გარდაცვალების წინ მონასტრის დედებს სთხოვა, 40 დღის განმავლობაში მის სახელზე გლახაკთათვის ტრაპეზი გაემართათ. 10 დღის განმავლობაში დედები ასრულებდნენ მის დანაბარებს, შემდეგ კი რაღაც მიზეზების გამო, შეწყვიტეს. წმიდა ათანასია, ორი ანგელოზის თანხლებით, რამდენიმე მონაზონს გამოეცხადა და უთხრა: „რატომ არ ასრულებთ ჩემს ანდერძს? იცოდეთ, 40 დღის განმავლობაში მიცვალებულის სახელზე გაღებული მოწყალება და აღვლენილი ლოცვა, ცოდვილთა სულებს სასჯელისგან გამოიხსნის. თუკი სული უცოდველია, მაშინ ეს ღვაწლი მოყვასისთვის მათივე საცხოვნებელი იქნება.

## მოქცეული შურისმაძიებელი

ერთი ბერი, რომელიც ძლიერ გააჯავრა მეორე ბერმა, მივიდა მოხუცებულ მეუდაბნოესთან და ყოველივე უამბო. ბოლოს გაჯავრებით უთხრა: „მე უსათუოდ მის ჯავრს ამოვიყრი, შურს ვიძიებ მასზე. მეუდაბნოემ ბევრი ელაპარაკა, ბევრი ურჩია, რომ შურისძიება ღვთისთვის მიენდო, მაგრამ გაჯავრებული ბერი ყურს არ უგდებდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: „არ შემიძლია მოვისვენო, სანამ შეურაცხყოფისთვის მას შეურაცხყოფას არ მივაყენებ“.

გამოიტირა მოხუცმა ბერის ცდომილება, ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ უთხრა: „ლოცვის დროა, შევწიროთ, ძმაო, ღმერთს მსხვერპლი“. ბერი ადგა და მოხუცმა წარმოთქვა შემდგომი: „უფალო ღმერთო ჩვენო! ჩვენ შენი იმედი არა გვაქვს, ნუ ზრუნავ ჩვენთვის, ნუ მიაგებ შურს, ჩვენ თვითონ ყოველივეს დავიწყებთ და გავათავებთ“. გაიგონა რა ეს, ბერს თავზარი დაეცა და დავარდა მოხუცის ფერხთით. „არ მინდა, ჩხუბი ჩემს ძმასთან, – ცრემლმორეული ამბობდა ის, – „არ მინდა, შური ვიძიო მასზე“. შემდეგ მიიქცა ღვთისადმი და წარმოსთქვა: „ერთ არს შურისმგებელი უსამართლობისა! მომიტევე შეცოდებანი ჩემნი“; მოხუცმა განიხარა ბერის სინანულისა გამო და უთხრა მას: „დარწმუნებული იყავი, შვილო ჩემო, ვინც დაითმენს წყენას, უშრომლად ცხონდება, წინააღმდეგ ამისა, ვინც ურისხდება ძმასა თვისსა, ის ღუპავს ყოველივე თავის მოქმედებას და ემონება ეშმაკს.

ქრისტიანენო! შურისძიება იმ შეურაცხყოფისთვის, რომელთაც შეგამთხვევენ თქვენ მიანდეთ  უფალს; ის მიაგებს ყველას საქმეთაებრ მათთა; ხოლო თქვენი საქმეა – მიუტევოთ შეურაცხმყოფელს“.

მოამზადა
რევაზ ტომარაძე

# სტივენ ჯერარდი და ლუის სუარესი – ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელები

*წლევანდელი სეზონი „ლივერპულისთვის” ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან, უკანასკნელი მრავალი წლის განმავლობაში გუნდი ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, ხოლო მისი ლიდერები, სტივენ ჯერარდი და ლუის სუარესი, ისეთ სპორტულ ფორმაში იმყოფებიან, თითქოს თავიანთი კარიერის პიკს უახლოვდებიან.*

## სტივენ ჯერარდი

* დაიბადა 1980 წლის 30 მაისს მერსისაიდის საგრაფოში, ქალაქ უისტონში. 8 წლის ასაკში სტივენ ჯერარდი „ლივერპულის” სკაუტებმა შეამჩნიეს და „წითლების” აკადემიაში ჩარიცხეს. 1988 წელს სტივენი „ლივერპულის” ახალგაზრდული გუნდის წევრი გახდა, 1997 წელს მან პირველი პროფესიონალური კონტრაქტი გააფორმა კლუბთან, 2003 წლიდან კი ის „ლივერპულის” კაპიტანია.




* სტივენ ჯერარდის დებიუტი „ლივერპულის” ძირითად გუნდში 1998 წლის 29 ნოემბერს შედგა – მან ტრავმირებული ვეგარდ ჰეგემი შეცვალა „ბლექბერნთან” მატჩში.

* 2007 წელს სტივენ ჯერარდი დიდი ბრიტანეთის იმპერიის ორდენის წევრი გახდა.

* ჯერარდი მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ოთხ ფინალში აქვს გატანილი გოლი: ჩემპიონთა ლიგის, „უეფას” თასის, ინგლისის ლიგის თასისა და ინგლისის თასის ფინალებში.

* 2006 წელს გამოვიდა სტივენ ჯერარდის ავტობიოგრაფიული წიგნი: „ჯერარდი: ჩემი ისტორია”.

* სტივენ ჯერარდი მოდელ ალექს კურანზეა დაქორწინებული. წყვილს სამი ქალიშვილი ჰყავს: ლილი-ელა, ლექსი და ლურდესი.

* 2008 წელს „ნიუკასლთან” ანგარიშით 5:1 მოგებული მატჩის შემდეგ, ჩხუბში მონაწილეობის გამო, სტივენ ჯერარდი პოლიციამ დააკავა, მაგრამ, მალევე გაათავისუფლა. ფეხბურთელი სასამართლომ გაამართლა, თუმცა, ჯარიმის გადახდა მაინც მოუწია.

*1989 წლის 15 აპრილს, შეფილდში, „ჰილსბოროს” სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის დროს, როდესაც ჭყლეტაში 100-მდე ადამიანი დაიღუპა, გარდაცვლილთა შორის სტივენ ჯერარდის ბიძაშვილი იყო.

## ლუის სუარესი

* ლუის ალბერტო სუარესი არგენტინასთან მოსაზღვრე ურუგვაულ ქალაქ სალტოში დაიბადა 1987 წლის 24 იანვარს. სუარესების შვიდშვილიან ოჯახში ლუისი მეოთხე შვილი იყო. მისი დაბადებიდან მალევე, ოჯახი მონტევიდეოში გადავიდა საცხოვრებლად. მშობლების დაშორების შემდეგ ლუისს არ შეუწყვეტია მამასთან ურთიერთობა.

* 2003 წლიდან იგი „ნასიონალის” ბავშვთა აკადემიის კლუბში ირიცხებოდა, საიდანაც შემდგომ დიდ გუნდში მოხვდა. სუარესის ევროპული კარიერა ჰოლანდიური „გრონინგენით” დაიწყო, სადაც მას 800 ათასი ევრო შესთავაზეს. „აიაქსმა” იგი 7,5 მილიონ ევროდ იყიდა, ხოლო 2011 წელს „ლივერპულმა” სუარესში 26,5 მილიონი ევრო გადაიხადა.

* ლუის სუარესს წაწვეტებული ყურები აქვს და ამის გამო მას ვამპირს ადარებენ. ჰოლანდიაში თამაშის დროს სუარესი სწორედ ასეთი ყურების გამო იყო ცნობილი და მას სხვადასხვა სარეკლამო რგოლში იღებდნენ, მაგალითად, სასმენი აპარატების რეკლამაში.

* ლუის სუარესის მეუღლე მისი ბავშვობის დროინდელი სიყვარული – სოფია ბალბია, რომელთანაც ფეხბურთელს ორი შვილი ჰყავს: ქალიშვილი – დელფინა და ვაჟი – ბენჟამინი.

* 2009 წელს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი” და დონეცკის „შახტარი” ზღაპრულ კონტრაქტებს სთავაზობდნენ ლუის სუარესს, მაგრამ, უარი მიიღეს. „მე ჯილდოების მოგების სურვილი მაქვს და არა ფულით გატენილი ტომრების”, – განაცხადა მან.

# ევროპელი შეიხი შოპინგ-ტურის კონსულტანტ გოგონებს არჩევს

დუბაის ერთ-ერთი მდიდარი შეიხი ახლო მომავალში პარიზში, მადრიდში, იბიცაში, ლონდონში, სტოკჰოლმში, მილანსა და ვენეციაში აპირებს მოგზაურობას მოდური ტანსაცმლის საყიდლად. დასახმარებლად კი კონსულტანტი გოგონები სჭირდება. სწორედ ამ მიზნით გამოაცხადა ქასთინგი იტალიურმა კულტურულმა ორგანიზაციამ – DOC-მა.

შეიხის ევროტურის თანამგზავრად რამდენიმე გოგონა შეირჩევა. ისინი ყოველ ორ კვირაში შეიცვლებიან, თითოეული კი დღეში 100 ევროს მიიღებს. გოგონები შეიხთან ერთად იმგზავრებენ მაღალი კლასის კერძო თვითმფრინავით, იცხოვრებენ 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში და ისარგებლებენ ულიმიტო შოპინგით, თუმცა, ექნებათ თუ არა შეძენილის შინ წაღების უფლება, ეს ტურის დამთავრებისას გადაწყდება.

ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მხოლოდ „სერიოზული ანკეტის“ მქონე პრეტენდენტები განიხილებიან: ინგლისური ენის მცოდნე, განათლებული გოგონები აუცილებლად უნდა ერკვეოდნენ თანამედროვე სტილისა და მოდის საკითხებში; აი, მათ გარეგნობას კი, თითქოსდა, ყურადღება არც ექცევა, თუმცა, აუცილებელია, ანკეტაში შეიტანონ მონაცემები სიმაღლის, წონის შესახებ; წელისა და თეძოს გარშემოწერილობისა და მკერდის ზომები... რა თქმა უნდა, ფავორიტები მაინც მოდელის გარეგნობის გოგონები ხდებიან. ისინი, კი, თუნდაც პოლიგლოტები, ვინც საუკეთესო ცოდნით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს 12-სანტიმეტრიან ქუსლებზე მომხიბვლელად გავლა, კონკურსს დასაწყისშივე გამოეთიშნენ.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატთა უმრავლესობას აწუხებს კითხვა – ხომ არ ექნება შეიხს მათთან „უხამსი შეთავაზება“. კონკურსის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ასეთი რამ არ მოხდება – „შეიხს საკმარისი რაოდენობის ცოლი ჰყავს“. კანდიდატები კი თავს იმშვიდებენ: შეურაცხმყოფელი წინადადების ობიექტი რომ გახდე, სულაც არ არის საჭირო შეიხთან ერთად მოგზაურობა, ფულის სანაცვლოდ ინტიმური კავშირის შეთავაზება ყველას შეუძლია.

# დევიდ ბექჰემის ვისკი

ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი ვისკის წარმოებას იწყებს. ლონდონში გამართულ პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ ბიზნესპარტნიორ საიმონ ფულერთან ერთად ის შოტლანდიური ვისკის გამოშვებას აპირებს, რომლის სახელწოდება იქნება Haig Club. სასმელს შოტლანდიის უძველეს ქარხანაში ჩამოასხამენ, რომელსაც 400-წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს. ახალი ვისკის წარმოებით, დევიდ ბექჰემის თქმით, ძველი ტრადიციების შენარჩუნება და ვისკის სამყაროში ახალი სიტყვის თქმა იგეგმება. ცნობისთვის, ბექჰემის ვისკის სიძლიერე 32-50 გრადუსს შეადგენს.



# მაიკლ ჯორდანის რეკორდი მოიხსნა

„ოკლაჰომა სიტის” ფორვარდმა კევინ დიურანტმა ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის თითქმის 30-წლიანი რეკორდი დაამხო. 1986-87 წლების სეზონში ჯორდანმა ზეიდზედ 40 შეხვედრაში 25 ქულაზე მეტი დააგროვა, დიურანტმა კი ეს შედეგი გააუმჯობესა და 41 მატჩამდე გაზარდა. კევინ დიურანტი სწორედ იმ ერთადერთ კალათბურთელად სახელდება, რომელსაც ძალუძს, ჯორდანის კიდევ ერთი მიღწევა გააუმჯობესოს, ასოციაციის „სნაიპერს” ტიტულების რაოდენობით გაასწროს, რაც ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანს.




# ფერნანდო ალონსოს რუსი საცოლე

ესპანელი ავტომრბოლელი ფერნანდო ალონსო სამშობლოში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სასიძოდ ითვლება. 32 წლის პილოტს ზურგს უმაგრებს წარმატებული სპორტული კარიერა და მილიონობით დოლარის შემოსავალი, თუმცა, მისი გული უკვე დაკავებულია – ალონსოს რჩეული წარმოშობით ვლადივოსტოკელი რუსი ლამაზმანი დარია კაპუსტინაა. წყვილის რომანის შესახებ პირველად ფერნანდოს „ტვიტერში” განთავსებული ფოტოდან გახდა ცნობილი და მას შემდეგ დარიას პერსონით ესპანური ბულვარული პრესა მუდამ იჩენს ინტერესს. დარიას თქმით, გაცნობის მომენტში მან სულაც არ იცოდა, რომ ფერნანდო ცნობილი ავტომრბოლელი და „ფორმულა 1-ის” ვარსკვლავი იყო.



**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# „ფორბსის" 2014 წლის მილიარდერების ტოპ-ათეული

*2014 წლის რეიტინგში, რომელიც 3 მარტს გამოქვეყნდა, 1 645 ადამიანი მოხვდა, რომელთა ქონება ერთ მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატება. მილიარდერების საერთო კაპიტალი 6,4 ტრილიონ ამერიკულ დოლარს შედაგენს, რაც ერთი ტრილიონით მეტია გასულ წელთან შედარებით. ახალ რეიტინგში რეკორდულად ბევრი „ახალწვეულია" – 268 და მათ შორის – 42 ქალი. სულ კი მილიარდერთა რეიტინგში 172 ქალია, რაც, ასევე, სარეკორდო მაჩვენებელია. რეიტინგის ყველაზე მეტი წევრი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს – 492 მილიარდერი, 152 მილიარდერს კი ჩინეთის პასპორტი აქვს. წელს მილიარდერთა რეიტინგში დებიუტი აქვთ ალჟირელ, ლიტველ, ტანზანიელ და უგანდელ მილიარდერებს. პირველი ათეული კი ასე გამოიყურება.*

**ბილ გეითსი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 76 მილიარდი დოლარი; „მაიკროსოფტი"***

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, ბილ გეითსმა დაიბრუნა ლიდერობა მილიარდერთა რეიტინგში, სულ კი, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ის მეთხუთმეტედ უდგას სათავეში „ფორბსის" სიას.

**კარლოს სლიმ ელუ** ***(მექსიკა) – 72 მილიარდი დოლარი; ტელეკომუნიკაცია***

მექსიკელი მედიამაგნატის ოთხწლიანი ჰეგემონია დასრულდა, წინა წელთან შედარებით მისი კაპიტალი კი ერთი მილიარდი დოლარით შემცირდა.

**ამანსიო ორტეგა** ***(ესპანეთი) – 64 მილიარდი დოლარი; „ინდიტექსი"***

„ზარასა" და სხვა ცნობილი ბრენდების მფლობელი გასულ წელთან შედარებით 7 მილიარდით გამდიდრდა და ამჟამად ის ყველაზე მდიდარი ევროპელის სტატუსს ინარჩუნებს.

**უორენ ბაფეტი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 58,2 მილიარდი დოლარი; „ბერკშაირი"***

83 წლის „ომაჰელი ორაკული" კვლავ ფორმაშია და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინვესტორის ტიტულს ატარებს.

**ლარი ელისონი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 48 მილიარდი დოლარი - „ორაკლი"***

„სოფტ კორპორაციის" დამფუძნებელი და მფლობელი ლარი ელისონი 2013 წელთან შედარებით 7 მილიარდი დოლარით გამდიდრდა.

**ჩარლზ კოხი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 40 მილიარდი დოლარი; „კოხ ინდასტრისი"***

1967 წლიდან ჩარლზ კოხი სათავეში უდგას „კოხ ინდასტრისს" და ამ პერიოდის განმავლობაში კონგლომერატი მეგამომგებიან ბიზნესად ყალიბდება, რაც მისი მფლობელის კაპიტალზე აისახება.

**დევიდ კოხი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 40 მილიარდი დოლარი; „კოხ ინდასტრისი"***

ძმასთან, ჩარლზთან ერთად, დევიდ კოხი მსოფლიოში ყველაზე მდიდარ საოჯახო კომპანიას ხელმძღვანელობს.

**შელდონ ადელსონი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 38 მილიარდი დოლარი; სათამაშო ბიზნესი***

ამერიკელი მილიარდერი 2013 წელს დღეღამეში 32 მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა. 2007 წლიდან ის ტოპ-ათეულის უცვლელი წევრია.

**კრისტი უოლტონი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 36,7 მილიარდი დოლარი; „უოლ-მარტი"***

კრისტი უოლტონი მსოფლიოს უმდიდრესი ქალია. წელს მან „ლორეალის" მფლობელის, ლილიან ბეტანკურის ჰეგემონია დაამხო.

**ჯიმ უოლტონი** ***(ამერიკის შეერთებული შტატები) – 34,7 მილიარდი დოლარი; „უოლ-მარტი"***

ჯიმ უოლტონი „უოლ-მარტის" სუპერმარკეტების ქსელის დამაარსებლის, სემ უოლტონის უმცროსი ვაჟია, რომელიც მეათე პოზიციას ამერიკის „ფორბსის" რეიტინგში.

# მხოლოდ ფაქტები

* ბრუნელესკის პროექტით აგებული ტაძრის – ფლორენციის სანტა-მარია დელ ფიორეს სახურავი თავის დროზე იმდენად ინოვაციური იყო, რომ ქალაქის ხელისუფლებას დიდი ხნის განმავლობაში ეშინოდა ფრინველებს – ჩამოვარდნილ მტრედს ან ყვავს, მთელი კონსტრუქცია არ დაენგრიათ.

* პეტერბურგში სულ 312 ხიდია.

* ჰალსტუხ „პეპელას" ერთ-ერთ ნაირსახეობას „ღამურა" ჰქვია. სწორედ ის უკეთია მსახიობ ჯორჯ ქლუნს ფილმში, სადაც ის ბეტმენის როლს ასრულებს.

* შექსპირის „ოტელოს" ლუკ პერსევალისეურ დადგმის, კულმინაციური სცენის დასაწყისში მთავარი გმირი, ოტელო, ცხვირში „ასრუტუნებს", რათა უფრო დამაჯერებელი გახადოს მოთხოვნა, რომ მას ცხვირსახოცი სჭირდება.

* 1994 წელს, ღამით, ნორტრიჯის მიწისძვრის გამო, ლოს-ანჯელესში გარკვეული ხნით გაითიშა დენი და, შესაბამისად, ყველგან ჩაქრა შუქი. მცხოვრებლები, რომლებსაც რეკლამებით გაჩახჩახებული ქალაქიდან ვარსკვლავებიანი ცა არასდროს ენახათ, საშინლად შეაშინა „ცაზე ჩამოკიდებულმა მოციმციმე ობიექტებმა".

* გრინვიჩის სამეფო ობსერვატორია არა მარტო ნულოვან მერიდიანზე მდებარეობს, მისი ტელეფონის ნომრებიც ნულებისგან შედგება – 000.

* კინოგაქირავების პრიზებით დაჯილდოების ისტორიაში ერთადერთი „ოსკარი" საუკეთესო ტიტრების შექმნისთვის 1929 წელს გადაეცა ჯოზეფ ფარნემს, ფილმისთვის – „შთამბეჭდავი მსოფლიო". წარწერები ფეხბურთის მოედნის ნახაზზე მოთამაშეთა კომბინაციით იყო განლაგებული. მას შემდეგ ასეთი ნომინაცია აღარ ყოფილა – ტიტრების შემქმნელები რიგით რედაქტორებად ჩათვალეს.

* „მაკინტოში" არა მარტო კომპიუტერი და ტანსაცმელია, არამედ, ვაშლის ჯიშიც.

* 1992 წელს, სლავური კულტურისა და დამწერლობის დღესასწაულის ფარგლებში, მოსკოვში აღმართეს კირილესა და მეთოდეს ძეგლი, რომელზე გაკეთებულ წარწერაშიც ლინგვისტებმა 5 ორთოგრაფიული შეცდომა აღმოაჩინეს. მათ შორის: რუსული „и"-ს ნაცვლად – і უნდა ყოფილიყო, „о"-ს ნაცვლად კი – ომეგა.

* დალმატინელებს შუა საუკუნეებში „მჭედლებისა და მკითხავების ძაღლს," ან, „ბნელის დამმარცხებელ ძაღლს" ეძახდნენ.

* „ტანკა" იაპონურად „პატარა არიას ნიშნავს".

* გამოგონების თვალსაზრისით, ვესტინჰაუზი ცოტად თუ ჩამორჩება ედისონს, თუმცა, ის ძირითადად მუხრუჭის გამოგონებითაა ცნობილი.

# რიჩარდ ნიქსონი – პირველი ადამიანი მსოფლიოში, რომელმაც მთვარეზე ტელეფონით დარეკა

*რიჩარდ მილჰაუზ ნიქსონი ერთადერთი პრეზიდენტია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელიც ვადაზე ადრე გადადგა თანამდებობიდან. რიგით 37-ე პრეზიდენტი პირველია ამერიკის პრეზიდენტებს შორის, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თბილისში, თუმცა, უკვე თანამდებობიდან გადადგომის შემდგომ, 1990-იანი წლების დასაწყისში. ფაქტები მისი ცხოვრებიდან მუდამ იწვევს საზოგადოების ინტერესს.*

* რიჩარდ ნიქსონს სახელი ინგლისის მეფის, რიჩარდ ლომგულის პატივსაცემად დაარქვეს, ასევე ინგლისის მეფეების სახელები ერქვათ მის ოთხ ძმას.



* ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში დასხდნენ ამერიკელი ასტრონავტები მთვარეზე. იგი, ასევე, პირველი ადამიანია მსოფლიოში, რომელმაც განახორციელა სატელეფონო ზარი დედამიწიდან მთვარეზე – 1969 წლის 21 ივლისს ნიქსონმა „აპოლონ 11-ის" ეკიპაჟს დაურეკა.

* 1969 წელს რიჩარდ ნიქსონმა თავისებურად დაიწყო ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულებთან – მან ბრუნვიდან დიდი ნომინალის კუპიურები ამოიღო.

* რიჩარდ ნიქსონს საინტერესო კულინარიული გემოვნება ჰქონდა – მას კეტჩუპიანი ხაჭო უყვარდა.

* პოლიტიკური შეხვედრების დასრულების შემდეგ, სუვენირების სახით, რიჩარდ ნიქსონი კოლეგებს გოლფის ბურთებს ურიგებდა თავისი ავტოგრაფით.

* ფრანკლინ რუზველტის შემდეგ ნიქსონი ამერიკის მეორე პრეზიდენტია, რომელიც ვიზიტით იყო ჩასული საბჭოთა კავშირში. შეხვედრის დროს ნიქსონმა ლეონიდ ბრეჟნევს ელექტრონული საათი აჩუქა. ამერიკელი სტუმრის წასვლის შემდეგ ბრეჟნევმა შესაბამის სტრუქტურებს უბრძანა მსგავსი საათების წარმოება დაეწყოთ.

* რიჩარდ ნიქსონს მოგზაურობა უყვარდა. ის ამერიკის ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც 50-ივე შტატში იყო სტუმრად ჩასული.

* რიჩარდ ნიქსონი „უოტერგეიტის სკანდალის" გამო გადადგა: 1972 წელს ვაშინგტონში, კოპლექს „უოტერგეიტში" 5 ადამიანი დააკავეს, რომლებიც მოსასმენ აპარატურას ამონტაჟებდნენ დემოკრატიული პარტიის შტაბის მოსასმენად. რიჩარდ ნიქსონი მოსასმენი აპარატურის დამონტაჟების ინიციატორად დასახელდა და ამიტომ იძულებული გახდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძე**



## რომელი ვიტამინები გვჭირდება კარიესისგან კბილების დასაცავად

კარიესი კბილის მაგარი ქსოვილის ანუ მინანქრისა და დენტის დაავადებაა. დროთა განმავლობაში ქსოვილი თანდათან კარგავს გამძლეობას, იშლება და, კბილში ჩნდება ღრმულები. კარიესის პროვოცირებას იწვევს კარიესოგენური ფაქტორები, კერძოდ კი:

კბილის ქსოვილის განვითარების გენეტიკური დეფექტი;

სუსტი, დაქვეითებული იმუნიტეტი;

ღრძილების ანთება;

საკვებ რაციონში ცილების, მიკრო და მაკროელემენტების, ვიტამინების დეფიციტი და ნახშირწყლების დიდი რაოდენობა;

პირის ღრუს ჰიგიენის არასწორი დაცვა;

ნერწყვის გამოყოფის დარღვევა;

ორგანიზმში სისხლძარღვოვანი და ნერვული ბოჭკოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

კარიესოგენური ფაქტორების ზემოქმედებით წარმოიქმნება კბილის ქვები, სადაც იბუდებენ მიკრობები და გლუკოზისგან რძემჟავას წარმოქმნიან. ეს მჟავა მინანქარს შლის და იწყება კარიესული პროცესი, რაც შემდეგ თანდათან ვითარდება.

ნერწყვში შაქარი რძის მჟავას შემცველობას ზრდის. ამიტომ, კარგია ის ზომიერად მიიღოთ. შოკოლადი კი თამამად ჭამეთ, რადგან ის შეიცავს ფტორს, რომელიც ამაგრებს მინანქარს; თეობრომინს, რომელიც ასტიმულირებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებს და სხვა ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც სისხლში ენდორფინს ანუ სიხარულისა და ბედნიერების ჰორმონების გამოყოფას უწყობს ხელს.

კარიესის პროფილაქტიკისთვის დღის განმავლობაში სვით ბევრი სითხე, იქნება ეს მინერალური წყალი თუ უშაქრო მწვანე ჩაი, ამით ნერწყვის გამოყოფა რეგულირდება. ასევე, ეცადეთ, რაციონი გაამდიდროთ A, B, C, D და E ვიტამინებით, რომლებსაც ახალი ხილი და ბოსტნეული შეიცავს, ასევე, მიკროელემენტებით, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ნიგოზი და თხილი. ფტორის შენაერთითა და კალციუმით კი რძის ნაწარმი მოგამარაგებთ. აგრეთვე, კარგი იქნება, თუ შაქარს ნატურალური თაფლით ჩაანაცვლებთ.

ჭამის შემდეგ პირში გამოივლეთ ანადუღარი წყალი ან სამი წუთის განმავლობაში ღეჭეთ საღეჭი რეზინი. გაითვალისწინეთ, რომ საღეჭი რეზინის დიდხანს ღეჭვა კბილის მინანქარს აზიანებს. კბილები გაიხეხეთ დღეში ორჯერ – დილით და საღამოს. ღრძილები რომ არ დაგიზიანდეთ, რბილი ჯაგრისი შეარჩიეთ.

კბილის პასტის შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ მის შემადგენლობას – ის უნდა შეიცავდეს ფტორის ნაერთებს, ვიტამინებს, სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტებს, ფერმენტებს, მიკროელემენტებს, მინერალურ მარილებს, თუთიის ნაერთსა და კალციუმს.

## გამოდევნეთ ორგანიზმიდან მავნე ქოლესტერინი

ვიტამინები სიცოცხლისა და ნორმალური განვითარებისთვის არის აუცილებელი. ისინი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად, ესენია: ცხიმდამშლელი – A, D, E, K და, წყალდამშლელი – B და C ვიტამინები, ფოლიუმის მჟავა და სხვა.

პირველი ჯგუფის ვიტამინები თვითონ გროვდება ორგანიზმში, მეორე ჯგუფის შევსება კი აუცილებელია, რადგან, ამ ნივთიერებების უკმარისობამ, შეიძლება, სერიოზული გართულებები გამოიწვიოს ჯანმრთელობის მხრივ. ვიტამინებზე მოთხოვნა განსაკუთრებით იზრდება ბავშვობის, მოხუცებულობის, ფეხმძიმობისა და ლაქტაციის პერიოდში.

ავიტამინოზის თავიდან ასაცილებლად წლის ნებისმიერ დროს უნდა ჭამოთ რაც შეიძლება ბევრი ხილი და ბოსტნეული.

C ვიტამინი აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, ასევე, იცავს ორგანიზმს ინფექციებისგან. მას დიდი რაოდენობით შეიცავს კომბოსტოს მწნილი, ციტრუსები, ჭარხალი და სტაფილო.

საჭმლის მომზადების პროცესში ბოსტნეულში არსებული სასარგებლო ნივთიერებები რომ არ გაქრეს, ბოსტნეულის პროდუქტი მოამზადეთ ორთქლზე, ცოცხალი ბოსტნეულის კერძებს კი მარილი, მაიონეზი ან სანებელი დაამატეთ სუფრაზე მიტანის წინ.

რაც უფრო ცოტა ხანს შეინახავთ მზა კერძს, მით უკეთესია, რადგან ასე მასში მეტი სასარგებლო ნივთიერება რჩება.

ადამიანის ორგანიზმი ვიტამინების უკმარისობის გამო სუსტდება, აგრეთვე, ქვეითდება იმუნიტეტი, მადა, იგრძნობა ადვილად დაღლა, აგზნება, გუნების გაუარესება. მზესუმზირის ზეთით, ნივრითა და ქერით დამზადებული „კერძის“ ხალხური რეცეპტი დაგეხმარებათ, ადვილად აიცილოთ თავიდან ავიტამინოზი: 1/2 ლიტრ მზესუმზირის ზეთს ჩაამატეთ 300 გრამი გატარებული ნიორი და დადგით ბნელ და გრილ ადგილას ერთი ღამის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ 200 გრამი ახლადდაფქული ქერი და კარგად ამოურიეთ. შეინახეთ მაცივარში და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ერთი თვის განმავლობაში. ეს წელიწადში ერთხელ უნდა გააკეთოთ. მზესუმზირის ზეთი და ქერი ორგანიზმიდან გამოდევნის უვარგის ქოლესტერინს, რაც გაჯანსაღებას უწყობს ხელს. მავნე ქოლესტერინის გამოდევნა ორგანიზმიდან, ასევე, აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. ქერი შეიცავს მცენარეული ცილის უჯრედისს, მაგნიუმს, სელენს, ფოსფორსა და სპილენძს; ნიორი კი – ეთერზეთებს, რომლებიც აქტიურად ებრძვის და ანადგურებს ბაქტერიებსა და ვირუსებს.

## ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებას ადვილად შეიტყობთ, თუ თქვენს თავს ღამით კარგად დააკვირდებით

კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებისას ავადმყოფს მუცლის არეში სიმძიმის შეგრძნება აღენიშნება. ამ დროს ხდება ნაღვლის ამოფრქვევა და წვავს ლორწოვან გარსს, რამაც, შეიძლება, კიბოს დაავადებაც კი განავითაროს.

ჭამის შემდეგ ნუ დაწვებით ზურგზე, რადგან ამ დროს ხდება დაწოლა თორმეტგოჯა ნაწლავზე, საკვები და ნაღველი ამოიფრქვევა და მთელ ტრაქტზე განიბნევა, ეს კი ლორწოვანი გარსის ანთებას იწვევს.

საერთოდ კი, უმჯობესია, ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ დაწვეთ.

კუჭის წყლულის, კოლიტისა და ბრონქიტის დროს შემდეგი ნაყენი გიშველით:

1 სადილის კოვზ წვრილად დაჭრილ ნედლ მრავალძარღვას (ან აფთიაქში ნაყიდ გამხმარ ფოთოლს) დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, შეფუთეთ და აცადეთ გაცივება. შემდეგ გადაწურეთ და ეს ნაყენი დალიეთ 1 ჩაის კოვზი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

თირკმელი ქვიშებისა და პატარა კენჭებისგან გაიწმინდება, თუ ორი დღის განმავლობაში, ყოველ ორ საათში ერთხელ, დალევთ სელის თესლის ნახარშს: 1 ჩაის კოვზ სელის თესლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და დაამატეთ ცოტა ლიმონის წვენი. ეს ნაყენი გამოდევნის პროცესს ერთიორად დააჩქარებს.

რაც შეეხება ღვიძლს, ის შედარებით აქტიურია ღამის საათებში. ამიტომ, უძილობის პრობლემები სწორედ ამ დროს იწყება.

სასწრაფოდ მიაქციეთ ყურადღება ღვიძლს, თუ ღამით შინაგან დაძაბულობას ან შიშს გრძნობთ, დილით კი უმიზეზო თავბრუხვევა ან თავის გამჭოლი ტკივილი გაწუხებთ.

ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს უძილობა თქვენი მუდმივი თანამგზავრი შეიძლება გახდეს, დილით კი, შესაძლოა, ჰაერის უკმარისობა გქონდეთ.

## რატომ უნდა დალიოთ ყოველდღე რძე

თავისი შემადგენლობით რძე უნიკალუ-

# ექიმის რჩევები

რი პროდუქტია. არც ერთ სხვა პროდუქტში არ არის ამინომჟავების ასეთი ნაკრები, ცხიმმჟავათა და რძის შაქრის ასეთი კომპლექსი.

რძე შეიცავს: კობალტს, რკინას, სპილენძს, B, C და P ჯგუფის ვიტამინებს; ის, ასევე, შეიცავს ნახშირწყლებს, ცხიმებს, სრულფასოვან ცილებს და ხელს უწყობს ინფექციებთან ბრძოლას.

რძის გადამუშავებას ძალიან ცოტა კუჭის წვენი სჭირდება. რძე აღვიძებს მადას და მის შესათვისებლად ორგანიზმი ძალას არ ხარჯავს. რძის პროდუქტები შეიცავს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო აბსოლუტურად ყველა საკვებ ნივთიერებას.

რძის ცილა ხორცის ცილაზე უფრო სასარგებლოა. რძეს, მაწონსა და ხაჭოს დიდი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულთა კვებაში.

ცხიმგამოცლილ რძეში თითქმის არ არის ქოლესტერინი. თითქმის არ არსებობს ისეთი დაავადება, რომლის დროსაც ავადმყოფს რძის ნაწარმის მიღება ეკრძალება.

ჯანმრთელმა ზრდასრულმა ადამიანმა დღიურად უნდა მიიღოს დაახლოებით 400 მილილიტრი რძე, ხოლო ბავშვებმა – 250 მილილიტრი.

### რატომ არის იმუნიტეტის დაქვეითება საშიში

იმუნიტეტი ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობაა გარე და შიდა გამაღიზიანებლების მიმართ. როდესაც ადამიანი ადვილად ცივდება, ხშირად ავადმყოფობს სხვადასხვა ინფექციური დაავადებით, სწორედ მასზე ამბობენ, სუსტი იმუნიტეტი აქვსო.

ადამიანის იმუნური სისტემის მდგომარეობის განსაზღვრა ლაბორატორიული მეთოდებით ადვილია. ეს ხდება სისხლის საერთო ანალიზის გამოკვლევით.

იმუნურ პროცესებზე პასუხს აგებს ლიმფოციტები და მონოციტები. ამ უჯრედების რაოდენობის საგრძნობი მატება, ანუ, როცა ლიმფოციტები დაახლოებით ორმოც პროცენტს აღემატება, მონოციტები კი ათთხუთმეტ პროცენტზე მეტია, იმუნური სისტემის გადაძაბვაზე – ორგანიზმის ინფექციასთან ბრძოლის პროცესზე მეტყველებს. მაგრამ, თუ ლიმფოციტების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ეს იმუნიტეტის დაქვეითების მაჩვენებელია.

ასევე, სისხლში არსებობს სპეციალური იმუნოკომპეტენტური ცილები ანუ იმუნოგლობულინები, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელიც იმუნიტეტის მდგომარეობაზე მიუთითებს.

ადამიანი რომ მხნედ, ჯანმრთელად და შრომისუნარიანად გამოიყურებოდეს, აუცილებელია, მისი იმუნიტეტი გარკვეული პროცენტით აკმაყოფილებდეს საერთო ნორმებს.

### შეშუპების დროს ვაშლი უებარი ხილია

ვაშლი მდიდარია ორგანული მჟავებით, რკინითა და ვიტამინებით. ის საუკეთესო დიეტური პროდუქტია. მასში არსებული ორგანული მჟავები ხელს უწყობს ნაწლავებში მიკროფლორის გაუმჯობესებას, ხოლო ნორმალური ბიოლოგიური მიკროფლორა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზმის მყარი იმუნური სისტემის შენარჩუნებას.

ვაშლი ამცირებს ნაწლავებში დუღილისა და ლპობის პროცესს. ის კარგი შარდმდენი საშუალებაცაა. სასარგებლოა შეშუპების, დიათეზის, ნიკრისის ქარის დროს. ვაშლი დიდი რაოდენობით შეიცავს ფრუქტოზას. ის დიეტური ხილია, მის ზოგიერთ სახეობას არ აქვს უკუჩვენება შაქრიანი დიაბეტის დროს.



ორგანიზმის შეშუპების შემთხვევაში, კარგია შემდეგი სახის ნაყენის მომზადება: გახეხეთ ერთი ვაშლი და გაწურეთ მარლაში. მიღებულ სითხეს დაამატეთ იმდენივე რაოდენობის წყალი და დაახლოებით 5-6 გრამი სტაფილოს დაჩეჩქვილი თესლი. მიიღეთ დილით, რადგან საღამოს მისი მიღება გახშირებულ შარდვასაც გამოიწვევს. ასევე, შარდმდენი თვისებების გამო, მისი ხშირად გამოყენება სასურველი არ არის. რეკომენდებულია მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**კითხვა: ვარ 36 წლის. მაქვს ასეთი პრობლემა: ხელის და ფეხის (ფეხის უფრო მეტად) გულები გამომშრალი და გაუხეშებული მაქვს, თანაც მოყვითალო ფერი დაჰკრავს. არ მაქვს ქავილი და რაიმე სახის შემაწუხებელი სიმპტომი. გთხოვთ მიპასუხოთ, რა შეიძლება, მქონდეს?**

**პასუხი:** ხელისა და ფეხის გულების კანის გაუხეშება და დახეთქვა შეიძლება, უკავშირდებოდეს სხვადასხვა მიზეზს და იყოს: კანის სოკოვანი პათოლოგია, ბაქტერიული ან პარაზიტული დაავადებები, ალერგიული პროცესი, ეგზემა, ფსორიაზი, კონტაქტური დერმატიტი, სისტემური დაავადება (წითელი მგლურა), ცილების, ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტი ორგანიზმში. უნდა მიმართოთ დერმატოლოგს მიზეზის დასადგენად.

**კითხვა: არის თუ არა შანსი, რომ აცრილი კატის დაკაწვრის შედეგად განვითარდეს ცოფი? რა სტადიაზეა ცოფი განკურნებადი?**

**პასუხი:** აცრილი კატიდან დაავადება არ ვითარდება. ისე, ცოფით დაავადების შემთხვევაში, პროგნოზი ლეტალურია.

**კითხვა: ვარ დიეტაზე: საკვებიდან ამოვიღე ცხოველური ცხიმი, ცომეული და ტკბილეული. უშაქრო დიეტა სტრესში მაგდებს. დასაშვებია თუ არა შაქრის მაგივრად ფრუქტოზის შემცველი ტკბილეულის მიღება?**

**პასუხი:** შეუზღუდავად არ შეგიძლიათ. ფრუქტოზა არის ხილის ნატურალური შაქარი, რომელსაც შეიცავს ხილი და კენკროვნები, ასევე ყვავილების ნექტარი, თაფლი. დიდი რაოდენობით ფრუქტოზის მიღებამ (დღელამურ ნორმაზე 20 პროცენტით მეტმა) შეიძლება გაზარდოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი. დღე-ღამური ნორმაა: არაუმეტეს 30-40 გრამი ფრუქტოზა.

**კითხვა: რა იწვევს ყურის ნიჟარის ტკივილს?**

**პასუხი:** საკუთრივ ყურის ნიჟარის ტკივილის მიზეზი, შეიძლება იყოს ტრავმა (დამწვრობა, მოყინვა), პერიქონდრიტი (ხრტილის და მისი გარემომცველი რბილი ქსოვილების ანთება), ნიჟარისა და გარეთა სასმენი მილის სიმსივნე და ინფიცირებული კისტა. კონკრეტული მიზეზის დადგენა მოითხოვს ექიმთან ვიზიტს.

**კითხვა: გულის მხარეს ხშირად მიბუჟდება იღლია და მკლავის მიდამოები. რისი ბრალი შეიძლება იყოს? კარდიოგრამაზე ცვლილებები არ არის.**

**პასუხი:** თუ კარდიოლოგიური პრობლემები გამორიცხულია, ამ შემთხვევაში, უნდა მიმართოთ ორთოპედ-ვერტებროლოგს და ჩაიტაროთ ხერხემლის სვეტის გამოკვლევა.

**კითხვა: მაინტერესებს, როდესაც ბავშვს აქვს რევმატიზმით გამოწვეული წიკები, ექნება თუ არა ავადმყოფს კუნთების ტკივილი და დაბალი სიცხეები? ან საერთოდ, სხვა რა სიმპტომებით ხასიათდება ეს დაავადება?**

**პასუხი:** წიკები კი არ არის კუნთების ტკივილისა და სუბფებრილიტეტის (38 გრადუსამდე) მიზეზი, არამედ რევმატიზმი. რევმატიზმის დროს აღინიშნება სუბფებრილური ტემპერატურა, მსხვილი სახსრების ტკივილი (ართრალგია) და კარდიტის სურათი. ასეთ დროს აუცილებელია მიმართოთ ექიმ-რევმატოლოგს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რა ოინი მოუწყო კოტე მახარაძეს და სოფიკო ჭიაურელს ვერიკო ანჯაფარიძემ

„ჩვენ იძულებულნი ვართ, ხშირად კი ვალდებულნი, ვიცხოვროთ ობიექტურად არსებულ გარემოში, თამაშის იმ წესის მიხედვით, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგება, შეესატყვისება და შეეფერება არსებულ სინამდვილეს. თამაშის ის წესი კი, რომელიც ცხოვრებამ მე შემომთავაზა, დამიდგინა ან შეიძლება, გაიმეტა ჩემთვის, ასეთი იყო: დავიბადე თბილისში, როგორც ხედავთ, ამქვეყნად მოვლინების პირველივე ნაბიჯი საოცრად იღბლიანი გამოდგა, უკეთეს ვარიანტს ვერც ინატრებს კაცი და არც მინატრია. ქართველი ვარ, ეს ოცნების მაქსიმუმია. კვაჭი კვაჭანტირაძისა არ იყოს – მამით გურული, დედით მეგრელი. ესეც განგების დადგენილია. დავიბადე და გავიზარდე თბილისის, შეიძლება ითქვას, ელდორადოს ცენტრში – რუსთაველის მოედანზე, ადრე „ზემელს” რომ უწოდებდნენ რომელიღაც გერმანელი პროვიზორის საპატივცემულოდ... ” კოტე მახარაძე – ძნელია მასზე ისაუბრო, არც იცი, საიდან დაიწყო. თბილისში ის ყველას უყვარდა იმ ადამიანური ღირსებების გამო, ამქვეყნად რითაც იცხოვრა და სწორედ თბილისმა შემოინახა მისი განვლილი ცხოვრების გზა. ჩვენ მისი დღიურებიდან იმ ნაწილს გთავაზობთ, მის პირად ცხოვრებას, საყვარელი ქალს რომ ეხება...



ერთხელ, საკმაოდ ცხარე კამათის დროს თემაზე – არა, სოფიკო ასეთია, არა ისეთიაო, ვერიკომ ხელი მაღლა შემართა, მოკამათენი გააჩუმა და ამაყად განაცხადა: სოფიკოს ნუ მასწავლით, ჩემზე უკეთ ვინ იცის ასეთია თუ ისეთი ჩემი ქალიშვილიო. ჩემთვის ჩუმად ვიჯექი მაგიდის კუთხეში და გუნებაში მეცინებოდა, ეს ბრძენი ქალი როგორ ცდება-მეთქი. ჩემთვის რომ დაესვათ იგივე შეკითხვა: როგორია სოფიკო ჭიაურელი? წყნარად ვუპასუხებდი: ღმერთმა უწყის... თუმცა, მგონი, მან უწყის როგორია ეს სირთულეებისა და ათასგვარი ნაირფერადი წახნაგებით ნაქსოვ-ნაგები ქალბატონი. თუ ვინმე სხვა აზრის ბრძანდებით, დამდეთ პატივი და მეც ამიხსენით: როგორია სოფიკო?..

ყველას ჰგონია, რომ სოფიკოს ბავშობიდან ვიცნობ. არც ვიცოდი, ვერიკო ანჯაფარიძეს ქალიშვილი თუ ჰყავდა. ერთხელ რეზო ჩხეიძე შემხვდა, ვკითხე, რას აკეთებ-მეთქი და „ჩვენი ეზო“ უნდა გადავიღო, ვერიკოს ქალიშვილი მოვიწვიოო, მითხრა. მოვკვდი სიცილით. გაგიჟდა რეზო, შენ თბილისში არ ცხოვრობო? ვიჩხუბეთ, ეგონა, დავცინე. აი, ასე გავიგე სოფიკოს არსებობა. „ბაფთიანი გოგონა” რომ ითამაშა, ძალიან მომეწონა. ვერიკოს ვუთხარი, ეს რა გოგო გყოლიათ, რა მსახიობი-მეთქი. მიდი და შენ უთხარიო. მივედი, ვაკოცე, მივულოცე და გავიცანი. ერთად რამდენი წელიწადი ვიმუშავეთ მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ ფიქრადაც არაფერი მომსვლია. ვერიკოს და მიშა ჭიაურელის შვილზე, მე – ბიბლიოთეკის გამგისა და რიგითი ეკონომისტის შვილს, თეორიულადაც კი არ შემეძლო ფიქრი. ერთი პერიოდი სოფიკო რუსთაველის თეატრში წავიდა, მარჯანიშვილში რომ დაბრუნდა, აი, მაშინ დაიწყო რაღაც სხვა. საერთოდაც, ვერიკოს „ბრალია” ყველაფერი. „ურიელ აკოსტა” აღადგინა, ურიელი მე ვითამაშე, ივდითი – სოფიკომ. ჰოდა, ერთხელ გავბრაზდი რეპეტიციაზე, ვერიკო ზუსტად ისე გვთხოვდა, გვაკეთებინებდა, როგორც კოტე მარჯანიშვილმა დადგა. მეც ავდექი და ლექსი დავწერე. „ვერას დააკლებს ჭია ურიელს, თუმცა გულს უღრღნის ჭია ურიელს, ეს შეეხება ანჯაფარიძეს განსაკუთრებით კი – ჭიაურელს!” გადაირია სოფიკო, რას ნიშნავსო. მეც ვუთხარი, იმას ნიშნავს, რასაც ნიშნავს-მეთქი. იცით, სოფიკოსი მეშინია, კი არ მერიდება, არა, სწორედ მეშინია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გამლახავს, იმიტომ რომ მართალი იქნება. მოსკოვში წავედით გასტროლებზე. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მე და სოფიკო ერთად უნდა ვიყოთ, მორჩა და გათავდა... „რუსკაია სკაზკაში” ვივახშმეთ მეგობრებთან ერთად. იქიდან გამოვედით და გაჯიუტდა. სხვა გზა აღარ მქონდა, შენთან მაინც არაფერი გამომივა ცხოვრებაში-მეთქი და უზარმაზარ თოვლიან ხრამში გადავეშვი. წამებში მოხდა ყევლაფერი. ვიდრე დავეცემოდი, დავინახე, როგორ აიკაპიწა ქურქი და ისიც გადმოეშვა. მოკლედ, გადავრჩით. არადა, სად ვიცხოვრებდით?! ისეთი რამეები გამიკეთებია მისთვის... 37 წლის რომ გახდა სოფიკო, ორი დღის გამოჩეკილი 37 წიწილა მივგვარე, რამდენიმე წლის წინ პატარა ჩოკინა მივუყვანე ყვითელი შლაპითა და წითელი ბაფთით. პურ-მარილი ჩაიშალა. ისეთი ამბავი იყო, თან ფეხი უსრიალებდა პარკეტზე, ახლა ყროყინი რომ დაიწყო... მერე ისე მიეჩვია... ჩვენი სახელების პირველი ორი ასო ავიღეთ და კოსო დავარქვით. რომ წამოიზარდა, ზოოპარკს ვაჩუქეთ. დათვის ბელ-









# ოზონოთერაპია ფსორიაზის დროს მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა

*მართალია ფსორიაზი, კანის ქრონიკული დაავადებაა, თუმცა ოზონოთერაპიას შესწევს ძალა, ორგანიზმში არსებული პარაზიტების თითქმის 90 პროცენტი გაანადგუროს. „აინო" – ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკაა, რომელიც თბილისში, მცხეთის ქ. 8/90-ში მდებარეობს და იქ მომუშავე კვალიფიციური ექიმები არაერთ ადამიანს დახმარებიან. ამ თემასთან დაკავშირებით, ჩვენი სტუმარია კლინიკის ექიმი* ***ადა მჭედლიძე.***



**– ფსორიაზი უამრავი ადამიანის პრობლემაა. ისინი სულ ჩივიან, რომ მკურნალობის გზით სამუდამოდ ვერ თავისუფლდებიან მისგან. ოზონოთერაპიას თუ აქვს მის დასამარცხებლად საკმარისი ძალა?**

– ფსორიაზი უცნობი ეტიოლოგიის კანის ქრონიკული დაავადებაა. ნებისმიერი გარეგანი სამკურნალო საშუალება არაეფექტურია და დაავადება ისევ იჩენს თავს. ერთ-ერთი ვერსიით, ფსორიაზი შეიძლება, გამოწვეული იყოს კანის პარაზიტით – ფილარიებით. ამიტომ, ანტიპარაზიტული მკურნალობის ჩატარება სასურველია, რაც ჩვენს კლინიკაში ოზონირებული ზეთით ხდება. ლუგოლის ხსნარისა და ოზონირებული ზეთის გამოყენებით შესაძლებელია, ორგანიზმში არსებული პარაზიტების თითქმის 90%-ს განადგურება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საჭმლის მომნელებელი სისტემის გამართული მუშაობა. კერძოდ, ოზონის რექტალური ინსუფლაცია ამ პრობლემასაც აგვარებს. ოზონოთერაპიის გამოყენება შესაძლებელს ხდის, მივაღწიოთ სრულ რემისიას ფსორიაზიან პაციენტებში. ამისთვის საჭიროა, სისხლში მოხვდეს ოზონი.

ოზონი გაზია და ამიტომ, ინტრავენური გადასხმისთვის გამოიყენება ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარი, ან ხდება პაციენტის საკუთარი სისხლის დამუშავება ოზონით (დიდი აუტოჰემოთერაპია). ოზონოთერაპიით უმჯობესდება სისხლის დენადობა, იხსნება ჟანგბადის დეფიციტი უჯრედებში და ქსოვილებში. ოზონი ჟანგავს და სისხლიდან გამოაქვს ნებისმიერი პარაზიტი – ვირუსი, ბაქტერია თუ სოკო. ფსორიაზის გამწვავების სტადიაში ოზონოთერაპიის ეფექტი უფრო შესამჩნევია.

**ინტრავენურ ოზონოთერაპიას თან ახლავს გამაჯანსაღებელი ეფექტი. სისხლში ნადგურდება ნებისმიერი დაავადების გამომწვევი პარაზიტი, ძლიერდება ყველა ორგანოს სისხლით მომარაგება, ასევე, იმუნიტეტი**

**– ეფექტი რამდენ ხანში იჩენს თავს?**

– 2-3 პროცედურის შემდეგ გამონაყარი კანზე სწრაფად მცირდება, უმჯობესდება კანის ფერი და ელასტიკურობა.

**– გვერდითი მოვლენები თუ იჩენს თავს ამ სახის ოზონოთერაპიით მკურნალობის დროს?**

– ოზონოთერაპიით მიიღწევა მყარი რემისია ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ოზონოთერაპიას არ აქვს გვერდითი მოვლენები და არის აბსოლუტურად უსაფრთხო. ოზონოთერაპიით მკურნალობისას ირთვება ორგანიზმზე აქტიური ჟანგბადის ზემოქმედების რამდენიმე მექანიზმი. კერძოდ: ოზონის ბაქტერიოციდული მოქმედება, სისხლის მიმოქცევის გააქტიურება, კანის ლოკალური იმუნიტეტის აღდგენა და ზოგადი იმუნიტეტის გაძლიერება.

ინტრავენურ ოზონოთერაპიას თან ახლავს უზარმაზარი გამაჯანსაღებელი ეფექტი. სისხლში ნადგურდება ნებისმიერი დაავადების გამომწვევი პარაზიტი, ძლიერდება ყველა ორგანოს სისხლით მომარაგება, ძლიერდება იმუნიტეტი და შემდგომში ორგანიზმი უფრო ადვილად უმკლავდება ნებისმიერ დაავადებას.

**მარიკა ხიდურელი**

---



იც მიმირთმევია ჩემი ცოლისთვის და სამეფო ხოხობიც 60 წლის რომ შესრულდა. ულამაზესი ფარშევანგი გამოვიყვანე სცენაზე, მერწმუნეთ, სხვაგვარად ცხოვრებას აზრი არა აქვს, თორემ საკაბის ყიდვას რა უნდა?

...ყველაზე მეტად იცით რის მეშინია, სოფიკო ჩემზე ადრე არ წავიდეს ამქვეყნიდან. მის გარეშე დარჩენა წარმოუდგენელია ჩემთვის... ამაზე ფიქრიც კი საშინელ დღეში მაგდებს. სოფიკო ერთია, ერთი... ხელმარჯვე ქალია, ხელმარჯვე, მაგრამ ჯიუტი. მე მგონია, მსახიობი ვითხოვე ცოლად, არადა „პრარაბი" შემრჩა ხელთ. დიახ, მშენებლობაზე შეყვარებული მეუღლე მყავს. მამამისს ჰგავს, მიშა იყო ასეთი მოუსვენარი, სხვათა შორის, ამ სახლს მესამე სართული მე და სოფიკომ დავაშენეთ. ჯვარიც მაქვს დაწერილი სოფიკოსთან სვეტიცხოველში, „ზაქსის" ქაღალდიც მაქვს და... სოფიკო ჩემი ყველაზე დიდი სიყვარულია!..



...ჩვენი ჩასვლა ისრაელში დაემთხვა ებრაულ დღესასწაულს „ხანუკიას", რომლის მეხუთე დღის დალოცვის პატივი მასპინძლებმა მე მომანიჭეს... ასევე, დაუვიწყარი იყო ბეთლემში გატარებული შობა, რომლის გრანდიოზულობას სიტყვებით ვერც კი გადმოვცემ... აქ, პირველ საუკუნეში აშენებულ განსაცვიფრებელ ამფითეატრში, ურიელის მონოლოგი წავიკითხე. ვნახეთ ტიბერიუსის ტბა, რომელიც სახარების თანახმად, ქრისტემ ფეხით გადაიარა. ლოდში ჩვენი ყოფნისას, შედგა ფინალური მატჩი



ფეხბურთში აშდოდისა და აშკელონის ქართველ ებრაელთა შორის. თურმე, ორი ერთნაირი თასი დაუმზადებიათ და ერთი მე გამომატანეს საქართველოში. ამ მატჩს ჯამლეტ ხუხაშვილიც ესწრებოდა. ფეხბურთის დაწყებისას კი, პირველი დარტყმის პატივი სოფიკოს ხვდა წილად. ჩემთვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მაინც ახალი სპექტაკლის, „გამოიღვიძე ქანარო" პრემიერა იყო თელ-ავივის მხატვართა გალერეაში. უამრავი ხალხი მოვიდა სხვადასხვა ქალაქიდან. გზადაგზა ტაშით მაწყვეტინებდნენ. საათნახევრიანი სპექტაკლი მთელი ორი საათი გაგრძელდა. განსაკუთრებით გავიხარე, როცა მოსეს მოსასხამით დამასაჩუქრეს."

**ეკა პატარაია**

**ჩვენ გარშემო, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისეთ ნივთებს ვეხებით, რომლებსაც გარკვეული მაგიური თვისებები აქვს. მაგალითად, ქალებმა სამზარეულოში ყველა ნიუანსს უნდა მიაქციონ ყურადღება და ახსოვდეთ, რომ იქ ყოველ ნივთს თავისი დამახასიათებელი უნარ-თვისება გააჩნია. ასევე, ყოველდღიური მოხმარების ჭურჭელსაც კი შეუძლია, ადამიანს ბედნიერება მოუტანოს. როგორც ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ლია ამბობს, ისეთი ფერის ჭურჭელი უნდა შეიძინოთ და იხმაროთ ყოველ სეზონზე, რომელიც თქვენ მიმართ კეთილგანწყობის მოპოვებასა და ავტორიტეტის ამაღლებას შეუწყობს ხელს.**

# აქვს თუ არა მაგიური თვისებები ჭურჭელს და რატომ უნდა ცვალოთ ის სეზონურად

**ლია**: ჭურჭლის ფერი ადამიანის ბედზე მოქმედებს და ყოველ სეზონს თავისი დამახასიათებელი ფერის სამზარეულოს ნივთები შეესაბამება. ეს ბევრისთვის დაუჯერებელია, მაგრამ მერწმუნეთ, ყველა სეზონს თავისი დამახასიათებელი ფერის ჭურჭელი შეესაბამება და ის სწორად უნდა შეარჩიოთ. მაგალითად, ზამთარში მუქი ფერის ჭურჭელი, შემოდგომაზე – ოქროსფერი, ზაფხულში – წითელი, ხოლო გაზაფხულზე – მწვანე ფერის. ასე რომ, დიასახლისებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და სეზონურად ცვალონ ჭურჭელი.

**– რატომ უნდა ვცვალოთ ჭურჭელი სეზონის მიხედვით?**

– უფრო რომ დავკონკრეტდეთ, თუ რატომ უნდა იხმაროთ ოთხივე სეზონზე შესაბამისი მაგიური ფერის ჭურჭელი, გეტყვით, რომ ზამთარში, მუქი ფერის თეფშებისა და ჭიქების გამოყენება დადებითად იმოქმედებს თქვენს განწყობაზე: მოგცემთ ძალას, იმოქმედოთ მებრძოლი სულისკვეთებითა და შემართებით; შეგმატებთ თვითრწმენასა და თავდაჯერებულობას; შემოდგომაზე ოქროსფერი ჭურჭლის ხმარება, გარდა იმისა, რომ თავდაჯერებულობას შეგმატებთ, სითამამესაც შეგძენთ და დამოუკიდებლად შეძლებთ ბევრი საქმის კეთებას; გაზაფხულზე ადამიანში სასიცოცხლო ძალები და ენერგოტონუსი საგრძნობლად შემცირებულია. ამიტომ, ამ დროს მწვანე თეფშიდან ჭამა და წყლის, ჩაისა თუ წვენის მწვანე ფერის ჭიქიდან დალევა ამ პრობლემას მოგიგვარებთ – მხნედაც იგრძნობთ თავს და არც საგაზაფხულო დეპრესია მოგეძალებათ. აი, ზაფხულში კი უფრო მეტად გრძნობ სიყვარულის მოზღვავებას და ამ დროს წითელი ფერის თეფში და ჭიქა დააბალანსებს ჩვენს ენერგიას, ურთიერთობებს კი რომანტიკულ ელფერს შესძენს.

**– გამიგია, რომ თუ კერძის მომზადებისას ადამიანი ცუდ ხასიათზეა, მისი ეს განწყობა მასზეც გადადის, ვინც ამ კერძს შეჭამს. მართლაც შესაძლოა, რომ ასე მომზადებული კერძის ჭამის შემდეგ თავი მთელი დღე უხასიათოდ იგრძნო?**

– დიახ, სიმართლეა. ნამდვილად არ ცდებოდნენ ჩვენი წინაპრები, როცა ცუდ განწყობაზე ყოფნისას არ ამზადებდნენ კერძს. საერთოდ, კერძის მომზადება ერთგვარი რიტუალია და, რა განწყობასაც ჩააქსოვთ მასში, იმასვე მიიღებთ მისი ჭამისას. კერძოდ, საკვები ისრუტავს ირგვლივ არსებულ ენერგიას, ჩვენ კი, ამ საკვების ჭამის დროს, კალორიებთან ერთად, ამ ენერგეტიკასაც ვიღებთ და „ვიტუმბებით". იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი ფორმის მაგიდაზე დევს ჭურჭელი, რომლიდანაც თქვენ საკვებს მიირთმევთ. ძველად, ხალხი მრგვალ მაგიდებს ანიჭებდა უპირატესობას და არცთუ უმიზეზოდ. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ადამიანისკენ მიმართული მაგიდის კუთხე უარყოფით ენერგიას „ისვრის" მისკენ, ეს კი მას წარუმატებელს ხდის სიყვარულში, კარიერასა და ფინანსებში. ამიტომ, თუ გსურთ, თავიდან აიცილოთ უიღბლობა, უფულობა, გაუთხოვრობა თუ უცოლობა, უნდა მოერიდოთ იმ ადგილს, საითაც მაგიდის კუთხეა მიმართუ-



ლი და არც ამ კუთხესთან დაჯდეთ.

**– ქალბატონო ლია, თუ არსებობს ისეთი მეთოდი, რომ სტუმარმა მასპინძელზე უარყოფითად არ იმოქმედოს?**

– შემიძლია, ისეთი წესი გასწავლოთ, რომელიც არასასიამოვნო შეხვედრებს, ჩხუბსა და კონფლიქტს აგარიდებთ თავიდან. მოკლედ, თუ იცით, რომ არასასიამოვნო სტუმარი უნდა მოვიდეს, აიღეთ მწიკვი მარილი და სამჯერ გადაიყარეთ თავს უკან. მაგრამ, თუ თავად გიწევთ ისეთ ადგილას

> **საკვები ისრუტავს ირგვლივ არსებულ ენერგიას, ჩვენ კი, ამ საკვების ჭამის დროს, კალორიებთან ერთად, ამ ენერგეტიკასაც ვიღებთ**

წასვლა, სადაც არასასიამოვნო საზოგადოება გელით, მაშინ, გახსენით ერთი ჩაის კოვზი სუფრის მარილი ერთ ჩაის ჭიქა წყალში და ამ წყლით დაიბანეთ სახე და ხელები. თუ ისეთ ადამიანს ელოდებით სახლში, ვისთანაც, იცით, რომ აუცილებლად კამათი და ჩხუბი მოგივათ, აიღეთ ერთი ჩაის კოვზი დაფქული წითელი წიწაკა და ერთი ჩაის კოვზი სუფრის მარილი, კარგად აურიეთ ერთმანეთში და კართან დაფენილ ფეხსაწმენდზე მოაბნიეთ; კარს შიგნით კი, ზღურბლთან, ერთი ჩაის კოვზი შაქარი დაყარეთ. ასეთ შემთხვევაში, ის არასასიამოვნო ადამიანი კამათისა და ჩხუბის განწყობას გარეთ დატოვებს და თქვენს ბინაში შაქარივით დატკბება. ხანდახან პატარა ეშმაკობაც ამართლებს. სხვათა შორის, ისეთს არაფერს ვურჩევ სხვას, რაც საკუთარ თავზე არ მაქვს გამოცდილი და შემოწმებული. ჩემს ოჯახში ყოველთვის ითვალისწინებდნენ ძველ ეზოთერიკულ სიბრძნეს და, რა ვიცი, დღემდე არ შევუწუხებივართ გაჭირვებასა და უბედობას. ბავშვობიდან ვიცოდი და მჯეროდა, რომ ბევრი რამ ჩემზე იყო დამოკიდებული და მხოლოდ ბედის ანაბარა არ უნდა ვმჯდარიყავი. კიდევ ვამბობ: ეს ჩემი მოსაზრებაა და მას ძალით ვერავის მოვახვევ თავს. მე მითქვამს და, თქვენ გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ნება თქვენია.

**– დღეს ძველ ეზოთერიკულ სიბრძნეს მაინცდამაინც არ ითვალისწინებენ, ასეთი რამეები უბრალო ცრურწმენა ჰგონიათ და მეტი არაფერი.**

– გეთანხმებით, ასეთები ჩემ გარშემოც ბევრია, მაგრამ, მაინც ვცდილობ, გავაფრთხილო, რომ შეცდომა არ დაუშვან. თუ არ სჯერათ, გაითვალისწინონ მაინც. მაგალითად, ასაკოვანი ადამიანებისგან მესმოდა, რომ შავი ტანსაცმლის დიდხანს ტარება არ ვარგა, რადგან მას ასეთივე ფერის განწყობა და უარყოფითი მოვლენები მოაქვს ადამიანისთვის. ამიტომ, ჯობია, ფერადი ტანისამოსი ატაროთ და ასე გაიხალისოთ ცხოვრება. ზოგადად, ზუსტად ვხვდები, რა განწყობაზეა ადამიანი, როცა მის ჩაცმულობას ვაკვირდები. თუ ის ყვითელ, წითელ ან მწვანე ფერებშია გამოწყობილი, ორი აზრი არ არის, ის საკუთარი ბედ-იღბლით კმაყოფილია, ცხოვრება უხარია, ირგვლივ, მხოლოდ პოზიტივს ამჩნევს და, შესაბამისად, თვითონაც დადებით ენერგიას გასცემს. თუ რუხი, შავი ან ყავისფერი ტანსაცმელი აცვია, უდავოა, მას ყველაფერი რიგზე ვერ აქვს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ, როცა ასეთ ფერებს თვეობით ანიჭებენ უპირატესობას. ზოგადად, რთულია ადამიანს ურჩიო, რა ჩაიცვას, მაგრამ, თუ ეცოდინება, რომ მისი ტანსაცმლის ფერი სხვაზეც მოქმედებს და მის განწყობას ამხელს, მაშინ, მიხვდება, რომ არ ღირს, სააშკარაოზე გამოიტანოს თავისი განცდები.

**ნონა დათეშიძე**

## და... გულის დნება...

გაზაფხულზე რომ სიყვარული გეწვიოს, ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა. ეს წელიწადის ისეთი დროა, რომ ცივი ყინულის გულიც კი ლხვება... შესაფერისი პარტნიორის პოვნა რთულია. შეცდომისგან დაზღვეულიც არავინ არის. მით უმეტეს, თუკი აქტიური ფლირტის შემდეგ, ერთბაშად აღმოაჩენთ, რომ შეყვარებული ხართ. სიყვარულის სურვილი ისეთი ძლიერია, რომ გონება თუ არ დაგემორჩილათ, ჩვეულებრივი ამბავი იქნება. ჰორმონების დონე 1,5-ჯერ მატულობს... ახლა მთავარი ის არის, უცაბედად მოსული სიყვარული დიდი ხნით შეინარჩუნოთ...

ფაქტია ის, რომ ქალების 4-6 პროცენტი, მათ შორის გათხოვილებიც კი, ცხოვრებაში ერთხელაც არ ყოფილან შეყვარებული. იმიტომ არა, რომ შესაფერისი სუბიექტი ვერ იპოვნეს – მათ ვერ დაძლიეს შიში იმისა, რომ ველარ გააკონტროლებდნენ სიტუაციას. სიყვარული მართლაც წააგავს „სტიქიურ უბედურებას“, ოღონდ სიხარული და ბედნიერების განცდაც თან ახლავს. თუ ძლიერია, ისეთი საქციელის ჩადენისკენ გვიბიძგებს, რომლებიც ჩვენთვის ბუნებრივ მდგომარეობაში სრულიად მიუღებელი იქნებოდა. ზოგიერთი ევროპელი ექიმი სერიოზულად ამტკიცებს, რომ სიყვარული ავადმყოფობაა, თავისი გართულებით და ზოგჯერ მძიმე ფორმებით. იმედგაცრუებაც თან სდევს სიყვარულს მაშინ, როცა ბედნიერი ფინალით ვერ სრულდება და მაშინაც, როცა ბედნიერი ფინალით სრულდება. მაინც ღირს მოვხსნათ „ბლოკი“ ჩვენს ემოციებს. მით უფრო, როცა ჰორმონალური ფონიც მზად არის სიყვარულთან შესახვედრად...

## ორმაგი ხაფანგი

როცა ეჭვი ჩნდება, ყველაზე მეტად ის იტანჯება, ვისაც ეს გრძნობა გულში ჩაუსახლდება. ის ნამდვილი კოშმარია, რეალობაში გადმოსული. ფსიქოლოგებმა და მეცნიერებმა არაერთხელ ჩაატარეს ექსპერიმენტი და დაადგინეს კავშირი ღამეულ კოშმარებსა და ეჭვიანობას შორის. საყვარელი ადამიანის მხრიდან ღალატი უზარმაზარი სტრესია და მის წინაშე ქალიც და კაციც ერთნაირად უძლურია. ყველაზე მგრძნობიარე ასაკი 17-ია და ორმოციდან ორმოცდასამ წლამდე. თუმცა, დაგვეთანხმებით, რომ ნებისმიერ ასაკში ღალატი საკმაოდ მძიმე გადასატანია. წარმოიდგინეთ, სიზმარში ნანახი ღალატის ფაქტიც კი უმძიმესად აისახება ჩვენს გონებაზე. უნებლიეთ, ჩნდება ეჭვი პარტნიორის მიმართ და ვიწყებთ ეჭვიანობას, უკვე რეალურადაც.

ეჭვი დაავადებაა, თუმცა მას შეიძლება რემისიაც ახასიათებდეს და გამწვავებაც. ზოგ ადამიანში პათოლოგიურ ფორმებს იძენს. ზოგსაც საერთოდ იშვიათად აღელვებს, მაგრამ ასეთი ადამიანების რიცხვი ძალიან ცოტაა. ყველაზე მშვიდი და გონიერი ადამიანიც კი შეიძლება, გადარიოს და გააგიჟოს ეჭვმა.

გახსოვდეთ ერთიც – სერიოზული ურთიერთობა პრაქტიკულად არასოდეს ჩაივლის ხოლმე ეჭვიანობის გარეშე. ეს ფაქტია!

## ვარდისფერი სათვალე

ის, რომ გაზაფხული თავისას შვრება, ამას ყველა ვგრძნობთ. აპრილის ეიფორიას განსაკუთრებული ხიბლი აქვს, რომელიც ყოველთვის პოზიტიურად არ აისახება ჩვენს გუნებაგანწყობაზე. ყველა შეგრძნება მძაფრდება... თითქოს ირგვლივ ფერებიც უფრო კაშკაშაა, სურნელი – მძაფრი და განსხვავებული... გულიც უჩვეულოდ ძგერს... ვარდისფერი სათვალიდან ჩვეულებრივი მამაკაციც კი შეიძლება, ძალიან სიმპათიურად მოგეჩვენოთ. ასეთ დროს სიფრთხილე აუცილებელია. ეიფორია მალე გაივლის და იმედგაცრუებაც არ დააყოვნებს. „გამოღვიძებულმა“ ჰორმონმა, ესტროგენმა, შეიძლება, სისულელეც ჩაგადენინოთ. სწორედ ეს „ვარდისფერი სათვალეა“ ის, რაც მოვლენების ადეკვატურად აღქმაში გვიშლის ხელს.

შეინარჩუნეთ საღი აზრი და რაციონალურად შეაფასეთ მამაკაცი. მით უფრო ის, ვინც დიდი ხანი არ არის, რაც გაიცანით. შეაფასეთ ის ობიექტურად. დაინახეთ მისი ნაკლიც და ღირსებებიც. გაატარეთ, როგორც იტყვიან, „რენტგენში“ – ისევ იმიტომ, რომ მერე არ ინანოთ და არ თქვათ, როგორ შევცდიო.

ნუ იზეიმებთ წინასწარ გამარჯვებას. ნურც გამჭრიახობას დაიბრალებთ. სიფრთხილე და კრიტიკულობა ნამდვილად არ გაწყენთ.

## უხეში და საყვარელი

ისევ იუმორზე უნდა ვისაუბროთ, რადგან, სწორედ იუმორი ხდება ხშირად ოჯახური კონფლიქტების მიზეზი. არაფრის გამო დაწყებული ჩხუბი ზოგჯერ ისე მწვავდება, რომ ოჯახსაც კი ანგრევს...

შევთანხმდეთ იმაზე, რომ მამაკაცური იუმორი სწორხაზოვანია, ნაკლებად ინტელექტუალური, არანორმატიული ლექსიკით, თან – პრიმიტიული და ცოტათი უხეშიც, ვერც „მარილს“ მოუძებნით და ვერც ლოგიკას, ამიტომ, არც ერთის ძებნას აქვს აზრი, არც მეორისას. უყურეთ სპეციალურად ძლიერი სქესისთვის დამზადებულ რეკლამებს და ყველაფერს მარტივად მიხვდებით – ნაკლები კრეატივი და ორაზროვნება. საუკეთესო მაგალითად ანტონიო ბანდერასის ტკბილეულთან გაბაასებაც გამოდგება. აბა, რა არის მასში სასაცილო?! მამაკაცებს იუმორშიც აქვთ აკრძალული თემები და ეს საკმაოდ აღელვებთ. მაგალითად, ვერ იხუმრებ დედამისზე და მის მეგობრებზე; ირონიით ვერ მოიხსენიებ მის შემოსავალს ან სოციალურ სტატუსს, მით უფრო, მის მამაკაცურ ღირსებას – საქმე ძალიან სერიოზულ სკანდალამდე მივა, როგორი ინტელექტუალიც უნდა იყოს მამაკაცი.

აბა, რაღაზე ვეხუმროთ? – იტყვით თქვენ და მართალიც იქნებით. იხელმძღვანელეთ პრინციპით: ვიცინოთ მასთან ერთად არა თავად მასზე! მერე რა, თუ ზოგჯერ საერთოდ არ გვეცინება...

## უბრალოდ, შენ!

იყავი ის, რაც ხარ – ამას გვირჩევენ ფსიქოლოგებიც და ეს თვითდამკვიდრებისთვისაც საუკეთესო საშუალებაა.

თანამედროვე სამყაროში ძალიან ძნელია დარჩე იმად, რაც რეალურად ხარ. ყველა მხრიდან: ტელევიზორიდან, ჟურნალებიდან, სოციალური ინტერნეტ-საიტებიდან ყოველდღიურად გვაწვდიან მზა რეცეპტებს – როგორები უნდა ვიყოთ და, თანაც, თავდაჯერებით გვიმტკიცებენ, რომ მხოლოდ ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა სრულყოფილებისკენ, ანუ – ბედნიერი ცხოვრების მწვანე ბილეთი. დაწვრილებით არის ნაკარნახევი საჭირო ჩაცმის სტილი, საჭირო სიტყვები და ფრაზები, ქცევის მანერა, ფასეულობები, შეხედულებები ურთიერთობებსა და სექსზე...

შედეგად, ჩვენ სრულიად შეუცნობლად ვიცვლებით და ვცდილობთ, ვიღაცას მივბაძოთ თუ ყველაფერში არა, რაღაცაში მაინც. იმიტომ არა, რომ ჩვენ ეს მოგვწონს, ან მისი საქციელი მართებულად მიგვაჩნია, უბრალოდ, საზოგადოებამ ასეთად მიიღო და დააფასა...

ასე ვხდებით დამოკიდებული საზოგადოების აზრზე და ვექცევით სრულიად უსარგებლო, ხშირად – გაუგებარი სტერეოტიპების ტყვეობაში. მთავარია, რაღაც ისეთი არ გავაკეთოთ, რაც სოციუმს გააღიზიანებს და თეთრ ყვავად გამოგვაჩენს.

მაგალითად, რატომ არ უნდა დაურეკო მამაკაცს პირველმა, თუკი მის მიმართ სიმპათია გაგიჩნდება?! რატომ უნდა იჯდე და დაელოდო, იმან გადმოდგას პირველი ნაბიჯი?! „არ იეჭვიანო, კაცებს ეს არ მოსწონთ!“ „სულელივით ნუ იცინი და ნუ დაანახვებ, როგორ გიყვარს!“ – ვითომ რატომ?! ყველა ერთნაირი ხომ არ არის; ხომ ზუსტად იცი, რომ შენ შენ ხარ. გამოდის, რომ ისიც განსაკუთრებული ყოფილა. ამიტომაც, იყავი მისთვის განსაკუთრებული – მაშინ აუცილებლად გაუგებთ ერთმანეთს... და ნუ შეგეშინდება საკუთარი ინდივიდუალურობის დემონსტრირების!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# დიეტა სისხლის ჯგუფების მიხედვით

ექიმი-ნატუროპათი პიტერ დ'ადამო ეთანხმება ვოლანდს: სისხლის საკითხი, ყველაზე რთული საკითხია მსოფლიოში და, კვლევების გათვალისწინებით, გვირჩევს, რომ კვების რაციონის შერჩევისას, განსაკუთრებით კი – დიეტის დროს, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი სისხლის ჯგუფი.

დ'ადამოს დიეტა ეფუძნება თეორიას, რომლის მიხედვითაც, სისხლის შემადგენლობის მიხედვით, ვიყოფით ოთხ ჯგუფად: „მონადირეებად“, „მიწათმოქმედებად“, „მომთაბარეებად“ და „ახალ ადამიანებად“.

***„მონადირეებს“*** მიეკუთვნებიან პირველი ჯგუფის სისხლის მქონე პირები. ეს არის ყველაზე ძველი სისხლი, ჯერ კიდევ პირველყოფილი წყობილებიდან, როცა ადამიანები ნანადირევით იკვებებოდნენ. ამ ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანი ადვილად ითვისებს ხორცეულს.

***„მიწათმოქმედთა“*** ძარღვებში ჩქეფს მეორე ჯგუფის სისხლი, რომელიც წარმოიქმნა (ჩამოყალიბდა) მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად. ამიტომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები უკეთ ითვისებენ მარცვლეულს, ხილსა და ბოსტნეულს.

***„მომთაბარეთა“*** სისხლი – მესამე ჯგუფი ჩამოყალიბდა მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად, ამიტომ, მათთვის ყველაზე მისაღები საკვებია რძის პროდუქტები, ყველი და მცირეოდენი რაოდენობით ხორცი და თევზი.



***„ახალი ადამიანები“,*** ანუ, სისხლის მეოთხე ჯგუფი, ჩამოყალიბდა სულ რაღაც ათასიოდე წლის წინ. მათი ორგანიზმი ითვისებს ნებისმიერ საკვებს, რადგან, ადაპტირებულები არიან თითქმის ყველანაირ პროდუქტთან. მათ შედარებით უფრო ფაქიზი კუჭ-ნაწლავი აქვთ.

პიტერ დ'ადამომ შეადგინა აკრძალული, სასარგებლო და ნეიტრალური პროდუქტების სიები სისხლის ჯგუფებთან შესაბამისობის გათვალისწინებით და გვარწმუნებს, რომ, იმ პროდუქტების გამოყენებით, რომელიც გენეტიკურად „ჩვენია“, ვიკლებთ წონაში, იწმინდება ჩვენი ორგანიზმი ტოქსინებისგან, უმჯობესდება საჭმლის მონელების პროცესი და ჩქარდება ნივთიერებათა ცვლა.

### პირველი ჯგუფი

***სასარგებლო პროდუქტები:*** წითელი ხორცი (ღორის ხორცის გარდა), თევზი და ზღვის პროდუქტები; წყალმცენარეები, მწვანილი, სელისა და ზეითუნის ზეთი, ნიგოზი, გოგრის თესლი; წითელი ცხარე წიწაკა, ფოთლოვანი ბოსტნეული, ხახვი, ბროკოლი, თალგამი, ბოლოკი, პირშუშხა, ნიორი, არამჟავე ხილი.

***აკრძალული პროდუქტები:*** კვერცხი, რძე, ყველი, კეფირი, ნაყინი, არაქისის, სიმინდისა და ბამბის ზეთი; არაქისი, თხილი, საფუარი, ავოკადო, ბადრიჯანი, კომბოსტო, პარკოსნები, მარინადები.

### მეორე ჯგუფი

***სასარგებლო პროდუქტები:*** სელისა და ზეითუნის ზეთი, არაქისი, გოგრის თესლი, ბურღულეული, კომბოსტო, ბროკოლი, ფოთლოვანი ბოსტნეული, ხახვი, ოხრახუში, სოია, პარკოსნები, ლობიო, არამჟავე ხილი.

***აკრძალელი პროდუქტები:*** ქამბალა, ქაშაყი, ხიზილალა, ზღვის პროდუქტები, ცხვრის, ღორის, საქონლის, ბატის, კურდღლის ხორცი, ნანადირევი, კვერცხი და რძის პროდუქტები – შეზღუდული რაოდენობით, სიმინდისა და ბამბის ზეთი, მიწის თხილი, ბადრიჯანი, თეთრი, წითელი და ჩინური კომბოსტო, კარტოფილი, წიწაკა, პომიდორი და ძმარი.

### მესამე ჯგუფი

***სასარგებლო პროდუქტი:*** თევზი, ცხვრის, კურდღლის, ირმის ხორცი; რძის პროდუქტები, კვერცხი, ზეითუნის ზეთი, ბურღულეული (წიწიბურის გარდა), ბადრიჯანი, ყველა სახეობის კომბოსტო, ბულგარული წიწაკა, ლობიო, სტაფილო, ჭარხალი, ტკბილი ხილი.

***აკრძალული პროდუქტები:*** კრაბი, კრევეტები, ღორის ხორცი, შებოლილი თევზეული, ბატი, იხვი, ნანადირევი, ნაყინი, სიმინდისა და მზესუმზირის ზეთი, მიწის თხილი, მზესუმზირა, ავოკადო, პომიდორი.

### მეოთხე ჯგუფი

***სასარგებლო პროდუქტები:*** თევზი, ცხვრის, კურდღლის, ინდაურის ხორცი, კვერცხი, რძის პროდუქტები, ზეითუნის ზეთი, არაქისი, ნიგოზი, წაბლი, ბრინჯი, ბადრიჯანი, ბროკოლი, ფოთლოვანი ბოსტნეული, სოია, ლობიო, ხილი, კენკრა.

***აკრძალული პროდუქტები:*** მარილიანი ქაშაყი, ღორის, საქონლის, მსუქანი ბატისა და ქათმის ხორცი, ნაღების კარაქი, მარილიანი ყველი, ცხიმიანი რძე, ძმარი, სანელებლები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიეტოლოგთა სოლიდურ ნაწილს მიაჩნია, რომ პირდაპირი კავშირი სისხლის ჯგუფსა და „სასარგებლო“ პროდუქტებს შორის არ არსებობს. წონაში დაკლება დამოკიდებულია კალორიულობის შეზღუდვაზე, შედეგი კი არასტაბილურია. მათი აზრით, დიეტის დაცვის დროს აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა ასაკის, ცხოვრების წესისა და ორგანიზმის მდგომარეობის გათვალისწინებით. დ'ადამოს დიეტა არის ბალანსირებული. პროდუქტების ერთი ნაწილის მთლიანად უარყოფა და მეორე ნაწილის გაორმაგებული რაოდენობით მიღება ნეგატიურად აისახება ჯანმრთელობაზე. მაგალითად, დიაბეტის დროს უნდა შეიზღუდოს ხორცის რაოდენობა, ანემიის შემთხვევაში კი – პირიქით, მეტი რაოდენობით მიღებაა საჭირო, თუნდაც მეორე ჯგუფის სისხლი გქონდეთ.

მეცნიერთა ამ ნაწილის მოსაზრების გათვალისწინებით, შეგიძლიათ, დაიცვათ დ'ადამოს მიერ შემუშავებული დიეტა, ოღონდ რამდენიმე თვეში ერთხელ და, თან, აუცილებლად გაითვალისწინეთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ანუ, ნებართვა თქვენი მკურნალი ექიმისგან აიღეთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, რა და რა დანიშნულების კოსმეტიკური კორექტორი არსებობს?**

**პასუხი:** არსებობს ძირითადად ორი სახის კორექტორი: თხევადი კორექტორი-ფანქარი, რომელიც ფარავს თვალების გარშემო არსებულ ყველა ხარვეზსა და დაღლილობის კვალს და კანის კორექტორი, რომელიც ნიღბავს სახეზე არსებულ გამონაყარს, ლაქებსა და სხვა დეფექტებს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა თვალის კონტურის ქვეშ წასასმელი კრემის წასმა ტუჩებზე?**

**პასუხი:** საჭიროების შემთხვევაში, თვალის კონტურის ქვეშ წასასმელი კრემი შეგიძლიათ წაისვათ როგორც ტუჩებზე, ისე სახეზე. ის ატენიანებს კანს მთელი დღის განმავლობაში და მას ხავერდოვანს ხდის.

**კითხვა: არსებობს თუ არა ტუჩების მკვებავი ბალზამი?**

**პასუხი:** ასეთი ბალზამი არსებობს და, გარდა იმისა, რომ ტუჩებს აძლევს მსუბუქ პრიალა ელფერს, ასევე, იცავს გამოშრობისა და გარემოს მავნე ზემოქმედებისგან.

**კითხვა: ზოგჯერ დილაობით შეშუპებული თვალებით ვიღვიძებ. ანალიზები გავიკეთე და არაფერი ორგანული არ მჭირს. როგორ მოვიხსნა შეშუპება?**

**პასუხი:** თუ თქვენი პრობლემა ჯანმრთელობის დარღვევით არ არის გამოწვეული, ყურადღება უნდა მიაქციოთ თქვენს კვებას და, ზოგადად, დღის რეჟიმს, ანუ, შეშუპება შეიძლება გამოწვეული იყოს თვალების გადაღლით, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომით, ღამის საათებში საკვების ან ძილის წინ ბევრი სითხის მიღებით. შეშუპების სწრაფად მოხსნა შეიძლება რამდენიმე მეთოდით:

1) გვირილის, მწვანე ჩაისა და ვარდის ფურცლების ნაყენებისგან მომზადებული ყინულის კუბიკებით ყოველ დილით მონაცვლეობით „დაიბანეთ“ პირი;

2) გახეხეთ უმი (გათლილი) კარტოფილი. მიღებული მასის სქელი ფენა დადეთ 2-3 ფენა დოლბანდის ორ ოთხკუთხედ ნაჭერზე, დაწექით და დაიფინეთ თვალებზე (ან მთელ სახეზე) 20 წუთის განმავლობაში. შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით და წაისვით თვალების გელი.

3) გახეხეთ გათლილი კიტრი და მოიქეცით ისე, როგორც კარტოფილის შემთხვევაში.

**კითხვა: გამიგია, რომ თმაზე გაკეთებული კვერცხის ნიღაბი არ უნდა ჩამოიბანო ცხელი წყლით. რატომ, რაიმე რეაქცია ხდება?**



**პასუხი:** ჯერ ერთი, კვერცხის ნიღბის (ისევე, როგორც სხვა სახის ნიღბების) ცხელი წყლით ჩამობანა რეკომენდებული არ არის, იმიტომ, რომ ზოგადად, ცხელი წყალია თმის ძირებისთვის მავნებელი. გარდა ამისა, კვერცხი ცხელ წყალთან „ურთიერთობისას“ მოიხარშება და შემდეგ ძალიან გაგიჭირდებათ მოხარშული ნამცეცების თმიდან ჩამობანა.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რა ფიცით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი სტალინი და გრიგოლ რობაქიძე

სტალინი და ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან იცნობდნენ ერთმანეთს. რობაქიძე მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გერმანიაში გადაიხვეწა და ამ მოვლენას მწერალსა და სტალინს შორის გაცივებულ ურთიერთობებს უკავშირებდნენ. გავრცელებული ვერსიით, სტალინზე განაწყენებული მწერალი ადოლფ ჰიტლერს დაუახლოვდა და სტალინის პიროვნულ თვისებებზე აწვდიდა ცნობებს. ჰიტლერისა და რობაქიძის მეგობრობის ფაქტი არანაირ საიდუმლოს არ წარმოადგენდა, თუმცა, დღეს უკვე ეჭვის ქვეშ დგება რობაქიძის ანტისტალინური განწყობა და ქართველი მწერლის გერმანიაში ემიგრაცია სულ სხვა რამეზე მიუთითებს.

სტალინის ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული ადამიანი, მისი პირადი მცველი მიხეილ თევდორაძე იხსენებს: „დიდი ბელადი ბრწყინვალედ იცნობდა როგორც ლეგალურ საბჭოთა ლიტერატურას, ასევე არალეგალურ ემიგრანტულსაც. მას უსასრულოდ შეეძლო ემიგრანტი ავტორების ციტირება, ყველაზე ხშირად კი ის ვინმე გრიგოლ რობაქიძეს ახსენებდა. სტალინი მის პროზასა და პოეზიას, როგორც ვატყობდი, იმდენად კარგად იცნობდა, რომ საათობით შეეძლო მისი შემოქმედებიდან ციტატების ზეპირად თქმა. მართალი რომ ვთქვა, მაშინ მე არც რობაქიძის ენის გამეგებოდა რამე და, მით უმეტეს, სტალინისგან მიკვირდა ასეთი რამ. რამდენჯერაც სტალინის მიერ რობაქიძის ციტირებას შევესწარი, იმდენჯერ გაოცებამ შემიპყრო. ერთხელ დიდმა ბელადმა შეამჩნია ჩემი გაოცება და მისთვის დამახასიათებელი ირონიული ღიმილით მითხრა: „ახლა, ალბათ, ფიქრობ, ვინაა ეს კაცი, ვის ციტირებასაც ასე ხშირად ახდენს ამხანაგი სტალინიო, – მერე ამათვალიერ-ჩამათვალიერა და დაამატა: – ჰიტლერის მეგობარია". ეს იმდენად მოულოდნელად განმიცხადა სტალინმა, რომ უკიდურესი დაბნეულობა ალმებეჭდა სახეზე.

ეს ლაპარაკი 1938 წლის ნოემბერში შედგა. მას შემდეგ სტალინს არც ჰიტლერი უხსენებია ამ კონტექსტში და არც მისი მეგობარი. რვა თვის შემდეგ, 1939 წლის ივლისში, ჩემმა უფროსმა, სტალინის დაცვის მეთაურმა ნიკოლაი ვლასიკმა თავისთან მიხმო და მამცნო, რომ პატრონი მიხმობდა („პატრონს" სტალინს ვუწოდებდით ერთმანეთში). ვლასიკს არ აუხსნია, რატომ მიბარებდა სტალინი და, მართალი რომ ვთქვა, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. ისიც კი გავიფიქრე, სამსახურიდან ხომ არ მიპირებენ გათავისუფლებას-მეთქი. იმ პერიოდში ბერიამ ამითვალწუნა და ასეთი ეჭვი იმიტომ გამიჩნდა. მე ფორმა გავისწორე, პოსკრებიშევმა კარი გამიღო და დიდი ბელადის კაბინეტში შევედი. ამ კაბინეტში მე ყოველდღიურად ოცდაათჯერ, ზოგჯერ მეტჯერაც შევდიოდი, მაგრამ ამ ვიზიტს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა – ამჯერად იქ ოფიციალურად ვიყავი მიწვეული და ეჭვებიც სწორედ ამან აღმიძრა. შესვლისთანავე, ლავრენტი ბერიას პენსნედან არეკლილმა სხივმა თვალი მომჭრა და მის დანახვაზე გავიფიქრე, რომ ნამდვილად მაპატიმრებდნენ...

– მოდი, აქ დაჯექი, – კეთილგანწყობით მიმიპატიჟა სტალინმა და თავად გამომიწია რბილი სავარძელი. ბერიაც ღიმილით შემხვდა და საბოლოოდ დავიბენი.

– ჰიტლერის მეგობარზე რომ გელაპარაკებოდი შარშან შემოდგომაზე, თუ გახსოვს? – სერიოზული სახით მკითხა დიდმა ბელადმა.

– მწერალ რობაქიძეზე? – ვკითხე სტალინს.

– სწორედ მასზე. დაჯექი, რატომ წამოხტი? – მითხრა სტალინმა, – მე და ლავრენტიმ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ შენ ჩვენი თანამემამულე გაგაცნოთ, – ჩაილაპარაკა სტალინმა.

– ჰიტლერის მეგობარი? – უნებურად წამომცდა მე და, მართალია, ენა მოვიკვნიტე, მაგრამ გვიან იყო.

– უფრო, ჩვენი მეგობარი, – ღიმილით მიპასუხა სტალინმა, – მითხრეს, რომ გერმანულ ენას უზადოდ ფლობ, თან, არიული გარეგნობა გაქვს და, რაც მთავარია, ქართველი ხარ.

– ქართველი? – ისევ ვკითხე და რაც მთავარია, სიტყვა გავაწყვეტინე სტალინს, ასეთი საქციელი კი დანაშაულად ითვლებოდა. სტალინი მიხვდა ჩემს უკიდურეს დაბნეულობას და ჩაეცინა.

– ქართველი ხარ და ქართველთან საერთო ენას კარგად გამონახავ, – უკვე სერიოზული სახით მითხრა სტალინმა, – შენ უაღრესად საინტერესო, საიდუმლო და საპასუხისმგებლო მისია გეკისრება, – თქვა მან. შემდეგ წამოდგა, თავისი საწერი მაგიდიდან დალუქული კონვერტი აიღო და გადმომცა, – ამაღამ სპეცრეისით, სრულიად ინკოგნიტოდ, გაემგზავრები ბერლინში და ამ წერილს გრიგოლ რობაქიძეს გადასცემ. იქ შენ, სავარაუდოდ, ერთი დღით მოგიწევს დარჩენა და რობაქიძის მიერ გამოტანებულ წერილს იმავე გზით ჩამოიტან. დანარჩენს ვლასიკი გეტყვის, – სტალინმა ხელი ჩამომართვა და მე მისი კაბინეტიდან გამოვედი.

ვლასიკი სტალინის მისაღებში დამხვდა და თან წამიყვანა. ჩვენ კრემლის კომენდატურის ერთ-ერთ ოთახში განვმარტოვდით. იქ მე „ესესის" ოფიცრის ფორმა და საბუთები გადმომცეს, შემდეგ კი სამხედრო აეროდრომზე წამიყვანეს და საიდუმლოდ გადამაფრინეს ბერლინში. რობაქიძე ბერლინის არისტოკრატიულ რაიონში – დალემში ცხოვრობდა ერთ-ერთ მდიდრულ ვილაში. მე არ გამჭირვებია მისი მოძებნა და ნახევარი საათის შემდეგ ბუხრის წინ ვისხედით და ვსაუბრობდით. მწერალმა თავის სახლში დამტოვა და, მას შემდეგ, რაც სტალინის მიერ გამოგზავნილი წერილი წაიკითხა, სადღაც წავიდა. რობაქიძის ვილაში მე უზადოდ მომემსახურნენ, მეორე დილას კი თავად მიმაკითხა. შემდეგ ჩვენ კვლავ ბუხრის წინ ვისადილეთ და ბოლოს მან მითხრა: „მაპატიეთ, ჩემო მეგობარო, თქვენი წასვლის დროა. მართალია, ასეთი რამ ქართველების ტრადიციებში არ შედის, მაგრამ, ზოგჯერ ტრადიციებიც კი უნდა დავარღვიოთ სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო, – მან მე დაბეჭდილი წერილი გადმომცა და ღიმილით დაამატა: – ეს სოსოს გადაეცით და ჩემგან გულითადად მოიკითხეთ". გრიგოლ რობაქიძემ კარამდე გამომაცილა და, იქიდან რომ წამოვედი, სულ რაღაც რვა საათის შემდეგ, უკვე სტალინის პირისპირ ვიდექი.

– ძალიან კარგი. კარგი ფეხი გქონია, – ჩაილაპარაკა სტალინმა, – ჰიტლერი თანახმაა ჩვენთან შეხვედრაზე და მწერს, რომ დანიშნულ დღესა და საათზე ის დათქმულ ადგილას მოვა, – თქვა დიდმა ბელადმა და ბერიას მიუბრუნდა: – რას იტყვი, სად მივილოთ ფიურერი?

– საქართველოში, – დაუფიქრებლად მიუგო ბერიამ და მივხვდი, რომ ის წინასწარ იყო მზად პასუხისთვის.

– მეც ასე ვფიქრობ, – დაუდასტურა სტალინმა, – სასწრაფოდ მოამზადეთ ყველაფერი ჰიტლერის მისაღებად რიწის ტბაზე და შენი არხებით შეატყობინე მათ, რომ რაიხსკანცლერს 3 აგვისტოს საიდუმლოდ ველოდებით სოხუმში, – უბრძანა სტალინმა ბერიას.



1939 წლის 3 აგვისტოს, სოხუმის ყურეში, დილის 7 საათსა და 45 წუთზე, საბჭოთა წყალქვეშა ნავების თანხლებით, ფაშისტური გერმანიის წყალქვეშა ნავი „ოტო ბისმარკი" შემოვიდა. მის ბორტზე იმყოფებოდნენ ადოლფ ჰიტლერი, გერმან ჰერინგი და გრიგოლ რობაქიძე. ჰიტლერის ამ ვოიაჟის შესახებ მხოლოდ გერმანული წყალქვეშა ნავის კაპიტანმა უწყოდა და, როგორც კი სტუმრებმა ფეხი დადგეს ქართულ მიწაზე, ისინი ბერიამ, ვლასიკმა და მე სტალინის „ლიმუზინით" წავიყვანეთ რიწაზე.

სტალინის საიდუმლო ბრძანების თანახმად, „ენკავედეს" სპეცრაზმებს მთელი ის ტერიტორია საგანგებოდ ჰქონდათ ბლოკირებული. სტუმრებს სტალინი აგარაკის ეზოსთან მიეგება. მან ჯერ ჰიტლერს ჩამოართვა ხელი, შემდეგ ჰერინგს, რობაქიძეს კი გადაეხვია და ხმამაღლა გადაულაპარაკა ქართულად: „სახლში კედლებიც კი გეხმარებიან და, თუკი კანცლერი დაგვეთანხმდება, ჩვენი ძველი ოცნება ახდება..."

მოლაპარაკება დილის 10 საათზე დაიწყო და მასში ჰიტლერი, ჰერინგი, რობაქიძე, სტალინი და ბერია მონაწილეობდნენ. ისინი მხოლოდ საღამოს 18 საათზე გამოვიდნენ აგარაკიდან და მცირე გასეირნების შემდეგ რიწის ტბაზე ვახშამს შეუდგნენ. ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო და ხორცს პირი არ დააკარა, თუმცა სამი ჭიქა „ხვანჭკარა" დალია და ძალიან მოეწონა. გერმანელი ფიურერი იმ ღამეს რიწაზე დარჩა, დილით კი წყალქვეშა ნავით გამგზავრა უკან. ამ საიდუმლო შეხვედრის დეტალები მხოლოდ მისმა მონაწილეებმა იცოდნენ, თუმცა, სავარაუდოა, რომ სტალინმა და ჰიტლერმა რიწაზე ევროპა გაიყვეს... ამის დასტურია ის, რომ, სულ რაღაც სამიოდე კვირის შემდეგ მოსკოვში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი ჩამოვიდა და საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტს მოაწერა ხელი. გერმანიის ოფიციალურ დელეგაციაში არაოფიციალურად იყო ჩართული გრიგოლ რობაქიძეც, რომელიც უკვე პირისპირ შეხვდა სტალინს და, როდესაც ის დიდი ბელადის კაბინეტს ტოვებდა, სტალინმა მას ნაღვლიანად უთხრა: „მერწმუნე, გრიგოლ, რომ ჩემი ხვედრი შენსაზე უფრო მძიმეა და ორივეს ვალია, რომ ჩვენი ტვირთი ღირსეულად ვზიდოთ..." ჩემთვის იმ მომენტში ძალიან რთული მისახვედრი იყო, რა ხვედრზე ლაპარაკობდა სტალინი. მხოლოდ წლების შემდეგ, ჩემი გადასახლების პერიოდში შევიტყვე ერთ-ერთი ქართველი ნაციონალისტისგან, რომ სტალინი და გრიგოლ რობაქიძე საიდუმლო ფიცით ყოფილან ერთმანეთთან შეკრულ-შედუღაბებულები, რომლის შინაარსიც, სამწუხაროდ, ორივემ საფლავში ჩაიტანა".

**ნიკა ლაშაური**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

# რატომ უნდა გავიხსენოთ ხშირად ბედნიერი დღეები, წუთები და წამები და რა ენერგეტიკას ქმნის ჩვენ გარშემო აზრობრივი ენერგია, რომელიც მატერიალურ სამყაროში რეალიზდება

ადამიანები ძალიან სულწასულები და დაუდევრები ვართ – გვინდა, რომ თითოეულმა ქმედებამ თუ ნაბიჯმა დღესვე მოგვცეს შედეგი. ზოგჯერ კი ისე დაუდევრად ვიქცევით, რომ შედეგს წლების განმავლობაში ვიმკით. არც დაკვირვება ვიცით, მახვილი თვალი კი სწორად მიხვდება, რა ხდება გარშემო, რას სთავაზობს მას გარემო პირობები, როდის დგას მისთვის არასასურველი თუ, პირიქით, სასურველი მოქმედებების დრო. ადამიანის აზრიც კი გარკვეული ენერგიაა და, გვინდა თუ არა, ჩვენი აზრები ქმნის ენერგეტიკას, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მატერიალურ სამყაროში რეალიზდება. ბევრი ადამიანი ამას ვერ ხვდება და ყურადღებასაც არ აქცევს, შედეგს კი მაშინ იმკის, როცა უკვე გვიანაა რამის შეცვლა და გამოსწორება.

აზრობრივი ენერგია ძალიან საშიში ენერგიაა ადამიანისთვის; შეიძლება ითქვას, დამანგრეველიც კი. მაგალითად, როცა ერთ ადამიანს მეორისა შურს, ამით უდიდეს ენერგეტიკულ ზიანს აყენებს და თვალავს მის წარმატებას. კერძოდ, ამ დროს იქმნება გარკვეული აზრობრივი ენერგეტიკა და სწორედ ეს უქმნის პრობლემებს შურის ობიექტს. შური ძალიან ცუდი რამაა. ამიტომ, ყველას ვაფრთხილებ, თუ გსურთ, არ ავნოთ სხვას, კეთილი შურითაც კი არასდროს შეგშურდეთ.

ასევე, ადამიანისთვის წარმატების მოტანა შეუძლია აზრის მაგიას, მაგრამ მისი მართვა თავად უნდა შეგეძლოთ. ამის სპეციალური ხერხები და მეთოდები კი ასტროლოგიაში ნამდვილად არსებობს. მაგალითად, გაიხსენეთ და დაფიქრდით, რომელ პერიოდში იყავით ყველაზე წარმატებული, როდის გამოგდიოდათ საქმე ადვილად და ორიენტაცია სწორედ ასეთ მომენტებზე გააკეთეთ. დაჯექით ჩაბნელებულ ოთახში და გაიხსენეთ ისეთი მომენტები და პერიოდები, როცა თავს ბედნიერად და წარმატებულად გრძნობდით; ასევე, გაიხსენეთ, რა გეცვათ და გეკეთათ ამ დროს, ვინ იყო თქვენს გარემოცვაში. ქვეცნობიერად ხელახლა გამოიწვიეთ ეს შეგრძნებები და, თქვენი ცხოვრების წარმატების არხი ნამდვილად გაიხსნება. ასეთი აზრ-ფორმა თქვენს სასიკეთოდ მოქმედებს და წარმატებებსაც აუცილებლად მალევე მოგიტანთ. ხშირად უნდა გაიხსენოთ ბედნიერი დღეები, წამები და წუთები და ამ ასოციაციის ფონზე გახსნათ ბედნიერებისა და წარმატების არხი. რაც უფრო ხშირად გაიხსენებთ ასეთ წარმატებულ დღეებს აზრის დონეზე, მით მეტად წარმატებული იქნებით მომავალში. სხვათა შორის, ზოგ ბედნიერებისა და წარმატებების არხი დაბადებიდანვე გახსნილი აქვს, ამიტომ, ისინი ნაკლები ძალისხმევით აღწევენ პირად ცხოვრებასა თუ კარიერაში დიდ წარმატებებს. საერთოდ, აზრობრივი მაგია თავად ადამიანის ენერგიაზეა დამოკიდებული: რაც მეტად სწორად იხარჯება ენერგია და მას სწორ მიმართულებას აძლევთ, მით მეტად წარმატებული ხართ. იღბლიან ადამიანებს ეს ადვილად გამოსდით. ასევე, ვინმესთვის ცუდის სურვილი ან თუნდაც წყევლა, ერთგვარი აზრობრივი მაგიაა. არის დღეები, როცა ის განსაკუთრებულად საშიშ ძალას იძენს და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. ამის შესახებ გარკვეულ ცოდნას ჩვენი წინაპრებიც ფლობდნენ. მაგალითად, ახალ მთვარეზე, თუ ის შაბათ ან ორშაბათ დღეს ემთხვევა, ვინმეს დაწყევლა ან აზრის დონეზე ცუდის გაფიქრება ძალიან სახიფათოა, რადგან აზრი იძენს კოლოსალურ ძალას. ამ დღეებში დიდი შანსია, კონკრეტული ადამიანის დაწყევლა რეალურად ახდეს. გაფიქრებულმა ერთმა ცუდმა აზრმა, შესაძლოა, მთლიანად შეცვალოს ადამიანის ბედიღბალი და ის ცუდისკენ წაიყვანოს. ეს ენერგეტიკულად ცუდი ფონი კი სწორედ იმ პერიოდში იქმნება, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ.

ადამიანს ინტუიციურად მიეწოდება მისთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია ზოგჯერ სიზმრის, ზოგჯერ შინაგანი ხმის, ზოგჯერ კი გარკვეულ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად. ყველას გირჩევთ, საკუთარ „მეს“ მოუსმინოთ, საკუთარ ინტუიციას ენდოთ, ყურადღებით დააკვირდით წინათგრძნობას და მოვლენები ასე გადააფასეთ. ზებუნებრივი ხმა ყველას ესმის, თუმცა მისი გაგება ბევრს არ სურს და ყურადღებასაც არ აქცევს. ბედისწერის ნიუანსების წინასწარ განჭვრეტა სულაც არ არის აუცილებელი. უბრალოდ, ყველამ უნდა იცოდეს, რა არის მისთვის კარგი და რომელი გზით იაროს ცხოვრებაში.

ყურადღება უნდა მიაქციოთ, ასევე, ცუდ, კვიმატ და მარცხიან დღეებს. კერძოდ, არსებობს თვის გარკვეული რიცხვები, როცა ადამიანი საკუთარ ქმედებას მეტად უნდა დაუკვირდეს. ასეთი დღეები ყოველი თვის 3-დან 9 რიცხვამდე, 17-დან 23-მდე და 28-დან 31-მდეა და ცუდ, კვიმატ და მარცხიან დღეებად მოიაზრება, ამიტომ, ამ დროს მეტად უნდა აკონტროლოთ საკუთარი აზრი და საქციელი. ასევე, არც უნდა ისესხოთ და არც უნდა გაასესხოთ ფული, არც გაყიდოთ არ იყიდოთ რამე ფასეული და თუ ამ დღეებში ცუდად გახდით, გამოჯანმრთელებას დიდი დრო დასჭირდება. არ ვარგა კვიმატ დღეებში ახალ ბინაში გადასვლა, ქორწინება, ნიშნობა და ასე შემდეგ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1979 წლის 20 სექტემბერს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შეინარჩუნოთ სტაბილური საოჯახო და პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად უნდა დაეყრდნოთ ინტუიციას, იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ისწავლოთ საიდუმლოს დაცვა. ასევე, უნდა იყოთ ორგანიზებული და ერთგული და ირგვლივაც ერთგული ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. გახდეთ ნებისყოფიანი, მომთმენი, შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი. ასევე, ხარჯოთ ფული ყაირათიანად – ყოველივე ეს თქვენთვის გამარჯვების მომტანი ფაქტორებია.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 6 იანვარს, დილის 9 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატება და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მექნება სასურველი სასიყვარულო-საოჯახო კავშირი?**

**პასუხი**: თქვენთვის სასიყვარულო-საოჯახო ურთიერთობა მისაღებია შემდეგი ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულ ადამიანთან: მორიელთან, თევზებთან, კუროსთან ან ქალწულთან. არ გირჩევთ ურთიერთობას მშვილდოსანთან. პროფესიებიდან კი მისაღებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ოკულტიზმი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამეცნიერო კვლევა, მანქანების ბიზნესი, არქიტექტურა, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო საქმიანობა, ფსიქოთერაპია.

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 25 აპრილს, ღამის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა. რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოსა და მის სამსახურს, თუმცა, უცხოეთში წასვლა დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ არ არის ურიგო. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – დასავლეთი მხარე; შვედეთი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი, იტალიიდან – ვენეცია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2003 წლის 7 თებერვალს. რა არის მისი კარმული მისია?**

**პასუხი**: თქვენი შვილის კარმული მისიაა, წარმოაჩინოს სულიერი თვისებები, იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა; ასევე, იყოს უშიშარი და მებრძოლი. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური.

### ვერძი

არ არის გამორიცხული, გაუთვალისწინებელი მოვლენების წინაშე აღმოჩნდეთ. გადაღლა და ნერვიულობა ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. ადრე დასახულ გეგმებში კორექტივების შეტანა მოგიწევთ. სასიყვარულო და საქორწინო პარტნიორთან გულახდილი და ჰარმონიული ურთიერთობა სულიერ სიმშვიდეს მოგიტანთ.

### კურო

მიუხედავად ენერგიის მოზღვავებისა და კარგი გუნება-განწყობისა, დიდი გეგმების განხორციელება გაგიჭირდებათ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და ბავშვებთან ურთიერთობას. სასიამოვნო გარემო, სიყვარული და ჰარმონია დაისადგურებს სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობებში.

### ტყუპები

უეცარი, გაუთვალისწინებელი მოვლენები შეცვლიან თქვენს სოციალურ სტატუსს და, იძულებული გახდებით, შეცვალოთ სამუშაო გეგმები. გაუფრთხილდით ფინანსებს და გააკონტროლეთ ხარჯები. მინიმუმამდე შეამცირეთ გადაადგილებები და ყურადღება მიაქციეთ ყველა დეტალს. საყვარელი ადამიანის გვერდით მოთოკეთ ემოციები და ნუ იქნებით იმპულსური.

### კირჩხიბი

თავს ენერგიულად იგრძნობთ, ამიტომ, მეტი თავდაჯერებულობა და ოპტიმიზმი გამოავლინეთ. საქმეში გამოიყენეთ გამოცდილი მეთოდები და მოერიდეთ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს. მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღება ჯერ ნაადრევია, რათა არ დაუშვათ შეცდომები.

### ლომი

თქვენი პირადი ურთიერთობები გარშემო მყოფთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება. დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რათა შეინარჩუნოთ უწინდელი მდგომარეობა. მოერიდეთ უცნობ ადამიანებთან კონტაქტს, არ აჰყვეთ პროვოკაციებს, გადაამოწმეთ ყველა საბუთი და არ დაარღვიოთ კანონი. მოერიდეთ ექსტრემალურ სიტუაციებს.

### ქალწული

გაიზრდება თავისუფლებისა და დასვენების მოთხოვნილება. დაიტვირთებით საოჯახო საქმეებით და მოგიწევთ ოჯახის წევრებზე ზრუნვა. გაიზრდება გაუგებრობები საბუთებთან დაკავშირებით. სანამ არ დაასრულებთ ძველს, ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს. არ გირჩევთ მოგზაურობას, რადგან, დიდია ტრავმების ალბათობა.

### სასწორი

რთული პერიოდია. მოიმატებს პირადი პრობლემების რაოდენობა. გამოავლინეთ მაქსიმალური სიმშვიდე და ფრთხილად მიუდექით ყველა საქმეს. უსმინეთ ინტუიციას. არ არის გამორიცხული, ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. საყვარელ ადამიანთან მიმართებაში კი მოერიდეთ ეჭვიანობას.

### მორიელი

ბევრი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებს და ფიზიკურ საქმიანობას, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, რთული იქნება თქვენთან ურთიერთობა, რადგან, ყველა ეჭვის თვალით დაგიწყებთ ყურებას. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული. ჯობია, მოგზაურობა სხვა დროისთვის გადადოთ, საქმიანი მოლაპარაკებები კი აუჩქარებლად აწარმოეთ.

### მშვილდოსანი

ენერგიული და დინამიკური იქნებით. გაიზრდება რომანტიკული თავგადასავლების რიცხვი. გაგიადვილდებათ ინფორმაციის მიღება. დასახეთ სამომავლო გეგმები. ახალი საქმე კი მომავლისთვის გადადეთ. თუ არ გსურთ საყვარელი ადამიანის გაბრაზება, მის გვერდით ყოფნისას აკონტროლეთ სიტყვები და ემოციები.

### თხის რქა

იმუშავეთ შემოქმედებითად. ერიდეთ ფარულ საქმიანობას როგორც პირად, ასევე, პროფესიონალურ სფეროში. პერიოდულად დაისვენეთ, რომ აღიდგინოთ ძალები. მეტი დრო გაატარეთ საყვარელი ადამიანის გვერდით. არ გირჩევთ მოგზაურობას. მოიმატებს სამუშაოს რაოდენობა, ამიტომ, ზედმეტად არ გადაიღალოთ.

### მერწყული

თქვენი ენერგეტიკა დაქვეითებას დაიწყებს, თუმცა, ეს ხელს არ შეგიშლით საქმეების რეალიზებაში. თავი აარიდეთ ცდუნებებს. არ არის გამორიცხული, ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორება მოგიხდეთ. დიდი პოპულარობით ისარგებლებთ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, ამიტომ, გამოიყენეთ ეს დრო სასურველი სასიყვარულო პარტნიორის შესარჩევად. ხელმომჭირნედ ხარჯეთ ფული.

### თევზები

მოაგვარეთ ოჯახური პრობლემები. ადვილად გაართმევთ თავს პროფესიონალურ საქმიანობას. დახარჯეთ ფინანსები სახლის კეთილმოწყობაზე. დაღლილობის შეგრძნებას კი ადვილად მოიხსნით ხანმოკლე მოგზაურობით, ბუნებაში სეირნობით და საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბრებით.

**ახალმთვარეობა – 29 აპრილი, 06 სთ: 55 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

გამოიჩინეთ მეტი მოთმინება სხვების მიმართ. ნუ იქნებით მოძალადე. მგზავრობის დროს იყავით ყურადღებით. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ქრიზოპრაზი, ონიქსი, ოპალი, აქატი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობას, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს. კარგია მანუალური თერაპია. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კანი, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

რთულდება საქმეების რეალიზება. მაქსიმალურად გამოავლინეთ შრომისუნარიანობა. მოერიდეთ ძალის გამოყენებას. კარგია მონანიება. მოერიდეთ თმის შეჭრას. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, ვარდისფერი, წითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, ძოწი ან ნეფრიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, სარემონტო სამუშაოები, დიეტის დაწყება, გართობა, სახლის მშენებლობა. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოთოკეთ სულსწრაფობა და უყაირათობა. ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია საზოგადოებრივი და ინტელექტუალური საქმიანობა, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ქალწულებისთვის.***

### ხუთშაბათი

მოერიდეთ მოგზაურობას, აკონტროლეთ აგრესია და გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. მაღალია მოტყუების ალბათობა. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, იისფერი, ვერცხლისფერი, ლურჯი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, გიშერი, მარგალიტი, მარჯანი ან ალექსანდრიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან მათი ახდენა საეჭვოა. კარგია იურიდიული საქმიანობა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო შეხვედრები. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### პარასკევი

გამოავლინეთ კეთილშობილება და გაუწიეთ დახმარება სხვებს. ატარეთ იისფერი, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი, ლურჯი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, მარჯანი, შავი გიაცინტი, ალექსანდრიტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა საიდუმლო საქმეები, სასიყვარულო შეხვედრები. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, კაპიტალდაბანდება. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია შემოქმედებითი მუშაობა, იურიდიული საკითხების მოგვარება, მოგზაურობა, ქველმოქმედება, კაპიტალდაბანდება, ავეჯის შეძენა. ატარეთ იისფერი, ვერცხლისფერი, ფირუზისფერი, მწვანე, წითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ლურჯი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ლალი, იაგუნდი ან წითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. კარგია ვაჭრობა, სასიყვარულო შეხვედრები. სუსტდება თავი, გრძნობათა ორგანოები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა

გამახვილდება ინტუიცია და შემოქმედებითი ნიჭი. კარგია მკურნალობის დაწყება, სწავლა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სარდიონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია კონტაქტები, ვარჯიშების ჩატარება, გართობა. ნუ გადატვირთავთ თვალებს. მოერიდეთ კამათსა და აგრესიის გამოხატვას. სუსტდება კბილები, თავი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**რეჟისორ გოჩა კაპანაძეს შემოქმედებითი ტაიმაუტი აქვს, თუმცა ჩვეულებისამებრ, „ბედს არ ნებდება” და როგორც ყოველთვის, იმ საქმეს მაინც პოულობს, რაც პროფესიულ სიამოვნებას ანიჭებს. სანდრო ახმეტელის საპატიო პრემიის მფლობელს, კადრს მიღმა ძალიან აქტიური ცხოვრება აქვს – მართალია, ოფიციალურად მარტოხელა მამაკაცის სტატუსი აქვს, მაგრამ არც მთლად ისეა საქმე, როგორც მისი ბოლო კინოროლის პროტოტიპს შეჰფერის.**

# როგორ ცხოვრობს რეჟისორი გოჩა კაპანაძე ბაქოში და რატომ მოჰყვა ის რეპრესიებში ლენინის თავის გამო

**გოჩა კაპანაძე**: ბოლო პერიოდში ისე მოხდა, რომ თეატრში ნაკლებად მაქვს სამუშაო, ამჟამად არც ერთ თეატრში არ ვაკეთებ სპექტაკლს. თუმცა, მონიშნულია და მიდის მოლაპარაკებები, რომ დადგმა უნდა დავიწყო ცხინვალის თეატრში, ასევე რუსთავის და ახმეტელის თეატრებში. ბოლო რამდენიმე თვეა, ძირითადად შემოქმედებით საღამოებზე ვმუშაობ, რაც თავისთავად ძალიან კარგია. თუმცა, რეჟისორისთვის მთავარი მაინც თეატრია, რომლის გარეშე ყველა რეჟისორი ცოდოა. ყველა ხელოვანის ცხოვრებაში არის პერიოდი, როცა ის ძალიან აქტიურია, მაგრამ არის მომენტები, როცა პაუზა გაქვს. ბევრს ვკითხულობ, დავდივარ გამოფენებზე, ვეცნობი ახალ მხატვრებს. ვიცი, რომ გაივლის ეს პაუზა და კვლავ ბევრ სპექტაკლს გავაკეთებ. მე მქონია პერიოდები, როცა ძალიან აქტიური ვიყავი. ეს იმ დროს იყო, როცა მთელი ჩვენი ჯგუფი ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რუსთაველის თეატრში ჩავედით. ბატონმა რობერტ სტურუამ ნახა ჩვენი სადიპლომო სპექტაკლი და ათივე მონაწილე თეატრში აგვიყვანა. ეს იშვიათი შემთხვევა იყო. მაშინ ძალიან საინტერესო შემოქმედებითი ტანდემი შედგა ჩვენს ხელმძღვანელს, გიზო ჟორდანიას და ბატონ რობერტს შორის. ჩვენ მოვყევით რუსთაველის თეატრის ოკეანის წყნარ დინებაში. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა თეატრი რთული კულისების გარეშე ცხოვრობდა. დიდი ჩავარდნა და პაუზა არასდროს მქონია. მე თვითონ არ ვაძლევდი გაჩერების უფლებას ჩემს თავს. ჩემთვის თეატრი არის წყალი, ჰაერი, ჟანგბადი, უსაქმოდ გაძლება დიდხანს არ შემეძლო. მე არ ვერიდებოდი სხვა თეატრებს და წარმოდგენებს არ ვდგამდი მხოლოდ სამეფო თეატრებში. თუ არ იყო რუსთაველის თეატრი, მივდიოდი საჩხერეში, ჭიათურაში, ზესტაფონსა თუ თელავში. დიდი სცენის ამბიცია თავიდანვე „მივიღე”, პირველივე სპექტაკლი გავაკეთე რუსთაველის თეატრში. ჩემს თაობაში იმდენი სპექტაკლი, რაც მე გავაკეთე, მგონი, არც არავის გაუკეთებია. რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს რუსთაველის თეატრი. ეს ჩემი მშობლიური თეატრია, ყველაზე კომფორტულად იქ ვგრძნობ თავს. მაგრამ, თუ არ არის რუსთაველის თეატრი, მე ყოველთვის ვმოძრაობ და არც არასდროს ვაბრალებ ვინმეს ჩემს წარმატებას თუ წარუმატებლობას.


ქალაქის მთავარი მაჭანკლის ასისტენტი ვარ

**– თქვენ ხშირად ხართ ბაქოშიც. ეს ქალაქი ქართველი ხელოვანებისთვის კარგი ასპარეზი აღმოჩნდა. ეს იმიტომ, რომ იქ ბევრი ფულია, თუ შემოქმედებითადაც საინტერესოა იმ ქალაქში მუშაობა?**

– დიდი ფინანსური განსხვავება არ არის ბაქოსა და თბილისს შორის. იქაც თითქმის ისეთ ჰონორარებს იხდიან, როგორც ქართულ თეატრებში, თუ მიწვევა გაქვს. ბაქო იძლევა საშუალებას, გქონდეს პროფესიული კონტაქტი სხვა შემოქმედებით კულტურასთან, შემოქმედებით ჯგუფებთან. მეზობელი ხალხია, ჩვენ ძალიან ვუყვარვართ, თან მე მათი ნაციონალური თეატრის ხელმძღვანელი ვარ თბილისში. შესაბამისად, ეს უფრო აღრმავებს ჩვენს შემოქმედებით ურთიერთობას. სამწუხაროდ, აზერბაიჯანული თეატრის შენობის ავარიული მდგომარეობა არ გვაძლევს საშუალებას ჩვენს თეატრში გავმართოთ სპექტაკლები, შესაბამისად სპექტაკლებს ვმართავთ სხვა თეატრებში. ბაქო საინტერესო ქალაქია. როცა იქ ვარ, ნამდვილად მაქვს ბოჰემური ცხოვრება. ბაქოში ბევრი ქართველი მეგობარი მყავს, რომლებიც იქაურ ელიტას მიეკუთვნებიან. მათ აქვთ მაღალი დონის რესტორნები, სადაც სტუმრებს ძალიან გვანებივრებენ. მყავს ძალიან კარგი აზერბაიჯანელი მეგობრებიც, რომელთა უმეტესობაც საკმაოდ მდიდარი ოლიგარქები არიან.

**– თბილისში როგორია კადრს მიღმა თქვენი ცხოვრება?**

– ძალიან აქტიური, თუმცა მაინც ჩვეულებრივი. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, უფრო ღამის ცხოვრება მაქვს. რესტორანი, ვახშამი, მეგობრებთან შეხვედრები, სადილი და საუზმეც კი, ღამის საათებში მაქვს ***(იცინის).*** ვარსკვლავური ამბიციები არ მაქვს, ეს მათთვისაა, ვინც ახლა იმკვიდრებს თავს და სხვა საინტერესოს ვერაფერს პოულობს. მე მაინც მირჩევნია წყნარი, მშვიდი ცხოვრების წესი მქონდეს. მაინცდამაინც წითელი ქუდი დავიფარო და ზედ მწვანე ბანტები გავიკეთო, ვინმეს ყურადღების მისაქცევად, ეს ჩემი სტილი არაა. მე მირჩევნია, დრო უფრო საინტერესო ამბებს დავუთმო, ვიდრე თავის წარმოჩენას. იყო დრო, ძალიან კარგად ვცურავდი, დავრბოდი, სპორტულ ცხოვრებას ვეწეოდი და ამ მხრივ, პროფესიული წარმატებებიც მქონდა. ჩემგან კარგი მორბენალი, მოცურავე, მოცეკვავე დადგებოდა, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო, რომელიც ბარიერებზე ხტუნვის დროს მივიღე, ამ ყველაფერს ჩამოვშორდი. მერე მოვხვდი იქ, სადაც ვარ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობიდან ვოცნებობდი მსახიობობასა და რეჟისორობაზე. პირიქით, ძალიან მორცხვი და კომპლექსებით სავსე ბავშვი ვიყავი. სულ ერთხელ წავიკითხე სკოლაში ლექსი ლენინზე და ისიც ძვირად დამიჯდა. მთელი თვე-ნახევარი დედაჩემს სკოლაში იმის გამო დაარბენინებდნენ, რომ ლექსში ლენინის სახის ნაცვლად, თავი ვთქვი. კომუნისტურ რეჟიმში ლენინის მოტვლეპილ თავის ხსენებას რაც მოჰყვა, დღემდე მწარედ მახსოვს. თვე-ნახევარი გაკვეთილზეც კი არ მიძახებდნენ, რეპრესირებული ვიყავი ***(იცინის).***

## ვერ შევეგუები ისეთ ქალს, დღე და ღამე ფოიერბახზე რომ საუბრობს

**– ამ ეტაპისთვის თქვენი ბოლო კინოროლით, კარგად ვნახეთ, როგორ გამოგდით ინდური ცეკვა და როგორ ასწავლით მას მარტოხელებს.**

– „გარიგებას” გულისხმობთ? უფ, კარგი იყო ინდური ცეკვის მასწავლებლის როლში ყოფნა. ძალიან კარგ რეჟისორებთან ვარ გადაღებული ფილმებში, მაგრამ რატომღაც ეს ბოლო როლი განსაკუთრებით პოპულარული გახდა.

**– იმიტომაც ხომ არა, რომ თავადაც მარტოხელა ხართ და ყველაზე უკეთ მოირგეთ ეს როლი.**

– სულ არ ვგრძნობ თავს მარტოხელად. მას შემდეგ, რაც მეუღლეს გავშორდი დიდი დრო გავიდა. ჩვენ გვყავს ერთი შვილი, 19 წლის გოგონა. ვერ ვიტყვი, რომ ისე ვცხოვრობ, როგორც საერთოდ მარტოხელები ცხოვრობენ. ამისთვის დრო არ მრჩება. ვინ დაგტოვებს მარტოს? ისეთი დიდი სამეგობრო და სანათესაო მყავს, მათი წყალობით სულ ვერ ვგრძნობ მარტოობას. ძალიან აჩქარებულ ტემპში ვარ, სულ ვეუბნები ჩემს თავს: რა გეჩქარება-მეთქი, მაგრამ ეტყობა, ცხოვრების რიტმი გახდა ასეთი.

**– და ამ ტემპში ოჯახისთვის დრო აღარ გრჩებათ?**

– ასეც ვერ ვიტყვი. ჯერ თავს ისე არ ვგრძნობ, რომ ცხოვრებამ ჩამიარა. წუნია ნამდვილად არ ვარ, მაგრამ სამი-ოთხი შეხვედრის შემდეგ, ჩემი და ქალბატონების ურთიერთობა რატომღაც მეგობრობაში გადადის. ძალიან კომუნიკაბელური ვარ, იოლად შევდივარ კონტაქტში, ხან აქ ვარ, ხან – იქ. ასე რომ, ჩემს დაუოჯახებლობას განსაკუთრებულ პრობლემად მართლა არ მივიჩნევ. ხანდახან, როცა მარტო ვრჩები, მაშინ ვფიქრობ, რომ მარტო არ უნდა ვიყო, მაგრამ ამ ფიქრს ძალიან არ ვუღრმავდები. ასე რომ იყოს, მაშინ მივიღებდი გადაწყვეტილებას. მე მაინც მგონია, ეს ყველაფერი ჩვენგან დამოუკიდებლად ხდება და ღმერთისგან ლაგდება, ბედისწერისგან არის გაწერილი.

**– მარტო კარგად უვლით თავს?**

– კი. თუმცა, ყოველდღიურად მოდის ქალბატონი, რომელიც საოჯახო საქმეებს ხელმძღვანელობს. კულინარიაში არ ვარ ცუდად, ბოლოს და ბოლოს გადაცემა მიმყავდა ტელევიზიაში და სხვებს ვასწავლიდი საჭმელების „რეცეპტებს’. ამ საქმეში კარგად ვარ დაოსტატებული, თუმცა სახლში თითქმის არაფრის გაკეთება არ მიწევს.

**– პერსპექტიულ სასიძოს, ალბათ, მაჭანკლები გიტევენ.**

– დროდადრო მართლაც მიტევენ და მახსენებენ, რომ დროა, ცოლი მოიყვანოო. ყველაზე მთავარი, თბილისში ცნობილი მაჭანკალი მიტევს, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარია. ნანული სარაჯიშვილი ამ საქმეში მაგარია, დავალება უკვე გავეცი. უნდა ნახოთ, როგორ ეძებს და არჩევს კანდიდატურებს – „დამიწყობს” ხოლმე და მერე ბევრზე თვითონვე ამბობს უარს, ცხრილავს სიას. სამი-ოთხი კანდიდატურა მეც მომეწონა, მაგრამ მერე თვითონ ვერ „გამიმეტა” მათთვის ***(იცინის).*** ვერ ვიტყვი, რომ მაღალი სტანდარტები მაქვს, ჩემი „მოთხოვნა” ჩვეულებრივია – უნდა გავუგოთ ერთმანეთს და შეგვიყვარდეს. არ მინდა, რომ ჩემი რჩეული ჩემნაირი გიჟი იყოს, წყნარი მირჩევნია. თუმცა, ვერც ისეთ ქალს შევეგუები, დღე და ღამე ფოიერბახზე რომ საუბრობს. ქალი საინტერესო უნდა იყოს. აი, ესაა მთავარი სტანდარტი. ბრენდები, „მერსედესი”, გემი და ვილა მარსელში, ეს ოცნების სხვა მხარეა. მთავარი ცხოვრებაში სხვა რამ არის. ნანული პეტროვნა ამ თემაზე ბევრს ხუმრობს ხოლმე, ხანდახან მეც ვხდები მისი ასისტენტი – მას ბევრი აწუხებს ამ თემით. როცა საქმე სხვის ბედზე ზრუნვას ეხება, ვარ ძალიან კეთილი, გამგები. მე მატერიალური მხარე და მზითევი „მაბარია” ***(იცინის)***

**– თქვენი მზითევი რა არის?**

– სახლი სოლოლაკში, მიწა თბილისის ზღვაზე, რომელზედაც სახლის აშენება ჯერ არ დამიწყია. მქონდა მამისეული სახლი ღორეშაში, რომელიც გავყიდე. მიყვარს იქაურობა. მთავარია, გული გულობდეს და ჩემს მზითევს უფრო გავზრდი – კიდევ გამოვძებნი რაღაცეებს, საქმე საქმეზე რომ მიდგება. იმდენი მაქვს გაცემული, ქორწილში მაინც დაველოდები კარგ საჩუქრებს.

**თამუნა ნიჟარაძე**

# „ფენოვანი“ ღორის ხორცით









**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის ხორცი, 150 გრამი დაჭრილი ბეკონი, 1 მუჭა ზეთის ხილი, 2 კვერცხი, 100 მილილიტრი რძე, 70 გრამი ფქვილი, კამა, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** აიღეთ გამოსაცხობი ფორმა და დააწყვეთ მასზე ბეკონის ნაჭრები ფენებად. ღორის ხორცი მომცრო კუბიკებად დაჭერით. დაჭერით ასევე, ზეთის ხილი, კამა და მოაყარეთ ხორცს მარილთან, პილპილთან ერთად და აურიეთ. ამასობაში კვერცხით, ფქვილითა და რძით მოამზადეთ ნაზავი. ათქვიფეთ კარგად. ღორის ხორცის თითოეული ნაჭერი სათითაოდ ამოავლეთ ამ ნაზავში და დააწყვეთ ბეკონზე ზემოდან. როცა ხორცს სულ დაალაგებთ, ბეკონის ნაპირები ამოუკეცეთ. ფოლგა ფორმას გადააფარეთ და მოათავსეთ აირღუმელში, 200 გრადუსზე 1 საათის განმავლობაში.

გამოიღეთ, ზედმეტი წვენი გადაღვარეთ, გააფორმეთ პომიდვრის ნაჭრებით და მიიტანეთ სუფრასთან.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# ბლინები ქათმითა და სოკოთი












**საჭირო ინგრედიენტები:** თხელი ბლინები, 1ცალი ქათამი (800-900 გრამიანი), 300 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 60 გრამი კარაქი, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 350 გრამი არაჟანი (150 გრამი – შიგთავსში + 200 გრამი – სოუსში), 1 ცალი ლიმონის წვენი, მწვანილი, 30 გრამი მაგარი ყველი, 2 ცალი კვერცხის გული, ზეთი, მარილი, პილპილი, ნებისმიერი სუნელი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბლინები მოამზადეთ ჩვეულებრივად, სტანდარტული რეცეპტით. ქათამი მოხარშეთ, ბულიონში ჩაუმატეთ მარილი, პილპილი და ნებისმიერი სხვა სუნელი – გემოვნებით. გააცივეთ. ხორცს მთლიანად გამოაცალეთ ძვლები და დაჩეჩეთ. სოკო დაჭერით, დანამეთ ლიმონის წვენით, რომ არ გაშავდეს. ხახვი დაჭერით, მოშუშეთ ზეთში, დაუმატეთ სოკო. შუშეთ, სანამ სითხე არ ამოშრება. დაუმატეთ ცოტა ფქვილი, არაჟანი, მარილი, პილპილი. შეურიეთ ქათმის ხორცს სოკო, წვრილად დაჭრილი მწვანილი და აურიეთ. თუ ძალიან მშრალი გამოვა, ცოტა ბულიონი დაუმატეთ. ეს შიგთავსი მოათავსეთ ბლინებზე და გადაახვიეთ. ჩააწყვეთ ცოტა ღრმა გამოსაცხობ ფორმაში. ერთმანეთში კარგად აურიეთ კვერცხის გული, არაჟანი, დაფხვნილი ყველი და მოასხით ზემოდან ბლინებს. გამოაცხვეთ 200 გრადუსზე, 15-20 წუთის განმავლობაში. მოგეწონებათ.

# ხორციანი მაკარონი ნინო ძოწენიძისგან





*ამ კერძს საკმაოდ ხშირად ვამზადებ. ჩემს შვილს უყვარს ძალიან. ზოგადად, კერძების მომზადებაში ჩემი მეუღლე გაცილებით კრეატიულია. იმას უფრო უყვარს ექსპრომტად ისეთი კერძის მომზადება, რომელიც გაგაოცებს. მე ტრადიციული საჭმელი გამომდის კარგად.*

**საჭირო ინგრედიენტები:** ერთი შეკვრა გრძელი მაკარონი (სპაგეტი), 400 გრამი ძროხის ხორცის ფარში (ან ნებისმიერი ფარში), 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 თავი ხახვი, უცხო სუნელი, ძირა, წითელი წიწაკა, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით; ცოტა რეჰანი, ოხრახუში – მოსართავად, 3-4 ცალი პომიდორი, 1-2 კბილი ნიორი – სოუსისთვის.

**მომზადების წესი:** ჯერ ხარშავთ მაკარონს მდუღარე მარილწყალში და ხარშვისას დაუმატებთ 2 სადილის კოვზ ზეთს, მაკარონი ერთმანეთს რომ არ მიეკრას და არ ჩაგეხარშოთ. ამოიღეთ საწურზე და გადაავლეთ ცივი წყალი. ცალკე მოშუშეთ ფარში. 1 სადილის კოვზ ზეთში ჯერ წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ, შემდეგ დაუმატეთ ფარში. შუშეთ ერთად. უყავით მარილი გემოვნებით, შავი და წითელი წიწაკა, სუნელები და კარგად აურიეთ.

მაკარონი ამოიღეთ ფართო ლანგარზე და ზემოდან მოათავსეთ მოშუშული ფარში. მოაყარეთ მსხვილად დაჭრილი რეჰანი და ოხრახუში.

ცალკე შეგიძლიათ, მოუმზადოთ პომიდვრის სოუსი. მართალია, მე არ მიყვარს, თუმცა ამ კერძს ძალიან უხდება. პომიდორს გადაავლეთ მდუღარე წყალი, გააცალეთ კანი და დაკეპეთ. მოათავსეთ ტაფაზე და მიიყვანეთ ადუღებამდე, უყავით ცოტა ნიორი და მარილი. შეგიძლიათ, კერძს ცხელივე მოასხათ.

# ხორცის რულეტი „გასაოცარი“





**საჭირო ინგრედიენტები** 500 გრამი ხორცის ფარში, 2 თავი ხახვი, 1 ცალი უმი კარტოფილი, 1 ცალი კვერცხი, 50 გრამი რძეში დამბალი ფუნთუშა, 2 კბილი ნიორი, 4 ცალი დიდი, მსხვილი მაკარონი, 100 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი სტაფილო, 4 ცალი პატარა კომბოსტო – ბროკოლი, 4 სადილის კოვზი ნაღები (10-პროცენტიანი), 50 გრამი ყველი, ზეთი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი და სოკო დაჭერით წვრილად. ყველი და სტაფილო გახეხეთ. ბროკოლი მთლიანად დაშალეთ. ხახვი ოდნავ მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ სოკო, ცოტა ხნის შემდეგ კი – სტაფილო, ბროკოლი, მოშუშეთ. მოასხით ნაღები. უყავით მარილი და ცოტა კიდევ ჩაშუშეთ, ჩაუმატეთ ყველი და ურიეთ, რომ ყველი გადნეს.

აიღეთ მსხვილი მაკარონი (გიგანტური მილი) და ამოავსეთ, ჩაშუშული ბოსტნეულით. ფარშში ჩაუმატეთ ხახვი, ნიორი, გახეხილი უმი კარტოფილი. რძეში დამბალი ფუნთუშა, გაწურეთ და ისიც ჩაუმატეთ ფარშში. უყავით მარილი, პილპილი, კვერცხი და აზილეთ კარგად. გამოსაცხობ ფოლგაზე მოათავსეთ ფარში და მიეცით ოთხკუთხა ფორმა. ბოსტნეულიანი მაკარონი დაალაგეთ ზემოდან. სველი ხელებით ფარში ფრთხილად გადაახვიეთ რულეტივით. გადაიტანეთ რულეტი ზეთწასმულ ტაფაზე და გამოაცხვეთ აირღუმელში 180-200 გრადუსზე ერთი საათის განმავლობაში. უგემრიელესია.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები




# მწვადი შამპანურის მარინადში

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 კილოგრამი ღორის ხორცი, 8 თავი ხახვი, 4 ჩაის კოვზი დაფქული რეჰანი, 2 სადილის კოვზი როზმარინი, 1 ცალი ლიმონის წვენი, 2 ჭიქა მინერალური წყალი, 2 ჭიქა შამპანური, მარილი, ხმელი ქინძი და შავი პილპილი – გემოვნებით. ასევე, 2 თავი ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი და ბროწეულის მარცვლები.

**მომზადების წესი:** ღორის ხორცი მსხვილ ნაჭრებად დაჭერით. ხახვი დაჭერით წვრილად და დაუმატეთ ყველა სანელებელი მარილის გარდა. ხახვი და სანელებლები შეაზილეთ ხორცს, დაასხით მინერალური წყალი, ლიმონის წვენი და შამპანური. ხორცი მაცივარში 3 საათი შეინახეთ, შემდეგ მოაყარეთ მარილი და შამფურზე წამოცმული ნაჭრები მაყალზე ან გრილზე შეწვით. სუფრაზე მიიტანეთ ალყა-ალყა დაჭრილ ხახვთან და ბროწეულის მარცვლებთან ერთად.



# საქონლის ხორცი ალუბლის სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი საქონლის ხორცი, 1 ჩაის კოვზი ძირა, 2 ჩაის კოვზი ტკბილი მდოგვი, დაფხვნილი თეთრი პურის გული საფანელად, მარილი და წიწაკა – გემოვნებით. სოუსისთვის: 1 ჩაის კოვზი კარაქი, 40 გრამი წითელი ხახვი, 60 მილილიტრი მშრალი წითელი ღვინო, 60 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 100 გრამი უკურკო ალუბალი (შეიძლება გაყინული), 0,5 ლიმონის ცედრა, 0,5 ჩაის კოვზი შაქარი, 1 ჩაის კოვზი ბალზამიკო, 0,5 ჩაის კოვზი დაჭრილი ბეგქონდარა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ხორცი ნაწილობრივ შეწვით, წაუსვით მდოგვი, ამოავლეთ დაფხვნილი პურის გულის, მარილის, წიწაკისა და ძირას ნარევში, შემდეგ შეწვით გრილზე ან ღუმელში. ხახვი მოშუშეთ ცხიმში, დაასხით ღვინო და 2-3 წუთი დაბალ ცეცხლზე ადუღეთ. დაუმატეთ ქათმის ბულიონი, ლიმონის ცედრა, ალუბალი, შაქარი, ბალზამიკო, ბეგქონდარა და 3 წუთი ხარშეთ ცეცხლზე. როდესაც შესქელდება, ამოიღეთ ლიმონის ცედრა, დაუმატეთ მარილი და პილპილი. მიირთვით ხორცთან ერთად.

# კურდღელი ყველითა და პომიდვრით

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 კილოგრამი კურდღლის ხორცი, 1-2 თავი ხახვი, 1 ჭიქა თეთრი, მშრალი ღვინო, 6 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 1 ქილა დაჭყლეტილი პომიდორი, რამდენიმე ღერი ბეგქონდარა და თავშავა, 200 გრამი მაგარი ყველი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თუჯის ქვაბში გააცხელეთ ზეთის ნახევარი. კურდღლის ხორცი დაჭერით, მოაყარეთ მარილი და წიწაკა. მოათავსეთ ცხიმში და ყველა მხრიდან შებრაწეთ. ამოიღეთ შემწვარი კურდღლის ნაჭრები და ქვაბში ჩაასხით დარჩენილი ზეთი დაჭრილ ხახვთან ერთად. დაასხით ღვინო და წამოადუღეთ. შემდეგ ჩააბრუნეთ ხორცის ნაჭრები და დაბალ ცეცხლზე თავდახურული 30 წუთი შუშეთ. ჩაუმატეთ პომიდორი, ცოტა შაქარი და დაჭრილი მწვანილი. 20 წუთის შუშვის შემდეგ კურდღლის ხორცს მოაყარეთ დაფხვნილი ყველი, ქვაბს მოხადეთ სახურავი და 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში 10 წუთით შედგით.



# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

22 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

23 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად..."** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

25 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

26 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ლაღანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

27 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

23, 27 აპრილი, **ოთხშაბათი, კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

24 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ზვიად სხირტლაძე, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

25-26 აპრილი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

22 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეპტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

23-24 აპრილი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 20.00 - **„კრამერი კრამერის წინააღმდეგ"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ნათია ნიკოლაიშვილი, სანდრო შარაშიძე, თეონა ქოქრაშვილი, ვალერი კორშია, ზურა ბეგალიშვილი, გვანცა კორშია, ჯანო იზორია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„შევხვდებით სამოთხეში"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

26 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„ფაუსტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, კახა აბუაშვილი, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

27 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

22 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

23 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯულიეტა, ჯულიეტა"** - (ბილეთის ფასი - 6, 7 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი იარი იატინენი. მონაწილეობს: ანი ალადაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ძვირფასი პამელა"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 13 ლარი), რეჟისორი კოტე აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

23 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„რამ შემქმნა ადამიანად?!"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ქეთი დოლიძე. მონაწილეობს: მზია არაბული; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ანდერგრაუნდი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, რამაზ იოსელიანი, ბექა ჯუმუტია, ნიკა წერედიანი, პაატა ბარათაშვილი, ირინა გიუნაშვილი, ვანო დუგლაძე, გუგა კახიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

25 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„მაცეკვე ტანგო"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, გია აბესალაშვილი, ქეთი ასათიანი, ბექა ჯუმუტია, ჯაბა სულაკაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

26 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ჭეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

27 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„ზვავი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი რუსუდან ბოლქვაძე. მონაწილეობენ: ლია კაპანაძე, რევაზ თავართქილაძე, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

25 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„სასტუმრო, ორი სამყაროს გასაყარზე"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, ბექნუ ქაფიანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დარიუშ ეზერსკი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, კახა ჯოხაძე, გიორგი ჭუმბურიძე, თათია თათარაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

27 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5. ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**21 – 27 აპრილი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.00 - **„რიო 2"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

19.30, 22.30 - **„დივერჯენთი"**, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

*დარბაზი 2*

12.00, 16.00 - **„პარიზული ოცნება"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

14.00 - **„ფარაჯანოვი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

18.00, 20.00, 22.30 - **„დავიწყებული მეფე"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 3*

12.00, 14.45, 17.30 - **„დივერჯენთი"**, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

20.15 - **„რიო 2"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

22.30 - **„სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტ"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 4*

13.00, 16.00, 19.30, 22.30 - **„ნოე"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

*დარბაზი 5*

11.30, 14.00, 17.15, 20.00, 22.30 - **„კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ.;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.10, 14.40, 17.30, 20.15 - **„რიო 2"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

22.30 - **„დივერჯენთი"**, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

*დარბაზი 2*

12.30, 22.30 - **„კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ.;***

16.00, 19.30 - **„დივერჯენთი"**, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

*დარბაზი 3*

13.00, 16.00, 19.30, 22.30 - **„ნოე"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

**წმიდა მატათა იმ მოციქულების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს. წმიდა ეპიფანე კვიპრელის ცნობით, მატათა მოციქულმა სახარება იქადაგა კოლხეთში, იქვე გარდაიცვალა და დღემდე ბათუმის მახლობლად, გონიოს ციხესიმაგრეშია დაკრძალული. მის საფლავთან დღემდე არაერთი სასწაული და კურნება აღესრულება. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება პროფესორი, მხატვარი და მრავალი ცნობილი სიმღერის მელოდიის ავტორი, დავით გაჩეჩილაძე:**

# რომელი ხატი ჩამობრძანდა საქართველოში 10 საუკუნის შემდეგ, რა სასწაულები ხდება და როგორ ქრისტიანდებიან ადამიანები გონიოში, მატათა მოციქულის საფლავზე

– ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში საქართველოში იქადაგა ხუთმა მოციქულმა: ანდრიამ, სვიმონ კანანელმა, მატათამ, თადეოზმა და ბართლომემ. თადეოზი სწორედ ის მოციქულია, რომელიც ქრისტემ თავის სიცოცხლეში ქალაქ ედესაში ავგაროზთან გააგზავნა და თან გაატანა ხელთუქმნელი ხატი, რომელზეც მისი სახე იყო გამოსახული და დღეს ის დაკარგულია. თუმცა, გარკვეული სწავლების თანახმად, ეს ხატი მეორედ მოსვლის ჟამს ივერიაში – საქართველოში უნდა გამოჩნდეს. სიმბოლურია ისიც, რომ ათი საუკუნის შემდეგ საქართველოში ჩამოდის ხელთუქმნელი ხატი – ანჩისხატის, იგივე კეცის ხატი. როგორც ცნობილია, პირველი ხელთუქმნელი ხატი კეცის გვერდზე იდო, რომელზეც ის გადავიდა და დღეს საქართველოში იმყოფება. ის, რომ აჭარა საქართველოს შემორჩა, გადაურჩა ლენინისა და ათათურქის გარიგებას, სხვა ძველ ქართულ მიწებთან ერთად ესეც არ გაათურქეს, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ მატათა მოციქულის საფლავი ზედ საზღვარზეა. როდესაც დღეს საუბრობენ, რომ აფხაზეთის ეკლესიამ, შეიძლება, ავტოკეფალია მიიღოს, მეცინება, იმიტომ რომ, სვიმონ კანანელი არის სულიერი ძმა ანდრიასი, მათ ევქარისტიული კავშირი აქვთ ქართულ ეკლესიასთან და შეუძლებელია, რამე გამოუვიდეთ სეპარატისტებს, მაშინ, როდესაც იქ არის სვიმონ კანანელის საფლავი? უბრალოდ, ეს ჩვენ, ქართველებს უნდა გვახსოვდეს და სვიმონ კანანელის მიმართ განსაკუთრებული ლოცვითა და ვედრებით უნდა ვიყოთ. აფხაზეთში სვიმონ კანანელის გარდა, ასევე, არის უდიდესი წმიდანი იოანე ოქროპირი – დღევანდელი წირვა-ლოცვის დოგმატიკა მეოთხე საუკუნეში მის მიერ არის შედგენილი. ამიტომ, ქართველებს სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ის არის ძირძველი ქართული, ქრისტიანული მიწა, ეს აფხაზებსაც უნდა ახსოვდეთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ილორში, ბედიაში, სხვა ქართულ მონასტრებში, ასევე, ბიჭვინთის ტაძარში არის ქართული ფრესკები, ხოლო პირველ მსოფლიო კრებაზე ნიკეაში, წარმოდგენილი იყო ბიჭვინთის ეპისკოპოსი. ეს ადასტურებს, რომ მაშინ საქართველოში მინიმუმ სამი-ოთხი სასულიერო პირი მაინც არსებობდა. ისევე, როგორც ბიჭვინთაში, ასევე ზემო აჭარაშიც იყო ანდრია პირველწოდებულის მიერ აშენებული ტაძარი და სწორედ აჭარიდან შემოვიდა ქრისტიანობა. არა მხოლოდ შემოვიდა, მუდმივად ხდებოდა საქართველოში ქრისტიანობის განახლება, განმტკიცება სასწაულების სახით და ამაში აჭარა ყოველთვის მოწინავე იყო.

**– ზუსტად სად მდებარეობს მატათა მოციქულის საფლავი და რა სასწაულები აღესრულება იქ?**

– ჩვენ ვიცით, რომ ქრისტეს ჰყავდა 12 მოციქული, მატათა კი 70 მოციქულს შორის იყო. როდესაც იუდამ გასცა უფალი და თავი ჩამოიხრჩო, მოწაფეებს მის ადგილას უნდა აერჩიათ სხვა მოწაფე და ის უნდა აერჩიათ სამოცდაათთაგან. როდესაც კენჭი ყარეს, ყველაზე გრძელი ჯოხი მატათას შეხვდა და ის აირჩიეს მეთორმეტე მოციქულად. მაგრამ ერთ-ერთ მოციქულს ეჭვი შეეპარა და თქვა, საიდან ვიცით ღვთის ნება, რომ სწორედ მატათა არის რჩეული. მაშინ მოხდა ღვთის გამოცხადება სულიწმიდის სახით და მათ განუცხადა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ეს არის ის, რომელზეც გადმოსულია მადლი უფლისაო. მატათა მოციქულის საფლავი მდებარეობს გონიოს ციხის აღმოსავლეთით, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება. იმ დროს გონიოდ მოიხსენიებოდა მაშინდელი მთლიანი სანაპირო – მთელი სამხრეთ აჭარა გონიოდ ითვლებოდა. სავარაუდოდ, საფლავი უნდა იყოს ციხის შიგნით და არა გარეთ. გასული საუკუნის 90-იან წლებში, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, იმ ადგილას აღიმართა ქვა, რომელიც მატათა მოციქულის საფლავად არის მიჩნეული. ჩემი და ჩემი ახლობლების ცხოვრებიდან უამრავი შემთხვევა ვიცი, როდესაც მატათა მოციქულის საფლავზე გულწრფელი თხოვნა ასრულებულა, თანაც ძალიან კონკრეტულად და მისგან დიდი შეწევნა მიგვიღია. დღეს გონიოს ციხის შიგნით შემონახულია მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის ჯამე, ანუ მცირე მეჩეთის არქიტექტურული ფორმა. მუზეუმის დირექტორი, შოთა მამულაშვილი თავის ერთ-ერთ სამეცნიერო შრომაში წერს, რომ სავარაუდოდ, ეს მეჩეთი უფრო ადრინდელი ეკლესიის ადგილას უნდა იყოს აშენებული, რადგან ამ შენობის საძირკველში ჩადებულ ქვებზე გამოსახულია ჯვარი. მატათას



**გარკვეული სწავლების თანახმად, ეს ხატი მეორედ მოსვლის ჟამს ივერიაში – საქართველოში უნდა გამოჩნდეს**

საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ცნობები ძალიან მწირია. ის ქადაგებდა აჭარაში, გურია-სამეგრელოშიც გადავიდა და კახეთშიც ჩავიდა. პირველი საუკუნის 69-70 წლებში წამებით მოკლეს. იმის გამო, რომ უარი არ თქვა ქრისტიანობაზე, ქვებით ჩაქოლეს. მატათა მოციქულის საფლავი იყო ის ადგილი, სადაც ჩემი პირველი შეხება მოხდა სასწაულებთან. ეს 10 წლის წინ იყო. ერთი პერიოდი ბერობაზე ვფიქრობდი და მატათა მოციქულს ვთხოვდი, ჩემი გზა ეჩვენებინა, იმ დროს მეუღლე და ორი პატარა შვილი მყავდა ***(ახლა უკვე 6 შვილის მამაა – ავტორი).*** გონიოში ვისვენებდი და დავინახე, რომ ახალგაზრდა ხელვაჩაურელი ბიჭები გოგონებს პლაჟზე ქვებს ესროდნენ და ცოტა გამომწვევად ექცეოდნენ. დაახლოებით 15 წუთი ვესაუბრე და ჩვენი საუბარი დამთავრდა იმით, რომ თორმეტივემ გამოთქვა სურვილი, იმ დღესვე მონათლულიყვნენ. ეს ჩემთვის დიდი სასწაული იყო და იმ დღესვე მოინათლნენ. მათ შორის ყველაზე გამორჩეულს კი სწორედ 22 აგვისტოს ჰქონდა დაბადების დღე, წმიდა მატათას ხსენების დღეს და მასაც მატათა დავარქვით. ნათლობიდან რამდენიმე დღის შემდეგ მატათა მოციქულის საფლავზე მადლობის სათქმელად წავედი. საღამო ხანი იყო, მუზეუმი ამ დროს იკეტება და ვიფიქრე, ჩემთვის მშვიდად ვილოცებ-მეთქი. მუხლებზე დავიჩოქე საფლავთან, სამადლობელ ლოცვას ვამბობდი და ამ დროს ნასვამი კაცი შემოვიდა, რომელიც მე მელოდებოდა და არაფრით არ მიდიოდა. გულში ვთქვი, უფალო, შენ მომიტევე, რამეთუ ლოცვა უნდა შევწყვიტო. რამეთუ შენვე ბრძანე, რომ ყველა გაჭირვებულს ხელი უნდა გაუმართო და შენ მიწინამძღვრე ამ ადამიანთან საუბრის დროს-მეთქი. წამოვდექი, ველოდები, რომ რაღაც უნდა მთხოვოს და მეუბნება, ძმაო ხუთი ლარი, ხომ არ გაქვსო. ვუთხარი, ლარები მაქვს, მაგრამ მანქანაში, აქ არ წამომიღია-მეთქი. ის „ჯიპი“, გარეთ რომ დგას, ესე იგი შენია, მაშინ თუმანიც გექნებაო. ჩვენი საუბარი უკვე კონფლიქტისკენ მიდიოდა და გადავწყვიტე, მისთვის პირჯვარი გადამესახა. რადგან სასულიერო პირი არ ვიყავი, ხელით ვერ გადავსახავდი, ამიტომ თვალებით გადავსახე. ღმერთო, შენ დადე ზღვარი კეთილსა და ბოროტს შორის-მეთქი. პირველი ჯვრის გადასახვისთანავე, საუბრის თემა შეცვალა და მეუბნება, შენ აჭარლები ვინმეზე ნაკლები ბიჭები და ქრისტიანები ხომ არ გგონიაო. ეტყობა, აქ რომ ლოცულობ, კარგი ადამიანი ხარო. მადლობა უფალს-მეთქი, – გავიფიქრე გულში და კიდევ გადავსახე თვალებით პირჯვარი და მან უცანური ფრაზა თქვა: აჭარლები პირველი ქრისტიანები ვართ და ქრისტიანობა საქართველოში აჭარიდან შემოვიდაო. კიდევ ერთხელ გადავუხადე უფალს მადლობა და მესამედ გადავსახე პირჯვარი. თან, ვკითხე, შვილები თუ გყავს-მეთქი. კიო. მონათლულები თუ არიან-მეთქი. არა და შენ თუ ნამდვილი ქრისტიანი ხარ, ჩემი შვილები უნდა მომინათლოო. ეს იყო აშკარა მინიშნება, იმავე დღეს მოვნათლე მისი ბიჭი, გოგონა არ მოჰყავდა, მაგრამ გოგონაც ჩამოვაყვანინე. იქ კიდევ ერთი ამბავი მოხდა: როდესაც ამ კაცს თავისი შვილი მოჰყავდა, მასთან მივიდა მეზობლის გოგონა და იმ დღეს ოთხი ადამიანი გაქრისტიანდა. მე ასევე ვიცი ერთი ფაქტი, ადამიანს ჰქონდა სიმსივნე, ძალინ ცუდად იყო, შეიძლება ითქვას, რომ გადადებული. ის ჩავიდა მატათა მოციქულის საფლავზე, წრფელი გულით ილოცა და ისე განიკურნა და გაქრა მისი სიმსივნე, რომ ექიმები გაოცებულები დარჩნენ. ასე რომ, მატათა მოციქული ჩვენთან არის, გონიოში და მისი კარი ყველასთვის ღიაა, ისევე, როგორ უფლის კარი. ყველას შეგვიძლია, შევევედროთ და ვილოცოთ. სულ მახსენდება ჩემი ნათლულის ბაბუის, მოედინ ფერაძის სიტყვები, რომელმაც 105 წლის ასაკში შემოინახა კვარიათის უზარმაზარი საიდუმლო, მითი და ლეგენდა, რაც კვარიათში ღვთისმშობლის კვართის გაბრწყინებასთან არის დაკავშირებული.

**– რა ლეგენდაა ეს?**

– 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა და მრავალი სიწმიდე დაიძრა აღმოსავლეთით გადასარჩენად. ისტორიკოსთა მტკიცებით, სწორედ მაშინ ჩამობრძანდა საქართველოში ღვთისმშობლის კვართი. ლეგენდის თანახმად, ოსმანთა მდევარს ძლივს გადარჩენილმა ბერძნებმა ქართულ მიწაზე, სოფელ კვარიათში შემოასწრეს და სწორედ ამ მთაზე გადამალეს ღვთისმშობლის კვართი. ბერძნებმა ლოცვა-გალობითა და კმევით დაიწყეს ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლისადმი ვედრება, რათა გადაერჩინა ისინი. კვარიათის მთა სქელ ნისლში გაეხვია, თითქოს იმ ადგილს ციდან ღვთიური საბურავი გადააფარესო და მტერმა ველარ შეძლო სამალავის მიგნება. მოგვიანებით, როდესაც მდევარი უკან გაბრუნდა, მოხდა ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოცხადე-

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ხორნაული

სოფელ **ხორნაულთაში** ცხოვრობდნენ ზარიძეები, რომლებიც მეორე გვარად **ხორნაულსაც** ატარებდნენ.

პროფესორი თოფჩიშვილი წერს: „**ხორნაულების** წინაპარი წიკლაურებს ბარში ლაშქრობის დროს, ნაალაფევში ტყვედ მოუყვანიათ. 1873 წელს აქ 16 კომლი ცხოვრობდა. ამავე დროს, ზარიძე-**ხორნაულის** ნაწილი ფშავსა და ხევსურეთში, მოსაზღვრე სოფელ პანალხევში ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მეცხრამეტე საუკუნისთვის მთისწინეთსა და ბარში იყო გადასახლებული, რომლებიც, გარდა საკუთრივ თავიანთი გვარისა, ახალ გვარსახელებსაც ატარებდნენ, მაგალითად: **ხორნაულებიდან** მომდინარეობს ფშაველი ხვლეურების გვარიც, რომლებიც ივრის ხეობაში, სოფელ ყვარაში სახლობდნენ. მათ წინაპარს ხევსურეთში კაცი მოუკლეს და გაბიდაურებს შეუპყრიათ ფშავის სოფელ ხოშარაში."

საქართველოში 301 **ხორნაული** ცხოვრობს: თბილისში – 127, თიანეთში – 62, დუშეთში – 23. არიან სხვაგანაც.

### ზანკალიანი-ზალკალიანი

ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ ლეჩხუმის რაიონის სოფელ ცაგერში. ისინი ადრე ძველი სვანეთის სოფელ კალაში სახლობდნენ, შემდეგ კი იქიდან ცაგერში გადასულან. ამ სოფელში გადასახლებამდე ისინი გვარად **ზანკალს** ატარებდნენ, იქ კი გვარი შეიცვალეს.

გვარის წარმომადგენლებმა იციან, რომ ეს ორი გვარი ერთი და იგივეა და განაყოფები არიან.

დღეისთვის სვანეთში **ზანკალიანის** გვარის წარმომადგენლები აღარ გვხვდებიან.

საქართველოში 41 **ზანკალიანი** ცხოვრობს: თბილისში – 6, თერჯოლაში – 6, ბოლნისში – 4. არიან სხვაგანაც.

86 **ზალკალიანი**: ქუთაისში – 32, ცაგერში – 20, რუსთავში – 12. არიან სხვაგანაც.

### ბაბუხარდია

საყურადღებოა, რომ გვართან დაკავშირებულ, ხალხში შემონახულ თქმულებებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ თქმულებებში წინაპრებიდან მეხსიერებით გადმოცემული ძალიან ბევრი საინტერესო მასალაა შემონახული. მაგალითად, **ბაბუხარდიათა** გვარის შესახებ,




ბატონი შალვა **ბაბუხარდია** ასეთ ინფორმაციას გვაწვდის:

„მეცხრამეტე საუკუნეში, სვანეთში, კერძოდ, მესტიაში, ცხოვრობდა ორი ძმა – გელოვანები. დედ-მამა ადრე გარდაეცვალათ და ბაბუა ზრდიდა. ერთ დღეს, რომელიღაც მეზობელმა ბავშვებს ბაბუა მოუკლა და ობლები მეზობლების ანაბარა დატოვა. როცა ბიჭები წამოიზარდნენ, ერთ-ერთმა მეზობელმა მათ მიანიშნა ბაბუის მკვლელზე – მას თქვენი სისხლი ჰმართებსო. ტრადიციამ თავისი გავლენა მოახდინა ძმებზე და მათ მკვლელის ოჯახის რამდენიმე წევრი მოკლეს, შემდეგ გაიქცნენ იმ ადგილიდან და ერთი ძმა იმერეთს შეეხიზნა, მეორე კი კახეთში გადავიდა. იმერეთში გადასახლებულმა ძმამ ნამდვილი გვარი დამალა და გვარად ბაბუა დაირქვა. ამ თქმულების მიხედვით, მას სოფელში **ბაბუხარდი** შეარქვეს. გვარმა დროთა განმავლობაში სახე იცვალა და **ბაბუხარდია** გახდა. კახეთში გადასული ძმა კი გელოვანის გვარით დასახლდა. იქ დღესაც ცხოვრობენ გელოვანის გვარის წარმომადგენლები".

**ბაბუხარდიები** დღეს სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ. ტყიბულის რაიონში არის სოფელი კითხიჯი, რომელიც მთლიანად **ბაბუხარდიებით** არის დასახლებული; ასევე, **ბაბუხარდიები** სახლობენ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთშიც.

საქართველოში 453 **ბაბუხარდია** ცხოვრობს: ქუთაისში – 175, ტყიბულში – 113, თბილისში – 69. არიან სხვაგანაც.

### მდივნიშვილი-მდივანი

გვარის ფუძეა თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა – **მდივანი**.

„**მდივნიშვილები** არიან გვარით **მდივნისგან** რაჭისა".

ქართულ გვარებში, ასევე, შემონახულია მეფისა და დიდი ფეოდალების კარზე სხვადასხვა თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები, მაგალითად: ერისთავი, მეღვინეთუხუცესი, ამირეჯიბი, ჯაბადარი და ასე შემდეგ.

1721 წელს მოიხსენიება აზნაურიშვილი გიორგი **მდივნიშვილი**.

ამავე ძირისაა გვარი **მდივანი**.

საქართველოში 550 **მდივნიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 215, გარდაბანში – 56, ხარაგაულში – 47. არიან სხვაგანაც.

882 **მდივანი.**

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

ბა. ზეცა განათდა, ცეცხლოვანი ბრწყინვალება გამოჩნდა მთაზე და ხმა გაისმა. „ესაა ჩემი წილხვედრი ივერია, რომელიც გადარჩება და გაბრწყინდება და დასტურად ამისა, კვართი ჩემი აქა დარჩების", – ბრძანა თავად ღვთისმშობელმა. ბერძნები იძულებულები გახდნენ, ივერიაში დაეტოვებინათ ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის კვართი. მოედინ ფერაძის გადმოცემით: „ჩვენი მამაი და პაპაი, იმ ადგილას მივიდნენ. ერთი ფიჩხი, ფოთოლი არ იყო დამწვარი, ღვთიური ცეცხლი, ღვთიური ნათელი გადმოვიდა მასზე. ამის მერე, არც ძროხა, არც სხვა რამე პირუტყვი, იქანე ბალახს არ ძოვდა. ფიჩხის მოსაკრებად, ტყეში შეშაზე წასასვლელად, არავინ მიდიოდა. აგი სახატე მიწები იყო". იქ ერთ ადგილას გადმოდის ცხრაწყარო, ანუ ერთი მთიდან ცხრა სხვადასხვა წყარო გადმოდის. ასევე, იქვე დევს დიდი ქვის ლოდი, რომელსაც კვერცხის ფორმა აქვს, გლუვია და გაჩერებულია დაახლოებით 45-გრადუსიან ციცაბო კლდეზე, არ გორდება და მას ღვთისმშობლის ცრემლებს ეძახიან.

**– რატომ „ღვთისმშობლის ცრემლებს"?**

– დიდი თურქობის ჟამს, როდესაც თურქებმა 300 ათასი კაცი დახოცეს, ჭოროხი სისხლით შეიღება. ამ დროს ეს ქვა მთის წვერიდან გადმოგორდა და გაჩერდა. ჩვენ მთის წვერზე, სადაც მოხდა ღვთისმშობლის გამოცხადება, დავამაგრეთ ხის ჯვარი, რომელთან ლოცვა შეიძლება. ქვასთან სანთლებს ანთებენ ადამიანები. როგორც იცით, წყარო ხშირად არის მიწიდან გამოსული ცრემლები – ღვთიური ნიშანი. თუ გვინდა, აფხაზეთის დაბრუნება, საქართველოს გაძლიერება, გაბრწყინება მალე მოხდეს, უნდა ავაშენოთ ტაძრები ისეთ ადგილებში, სადაც მატათა მოციქულის საფლავია. უნდა განვადიდოთ ღმერთი ისეთ ადგილებში, როგორიც არის კვარიათი და ღვთისმშობლის მონუმენტი აღვამართოთ. ეს არის ორგანზომილებიანი მონუმენტური გორელიეფი, რომელიც ქრისტიანულ კანონიკას შეესაბმება და ის მე და უნიჭიერესმა მოქანდაკემ თემურ ნინიძემ ერთად გავაკეთეთ. ვფიქრობ, საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის თავზე, დადგა დრო, აიეტის, მედეასა და კვარიათის ლეგენდები რეალობად ვაქციოთ. ივერიის სულიერი გაბრწყინებისათვის მტკიცე საფუძველი შევქმნათ. დადგა დრო, რომ კვარიათში (კვართი ათაშე – ლაზურად კვართი აქას ნიშნავს) აიგოს მსოფლიოში ყველაზე დიდი გორელიეფი ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობლისა. ის, როგორც საქართველოს წილხვედრობისა და მფარველობის სიმბოლო, არა მარტო დაგვეხმარება გავზარდოთ საქართველოს მიმზიდველობა როგორც საინვესტიციო ტურისტული ქვეყნისა, არამედ მკვეთრად გაზრდის მსოფლიოს ხალხთა დაინტერესებას ქართული კულტურისა და მართლმადიდებლობის მიმართ. აჭარაში, სოფელ კვარიათის ტერიტორიაზე, ვგეგმავთ საქველმოქმედო ხასიათის „მშვიდობის სოფლის" საბავშვო, სარეაბილიტაციო ცენტრისა და მსოფლიო მასშტაბის ახალი ტურისტული ცენტრის „ღმერთების წილხვედრი მიწის" მშენებლობას. გონიო-კვარიათის პროექტი კი ეძღვნება 1453 წელს კვარიათში ღვთისმშობლის გამოცხადების ისტორიულ ფაქტს და არ წარმოადგენს რელიგიურ აქტს! მონუმენტის ფორმა და მდებარეობა ხაზს უსვამს საქართველოს ისტორიულ მისიას და მის კურსს: ის სახით უყურებს ზღვას და ხელგაშლილია ევროპისთვის, მარჯვენა ხელით აკურთხებს აფხაზეთს, ხოლო მარცხენათი ლოცავს ლაზეთსა და ტაო-კლარჯეთს. გორელიეფის ჩრდილოეთით ზურგზე გამოსახულია სვეტიცხოვლის ამაღლებული ძელი ცხოველი და ქრისტეს კვართი, ისე, როგორც ეს საქართველოს დიდების ხატზეა გამოსახული, რომლითაც დედა ღვთისა აკურთხებს საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ღვთისმშობლის მეორე წილხვედრ ქვეყანას რუსეთს, რითაც ხაზს უსვამს, რომ ახალი რუსეთის გაბრწყინება დაიწყება საქართველოს გაბრწყინებით.

*დაახლოებით ორი წლის წინ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ათონზე მოღვაწე ქართველი ბერის, არსენის (მიმინოშვილი) გამოცხადება. უცვლელად გთავაზობთ ფრაგმენტს ბერი არსენის გამოცხადებიდან, რომელიც გონიო-კვარიათს ეხება: „მე ვიხილე, საქართველო ფეხზე დგებოდა და მშვენდებოდა. ბათუმთან ახლოს, კვარიათას მთაზე ქანდაკებასავით უძრავად იდგა დედა ღვთისმშობელი, სულ თეთრებში იყო შემოსილი და სითეთრით ანათებდა გარემოს. სახით უყურებდა დასავლეთ ევროპას, ზღვას და მის გადაღმა მყოფ ათონის მთას. თითქოს ამით კიდევ ერთხელ მიგვანიშნებდა, რომ ათონის მერე ის საქართველოში დამკვიდრდება. დედა ღვთისას კვართი ეპყრა ხელთ ისე, რომ მარჯვენა ხელით აფხაზეთს აკურთხებდა, მარცხენათი ლაზეთსა და ტაო-კლარჯეთს, ზურგით საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს იცავდა. კვართი კი, საქართველოს მფარველობის ნიშნად, ცასავით ჰქონდა გადაფარებული. კვარიათა ხომ ლაზურად „კვართი აქას" ნიშნავს და სანამ კვართი ურღვევია და კვართი აქაა, სანამ ღვთისმშობელი ჩვენთანაა, საქართველოც ურღვევი და მთლიანი იქნება. ეს იყო ლოცვა-კურთხევა დედა ღვთისმშობლისა, რომელიც მოვალე ვარ თქვენს უწმინდესობას, დედა ეკლესიის ყველა წევრს, ქართველ ერსა და ხელისუფლებას მდაბლად მოგახსენოთ. როდესაც საქართველო გადარჩება, ღვთისმშობლისადმი მადლობის ნიშნად, გასცეთ კურთხევა, რათა გელათის სანაწილე ხატი მოიჭედოს ძვირფასი ქვებითა და ოქროთი, მატათა მოციქულის საფლავზე, გონიოში, აშენდეს დიდი ტაძარი, კვარიათის მთაზე აღიმართოს, ღვთისმშობლის გამოცხადებისადმი მიძღვნილი თეთრი მონუმენტი".*

**ნათია უტიაშვილი**

# ვინ იყო კრიმინალი, მეტსახელად „ჩონჩხი“, რომელმაც 20 კილოგრამი პლატინა უცხოეთში გაიტაცა

***პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია და მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.***

**პლატინის საქმე**

მას მერე, რაც საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სამხედრო გადატრიალების გზით დაამხეს და ქვეყნიდან განდევნეს, საქართველოში სრული ქაოსი დადგა. სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული, კრიმინალური ბანდების თარეშს საზღვარი არ ჰქონდა. ამას ეგრეთ წოდებული საყოველთაო ამნისტიაც დაერთო და, მანიაკების გარდა, ციხიდან ყველა საშიში დამნაშავე გამოუშვეს. მათ შორის იყო თემურ ჯაში, მეტსახელად „ჩონჩხი“, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის დროს ჩასვეს ციხეში და დახვრეტა ბოლო მომენტში შეუცვალეს თხუთმეტწლიანი პატიმრობით. ჯაში იდეური ბოროტმოქმედი არ ყოფილა, ის, უბრალოდ, გამდიდრების წყურვილით იყო შეპყრობილი – კომფორტულ ცხოვრებაზე ოცნებობდა და კრიმინალურ საქმიანობასაც მხოლოდ ამის გამო სჩადიოდა. 1982 წელს, 25 წლის ჯაში ოცი კილოგრამი პლატინის ქურდობისთვის აიყვანა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა. თემური ერთ-ერთი მსხვილი, საკავშირო მნიშვნელობის საწარმოს გასაიდუმლოებულ საამქროში მუშაობდა ლაბორანტად. ეს საამქრო სამხედრო დანიშნულების დეტალებს ამზადებდა, რისთვისაც პლატინას იყენებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, თემურმა ათი ცალი 2-2-კილოგრამიანი პლატინის ზოდი საწარმოს ტერიტორიის მიღმა გაიტანა და გადამალა. მან სულ რაღაც თხუთმეტი წუთით მოახდინა სიგნალიზაციის ბლოკირება და, ისარგებლა რა შესვენებით, ძვირფასი ლითონი „გააქრო“. ალბათ, მასზე ეჭვს ვერავინ მიიტანდა, რომ არა 19 წლის ეკა სალია, რომელიც თემურზე იყო შეყვარებული, მუდამ კუდში დასდევდა მას, უთვალთვალებდა და, როდესაც ისიც დაკითხეს საწარმოს ყველა თანამშრომელთან ერთად, გაირკვა, რომ ჯაში თავის ჩვენებებში ცრუობდა. „კაგებე“ ამან დააეჭვა. ჯაში სათანადოდ „დაამუშავეს,“ მანაც აღიარა ქურდობის ფაქტი და მოპარული პლატინა უკან დააბრუნა. ჯაში უმძიმესი მუხლით გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს, თუმცა, შემდეგ ეს განაჩენი თხუთმეტწლიანი პატიმრობით შეუცვალეს და თბილისის ციხეში გამოამწყვდიეს. 1992 წლის 16 მაისს კი, ათწლიანი პატიმრობის შემდეგ, გამოუშვეს. იმ დღეს მას 35 წელი შეუსრულდა.

**„ჩონჩხი“**

თემურ ჯაშს მოსკოვში ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და საკმაოდ განათლებული და ნიჭიერი ადამიანი იყო. მან ეს განათლება ციხეში ჯდომისას კიდევ უფრო გაიღრმავა და სამი ევროპული ენაც შეისწავლა. ჯაშმა ციხეში უამრავი ადამიანი გაიცნო, მათ შორის, საკმაოდ კვალიფიციური ბოროტმოქმედებიც და ერთ-ერთი იყო პროფესიონალი ქურდი ივა კალანდაძე, მეტსახელად „გრძელთითა“. სწორედ ივამ შეარქვა სიგამხდრის გამო თემურს „ჩონჩხი“. მართალია, ციხიდან გამოსული თემური გამხდარი აღარ იყო, მაგრამ, მეტსახელი მაინც შერჩა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ციხიდან გამოსულ თემურს გარეთ ეკა სალია დახვდა – ის გოგონა, ვის გამოც მან ამდენი წელი ციხეში გაატარა. უფრო მეტიც, ორი თვის შემდეგ თემური და ეკა დაქორწინდნენ და ოჯახი შექმნეს.

## „გრძელთითას“ ორივე მუხლი ტყვიით დაუხვრიტეს და სარდაფში დააგდეს

1992 წლის ზაფხულში საქართველოში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. თემური მაშინ ერთ-ერთი მსხვილი სამხედრო ორგანიზაციის მმართველობაში შედიოდა და საკუთარი წილები ჰქონდა, მაგრამ, ის გაცილებით უფრო დიდ ფულზე ოცნებობდა. მუდმივი დაძაბულობა, შეიარაღებული გარჩევები და პოლიტიკური ინტრიგები მას არ იტაცებდა. ის სერიოზული საქმისთვის ემზადებოდა და შესაბამისი გეგმაც ჰქონდა შედგენილი. ჩონჩხი ყველანაირად არიდებდა თავს სისხლისღვრაში მონაწილეობას და აფხაზეთის ომშიც ავადმყოფობის საბაბით არ წავიდა. იმ დროს, როცა აფხაზეთში ათასობით ადამიანი იღუპებოდა, ჩონჩხი თბილისში, ეგრეთ წოდებულ „საკოორდინაციო შტაბში“ იყო მოკალათებული და სატელეფონო ზარებს პასუხობდა. ის თვალებს იტკიებდა, სინამდვილეში კი მშვენიერი მხედველობა ჰქონდა და გრძელთითაც გვერდით ჰყავდა, რომელთან ერთადაც მსხვილ საქმეს ამზადებდა.



**ისევ პლატინა**

1992 წლის 25 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს საკონტროლო-გამშვებ საგუშაგოს სამი „ნივა“ მიადგა. იქიდან თორმეტი შეიარაღებული ადამიანი გადმოვიდა, რომლებმაც პისტოლეტებით შეიარაღებული ოთხი მილიციელი უპრობლემოდ განაიარაღეს და მათსავე ოთახში გამოამწყდიეს. იქვე მდგარი „ბეემვედან“ ჩონჩხი და გრძელთითა გადმოვიდნენ, რომლებმაც თავიანთ ხელქვეითებს ადგილზე დარჩენა უბრძანეს, თავად კი უზარმაზარი საწარმოს ტერიტორიაზე შევიდნენ. მათ ორასიოდე მეტრი ფეხით გაიარეს. შემდეგ ჩონჩხმა მარცხნივ შეუხვია, მძლავრი ფანარი აანთო, გრძელთითა იხმო და უთხრა:

– აი, ამ კონტეინერებში უნდა იყოს პლატინის ზოდები. ამდენი წელი ველოდი ამ დღეს და, აი, დადგა კიდეც.

ჯაშმა და კალანდაძემ ერთ-ერთი უჟანგავი კონტეინერიდან ათი ცალი 2-2-კილოგრამიანი პლატინის ზოდები ამოიღეს, რომელიც ეგრეთ წოდებულ „ენზეში“ (ხელუხლებელი მარაგი) იყო შენახული. მის შესახებ მხოლოდ თემურმა იცოდა, რადგან პავლე ზელმანი გარდაცვლილი იყო. ზელმანი თემურ ჯაშის უფროსი იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩონჩხი პლატინის ქურდობისთვის დააპატიმრეს. სწორედ ზელმანთან ერთად მოიპარა მან ეს ზოდები და ისინი შუაზე უნდა გაეყოთ. მაშინ თემურს ზელმანი არ დაუსახელებია და ამიტომაც გადაურჩა ის „კაგებეს“ კლანჭებს. 20 კილოგრამი პლატინა კი ზელმანმა ჯერ კიდევ ჩონჩხის დაპატიმრებამდე გადამალა, მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ თემურს გაუმხილა.

– მაგარი ვინმე იყო ეს მოხუცი ებრაელი, – უთხრა თემურმა ივა კალანდაძეს, როდესაც მათ 20 კილოგრამი პლატინა თემურის ბინაში მიიტანეს, – მე და პავლე ზელმანი ამერიკაში გაქცევას, ზოდების გატანას და მსხვილი ბიზნესის დაწყებას ვაპირებდით, მაგრამ, მოხუცი გულის შეტევით გარდაიცვალა.

1992 წლის 28 აგვისტოს თემურ ჯაშის აფხაზეთიდან დაბრუნებულ უშუალო უფროსს აცნობეს, რომ ჩონჩხი და გრძელთითა, თორმეტი შეიარაღებული მებრძოლის თანხლებით, 25 აგვისტოს საწარმოში შეიჭრნენ. თემურის უფროსი საკმაოდ გამოცდილი კრიმინალი იყო. ის მიხვდა, რომ ჯაში და კალანდაძე რაღაც ძვირფასი ლითონების წამოსაღებად იყვნენ იქ მისულები, და არა ალუმინისა, როგორც თვითონ აცხადებდნენ. თემური და ივა შტაბში დაიბარეს, მაგრამ, იქ მხოლოდ გრძელთითა მივიდა, თემურმა კი ცოლთან ერთად გაქცევა მოახერხა. ივა კალანდაძე საშინლად აწამეს – მას მუხლები დაუხვრიტეს და სიმართლე ათქმევინეს. ხოლო, როცა გაირკვა, რომ თემურ ჯაშს 20 კილოგრამი პლატინა ჰქონდა გატაცებული, მის ტოტალურ ძებნას შეუდგნენ.

ნაწამები გრძელთითა მკვდარი ეგონათ, მიატოვეს და სწორედ ამან გადაარჩინა ის, თუმცა, დაინვალიდდა...

2000 წელს, ვითომდა მკურნალობის მიზნით, ივა კალანდაძე გერმანიაში გაემგზავრა, საიდანაც ის უკან აღარ დაბრუნებულა. 2007 წელს კი ჩონჩხი და გრძელთითა კურორტ მალიბუზე ნახეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

***P. S. თემურ ჯაში და ივა კალანდაძე დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები არიან და სარფიანი ბიზნესი აქვთ, რომელიც მათ, სავარაუდოდ, იმ მოპარული 20 კილოგრამი პლატინით დაიწყეს.***

**ნიკა ლაშაური**

# კლიენტმა პარიკმახერს ყელი სამართებლით გამოსჭრა

49 წლის ემზარ გ-ვა, რომელიც წარსულში ოთჯერ იყო ნასამართლევი, მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის კიდევ ერთხელ წარდგა სასამართლოს წინაშე. ამჯერად მას 30 წლის გოგა პ-იანის განზრახ მკვლელობა დაედო ბრალად. სასამართლოს წინაშე ასევე წარდგა 42 წლის ილო მ-ძე. საქმის არსებითი განხილვის შემდეგ სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ ეს იყო განზრახ ჩადენილი ჯგუფური მკვლელობა და ემზარ გ-ვას 14 წლით, ილო მ-ძეს კი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასტიკი მკვლელობის მიზეზი ყოფით თემაზე დაწყებული დაპირისპირება გახდა. კლიენტმა პარიკმახერს სამართებლით, საკუთარ საპარიკმახეროში, სხვა კლიენტების თვალწინ გამოსჭრა ყელი. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მკვლელობის წინა დღეს ემზარ გ-ვა და გოგა პ-იანი ერთმანეთს უბნელის ორმოცზე შეხვდნენ. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, უფრო მეტიც გოგა პ-იანს თავის უბანში საპარიკმახერო ჰქონდა გახსნილი და ემზარ გ-ვა მისი მუდმივი კლიენტი იყო. რა გახდა პარიკმახერისა და კლიენტის დაპირისპირების მიზეზი, რაც ასე მძიმე შედეგით დასრულდა, სამართალდამცველებისთვის ინციდენტის თვითმხილველებისგან გახდა ცნობილი.

**ისე უცებ მოკიდა პარიკმახერს ხელი კისერში და ისე გამოუსვა ყელში სამართებელი, განძრევა ვერ მოვასწარით**

ემზარ გ-ვას ოთხივე სასჯელი მძიმე დანაშაულებისთვის ჰქონდა მოხდილი. ის ორჯერ ყაჩაღობის, ორჯერ კი ქურდობისა და ძარცვისთვის იყო ნასამართლევი. საბოლოო ჯამში, მან ციხეში 16 წელი გაატარა. საკუთარი წარსულისა და მძიმე ხასიათის გამო, ემზართან ურთიერთობას ყველა არიდებდა თავს, თუმცა ამას ვერ გაექცა უბნის პარიკმახერი – ემზარი მისი ხშირი სტუმარი გახდა. მოწმეთა ჩვენების მიხედვით, გოგა პ-იანი ცდილობდა კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანთან ნაკლებად ჰქონოდა შეხება, მაგრამ, მცდელობის მიუხედავად, ამას ვერ ახერხებდა. ემზარი პარიკმახერთან მაშინაც მიდიოდა, როცა მასთან საქმე არ ჰქონდა – უბრალოდ, ასე ცდილობდა, დროის გაყვანას. გოგას ხშირად აფრთხილებდნენ ახლობლები, სამი შვილის მამას ემზართან რა საერთო გაქვს, იცოდე, შარში გაგხვევსო, მაგრამ, გოგა პ-იანი მას მაინც ვერ იშორებდა თავიდან. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ემზარ გ-ვა და გოგა პ-იანი მკვლელობის წინა დღეს ერთმანეთს სუფრასთან შეხვდნენ. მათ გარდა სუფრას მათი საერთო ნაცნობი ილო მ-ძეც ესწრებოდა. ნასვამ მამაკაცებს შორის მსუბუქი შელაპარაკება მოხდა, თუმცა, ინციდენტი მალევე ამოიწურა. ემზარ გ-ვამ იქაურობა მალე დატოვა, ილო მ-ძე კი სუფრასთან დარჩა, რომელიც გოგა პ-იანს აუხირდა, ემზარს დასცინე და ამას ასე არ დავტოვებო. დიდხანს უმტკიცებდა ახალგაზრდა კაცი, რომ მისი მხრიდან დაცინვას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ, უშედეგოდ. როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, მკვლელობის დღეს ილო მ-ძემ ემზარი წააქეზა: როგორც კი ორმოცის სუფრიდან წახვედი, ნასვამი გოგა შენზე ბევრს ხუმრობდა და დაგცინოდაო.

მოგვიანებით დაკავებულმა ემზარ გ-ვამ დაადასტურა, რომ მკვლელობისკენ ილო მ-ძემ წააქეზა; ასევე, მის წინააღმდეგ მისცა ჩვენება მოწმემ, რომელიც საპარიკმახეროში შეესწრო ინციდენტს.

ამონაწერი მალხაზ გ-შვილის ჩვენებიდან: „წლებია, გოგასთან დავდივარ თმის შესაჭრელად. უბანში ყველა პატივს ვცემდით ამ მშრომელ და წესიერ ბიჭს. იმ დღეს შემთხვევით შევესწარი ამ ამბავს. გოგა ხასიათზე ვერ იყო. როცა ვკითხე, რა გჭირს-მეთქი, მითხრა, ნაბახუსევი ვარ, გუშინ ცოტა მეტი მომივიდა დალევა და დღეს მალე უნდა დავკეტო საპარიკმახეროო. უკვე ამთავრებდა ჩემი თმის შეჭრას, როცა საპარიკმახეროში ემზარი და ილო შემოვიდნენ. საპარიკმახეროში მე, გოგა და მისი ნაცნობი ქალბატონი, დეიდა ლეილა ვიყავით. ის ქალი გოგას დედის ნაცნობია და გოგას საპარიკმახეროს დალაგებაში ეხმარებოდა ხოლმე დროდადრო. მივხვდი, რომ ილოც და ემზარიც ნასვამები იყვნენ. ილო ხელში დანას ათამაშებდა. ახლოს არც ერთს არ ვიცნობდი, მაგრამ, მაინც მივესალმე და ილო მოვიკითხე კიდეც, როგორც უბნელს შეეფერება. უცებ ილომ გოგას ყვირილი დაუწყო: აბა, ახლა ემზარს პირში უთხარი, რასაც მასზე ფიქრობ, გუშინ რომ დასცინოდი და ლანძღავდიო. გოგამ შენიშვნა მისცა: მე არავის არ დავცინოდი. შენ გუშინაც ზედმეტი მოგივიდა და, ახლაც, გირჩევ, თავი დამანებოო. ილო არ ჩერდებოდა, ძალიან აგრესიულად უტევდა გოგას, რომლის დაცვასაც ქალბატონი ლეილა შეეცადა: შვილებო, ერთ უბანში ცხოვრობთ, უმიზეზოდ ნუ წაეკიდებით ერთმანეთსო, – უთხრა საპარიკმახეროში შემოსულებს, რომლებიც აშკარად თავდასხმაზე იყვნენ გადასულები. სიტუაცია ძალიან დაიძაბა, მე უკვე წასვლას ვაპირებდი, მაგრამ, გოგას მარტო დატოვება მომერიდა და საპარიკმახეროში შემოვრჩი. მე თქვენი ფილოსოფია სულ არ მაინტერესებსო, – უთხრა გოგამ ილოს და ჩუმად, თავისთვის შეიგინა; ეს იყო და, უცებ, იქვე ახლოს მდგომმა ემზარმა მაგიდიდან ის სამართებელი აიღო, რომლითაც გოგამ მე გამპარსა. მასზე ჯერ კიდევ იყო შერჩენილი ჩემი თმა. ემზარმა ისე უცებ მოჰკიდა გოგას ხელი კისრიდან და ისე გამოუსვა სამართებელი ყელში, განძრევა ვერ მოვასწარით. ლეილა დეიდამ კივილი ატეხა, გოგა სკამს ჩამოეყრდნო და ძირს დავარდა. ირგვლივ სულ სისხლი იყო. ხმაურზე იქვე ახლოს მყოფი ბიჭები შემოცვივდნენ, რომლებსაც ილო და ემზარი ხელიდან გაუსხლტნენ. ჩვენ სასწრაფო გამოვიძახეთ, მაგრამ, გოგა მათ მოსვლამდე გარდაიცვალა."

სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. დაკავებულებმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს. სამართლადამცველებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს დანაშაულის იარაღი – სამართებელი, რომელზეც მკვლელის თითების ანაბეჭდები იყო დარჩენილი. დაკავებულების წინააღმდეგ ჩვენება მისცა მკვლელობის ორმა თვითმხილველმა, რომლებმაც ემზარ გ-ვა და ილო მ-ძე მძიმე დანაშაულში – სამი მცირეწლოვანი ბავშვის მამის განზრახ მკვლელობაში ამხილეს.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 21 აპრილი

ძველი წელთაღრიცხვის 753 – ლეგენდის მიხედვით, ამ დღეს რომულუსმა დააარსა ქალაქი რომი.

1526 – ინდოეთში ბაბურმა დაამარცხა დელის ბოლო სულთანი და დააარსა დიდ-მოგოლთა იმპერია.

1960 – ბრაზილიის დედაქალაქი გახდა ქალაქი ბრაზილია.

1967 – საბერძნეთში სამხედრო გადატრიალების შემდეგ დამყარდა „შავ პოლკოვნიკთა" დიქტატურა.

1976 – ვალერი ანდრე გახდა პირველი ქალი-გენერალი (საფრანგეთის არმიაში).

### 22 აპრილი

1370 – პარიზში დაიწყო ბასტილიის ციხის მშენებლობა.

1500 – პორტუგალიელმა ზღვაოსანმა პედრუ კაბრალმა აღმოაჩინა ბრაზილიის სანაპირო.

1838 – თბომავალმა პირველად გადაკვეთა ატლანტის ოკეანე.

1952 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირდაპირ ეთერში გადაიცა ბირთვული ბომბის საცდელი აფეთქება.

1969 – ჰუისტონში განხორციელდა თვალის გადანერგვის პირველი ოპერაცია.

### 23 აპრილი

1616 – ამ დღეს ერთდროულად (მაგრამ სხვადასხვა ადგილას) გარდაიცვალა ორი დიდი მწერალი – შექსპირი და სერვანტესი.

1867 – ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ და საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ უარყვეს ლა-მანშის ფსკერზე გვირაბის გაყვანის პროექტი.

1896 – ნიუ-იორკში ჩატარდა ამერიკაში პირველი კინოსეანსი.

1932 – ლონდონში გაიხსნა შექსპირის თეატრი.

### 24 აპრილი

1877 – დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი.

1915 – თურქული არმიის შენაერთებმა მილიონზე მეტი სომეხი გაწყვიტეს – სომხების დიდი გენოციდი.

1967 – საბერძნეთში სამხედრო-დიქტატორულმა ხელისუფლებამ აკრძალა მინი ქვედაბოლოების ტარება. აკრძალვა 1974 წელს გაუქმდა.

1970 – ჩინეთმა კოსმოსში გაუშვა თავისი პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

### 25 აპრილი

1792 – პარიზში, გრევის მოედანზე, საზეიმოდ დადგეს ჟოზეფ გიიოტენის გამოგონება – გილიოტინა – „ჰუმანური" მოწყობილობა სიკვდილის დასჯისთვის. მომდევნო წლებში მას ბევრი ცნობილი ადამიანი ემსხვერპლა.

1859 – ეგვიპტეში დაიწყო სუეცის არხის მშენებლობა.

1931 – შტუდგარდტში ფერდინანდ პორშემ დააარსა საავტომობილო ქარხანა „პორშე".

1966 – ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ქალაქი ტაშკენტი (უზბეკეთი).

### 26 აპრილი

1792 – კომპოზიტორმა რუჟე დე ლილმა დაწერა „მარსელიეზა".

1921 – ლონდონის ქუჩებში გამოჩნდა მოტოციკლებზე ამხედრებული პატრული.

1933 – გერმანიაში დაარსდა საიდუმლო პოლიცია – „გესტაპო".

1937 – გერმანულმა ავიაციამ მიწასთან გაასწორა ესპანური ქალაქი გერნიკა (ეს მოვლენა უკვდავყო პიკასომ თავის შედევრში – „გერნიკა").

1986 – ჩერნობილის კატასტროფა.

### 27 აპრილი

1828 – გაიხსნა ლონდონის ზოოპარკი.

1940 – დაარსდა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც 1944 წლამდე 4 მილიონი ადამიანი დახოცეს.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
**გოეთე**

**კითხვა: იქნებ, ამიხსნათ, აუცილებელია თუ არა მცენარისთვის გადარგვა და დეტალურად მაინტერესებს, რა პროცედურები უნდა ჩავატარო მცენარის გადარგვისას?**

**პასუხი:** გადარგვა მცენარეს ენერგიას ჰმატებს და ახალი, ჯანსაღი ფესვების ზრდას უწყობს ხელს. ახალი ქოთანი ძველზე მხოლოდ 2-3 სანტიმეტრით ფართო უნდა იყოს. იდეალურია მცენარის გადარგვა ზრდის პერიოდის დაწყებამდე. ზამთრობით, როცა ის იძინებს, გადარგვას მოერიდეთ, რადგან, ამ დროს მცენარეს შეიძლება ფესვები დაულპეს. ქოთნის ფსკერზე 1-2 სანტიმეტრ სისქეზე ჩაყრილი კენჭები ან კერამიკის ნატეხები საჭირო სივრცეს ქმნის დრენაჟისთვის და ხელს უშლის ქოთანში წყლის შეგუბებას. ქოთანში იმდენი მიწა ჩაყარეთ, რომ მცენარის მიწისქვეშა ნაწილი ქოთნის კიდეზე 2-3 სანტიმეტრით ქვემოთ იყოს და მოსარწყავად საკმარისი ადგილი დარჩეს. გადარგვისას მცენარის ფესვს ფრთხილად მოაყარეთ მიწა, ოღონდ, ზედმეტად ნუ დატკეპნით, თორემ, ეს ხელს შეუშლის დრენაჟს და ჰაერს გამოდევნის. ქოთნის ზედაპირი შეგიძლიათ დეკორატიული ფენით (კენჭები, ნიჟარები) გაალამაზოთ. ერთი მხრივ, ეს ამცირებს აორთქლებას, მაგრამ, აძნელებს ნიადაგის ტენიანობის დადგენას. ძალიან დიდი ზომის მცენარის ხშირად გადარგვა შეუძლებელია. ამიტომ, მისი სიჯანსაღის შესანარჩუნებლად, ყოველ გაზაფხულზე განაახლეთ მიწის ზედა ფენა – 2-3 სანტიმეტრ სისქეზე მოაშორეთ მიწა (წვრილი ფესვების დაზიანება ნუ შეგაშინებთ) და, სანაცვლოდ, სასუქშერეული, ტენიანი მიწის 2-3-სანტიმეტრიანი ფენა მოაყარეთ.

**კითხვა: საჭიროა თუ არა ქოთნის შერჩევა და დამოკიდებულია თუ არა ეს მცენარის უკეთ გახარებაზე?**

**პასუხი:** სწორად შერჩეული ქოთანი სილამაზეს შეჰმატებს მცენარეს. ჭურჭელი ძირითადად ორი სახისაა: ქოთანი, რომელშიც მცენარეს ჩარგავთ და კაშპო, რომელშიც მცენარეს ქოთნიანად ჩადგამთ. ქოთნის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ მოყვავილე მცენარეებს ფერადდეტალებიანი ქოთნები უხდება, ხოლო მკვეთრი, კონსტრუქციული ფორმის მქონე მცენარეები უბრალო, მარტივი ფორმის ქოთნებში უფრო ეფექტურია. დეკორატიული კაშპო, რომელიც პლასტმასის ულამაზო ქოთანს მალავს, წყალგაუმტარი უნდა იყოს, რათა მორწყვის შემდეგ ზედმეტი წყალი შიგ ჩაგროვდეს. ფსკერზე ნახვრეტიან ქოთანში მცენარე პირდაპირ უნდა ჩარგოთ. როგორც წესი, ასეთი ქოთანი ლამბაქთან ერთად იყიდება. ლამბაქი ავეჯს მორწყვის შემდეგ გაჟონილი წყლისგან იცავს.

**კითხვა: რა სიხშირით უნდა მოვრწყა გრევილეა?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის პერიოდში რეგულარულად მორწყეთ რბილი წყლით. ამ დროს მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზამთრობით, როცა ზრდა შენელდება, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ, ზაფხულში კი ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ სპეციალური თხევადი სასუქით. ეს სწრაფად მზარდი მცენარე მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე მიწაში ჩარგეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ოდენობით შეიძლება განისაზღვროს კერძო აღმასრულებელთან აღსრულების ხარჯი თუ აღსასრულებელი გადაწყვეტილების ღირებულება შეადგენს მთლიანობაში 200 ლარს?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ აღსრულების საქმეზე 200 ლარიდან 500 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ანდა საურავის შემთხვევაში – აღსრულების საფასური განისაზღვრება სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ანდა საურავის თანხის 10 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 40 ლარისა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია აღსრულების საფასური იმ შემთხვევაში, თუ აღსასრულებელი გადაწყვეტილების ღირებულება მხოლოდ 50-150 ლარის ფარგლებში მერყეობს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ 50-დან 150 ლარამდე აღსრულების საქმეზე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ანდა საურავის აღსრულების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად: 100 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ანდა საურავის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ანდა საურავის თანხის 25 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარისა; ხოლო 100 ლარიდან 200 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ანდა საურავის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ანდა საურავის თანხის 20 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 30 ლარისა.

**კითხვა: სააღსრულებო ფურცელში მითითებული აღსასრულებელი გადაწყვეტილების საგნის ღირებულება განისაზღვრება 2 000 აშშ დოლარით. გთხოვთ, განმიმარტოთ მოცემულ შემთხვევაში, მთლიანი თანხის რამდენ პროცენტს შეადგენს აღსრულების საფასური?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ როდესაც აღსრულების საქმეზე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ანდა საურავის ოდენობა შეადგენს 500 ლარს ან 500 ლარზე მეტს, აღსრულების საფასური განისაზღვრება სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, ანდა საურავის თანხის 7 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა. შესაბამისად, თქვენთვის, მოცემულ შემთხვევაში, აღსრულების საფასური იქნება 2 000 აშშ დოლარის 7 პროცენტი.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა**: **ვიცი, რომ იაპონური მანქანები ხარისხით ყველა სხვა დანარჩენს სჯობია. მაგრამ, იაპონია ხომ ევროპისთვისაც უშვებს მანქანებს? რატომ არის მათ შორის ფასში ამხელა განსხვავება?**

**პასუხი**: დიახ, იაპონია მანქანებს უშვებს ევროპისთვისაც და ამერიკისთვისაც. ავილოთ „სუბარუ იმპრეზა", რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მანქანაა საქართველოში და ბევრი იყიდება. 1998 წლის „იმპრეზა", რომელიც იაპონიისთვისაა დამზადებული, მარჯვენასაჭიანი დაახლოებით 7 000 დოლარი ღირს. მაგრამ, თუ იგივე მანქანას, იმავე წლის გამოშვების და იმავე კომპლექტაციისას ამერიკაში იყიდი 10 000 ელირება, ევროპაში კი – 12-13 ათასი დოლარი. ასე დიდია სხვაობა. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენთან ყველაზე პოპულარული ევროპული მანქანების ყიდვა გინდათ, როგორიცაა „მერსედესისა" და „ბეემვეს" მოდელები, ჯობია ისიც იაპონიაში შეიძინოთ. იქ ექსპლუატირებულ ავტომობილებს გაცილებით ნაკლები აქვს გარბენი, უკეთ არის შენახული და უფრო იაფიც ღირს. ეს იმიტომ, რომ იაპონელები მანქანებს მალ-მალე იცვლიან. ისევ „სუბარუს" მაგალითს რომ დავუბრუნდეთ. ის მოდელები, რომლებიც აწყობილია ამერიკისთვის უფრო კომფორტზეა გათვლილი, ვიდრე სხვა პარამეტრებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპორტული „სედანია," ანუ გათვლები ტიუნინგურ დეტალებზეა გაკეთებული, ამერიკისთვის მას სხვა დატვრითვა აქვს, იქნება ეს ამორტიზატორები, ანუ მანქანის შასი, რბილი მანევრი და სხვა. მათ ძირითადად, დიდ ტრასებზე უწევთ სიარული და ამიტომ, მეტად სჭირდებათ კომფორტი.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა**: **მყავს ავტომობილი „ფორდ მონდეო", 1993 წლის, რომელსაც ეგრეთ წოდებული „ვოზდუხამერი" გაუფუჭდა. მანქანას საგრძნობლად შეუსუსტდა გაწევა და გაცილებით მეტ საწვავს წვავს. იქნებ მითხრათ, არის თუ არა ისეთი ადგილი, სადაც ამ ნაწილს განვადებით შევიძენ და საერთოდ, რა ღირს ის. ამასთანავე, მაინტერესებს, საერთოდ შეიძლება თუ არა მანქანის მართვა, სანამ ამ დეტალს შევიძენ ან სხვა გზით მისი შერემონტება?**

**პასუხი**: რაც შეეხება ამა თუ იმ დეტალის განვადებით შეძენას, ეს შეგიძლიათ ყველა დიდ მაღაზიაში, მათ შორის, ქუთაისის ქუჩაზე, სადაც ავტომანაწილები იყიდება. ყველა მაღაზიაში ბანკის წარმომადგენლები სხედან და ეს ძალიან მარტივი პროცესია. რაც შეეხება „ვოზდუხამერის" ფასს, სერიოზული განსხვავებებია ფასში იმის მიხედვით, თუ რომელი ფირმის ნაწილს შეიძენთ. კარგი ხარისხის „ვოზდუხამერი" საკმაოდ ძვირია. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, ეს ნაწილი ელიავას ბაზრობაზე, ეგრეთ წოდებულ „დაშლილებში" შეგეძინათ. მართალია იქ ნახმარი ნაწილებია, სამაგიეროდ, ისიც ორიგინალია, მით უმეტეს, რომ ამ ავტომობილის ნაწილები იქ საკმაოდ ბევრია. რაც შეეხება, შეგიძლიათ თუ არა მანქანის მართვა ამ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. გაფუჭებული „ვოზდუხამერი" სხვა არც ერთ დეტალს არ დააზიანებს. მაგრამ, წვას სხვა ხერხებით ვერ შეამცირებთ. ეს ის ნაწილია, რომელიც კომპიუტერს საწვავისა და ჰაერის ნაზავის შესახებ ინფორმაციას აწვდის. რადგან ის გაფუჭდა, შესაბამისად, კომპიუტერიც არასწორად მუშაობს და უფრო დიდი რაოდენობით საწვავს აწვდის. ამიტომ, უმჯობესია, ეს დეტალი რაც შეიძლება მალე შეცვალოთ.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

**კითხვა**: **რა სიხშირით უნდა დავვარცხნო ძაღლი?**

**პასუხი**: სეზონური ბეწვის ცვლის დროს აუცილებელია ძაღლის ყოველდღიურად ვარცხნა – ამით დავაჩქარებთ აღნიშნულ პროცესს და თავიდან ავიცილებთ ბეწვის გაბნევას ბინაში. ისიც გახსოვდეთ, რომ ყოველდღიურად ვარცხნა აუცილებელია მაშინაც, თუ მას არ აქვს ბეწვის ცვლის პერიოდი. გაცილებით რთულია, როცა ცხოველს ბეწვი მთელი წლის განმავლობაში სცვივა, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ ისინი ოთახებში პატრონებთან ერთად, გარემოს მუდმივი ტემპერატურის პირობებში ცხოვრობენ, რის გამოც ირღვევა მათი „ჩაცმა-გახდის" ბიოლოგიური რიტმი. სწორედ ამიტომ, ხდება ბეწვის ცვლის პერიოდი ხანგრძლივი და გრძელდება თვეობით, შემდგომ სეზონამდე. აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად საჭიროა ძაღლის რეგულარული ვარცხნა, ასევე, საკვების დაბალანსება აუცილებელი და შეუცვლელი ვიტამინებითა და ცხიმოვანი მჟავებით, როგორიცაა B ჯგუფის ვიტამინები და ისეთი ცხიმოვანი მჟავეები, რომელთა გამომუშავებაც არ ხდება ცხოველის ორგანიმში. ესენია: ომეგა 3 და ომეგა 6. აღნიშნული ვიტამინები და ცხიმოვანი მჟავეები, უზრუნველყოფენ კანისა და ბეწვის საფარველის ჯანრთელობის შენარჩუნებას, ასევე, ბეწვის ცვლის პროცესის დაჩქარებას და ჯანსაღი ბეწვის ზრდას.

**კითხვა**: **გვყავს 8 წლის მეტისი, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში ეზოს პირობებში ცხოვრობს. ბოლო დროს პრობლემები შეექმნა, რის გამოც მის ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა და გვირჩიეს ოპერაციის გაკეთება. დასაშვებია ამ ასაკში ქირურგიული ჩარევა?**

**პასუხი:** უკეთესი იქნებოდა, დაგეფიქსირებინათ, რა პრობლემები შეექმნა თქვენს ძაღლს და რა სახის ოპერაციაზეა საუბარი. ზოგადად კი გეტყვით, რომ ასაკის შესახებ რაც იკითხეთ, არ არის მართალი. ასაკოვან ცხოველებს ქირურგიულ ოპერაციას უკეთებენ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. რეალურად, ყველაზე ხშირად ოპერაციულ ჩარევას ასაკოვანი ცხოველები საჭიროებენ და ასეთ მეთოდს სასიცოცხლო ჩვენება აქვს, თუმცა, მაღალია ანესთეზიოლოგიური რისკი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული რისკის ხარისხის შეფასება ხდება კლინიკური და სხვა სახის გამოკვლევების მონაცემების ობიექტურად შეფასების საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მიღება, გაუკეთდეს თუ არა ცხოველს ოპერაცია.

**კითხვა**: **გვინდა დიდი ტანის ძაღლის შეძენა, რადგან საკუთარ სახლში ვცხოვრობთ და საკმაოდ მოზრდილი ეზო გვაქვს. რას გვირჩევთ?**

**პასუხი:** დიდი ტანის ძაღლები ძალზე ეფექტურები და ლონიერები არიან. ისინი, თავიანთი გიგანტური ექსტერიერით, ხშირ შემთხვევაში ისეთი ადამიანების ყურადღებასაც კი იქცევენ, რომლებისთვისაც ასეთი გოლიათის ყოლა დაუშვებელია. არ არსებობს ცუდი ძაღლი, არსებობს ცუდი პატრონი! დიდი ტანის ძაღლის შეძენამდე აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მას კინოლოგის პროფესიონალური წვრთნა ესაჭიროება. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კანონმდებლობის თანახმად, გიგანტ ძაღლებს პატრონები როგორც იარაღს, ისე იფორმებენ. დიდი ძაღლის პატრონების 90 პროცენტს მიაჩნია, რომ ასეთი მეგობრის გვერდით ის საიმედოდაა დაცული და ეს მართლაც ასეა. დედამიწის ზურგზე ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც შეძლებს, წინ აღუდგეს კანე კორსოს, ბულმასტიფს, ბორდონულ დოგს, მასტინოს, კავკასიურ, გერმანულ და აზიურ ნაგაზებს.

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



კედლის ნახატი
აშშ-ს შტატი
იაპონელი მწერალი, იუკიო...
გულის კედლებ. გარეთა ფენა
მეცხვარის სამოსი
სადინარი
თბილის. მთა
ჭადრაკ. ქალღმერთი
შიკრიკი ძველად
ავტომობილის ძარა
ვინაა პოეტი თავისი არსით?
ეგვიპტელთა ღვთაებ ხარი
კუთხეს შუაზე ყოფს
კაუჭი
ქალაქი თურქეთში
ნიკორა
კლდიაშვილის პიესის ქალი
ბრაზილიელი მწერალი, ჟორჟი
ხელოვნება
ჭადრაკის ფედერაცია
ფრინველი
ყოფილი იუგოსლავიის ფული
ავეჯის ნაწილი
ბესინჯერი
სოზარი
ზუგდიდის სოფელი
უბედურების სიგნალი
ხანუმას მეგობარი
ძვ.სომხეთის დედაქალაქი
ზოროასტრიზმის სატანა
ძველი სომხური ენა
ისტორ. ზავის ქალაქი თურქეთში
იაპონიის კუნძული
ძლიერი შხამი
(......) დურბინი
პერაკლემ თავლა დაულაგა
ქალის ოსური სახელი
ნუსხა
იდეა, ჩანაფიქრი
ჩვენი მოჭადრაკე ქალი
სიკვდილი ასეთიც არის
ვაჟასეული ალაზას ძმა
ინერტულობის საზომი
ალმოს. საქართველოს მდინარე
მაუწყებლობა
ფეხბურთის მამიდაშვილი
გაურკვეველი რამ
უწმინდური
სისხლძარღვის წინსართი
გურჯაანის სოფელი
ჩვენი პრომეთე
მიხოს ცოლი
ამერიკელის მეტსახელი
დიდი შვედი ჩოგბურთელი
პატარა თითი
შესასვლელი
(......) ხაიამი
ბროლი თავისი არსით
თანხმობა
ციტრუსი
(......) განდი
ცნობილი რუმინელი ვამპირი
თბილისის ციხე
მომავალი დრო
სასიმინდე
მადან ბოვარის სახელი
არაწყვილჩლიქოსანი ცხოველი
(......) ბრეგვაძე
კლდიაშვილის ქამუშაძე
(......) პეპბერნი
„მე“ ლათინურად
(......) სპასალარი
ირანის დევეშათა სააგენტ.
მოსეს ბიბლიური ძმა
(......) ბლოხინი
პატარა ირაკლი
იალქანი
უარი
ნაბიჯის მერე სათქმელი
რა არის „დაისი“?
ბუსუსი
მტრობა
აღზრდაზე დახარჯული შრომა
რაჭის „დედაქალაქი“
ცეკვის ნაბიჯი
შურისძიების ბერძნ. ქალღმერ.
სასოფლო იარაღი
ხარებთან ბრძოლა
ხმალი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | | | 3 | 3 | 3 | 1 | 1 | 3 | | | | | | | | | | | | | |
| | | | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | | | | | | | | | | | | 1 | 1 |
| | | | 2 | 1 | 1 | 10 | 10 | 8 | 8 | 8 | 9 | 10 | 10 | 11 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | | | | | | 2 | | 2 | 1 | 1 |
| | | | 3 | 8 | 11 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 | 6 | 6 | 1 | 2 | 2 | | 3 | 6 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 |
| 8 | 6 | 8 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 1 | 5 | 2 | 2 |
| 1 | 6 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 7 | 7 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 14 |
| | | | | 1 | 8 | 1 |
| | | | | | | 14 |
| | | | | | | 2 |
| | | | | | | 14 |
| | | | | | 2 | 2 |
| | | | | 1 | 1 | 4 |
| | | 2 | 3 | 3 | 2 | 3 |
| | | 2 | 3 | 3 | 2 | 2 |
| | | 3 | 5 | 5 | 4 | 1 |
| | | | | | 21 | 1 |
| | | | | | 20 | 2 |
| | | | | | 20 | 4 |
| | | | 1 | 12 | 1 | 9 |
| | | | 1 | 12 | 1 | 1 |
| | | | | 20 | 1 | 3 |
| | | | 20 | 1 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 3 | 1 | 3 | 1 | 3 |
| | | | | 3 | 3 | 8 |
| | | | | 3 | 3 | 5 |
| | | | | | 20 | 3 |
| | | | | | | 3 |
| | | | | | 19 | 3 |
| | | | | | | 3 |
| | | | | | | 24 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 8 | | 7 | | 1 | 9 |
| | 2 | | 6 | | 5 | | | 7 |
| 9 | 8 | 7 | | 2 | 1 | 6 | 5 | 3 |
| | 9 | 8 | 5 | | 3 | 7 | 2 | 6 |
| 7 | | 5 | | 1 | | 3 | 4 | |
| | 4 | 3 | 7 | | 6 | 5 | 9 | 1 |
| 8 | 3 | 2 | | 7 | 4 | 1 | | |
| | 1 | | 3 | 5 | 2 | 8 | | |
| 5 | | 4 | | 6 | | 9 | 3 | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 7 | | | | 8 | 5 | |
| | 8 | | | | 5 | 3 | | 6 |
| 2 | | | 8 | | | | | 7 |
| 5 | | | 1 | | | | | 8 |
| | 4 | | | | | 6 | | |
| 1 | | 6 | 3 | | 8 | 7 | | |
| | | | | | 7 | | | 2 |
| 7 | 5 | | | 2 | | | 8 | 3 |
| | | 2 | 5 | | | 4 | 7 | |

# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-15(694)

ელენე დაიძაბა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ასე უცბად წამოხტომა და გაქცევა არ გამოდიოდა, არადა, არც ის უნდოდა, ოჯახური სცენის მოწმის როლში აღმოჩენილიყო, თუმცა, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ძალიან აინტერესებდა, რა მოხდებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.



– მოვდივარ! – ჩვეულებრივი ხმით დაიძახა ნანიტამ.

კარს რომ მიუახლოვდა, ვილაცამ სახელური ააჩხაკუნა, თან, აშკარად ცდილობდა, გასაღებით გაეღო, მაგრამ, არაფერი გამოსდიოდა და ისევ ზარი დარეკა გაბმულად, ნერვიულად.

– მაცადე, გავაღო! – ისევ მშვიდი ხმით თქვა ნანიტამ და კარი გამოაღო, მერე კი გაოგნებულ დიმიტრის ღიმილით უთხრა: – მექანიკურად ურდულით ჩავკეტე და იმიტომ ვერ აღებდი.

გაოცებისგან კაცს სახე ჩამოუგრძელდა – ნამდვილად არ ეგონა, ცოლი სახლში თუ დახვდებოდა, თანაც, ასეთ კარგ ხასიათზე. ბინაში მექანიკურად შეაბიჯა და დაბნეული გაჩერდა – არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. სახლში იმ განზრახვით დაბრუნდა, რომ როგორმე მოეხერხებინა და პატიება ეთხოვა იმის გამო, რაც ჩაიდინა, მაგრამ, ნანიტა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო და რაღაც მომენტში დიმიტრის ეჭვიც კი შეეპარა, ეს ყველაფერი ხომ არ დამესიზმრაო.

– გაიხადე, რას გაჩერებულხარ. ჩვენთან სტუმარია, – თქვა ნანიტამ და სამზარეულოსკენ მიუთითა.

დიმიტრიმ ვერც კი გაიაზრა, რა უთხრა ცოლმა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და, ვერანაირ ჩანთებსა და ჩალაგებულ ბარგს რომ ვერ მოჰკრა თვალი, მექანიკურად ჰკითხა:

– შენ რა, აღარ მიდიხარ? გადაიფიქრე?

– სად უნდა წავსულიყავი? – გაიოცა ნანიტამ.

– ჰო, რა ვიცი... – კიდევ უფრო დაიბნა დიმიტრი და ქურთუკი საკიდზე ჩამოკიდა, მერე აბაზანისკენ წავიდა, ვითომდა ხელების დასაბანად, სინამდვილეში კი დრო სჭირდებოდა აზრზე მოსასვლელად.

– გშია? – გზაში დააწია შეკითხვა ცოლმა და ამან უფრო დააბნია – რამდენი ხანია, მისგან ასეთი მზრუნველობა არ უგრძნია.

„რა ხდება? – გაიფიქრა დიმიტრიმ, – ნუთუ მართლა ყველაფერი მომელანდა? არა, ძალიან მთვრალი კი ვიყავი, მაგრამ, ამ დონეზე?“ – მერე ონკანის თავზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა და თავისი სახე შეათვალიერა: ყველაფერი ისევ „თავის ადგილზე“ იყო – გახეთქილი ტუჩიც და ჩამოკაწრული ლოყებიც. ახლა უფრო შეშინდა. ეგონა, „ბელაია გარიაჩკა“ დამემართა და ჰალუცინაციები დამეწყოო და შეეცადა, ძალა მოეკრიბა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოეყვანა თავი.

– ბავშვები სად არიან? – შეძლებისდაგვარად მშვიდად ჰკითხა ცოლს.

– დედაჩემთან, – ოთახიდან გასძახა ნანიტამ, – ვერ გავიგე, გშია თუ არა, გაგიწყო სადილი?

– არა, არ მინდა, – უპასუხა დიმიტრიმ. მართალია, მგელივით მშიერი იყო, მაგრამ, იცოდა, ამ მდგომარეობაში ლუკმა არ გადაუვიდოდა ყელში, მით უმეტეს, ვილაც სტუმრის თანდასწრებით.

– კარგი, მაშინ, ყავას მოგიდუღებ და ჩვენთან ერთად დალიე, – ისევ გასძახა ცოლმა და სამზარეულოში გავიდა, სადაც გაფითრებული და თვალებგადიდებული ელენე იჯდა და გაოცებით შესცქეროდა დაქალს.

– შენ მართლა უნიჭიერესი მსახიობი ყოფილხარ, – უთხრა ცივად და წასასვლელად მოემზადა.

– ჰო, ძნელი სულაც არ ყოფილა როლში შესვლა, – დაეთანხმა ნანიტა და ქმრისთვის ყავის სამზადისს შეუდგა, – უბრალოდ, ცოტა დავიძაბე და თავი ამტკივდა.

ელენემ ყურადღებით შეხედა მეგობარს და შეამჩნია, რომ ხელები უკანკალებდა; ისე ძალიან უკანკალებდა, რომ ჯეზვეში შაქრის ჩაყრას ვერ ახერხებდა; მიხვდა, რადაც დაუჯდა მზრუნველი ცოლის როლის შესრულება ნანიტას და სთხოვა:

– დაჯექი, მე მოვადუღებ. შენ კი, იცოდე, თუ ასე გააგრძელებ, რამდენიმე დღეში მოკვდები.

– არ მოვკვდები, გავუძლებ. ვილაცამ ხომ თქვა, მიზანი ამართლებს საშუალებასო, ჰოდა, მეც ვეთანხმები. ნელ-ნელა შევეჩვევი ახალ როლს.

– არა მგონია, – დაეჭვდა ელენე, – ახლა კი, თუ ჩემი ხათრი გაქვს, რამე დასამშვიდებელი მაინც დალიე.

– არ მინდა, რომ შემოვა, წამლის სუნი იგრძნოს.

– ვალერიანის აბები მაქვს, უსუნოა, – დაფაცურდა ელენე და სამი ცალი პატარა დრაჟე მაგიდაზე დაუწყო, – დროზე, სანამ შემოსულა.

– სამი ცალი რა ამბავია? – თქვა ნანიტამ, მაგრამ მაინც სასწრაფოდ დალია და ელენეს შეხედა, – ვითომ ვალერიანი მიშველის?

– ყოველ შემთხვევაში, ცოტათი მაინც დაგაწყნარებს. ახლა მე ყავას მოვადუღებ და წავალ. ხომ არ გეწყინება?

– არ მეწყინება, მაგრამ, გთხოვ, სულ ათი წუთით დარჩი და მერე წადი, კარგი?

– კარგი, – ცოტაოდენი ორჭოფობის შემდეგ უპასუხა ელენემ, – ოღონდ, გეხვეწები, ძალიანაც ნუ შეიჭრები როლში, თორემ, მერე გამოსვლა გაგიჭირდება.

– კარგი, – დაეთანხმა ნანიტა და შეეცადა, ისევ ბუნებრივი სახე მიეღო.

ხუთი წუთის შემდეგ დიმიტრი სამზარეულოში შევიდა და კართან შეჩერდა. ასეთი უმწეო და დაბნეული ქმარი ნანიტას არასდროს ენახა და გულში ბოროტი კმაყოფილება იგრძნო. ელენეც არანაკლებ დაიბნა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო – ეგრძნობინებინა დიმიტრისთვის, რომ ყველაფერი იცოდა, თუ „ტყემლის კვნწეროზე შემჯდარიყო“. მცირეოდენი ფიქრის შემდეგ მეორე ვარიანტი არჩია და კარში აწურულ კაცს საკმაოდ ხელოვნური ღიმილით მიმართა:




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..........

მარიკა 599 24 28 31

– გამარჯობა, დიმიტრი. რაღაც საქმე მქონდა ნანიტასთან და ხუთი წუთიც არ იქნება, რაც მოვედი...

დიმიტრიმ დაეჭვებით გადახედა მაგიდაზე დაწყობილ ყავის ცარიელ ფინჯნებს, კონიაკის ნახევრამდე დაცლილ ბოთლსა და შევსებულ სირჩებს, მაგრამ, არაფერი უთქვამს, სტუმარს თავის დაქნევით მიესალმა და ცოლს ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს შველას სთხოვდა. ნანიტამ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ, ისევ წამოუარა ქმრის უმწეობით გამოწვეულმა ბოროტმა სიხარულმა და გადაწყვიტა, ეს საამო განცდა გაეხანგრძლივებინა – დაქალს მიუბრუნდა და ძალიან მშვიდად სთხოვა:

– მომიხარშე, რა ყავა, ის ერთი ჭიქა არ მეყო, – მერე სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარასთან მივიდა და ბოლი გამოღებულ სარკმელში გაუშვა.

– დიმიტრი, შენც ხომ არ დალევ ყავას? – ელენეს გაუხარდა, რომ რაღაც საქმე მიეცა და ასე დებილური ღიმილით აღარ იჯდებოდა. ამიტომ, მაშინვე დაფაცურდა და ყავის სამზადისს შეუდგა.

– დიმიტრის ყავა არ უყვარს, სპირტიანი სასმელები ურჩევნია, – წაიგესლა ნანიტამ, მერე მაგიდასთან მივიდა, სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ნერვიულად ჩასრისა, სკამზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

დიმიტრი ისევ გაშტერებული შესცქეროდა ქალებს და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. თავისმა დაბნეულობამ ძალიან დაძაბა და გააღიზიანა, მაგრამ, უცებ გადაწყვიტა, მოვლენების განვითარებას დალოდებოდა – ასე უფრო გაარკვევდა, რა ხდებოდა მის სახლში. დაბნეულობის დასაფარად, თავს ძალა დაატანა, გაიღიმა და ონკანთან მივიდა წყლის დასალევად. არ სწყუროდა, მაგრამ, იფიქრა, ცივი წყალი ოდნავ მაინც მომიყვანს გონზეო და მთელი ჭიქა ერთბაშად გადაკრა, მერე თვითონაც მიუჯდა მაგიდას და ელენეს მიმართა:

– თუ ჩემი დაიკო ხარ, ერთი ჭიქა ყავა მეც გამიკეთე. მართალია, დიდად არ მიყვარს, მაგრამ, ასეთი ლამაზი ქალების საზოგადოებაში ყავას კი არა, დარიშხანსაც სიამოვნებით დალევს კაცი.

– კარგი, შენც მოგიდუღებ და გავიქცევი, თორემ, უკვე ძალიან დამაგვიანდა, – ელენეს ერთი სული ჰქონდა, იქაურობას გასცლოდა და თავისუფლად ამოესუნთქა.

– არა, რა, არ წახვიდე. ბარემ შენთვისაც გაიკეთე, მერე კი დავსხდეთ და ცოტა ვიჭუკჭუკოთ. რამდენი ხანია, ჩვენთან აღარ მოსულხარ და არ გვისაუბრია.

სიტყვაზე „ვიჭუკჭუკოთ“ ნანიტამ სიცილი ძლივს შეიკავა და ამის გამო ისეთი ხველება აუტყდა, კინაღამ დაიხრჩო. ქალი მიხვდა, რომ ეს იყო მისი გამარჯვების პირველი ეტაპის დასაწყისი და, ამ ეტაპის ფინალი უფრო შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო, ნაძალადევი გაოცებით წამოიძახა:

– უი, სახეზე რა დაგემართა, დიმიტრი, რა გჭირს, გცემეს?

დიმიტრიმ ცალი ხელით მოიფშვნიტა სახე და ულიმღამოდ უპასუხა:

– ქუჩაში ვიღაც ტიპები ამიშარდნენ და ვიჩხუბე.



– ქალები იყვნენ? – სახეში შესცინა ნანიტამ, – რაღაც, ქალების ნახელავს უფრო ჰგავს ეგ ნაკაწრები. თუმცა, ტუჩიც გახეთქილი გქონია და ცალი თვალი – ოდნავ ჩალურჯებული.

– ქუჩაში ქალებთან რატომ ვიჩხუბებდი? – დიმიტრიმ დაბნეულობის დასაფარად ახლა ყავის დიდი ყლუპი მოსვა.

– ჰო, მართალი ხარ, ქალებთან ჩხუბი და ცემა-ტყეპა ქუჩაში ცოტა უხერხულია, სახლში უფრო კომფორტულია ამის გაკეთება, არა, დიმა? – ნანიტამ ხმამაღლა გაიცინა, მერე კი ისევ ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ხმით მიმართა: – მე და ელენე ახლა საქმეზე მივდივართ. ზუსტად არ ვიცი, როდის მოვალ, მაგრამ, გასაღები მიმაქვს და არ დამელოდო, დაღლილი თუ ხარ, დაიძინე. სადილი ქვაბით დგას გაზქურაზე. შენ რომ გიყვარს, ის კერძი მოგიმზადე. დაბალ ცეცხლზე შეათბე, რომ არ მიიწვას. აბა, წავედით, ჭკვიანად იყავი! – ნანიტამ ღიმილით დაუქნია ხელი, მერე ელენე თითქმის ძალით წაათრია ჰოლისკენ, საკიდრიდან მოსაცმელი და ჩანთა ჩამოხსნა და კარი გაიკეტა.

დაქალები ლიფტით ისე ჩავიდნენ პირველ სართულზე და ისე გავიდნენ სადარბაზოდან, ხმა არც ერთს არ ამოუღია. ის კი არა, სახეშიც არ შეუხედავთ ერთმანეთისთვის. ორივე უხერხულად გრძნობდა თავს, იდგნენ სადარბაზოს წინ და არ იცოდნენ, რა ეთქვათ ან როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს ისევ ელენე გამოერკვა, ხელი ჩაავლო მეგობარს და ქუჩისკენ წაიყვანა. გრძნობდა, როგორ უკანკალებდა ნანიტას ხელები, მაგრამ, არ შეიმჩნია, ტაქსი გააჩერა, თითქმის ძალით ჩასვა უკანა სავარძელში და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

– საით? – იკითხა მძღოლმა და ქალებს გამოხედა.

– ვაჟაზე, დასაწყისში, – მოკლედ უპასუხა ელენემ და მთლად აცახცახებული მეგობარი გულში ჩაიკრა. ნანიტას გული ამოუჯდა და ჯერ ჩუმად დაიწყო ქვითინი, მერე კი ხმამაღლა ატირდა.

– კარგი, ჰო, გაჩუმდი, ყველაფერი კარგად იქნება, – ამშვიდებდა ელენე და თავზე ხელს უსვამდა, – დაწყნარდი, სირცხვილია, რას იტყვის ეს კაცი, – ჩასჩურჩულა ყურში.

ნანიტას შერცხვა და ტირილი შეწყვიტა, მხოლოდ შიგადაშიგ ამოისლუკუნებდა ხოლმე, ოღონდ, კანკალი ვერ გაიჩერა.

– ცუდად ხართ, ქალბატონო? ხომ არ გავაჩერო მანქანა? – იკითხა მძღოლმა და სვლა შეანელა.

– არა, ჩემო კარგო, ყველაფერი რიგზეა. პირიქით, თუ შეიძლება, დროზე მიგვიყვანეთ, – თავაზიანად სთხოვა ელენემ.

– კი ბატონო, – თქვა მძღოლმა და სიჩქარეს ისევ მოუმატა.

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ ელენემ თავისი ბინის კარი გააღო, ნანიტა სახლში შეიყვანა და სავარძელში ჩასვა.

– როგორ ხარ? – ჰკითხა მზრუნველად და წინ დაუჯდა, – გინდა, რამე დაგალევინო?

– არაფერი არ მინდა, მხოლოდ რამდენიმე წუთი მჭირდება, რომ ბოლომდე დავმშვიდდე.

– თუ გინდა, წამოწექი, – შესთავაზა ელენემ და დივანზე ბალიში დადო.

ნანიტამ ხელის გაქნევით უთხრა უარი და თვალები დახუჭა. „რამდენიმე წუთი” ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა – ნანიტა თვალების დახუჭვისთანავე გაითიშა და ჩაეძინა. ელენემ თხელი პლედი მიაფარა და თვითონ მეორე სავარძელში მოკალათდა – ისეთი დაღლილი იყო დაძაბულობისგან, არც მას აწყენდა ცოტა ხნით წაძინება. მანაც დახუჭა თვალები და ჩათვლიმა, მაგრამ, თან ფხიზლად იყო – ეშინოდა დაქალის უყურადღებოდ მიტოვება.

ორიოდე საათის შემდეგ ნანიტამ დაფეთებულმა დააჭყიტა თვალები და ოთახში მიმოიხედა. ძლივს მიხვდა, სად იყო. წვალებით წამოდგა სავარძლიდან – ისე სტკიოდა მთელი სხეული, ბევრი ვარჯიშის შემდეგ რომ იცის ხოლმე. სამზარეულოდან გემრიელი სუნი გამოდიოდა. გაახსენდა, რომ მთელი დღის განმავლობაში ლუკმა არ ჰქონდა პირში ჩადებული და უცებ ძალიან მოშივდა. პლედში გახვეია და სამზარეულომდე მილასლასდა. ელენეს ვახშამი გაეწყო და ყავის მოხარშვას აპირებდა.

– გაიღვიძე? – მზრუნველობით ჰკითხა ელენემ, – მოდი, ჯერ ვივახშმოთ და მერე ყავა დავლიოთ. ნამდვილი ყავა მაქვს, აქაურ მარკეტში ნაყიდი არ გეგონოს, ჩემმა სიძემ ჩამომიტანა მაროკოდან.

– მაროკოში რა უნდოდა? – ისე, სხვათა შორის იკითხა ნანიტამ და გაშლილ სუფრას მიუჯდა.

ელენემ აღარ დაუკონკრეტა, რა უნდოდა მის სიძეს მაროკოში, მოშიებულ დაქალს სალათა გადაუღო, კარგა მოზრდილი სენდვიჩი დაუდო თეფშზე და დიდი ჭიქით ალუბლის კომპოტი დაუდგა.

– ყავა ბოლოს დავაყოლოთ, ჯერ ჭამე, – უთხრა და თვითონაც მადიანად ჩაკბიჩა სენდვიჩი.

– ყავა, კონიაკი და მსგავსი კრეტინობები აღარ გამაგონო. დღეს სახლში იმდენი დავლიე, რომ ვუყურებ, გული მერევა, – თქვა ნანიტამ და პირველი ლუკმა თითქმის დაუღეჭავად გადაყლაპა, – ასე ძალიან ცხოვრებაში არ მომშივებია.

– მეც, – ღეჭვა-ღეჭვით უპასუხა ელენემ, – ასე მგონია, ასი სენდვიჩი არ მეყოფა.

ის იყო, ჭამა დაასრულეს და კმაყოფილებმა სიგარეტს მოუკიდეს, რომ ნანიტას მობილურმა დარეკა. ეკრანს რომ დახედა, შეკრთა:



– დიმიტრი მირეკავს, რა ვქნა?

– რა უნდა ქნა? განაგრძე შენი როლის თამაში, სხვა გზა აღარ გაქვს.

– რომ მიხვდეს?

– რას უნდა მიხვდეს?

– რომ ვთამაშობ.

– მერე რა, რომც მიხვდეს, რას იზამს იმაზე უარესს, რაც უკვე ქნა?

– რა ვიცი... – თქვა ნანიტამ, მერე მწვანე ღილაკს დააჭირა თითი და ყურთან მიიტანა, – გისმენთ!

– მე ვარ, დიმიტრი. აღარ მოდიხარ სახლში?

– მალე მოვალ, – შემკრთალი ხმით უპასუხა ქმარს, – რამე ხომ არ გინდა, წამოგიღო?

– არა. გინდა, მოგაკითხო? მითხარი, სად ხარ და მოვალ, – დიმიტრის ისეთი თბილი და მზრუნველი ხმა ჰქონდა, ნანიტა დაიბნა. ძლივს მოახერხა, ეთქვა, ტაქსის გამოვიძახებ და თვითონ მოვალო, ყურმილი გათიშა და ისეთი სახით დახედა ტელეფონს, რომ ელენეს აშკარად შეეშინდა.

– ხომ მშვიდობაა? მოხდა რამე? – ჰკითხა გაშტერებულ დაქალს და სახელოზე მოქაჩა, – რა გჭირს, გოგო, მესამე მსოფლიო ომის დაწყება შეგატყობინეს?

– უარესი, – თქვა და დაქალს თვალებში შეხედა.

– რა უარესი, ნუ გამაგიჟე, თქვი, რა გითხრა! – ლამის იყვირა ელენემ.

– ასეთი თბილი და ყურადღებიანი ცხოვრებაში არასდროს ყოფილა.

– მერე, მაგან შეგაშინა? ძალიანაც კარგი, თუკი მიხვდა, როგორ უნდა მოექცეს ცოლს.

– არა, შენ ვერ გაიგე, – ღრმად ამოისუნთქა ნანიტამ, – მე მგონი, ყველაფერს მიმიხვდა და თამაშში ამყვა.

– რა?! – ყურებს არ დაუჯერა ელენემ, – ალბათ, გეჩვენება. კაცებს არ აქვთ ამდენი მიხვედრილობა და ეშმაკობა. მე მგონი, დაბნეულობის გამო იქცევა ასე. ან, იქნებ, გონს მოვიდა, მიხვდა, რაც მიჰქარა და ნანობს?!

– არ ვიცი. შეიძლება, მართალიც ხარ, მაგრამ, მაინც შევშინდი.

– გამხნევდი. რადგან დაიწყე, ბოლომდე მიიყვანე საქმე.

– ანუ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერში მეთანხმები? – რატომღაც სევდიანად გაეღიმა ნანიტას.

– ყველაფერში არა. გეთანხმები, რომ ჭკუა უნდა ასწავლო, მაგრამ გუგასთან შენი შეხვედრის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, თუკი, რა თქმა უნდა, რამე მნიშვნელობა აქვს შენთვის ჩემს აზრს.

– მაშინ, ყველაფერ დანარჩენს არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება, – თქვა ნანიტამ და მობილურზე რაღაც ნომერი აკრიფა.

– სად რეკავ? – შეეშინდა ელენეს.

– ნუ გეშინია, სცენაზე გუგას გამოსვლის წუთი ჯერ არ დამდგარა, – ცინიკურად გაეღიმა ნანიტას, – ტაქსის ვიძახებ.

ტელეფონი რომ გათიშა, ნანიტამ ისევ სიგარეტს მოუკიდა.

– ერთი ღერის მოწევას მოვასწრებ, – თქვა და ბოლი ჭერში გაუშვა.

– ძალიან ბევრს ეწევი, მოგკლავს ამდენი სიგარეტი, – უსაყვედურა ელენემ, – შვილებზე საერთოდ აღარ ფიქრობ?

– ვფიქრობ. სიგარეტს კი მალე დავანებებ თავს, გპირდები, – თქვა ნანიტამ, მეგობარს შეხედა და ჰკითხა: – იცი, რა მაინტერესებს? ჩვენ რომ წამოვედით და მარტო დარჩა, რა იფიქრა, რა ხდება ჩემს თავსო?

– ამას მაშინ გაიგებ, სახლში რომ მიხვალ და დაელაპარაკები. არ არის გამორიცხული... – მაგრამ ელენემ წინადადება ველარ დაასრულა, რადგან ნანიტას ტელეფონით შეატყობინეს, ტაქსი მოვიდაო და ისიც მაშინვე წამოხტა.

– მოიცა, ჩაგაცილებ, – გამოეკიდა ელენე, მაგრამ ნანიტა ისე სწრაფად გაიქცა, რომ ვეღარ დაეწია და უკან დაბრუნდა.

***

ქალები რომ წავიდნენ, დიმიტრი კარგა ხანს იჯდა სამზარეულოში და მომხდარზე ფიქრობდა. მართალია, გულში გაუხარდა, რომ ცოლის წინაშე მუხლებზე დადგომა და პატიების თხოვნა აღარ მოუწევდა და, შესაბამისად, აღარც გაყრასთან დაკავშირებულ პროცედურებზე მოცდებოდა, მაგრამ, ნანიტას უჩვეულო ზრუნვამ და გულითადმა საუბარმა, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა – დიმიტრისთვის ეს არაბუნებრივი მდგომარეობა იყო და, ამიტომ, მართალია, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ, რაღაცნაირი უსიამოვნო ეჭვი გაუჩინა. რაღაც მომენტში წამიერი დეჟავიუ დაემართა – თითქოს ოდესღაც უკვე ჰქონდა განცდილი ამგვარი შეგრძნება, მაგრამ, ვერაფრით ვერ გაიხსენა, როდის და, ამიტომ, თავი მიანება ამაზე ფიქრს.

– მგონი, გადახარშა ყველაფრი, მიხვდა, რომ ბევრ რამეში თვითონაც არის დამნაშავე, – ხმამაღლა უთხრა საკუთარ თავს, – ალბათ, ამიტომაც აღარ წავიდა სახლიდან. ვითომ, საერთოდ გადაიფიქრა გაყრა? თუ ასეა, მირჩევნია კიდეც – თორნიკესთან ახსნა-განმარტების ნერვები ნამდვილად არ მქონდა. თან, სამსახურშიც არეულობაა და არანაირად არ მაწყობდა ასეთ სიტუაციაში სასამართლოებში სირბილი, – დიმიტრიმ დაკაწრულ სახეზე ხელი მოისვა და ისევ ხმამაღლა განაგრძო მონოლოგი: – დავიჯერო, რამე აქვს ჩაფიქრებული?!. არა მგონია, ამისთვის ეშმაკობა არ ეყოფა, თუმცა, რას გაუგებ ქალებს, თითო ქალში მინიმუმ ათი ეშმაკია ჩაბუდებული და, კაცმა არ იცის, რომელი როდის გაიღვიძებს... მაგრამ, მე როგორ მოვიქცე? ვკითხო, რატომ შეცვალა გადაწყვეტილებაც და ჩემდამი დამოკიდებულებაც თუ არაფერი შევიმჩნიო და მეც ისევე მოვიქცე, როგორც თვითონ მექცევა?! ჰო, ალბათ, ასე ჯობია. ყოველ შემთხვევაში, ახლა პრავების

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ფ | ო | ი | ე | რ | ბ | ა | ხ | ი | |
| | | | | | | ა | | უ | მ | ა | | | ა | | ს |
| | | | | | ბ | რ | ე | მ | ე | ნ | ი | | რ | ქ | ა |
| | | | | | | ა | | ა | | გ | | ს | კ | რ | ა |
| | | | | | | ტ | ა | ნ | კ | ი | ს | ტ | ი | | რ |
| | | | | | | ი | ხ | ი | რ | | | რ | | ნ | ი |
| ს | | | | ა | | ნ | ო | ტ | ი | ნ | გ | ე | მ | ი | |
| ქ | ა | რ | ა | გ | მ | ა | | ე | ვ | ა | | ლ | უ | კ | ა |
| უ | | ა | რ | ა | შ | | ე | | ი | რ | ე | ც | რ | ა | კ |
| რ | უ | რ | ი | | ვ | ი | ლ | ი | | ი | რ | ო | ი | | ა |
| ი | | ი | რ | ს | ე | მ | | ა | | | ა | ვ | ა | ა | ც |
| | | ტ | | ა | ნ | ი | ჯ | ნ | ა | გ | | ი | | | ი |
| ა | რ | ე | ღ | მ | ი | ს | | ი | რ | ე | ს | | ქ | ვ | ა |
| ტ | ი | ტ | ა | | ე | ქ | ო | ს | კ | ო | პ | ი | ა | | |
| ი | ჩ | ი | ლ | ა | რ | ა | პ | | ს | ლ | ა | ლ | ო | მ | ი |
| ლ | მ | | ა | | ე | მ | ო | ც | ი | ო | | ი | ს | ე | ნ |
| პ | ო | რ | ტ | | ბ | | რ | | | გ | ო | ბ | ი | | ფ |
| | ნ | ა | ი | რ | ა | | ტ | ი | ვ | ი | | კ | | ჭ | ა |
| | დ | ი | | ი | | კ | უ | ზ | ი | | ნ | | კ | | ნ |
| | ი | კ | ე | ლ | ა | | ნ | ო | კ | ა | უ | ტ | ი | | ტ |
| | | ო | | ე | მ | პ | ი | რ | ი | ზ | მ | ი | | დ | ე |
| ი | ს | მ | ი | ე | რ | | ს | ი | ნ | ი | | ე | გ | ო | რ |
| ბ | რ | ი | ყ | ვ | ი | | ტ | ა | გ | ა | ნ | რ | ო | გ | ი |
| | ა | | ო | ი | შ | | ი | | ი | ლ | | ი | ლ | ი | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 5 | 7 | 4 | 3 | 9 | 6 | 8 |
| 4 | 7 | 8 | 9 | 5 | 6 | 2 | 3 | 1 |
| 3 | 6 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 4 | 7 |
| 7 | 1 | 4 | 2 | 3 | 5 | 8 | 9 | 6 |
| 2 | 5 | 3 | 6 | 8 | 9 | 7 | 1 | 4 |
| 9 | 8 | 6 | 4 | 7 | 1 | 3 | 2 | 5 |
| 6 | 3 | 1 | 5 | 9 | 7 | 4 | 8 | 2 |
| 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 8 | 1 | 7 | 9 |
| 8 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 6 | 5 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 1 | 2 | 9 | 5 | 4 | 3 | 6 |
| 3 | 4 | 5 | 8 | 6 | 1 | 9 | 7 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 7 | 3 | 4 | 5 | 8 | 1 |
| 8 | 3 | 7 | 6 | 4 | 9 | 1 | 2 | 5 |
| 1 | 9 | 2 | 3 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 |
| 4 | 5 | 6 | 1 | 2 | 8 | 7 | 9 | 3 |
| 5 | 6 | 8 | 9 | 1 | 3 | 2 | 4 | 7 |
| 9 | 1 | 3 | 4 | 7 | 2 | 6 | 5 | 8 |
| 2 | 7 | 4 | 5 | 8 | 6 | 3 | 1 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ლონდონის ცნობილი ხანძარი. 2. ალ კაპონე. 3. ვაფლი. 4. შარიათით. 5. ტანტალი. 6. კონსტანტინოპოლი. 7. გუგულად. აქედან მოდის ტრადიცია – გუგულს შეეკითხონ, რამდენ წელს იცოცხლებენ. 8. ორმოცდაათი – ორმოცდაათიანელები. 9. კვერცხს. 10. გაშლილ ცერსა და საჩვენებელ თითს. მათ შორის კუთხე დაახლოებით მართია.**

კაჩავი და ბოზებთან დროსტარება უნდა შევწყვიტო და მზრუნველი მამა და მზრუნველი ქმარი უნდა გავხდე – ყველასთვის ასე აჯობებს. მაგრამ, მაინც რომ გამეყაროს? – თქვა დიმიტრიმ და უცებ, თავისთვისვე მოულოდნელად, იგრძნო, რომ ეს არ უნდოდა, არ უნდოდა როგორც ქმარს, როგორც მამაკაცს, რადგან, აღმოაჩინა, რომ ცოლი თავისებურად უყვარდა და გაუჭირდებოდა მის გარეშე ცხოვრება. ამ აღმოჩენამ გული უცნაურად გაუთბო. საათს დახედა – თერთმეტი სრულდებოდა. მაშინვე დასწვდა მობილურს და დაურეკა. ეგონა, ნანიტა არ უპასუხებდა, მაგრამ შეცდა. ცოლის ხმის გაგონებამ პატარა ბიჭივით ააფორიაქა და ძლივს მოაბა თავი ორიოდე ფრაზას – როდის მოხვალ და მოგაკითხავო. თითქოს შეეშინდა კიდეც, ვაითუ, მითხრას, აღარ დავბრუნდებიო, მაგრამ, როცა ნანიტამ უთხრა, მოვდივარო, გულწრფელად გაუხარდა, მაშინვე წამოხტა და ნიჟარაში ჩაწყობილი ჭურჭელი სასწრაფოდ გარეცხა. ასეთი რამ პირველად ხდებოდა მის ცხოვრებაში და, მართალია, თვითონვე ეუცხოებოდა თავისი საქციელი, მაგრამ, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ საკმაოდ სასიამოვნო განცდა დაეუფლა. დიმიტრიმ სამზარეულო მიალაგა და ოთახში გავიდა, მერე სავარძელში ჩაჯდა, ტელევიზორი ჩართო და ცოლს დაელოდა.

დრო უსაშველოდ გაიწელა. წუთები საათებად ეჩვენებოდა და ყოველ წამს მოუსვენრად იყურებოდა კარისკენ. ბოლოს, როგორც იქნა, ზარის ხმა გაისმა. დიმიტრი წამოხტა და კარის გასაღებად გაიქცა. საკეტი გადაატრიალა და ერთი ნაბიჯით უკან გადგა.

ნანიტას ძალიან დაღლილი და ნანერვიულები სახე ჰქონდა. მაკიაჟი წაშლოდა და თვალის ქვეშ სილურჯე საკმაოდ მკვეთრად ემჩნეოდა. ამდენი წლის შემდეგ დიმიტრიმ პირველად შეაფასა ცოლი როგორც მამაკაცმა ქალი და ორი გრძნობა ერთდროულად დაეუფლა: სიბრალულის თუ თანაგრძნობის და, კიდევ, აღფრთოვანების – მძიმე დღის და თვალთან სისხლჩაქცევის მიუხედავად, მის წინ საოცრად ლამაზი და სექსუალური ქალი იდგა, რომელმაც დაბნეული ღიმილით შეხედა და ბინაში შევიდა. დიმიტრი თვალებით ჭამდა ცოლს და ის დღე გაახსენდა, პირველად რომ ნახა, რადგან, ნანიტა მაშინაც ასეთი დაბნეული მზერით უყურებდა. გაახსენდა და იგივე განიცადა, რაც მაშინ: საშინლად მოუნდა, რომ თავზე ხელი გადაესვა და გულში ჩაეკრა. ნანიტამ უხერხული მოძრაობით გაიხადა მოსაცმელი და საკიდარზე ჩამოკიდა, მერე იქვე მდგარ სკამზე ჩანთა დადო და ოთახში შესვლა დააპირა. შინაგანად მოლოდინი ჰქონდა, რომ ქმარი ჰკითხავდა, სად იყავიო და იმაზე ფიქრობდა, რა პასუხი გაეცა, მაგრამ დიმიტრი ხმას არ იღებდა, მხოლოდ შესცქეროდა და თანდათან იპყრობდა თითქმის უკვე დავიწყებული აღტაცება. ნანიტამ იგრძნო ქმრის დაჟინებული მზერა და, მიუხედავად იმისა, რომ არ უნდოდა, შეემჩნია, თავისდაუნებურად მისკენ მიბრუნდა და თვალებში შეხედა. შეხედა და გაქვავდა: მის წინ ის დიმიტრი იყო, პირველად რომ გაიცნო და ზუსტად ისეთივე მზერით შესცქეროდა – აღფრთოვანების, სურვილის, აღიარების გამომხატველი მზერით. ნანიტას იგივე დაემართა, რაც მაშინ, ოღონდ, ამჯერად უფრო მძაფრად: თავიდან ფეხამდე დაუარა ჟრუანტელმა და თან მთელი არსებით იგრძნო, რომ ისევ ქალი იყო, ნამდვილი ქალი, თანაც, ყველაზე ჭირვეულ, უხეშ და ცინიკოს მამაკაცზე გამარჯვებული ქალი და ამ შეგრძნებამ რაღაცნაირი სიამაყისა და ნიშნის მოგების შემცველი სიამოვნება განაცდევინა. დიმიტრის თვალების გამომეტყველებამ ნანიტა წამიერად ისე დააბნია, კინაღამ სისუსტე გამოიჩინა და ყველაფერი წყალში ჩაყარა, მაგრამ, როგორღაც სძლია თავს და ჩაიხშო მასთან ჩახუტების სურვილი. მართალია, ეს კიდევ ერთი გამარჯვება იყო, ამჯერად საკუთარ თავზე, მაგრამ, ამ გამარჯვებამ ნანიტა ფიზიკურადაც და სულიერადაც კიდევ უფრო დათრგუნა, რაც თვითონაც გაუკვირდა, რადგან, ეგონა, რომ საზეიმო განცდა დაეუფლებოდა. დიმიტრი რომ არ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის გულსა და გონებაში, სამზარეულოში შევიდა, მაცივრიდან ალუბლის წვენი გამოიღო და ჭიქაში ჩაისხა. მერე პატარ-პატარა ყლუპებით დაიწყო დალევა და ცდილობდა, ბუნებრივად მოქცეულიყო. დიმიტრი ისევ არ აშორებდა თვალს და ხმას არ იღებდა. ქალისთვის უკვე აუტანელი გახდა ასეთი ხანგრძლივი დუმილი, ჭიქა დადგა და ჩუმად იკითხა:

– ბავშვებს ხომ არ დაურეკავთ?

– არა, – მოკლედ უპასუხა დიმიტრიმ, მერე კი რაღაცნაირი ნაწყენი კილოთი დაამატა: – როდის იყო, რომ მე მირეკავდნენ? მხოლოდ შენ გცნობენ, მე მათთვის არც ვარსებობ.

– არც ჩემთან დაურეკავთ, – ისეთი ხმით თქვა ნანიტამ, თითქოს ქმრის დამშვიდებას ცდილობსო, მერე კი ეს უღიმღამო საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა: – არ ისადილე?

– არა, – თქვა დიმიტრიმ, – არ მშია. შენ თუ გინდა, ივახშმე.

– არც მე მშია, – ნანიტამ აღარ იცოდა, რა ეთქვა და გაჩუმდა.

მცირეოდენი დუმილის შემდეგ დიმიტრი სკამზე ჩამოჯდა და თვითონაც დაისხა წვენი. მერე ნანიტას ჭიქაც შეავსო და სახეში შეხედა:

– ცოტა ხანს დაჯექი, სალაპარაკო მაქვს შენთან.

ქალი დაიძაბა, მაგრამ მაინც დაჯდა. მთელი დარჩენილი ძალა მოიკრიბა და ჩუმად თქვა:

– გისმენ.

– რა ხდება, ნანიტა? – პირდაპირ დაუსვა კითხვა ქმარმა.

– არაფერი, რა უნდა ხდებოდეს?

– არ ვიცი, მაგრამ, აშკარად რაღაც ხდება, თუმცა, ჯერჯერობით ვერ გამიგია – რა. კარგი იქნება, თუ ამას თვითონ მეტყვი.

– მე არაფერი მაქვს სათქმელი, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – ვერ ვხვდები, რაზე მელაპარაკები და, ძალიან გთხოვ, ახლა დაკითხვას ნუ მომიწყობ, ისედაც ძალიან ცუდად ვარ, – ნანიტამ უცბად იგრძნო, როგორ გაუარა გულჩვილობამ, როგორ დაუბრუნდა ტკივილისა და გაღიზიანების შეგრძნება, შეეშინდა, ყველაფერი არ ჩავშალოო და წამოდგომა დააპირა.

– მოიცა, ნუ მიბრაზდები. დაკითხვას კი არ გიწყობ, სიტუაციის გარკვევას ვცდილობ.

– ძალიან გვიან ხომ არ არის? – მწარედ გაეღიმა ნანიტას.

– ჰო, შეიძლება, დავაგვიანე, მაგრამ, ჯობს



გვიან, ვიდრე არასდროსო, ნათქვამია. ნანიტა, ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი: გადაიფიქრე გაყრა?

– ჰო, – მოკლედ უპასუხა ქალმა, თვალებში თამამად შეხედა და დაუკონკრეტა: – ჯერჯერობით გადავიფიქრე.

– რატომ? – დაინტერესდა დიმიტრი.

– შენთვის სულერთი არ არის?

– შენ წარმოიდგინე, არ არის სულერთი. სიმართლე გითხრა, მე დღეს სახლში იმიტომ დავბრუნდი, რომ შენ წინ მუხლებზე დავმდგარიყავი და ისე მეთხოვა პატიება, თუკი, შეიძლება, ასეთი რამ აპატიო ადამიანს.

– ჰოდა, აღარ დაგჭირდა თავის დამცირება, რა განერვიულებს?

– თავის დამცირებაში არ არის საქმე. მე მაინც გავაკეთებ იმას, რაც გადაწყვეტილი მქონდა, – თქვა უცებ დიმიტრიმ, სკამიდან პირდაპირ იატაკზე დაეშვა, მუხლებზე დადგა და ცოლს ვედრებით შეხედა თვალებში: – ვიცი, რომ ნაძირალა და პირუტყვი ვარ; ვიცი, რომ ნაგავი და არაკაცი ვარ, მაგრამ, მაინც შენი ქმარი, შენი შვილების მამა მქვია და, თუ შეგიძლია, მაპატიე და დაივიწყე, რაც მოხდა...

ქალი თვალებს და ყურებს არ უჯერებდა. დიმიტრის აშკარად გულწრფელი სინანული ეწერა თვალებში და მის სიტყვებში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. ნანიტა ქალური ალღოთი გრძნობდა, რომ მის წინ მუხლებზე დამხობილი ქმარი არ ტყუოდა, ამიტომ, პირდაპირ უთხრა:

– გაპატიებ, მაგრამ, ვერ დავივიწყებ – ასეთი რამე ქალს არასდროს ავიწყდება.

– მართლა მაპატიებ? – გაუხარდა დიმიტრის, – მართლა? აი, ნახავ, თუ ოდესმე გაწყენინო. შეიძლება, არ დაიჯერო, მაგრამ, ახლა, ამ საღამოს, სულ რაღაც ხუთიოდე წუთის წინ ვიგრძენი, რომ ძალიან მყვარებიხარ...

ნანიტას ირონიულად გაეღიმა. დიმიტრიმ დაიჭირა ეს ირონია და შეწყვეტილი აღსარება განაგრძო:

– ვიცი, არ გჯერა, მაგრამ, დაგიმტკიცებ, რომ მართალს გეუბნები...

– კარგი, გეყოფა, მჯერა, – ველარ გაუძლო ქალმა და წამოდგა, – ახლა უნდა დავწვე, ძალიან დავიღალე, – და ოთახში გავიდა.

დიმიტრიმ ჩხაკუნის ხმა გაიგონა. მიხვდა, რომ ნანიტამ შიგნიდან ჩაკეტა კარი და მწარედ გაეღიმა – ცოლი მაინც არ ენდობოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# მაცდური ხართ?!

*თუ ჯერ კიდევ ვერ იპოვეთ ცხოვრების თანამგზავრი, შეიძლება იმიტომ, რომ არ გაქვთ უნარი, ცოტათი მაინც იყოთ მაცდური. ამაში ცუდი არაფერია. უბრალოდ, უნდა იცოდეთ, როდის შეუტიოთ და როდის დაიხიოთ უკან. როგორ აიძულოთ, დაინტერესდეს თქვენით ისე, რომ არ დააფრთხოთ.*

***უპასუხეთ შეკითხვებს, შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი პასუხის ვარიანტი.***

**1. როცა ხვდებით, რომ სიყვარულმა „ჩაგავლოთ“...**

ა) ველოდები, როდის დამირეკავს;

ბ) გადავდივარ შეტევაზე;

გ) შემიძლია, პირდაპირ სახლში მივადგე.

**2. ყოფილა ისე, რომ...**

ა) დამინახავს ქუჩაში და შემყვარებია;

ბ) ვიღაც ქუჩაში გამომკიდებია;

გ) არაფერიც არ ყოფილა – მარტო ვარ.

**3. როცა პაემანზე მისული აღმოაჩენთ, რომ ის არ მოვიდა:**

ა) ეგრევე ვცდილობ, წავშალო ჩემი ცხოვრებიდან;

ბ) ერთ შანსს კიდევ ვაძლევ;

გ) სადაც ვნახავ სკანდალს მოვუწყობ,

**4. პარტნიორი ხშირად გსაყვედურობთ იმისთვის, რომ...**

ა) ბევრ დროს ატარებთ სამსახურში;

ბ) ზედმეტად გამომწვევი ხართ საზოგადოებაში;

გ) გავიწყდებათ საკუთარი დაპირებები.

**5. როცა მშობლებზე ფიქრობთ, რა აზრი მოდის „წინ“?**

ა) მინდა, ჩემი ქორწინებაც მათის მსგავსი იყოს;

ბ) მათი დამსახურებაა, ასეთი მიამიტი რომ გავიზარდე;



გ) მათ ძალიან არ ვყვარებივარ.

**6. მომავალ პარტნიორს გაიცნობდით:**

ა) მეგობრის ოჯახში;

ბ) ღამის კლუბში;

გ) ქუჩაში.

**7. როცა პარტნიორი დღის განმავლობაში თითქმის არ გირეკავთ, ფიქრობთ, რომ**

ა) მას თქვენ არ უყვარხართ;

ბ) ეტყობა, მოუცლელია;

გ) ეტყობა, ჩემს ზარს ელოდება.

**8. როცა ატყობთ, რომ თქვენით მანიპულირებენ:**

ა) ამ ადამიანს ჩემი ცხოვრებიდან ვშლი;

ბ) აუცილებლად მოვთხოვ პასუხს;

გ) ვეჩხუბები და დავამთავრებ მასთან ურთიერთობას.

### ნახეთ შედეგები.

*როცა პასუხების უმრავლესობაა*

*„ა“ **ვარიანტი:** აგრესია თქვენთვის დამახასიათებელი არ არის. თქვენი მთავარი იარაღი და პრიორიტეტი გარშემო მყოფების პატივისცემაა. მოგწონთ, როცა ურთიერთობა ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ. გამორიცხულია, პირველი ნაბიჯი თავად გადადგათ. თუ ვინმეს აცდუნებთ, მხოლოდ თქვენი გულწრფელობით.*

*„ბ“ **ვარიანტი:** გიყვართ „შემოვლითი“ გზები. თუ ვინმეს არ მოსწონხართ, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებთ. ცდილობთ, მოერგოთ პარტნიორის გემოვნებასა და ხასიათს, თუნდაც ამისთვის თამაში დაგჭირდეთ. ზოგჯერ ძალიან ბევრს ეშმაკობთ და ამან შესაძლოა, დაგაზარალოთ.*

*„გ“ **ვარიანტი:** იმპულსური, უკონტროლო და რადიკალური ხართ. ერთ ჯერზე გნებავთ ყველაფრის მიღება. ფრთხილად იყავით! ისეთი რადიკალური მესაკუთრეც ნუ იქნებით, რომ ადამიანები თქვენგან უკანმოუხედავად გაიქცნენ.*

## სააღდგომო განძეული

აღდგომა დიდი დღესასწაულია და ყველა ცდილობს, ის განსაკუთრებულად აღნიშნოს.

პეტრე კარლ ფაბერჟე 1846 წელს სანკტ-პეტერბურგში დაიბადა. ევროპაში ძალიან ახალგაზრდა გაემგზავრა საიუველირო საქმის შესასწავლად. რუსეთში დაბრუნებულმა დააარსა „ფაბერჟეს ფირმა“. 1882 წელს ფაბერჟეს ნაკეთობები ძალიან მოეწონა ალექსანდრე მესამეს და სამეფო კარის იუველირად დანიშნა, თუმცა, განსაკუთრებული დიდება ფაბერჟეს სააღდგომო კვერცხების კოლექციამ მოუტანა. პირველი ასეთი სააღდგომო კვერცხი 1885 წელს იმპერატორმა შეუკვეთა მეუღლისთვის საჩუქრად. 1917 წელს ფაბერჟემ სააღდგომო კვერცხების 71 უნიკალური ნიმუში შექმნა, აქედან 54 – სამეფო კარის შეკვეთით.



ყველაზე უნიკალური და ძვირფასი მათ შორის ოთხია:

1. **„კვერცხი ალექსანდრე მესამის ძეგლით“** – მთის ბროლისგან გამოკვეთილ ამ კვერცხში მოთავსებულია ცხენზე ამხედრებული ალექსანდრე მესამის ოქროს ფიგურა – ზუსტი ასლი პეტერბურგის ერთ-ერთ მოედანზე აღმართული ძეგლისა. ეს კვერცხი ნიკოლოზ მეორემ 1910 წელს დედას აჩუქა. დღეს ინახება მოსკოვში, კრემლში, „იარაღების პალატაში“.

2. **„აზოვის სამახსოვროდ“** – 1891 წელს, აღდგომის დღეს, იმპერატორის ცოლმა, მარია ფეოდოროვნამ, ალექსანდრე მესამეს აჩუქა კვერცხი, რომლის შიგნითაც მოთავსებული იყო კრეისერ „აზოვის სამახსოვროდ“ მინიატურული ფიგურა. დაუმუშავებელი ზურმუხტის გარსი ამ ნამუშევარს უძვირფასესსაც ხდის. დღეს ის კრემლის მუზეუმში ინახება.

3. **„გატჩინოს სასახლე“** – ნიკოლოზ მეორის საჩუქარი დედისადმი. უნიკალური ნამუშევარი. ულამაზესი, გადასახსნელი კვერცხი დგას თავისსავე ოქროს სადგამზე, შუაგულში მოთავსებულია გატჩინის სასახლის მაკეტი. ის 1901 წელს, შექმნა ფაბერჟეს მარჯვენა ხელმა, მიხაილ პერხინმა. დღეს ეს კვერცხი ბალტიმორის სამხატვრო გალერეა „უოლტერსში“ ინახება.

4. **„კორონაციული“** – ნიკოლოზ მეორე და ალექსანდრა ფეოდოროვნა ტახტზე 1896 წელს ავიდნენ. ერთი წლის შემდეგ, აღდგომის დღესასწაულზე, იმპერატორმა კორონაციის წლისთავის აღსანიშნავად, მეუღლეს ოქროს კვერცხი აჩუქა. მის შიგნითაც, ასევე, ოქროს კარეტა იდო – ეს იმ კარეტის ზუსტი ასლია, რომლითაც დედოფალი ტაძარში კორონაციის დღეს მიბრძანდა.

## მხოლოდ სიმართლე

* იცით თუ არა, რომ ერთი ჩაის კოვზი თაფლის დასამზადებლად საჭიროა 12 ფუტკრის თავდაუზოგავი შრომა, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

* მსოფლიოში ყველაზე შეიარაღებული ქვეყანა ამერიკაა. იქ 100 მოქალაქეზე 90 ერთეული იარაღი მოდის.

* გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ამერიკული ფეხბურთის ფანები, საყვარელი გუნდის წაგების შემდეგ 10 პროცენტით მეტ კალორიას და 16 პროცენტით მეტ ცხიმებს იღებენ. ბუნებრივია, ჭარბად მიღებული საკვებისგან.

* ამერიკული ბრენდული სამოსის მხოლოდ 2 პროცენტი იკერება უშუალოდ შტატების ტერიტორიაზე. 1990 წელს კი ეს ციფრი 55 პროცენტს შეადგენდა. ტენდენცია განვითარებად ქვეყნებსა და აზიაში შეკვეთების გაგზავნით, იაფი მუშახელით არის გამოწვეული.

* ამერიკელების მხოლოდ 12 პროცენტი ეცნობა მსოფლიოში მომხდარ სიახლეებს. დანარჩენებს ეს, უბრალოდ, არ აინტერესებთ.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელობის წამქეზებელი

## გილფორდი ბილი

წარმატებული ადვოკატი, რომელსაც ძალიან ცოტა ჰქონდა დარჩენილი იუსტიციის მინისტრობამდე, ცუდ დღეში ჩავარდა. მისმა ლამაზმა და საყვარელმა ცოლმა რომანი გააბა ერთ ნაძირალასთან. ამიტომ, იძულებული გახდა, ხუთი ათასი დოლარი გადაეხადა ამ კუნთების გროვისთვის, რომ კაილისთვის თავი დაენებებინა. უსიტყვოდ გაუწოდა რუხი ფერის კონვერტი ასდოლარიანი კუპიურებით და წასვლა დააპირა, მაგრამ დომინიკ ტრანსკიმ შეაჩერა.

– მისტერ ჰენონ, იმედია, ზუსტად ხვდებით, რისთვის ვიღებ ამ ხუთი ათას დოლარს.

– ჩემს ცოლს რომ თავი დაანებოთ, – პირქუშად მიუგო ჰენონმა.

– დიახ. მაგრამ პასუხს ვერ ვაგებ იმაზე, კაილი დაგიბრუნდებათ თუ არა, – უშნოდ დაილმიჭა ტრანსკი.

– ეს უკვე თქვენი საქმე აღარ არის. ჩემს ცოლს ვუყვარდი, სანამ თქვენ გამოჩნდებოდით. ის გულუბრყვილოა და ვერ ხვდება, როგორ იყენებთ მას.

– თქვენი ბრალია. არ უნდა გეღალატათ ცოლისთვის საკუთარ თანაშემწესთან, მით უფრო, კაილისთანა ცოლისთვის.

– არაფერი ყოფილა! – წამოიყვირა ჰენონმა. თუმცა, რას გიხსნით. მხოლოდ ცოტა დავლიეთ ერთად... მოკლედ, მეტს აღარაფერს გიტყვი. იმედი მაქვს, ჩვენ სიახლოვეს აღარ გამოჩნდებით.

– ჯერ დაიბრუნეთ ცოლი, – სიცილით მიაძახა ტრანსკიმ და კონვერტში ჩაწყობილი კუპიურები გაატკაცუნა...

მეორე დღეს კი გაზეთები მისი მკვლელობის შესახებ წერდნენ. ჰენონი ხვდებოდა, რომ ტრანსკისთან გარიგება დიდი შეცდომა იყო. კაილი, ალბათ, უარესად შეიძულებდა. მაგრამ ჩიხში მოქცეულმა უკეთესი ვარიანტი ვერ მოძებნა... ამიტომ ტრანსკის სიკვდილი ნამდვილად არ სწყენია... შეიძლება, გაძარცვის მიზნითაც მოკლეს, – გაიფიქრა და სტატია ჩაიკითხა. მოკლულს ფული არ აღმოაჩნდა. მეორე დღეს მკვლელიც დაიჭირეს. რამდენჯერმე ნასამართლევი, მოთამაშე და თაღლითი ფილ კული, რომელმაც დანაშაული აღიარა. მერე კი, უცნაური და ჰენონისთვის შემაშფოთებელი ამბავი მოხდა. ფილმა მასთან შეხვედრა მოითხოვა. ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილი ადვოკატი მასთან საპატიმროში მივიდა.

– მისტერ ჰენონ, – ფილმა სახე მისკენ მიაბრუნა. აშკარად ეტყობოდა ცემის კვალი. აქა-იქ... წარბებზე, ლაწვებზე, ნიკაპზე სერიოზული სისხლნაჟღენთები ჰქონდა. კისერზე ლურჯად ისევ აჩნდა თითების ნაკვალევი.

– რისთვის გინდოდათ ჩემი ნახვა, – ჰკითხა ჰენონმა.

– მინდა, ჩემი ადვოკატი იყოთ. ოღონდ, არ მკითხოთ, რატომ. იმიტომ, რომ, საუკეთესო ხართ. შემიძლია, ხუთი ათასი დოლარი გადაგიხადოთ.

„ხუთი ათასი დოლარი?“ – ჰენონმა ეჭვიანად შეხედა მკვლელს.

ფილი ორაზროვნად ილიმებოდა – ადვოკატო, იმედია, უარს არ იტყვით. ეს ორმხრივად სასარგებლო იქნება.

– იქნებ, მომიყვეთ, რა მოხდა მკვლელობის დღეს?

– განსაკუთრებული არაფერი. ტრანსკის ჩემი კარტის ვალი ჰქონდა. იმ საღამოს ორ „ნაშასთან“ ერთად მოვიდა. სვამდნენ და ჭამდნენ... მივხვდი, ფული ჰქონდა. როცა ბარი დატოვა, უკან გავყევი. სახლში შევყევი და ჩემი სამასი დოლარი მოვთხოვე. ძალიან მაგრად მცემა, ძალიან მაგრად... თავს ვიცავდი. იქვე, მაგიდაზე რევოლვერი იდო, მინდოდა, შემეშინებინა... ძიძგილაობაში გავარდა და ტყვია ტრანსკის მოხვდა. სულ ეს იყო. სასამართლოზე სწორედ ეს უნდა დაამტკიცოთ.

– რომ თქვით, ბევრი ფული ჰქონდაო?

– დიახ. მე ვნახე, როგორ ხარჯავდა, მაგრამ მე მხოლოდ ჩემი სამასი დოლარი ავიღე... დანარჩენი ფული სად გაქრა, წარმოდგენა არ მაქვს. გვამი ხომ დილით მისმა ერთ-ერთმა საყვარელმა იპოვა. იქნებ ფული იმ ქალმა წაიღო. ზოგადად, ტრანსკის ქმრიანი ქალები ჰყავდა და მათი საშუალებით ფულს აკეთებდა. ერთხელ მომიყვა კიდეც...

ადვოკატს კიდევ ერთხელ ეცვალა ფერი... ამ უდლეურმა მკვლელმა კიდევ რაღაც იცოდა. ყოველ შემთხვევაში, ციხეში ვერ გაუშვებდა... სასამართლო სხდომებზე ჰენონმა რამდენჯერმე დაინახა კაილი. ის იქ იჯდა და ყველაფერს ყურადღებით უსმენდა. ჰენონის დაცვის ძირითადი ხაზი ის იყო, რომ დაემტკიცებინა, როგორ იცავდა ფილ კული თავს და რომ მკვლელობა ძარცვის მიზნით არ მომხდარა. ფილმა მოყვა, როგორ დასცინოდა მოკლული და ეუბნებოდა, რომ უვარგისი და მახინჯი არავის სჭირდებოდა. თვითონ ისეთი კარგი იყო, ქმრიანი ქალები მასზე გიჟდებოდნენ... ანუ, შემოსავლის მუდმივი წყარო ჰქონდა.

ჰენონმა პროცესი მოიგო... ფილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს... ჰენონი მაინც არ მიატოვა რაღაც გარდაუვალის, მოულოდნელისა და საშინელის განცდამ. ადვოკატს ალღომ არ უმტყუნა. ორი დღის შემდეგ ფილი ოფისში გამოეცხადა, ჰენონისთვის კარგად ნაცნობი რუხი კონვერტით.

– ჰონორარი მოგიტანეთ, – გაიცინა ფილმა და უცერემონიოდ ჩამოჯდა სავარძელზე.

– შეგიძლიათ, ჩემს მდივანს დაუტოვოთ. ის შემოსავალში გაატარებს, – პირქუშად მიუგო ჰენონმა.

– თქვენ მართლაც კარგი ადვოკატი ხართ, მაგრამ ბევრი რამ არ იცით. ამიტომ, ნუ იჩქარებთ ამ ფულის შემოსავალში გატარებას. სასამართლოზეც ვთქვი, რომ ვიცოდი, როგორ შოულობდა ტრანსკი ფულს. მან ისიც მითხრა, რომ ერთ-ერთი დაშანტაჟებული ქმარი თქვენ იყავით, უფრო მეტიც – ეს ხუთი ათასი დოლარი თქვენ მიეცით, რომ თქვენი ცოლისთვის თავი დაენებებინა. მე შემიძლია, მივიდე პოლიციაში და ვთქვა, რომ ტრანსკის მკვლელობა შემიკვეთეთ. კანონები ვიცი. მეორედ აღარ გამასამართლებენ ამ საქმისთვის. თქვენ კი, კარიერას სამუდამოდ დაემშვიდობებით.

– რა გინდათ, ჩემგან?

– ეს ხუთი ათასი დოლარი და კიდევ რაღაც კაპიკები ყოველთვიურად. ტრანსკიმ მითხრა, რომ ჩემნაირი მახინჯი არც ერთ ქალს არ მოუნდება. ვნახოთ, ფული შეცვლის თუ არა სიტუაციას...

***

ჰენონი სახლში განადგურებული მივიდა. კარი გააღო თუ არა, თავისი ცოლი დაინახა, თავისი კაილი... მისი ღიმილი მზესავით ანათებდა და უკვე აღარც საკუთარი რეპუტაცია ან კარიერა აინტერესებდა.

– დავბრუნდი. სასამართლოზე თვალი ამეხილა და ტრანსკის ჭეშმარიტი სახე დავინახე. როგორი მიამიტი ვიყავი, მეგონა, მართლა ვუყვარდი.

– მეც მაქვს ბოდიში მოსახდელი ჩემი საქციელის გამო და კიდევ იმისთვის, რაც შეიძლება, ხვალ მოხდეს. ერთი შანტაჟისტი მეორემ შეცვალა. შეიძლება, ყველაფრის გარეშე დავრჩე და ჰენონმა ცოლს ყველაფერი უამბო.

კაილიმ გადაჭრით გადააქნია თავი.

– არა. შენ მას ერთ ცენტსაც აღარ მისცემ, მორჩა. თუნდაც, სულ თავიდან მოგიწიოს ყველაფრის დაწყებამ. არც ერთი ცენტი, გასაგებია? თორემ ამას ბოლო არასოდეს ექნება.

ჰენონი ქალის სითბოს გრძნობდა და თავდაჯერება ემატებოდა...

***

ფილი ბინძურ ბარში იპოვა... მეძავების, ქურდებისა და ყაჩაღების გარემოცვაში. კმაყოფილი ჩანდა...

– ეი, შენ... გადავწყვიტე, ჩემგან ვერაფერს მიიღებ. სადაც გინდა, წადი და რაც გინდა, თქვი, ფეხებზე მკიდია! – დაუყვირა თამამად.

ფილს სახეზე გაოცება აღებეჭდა, რომელიც შიშმა შეცვალა.

– გესმის? ფეხებზე მკიდიხარ! ეგ ფული კი, ეგ ხუთი ათასი დოლარი, დაწყევლილი ფულია, სიკეთე არავისთვის მოაქვს. ესეც გახსოვდეს... – ამ სიტყვებით ჰენონი ბარიდან გამოვიდა.

მეორე დღეს დილის გაზეთები ბარში მკვლელობას იუწყებოდნენ... ჩხუბი ფულის გამო ატყდა... მოკლული ფილი იყო!

– ფაქტობრივად, ის მე მოვკალი, – თქვა ჰენონმა და მკერდზე მიხუტებულ ცოლს თავზე აკოცა, – მთელი ხმით გამოვაცხადე, რომ ფილს ხუთი ათასი დოლარი ჰქონდა. ის ხალხი კი, ორმოცდაათ დოლარზეც გამოჭრიდა ყელს.

– და, შენ სინდისი გაწუხებს ამის გამო? – ნაზად ჰკითხა ქალმა.

– ცოტა... ჩაილაპარაკა ჰენონმა ღიმილით.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. წაგრძელებული თავის ფორმით დაიწყეთ ობამას ხატვა



2. მიახატეთ კბილები



3. შემდეგ — თმა და ცხვირი



4. ყურები და წარბებიც არ დაგავიწყდეთ



5. დაასრულეთ თავის ხატვა



6. „ჩააცვით" კოსტიუმი



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება





# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# იპოვე შესაბამისი ჩრდილები



# ცხენი და მეჯინიბე

## (იგავ-არაკი)

ერთი მეჯინიბე ცხენის ქერს იპარავდა და ჩუმად ჰყიდდა. ცხენს კი ყოველ დილით ვარცხნიდა და ასუფთავებდა. ერთხელ ცხენმა უთხრა:

– თუ გულით გწადია, კარგი შესახედავი ვიყო, ჩემს წილ ქერს ნულარ გაყიდიო.

შეგონება: ცბიერი მეხარკენი ლამაზი სიტყვებით უმასპინძლდებიან საწყალ ხალხს, პირიდან კი უკანასკნელ ლუკმას აცლიან.

# რიცხვრებუსი

3,,, ,,,3 2,,



# ყველა კაცი ერთნაირია

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-15(694)**

### რაღაც უფრო მეტი

გადაწყდა... პასუხი ნაპოვნია და ისეთი რთულიც არ არის, როგორც მამაკაცებს ჰგონიათ... რამდენიც უნდა ვამტკიცოთ და ვიძახოთ, ასე არ არისო, ქალს მამაკაცი მაინც იმისთვის სჭირდება, რომ უყვარდეს ის... დიახ, დანარჩენს თავადაც მოუვლის. არ არსებობს ისეთი რამ, რის გაკეთებასაც ქალი ვერ შეძლებს, მით უფრო მაშინ, როცა მამაკაცის სიყვარული გაუმაგრებდა ზურგს...

***

ქეთიმ შვილი კალთიდან ჩამოსვა და ქმარს მიეგება:

– ადრე მოხვედი. რამე მოხდა? რატომ მირეკავდი?

– ძიძა უკვე გაუშვი? – კითხვითვე მიუგო ვახომ, – შენი სადღაც წაყვანა მინდოდა.

– სად? – თვალები გაუბრწყინდა ქეთის, – სიურპრიზია?

– არა, რა სიურპრიზი... კარგი იქნებოდა, თუ წვეულებისთვის რამე ახალს იყიდდი... უფრო ადრეც მინდოდა მოსვლა. ვაპირებდი, სამსახურში გამომევლო შენთვის, მაგრამ, გიგი და თიკო ერთად სადღაც წავიდნენ და ოფისი ვერ დავტოვე. ამ ლაშას, რაც ბავშვი შეეძინა, სულ ველარ ვხედავ, ნამეტანი თავგადაკლული მამაა. ძიძაც არ აიყვანეს და, მოკლედ, უზის ცოლს გვერდით.

– მერე, ეს ცუდია? – ღიმილით ჰკითხა ქეთიმ.

– რას გულისხმობ? – ვერ მიხვდა ვახო.

– იმას, რომ ლაშა ასეთი კარგი ქმარი გამოდგა.

– გააჩნია, ვისთვის. მისი ცოლისთვის კარგია, ჩემთვის – არც ისე, – ამოიოხრა კაცმა, – ფაქტობრივად, თანამშრომელი დავკარგე, უკვე მეორე.

– პირველი ვინ არის?

– ვინ და, ის სულელი ზუკა. მოსაკლავი მყავს. რა მოვუხერხო, აღარ ვიცი. უკვე აღარაფერი ჭრის, ჭკუიდან შემშალა და გამაგიჟა. გიგის ეჩხუბება, იმ ქალს თავს არ ანებებს...

– რომელ ქალს, ლიზას? – ფერი ეცვალა ქეთის.

– ჰო, აბა, ვის? რა გაუკეთა ამისთანა, ვერ ვხვდები.

– „გაუკეთა“ რა ნათქვამია. იქნებ უყვარს? – მხრები აიჩეჩა ქალმა და უხერხულად შეიშმუშნა.

– უყვარს გათხოვილი, ფეხმძიმე ქალი? ეს სიგიჟეა, ქეთი, არ გესმის? თანაც, არ უნდა იმ ქალს, არ უნდა და, ხომ უნდა გაიგოს ეს?

– ისევ ხვდება?

– რა ვიცი. არაო და, დავუჯერო? შენ უფრო გეცოდინება ეგ ამბავი, – ორაზროვნად ჩაილაპარაკა ვახომ.

ქეთის ეწყინა:

– მაგით რისი თქმა გინდა?

– იმის, რომ ლიზა შენი მეგობარია. ბოლოს როდის ნახე?

– კარგა ხანია, არ მინახავს და არ მომწონს, ამას რომ მეკითხები, ძალიან არ მომწონს.

– რატომ? ასეთი რა გითხარი?

– ვერ ხვდები? შენ არ მოგწონს ლიზა და უკვე რამდენჯერ მითხარი ამის შესახებ; არა მხოლოდ მითხარი, გამაფრთხილე კიდეც, რომ არ მოგეწონებოდა, თუკი მასთან შეხვედრებს გავაგრძელებდი. ახლა დაკითხვასავით გამოგივიდა.

– შეთქმულების თეორიებს ნუ აწყობ, რა, ძალიან გთხოვ. უბრალოდ ვიკითხე, ზუკას პონტში, მეტი არაფერი. მართლა მაწუხებს ეს ამბავი. მოდი, დროს ნუღარ დავკარგავთ, წავიდეთ, ვიყიდოთ რამე შენთვის. ნანასაც დიდხანს ხომ ვერ გავაჩერებთ. ჰო, მართლა, სად არის? დაუძახე და უთხარი, რომ მივდივართ.

– ქვემოთ ჩავიდა რძის საყიდლად, მე დამავიწყდა მოტანა.

– კარგი. მოკლედ, მივდივართ?

– რა უნდა მიყიდო? – გუნება გამოუკეთდა ქეთის.

– რა ვიცი, რაც გჭირდება – ფეხსაცმელი, კაბა, კარგი კოსტიუმი...

– ვაუ, ანუ, ფული გაქვს?

– იმდენი, დღეს რომ გვეყოს, მაქვს – დღეს ერთ კლიენტთან მოვაწერე ხელი ხელშეკრულებას და ავანსი გადმორიცხა კიდეც.

– და, გინდა, საჩუქარი გამიკეთო?

– მინდა, იმ წვეულებაზე კარგად გამოიყურებოდე.

– რატომ?



– უცნაური შეკითხვაა. ჩემი ცოლი ხარ, თანაც, იქ ბევრი ხალხი იქნება. ნატოს წამოყვანაც ხომ გინდოდა...

– ნატოს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

– ოჰო, გადაიფიქრა წამოსვლა?

– მე გადავიფიქრე, – პირქუშად ჩაილაპარაკა ქეთიმ.

– რამე მოხდა და მე არ ვიცი?

– არაფერიც არ მომხდარა. უბრალოდ, შენს იმდღევანდელ ნათქვამზე ვიფიქრე და, მივხვდი, რომ მართალი იყავი.

ვახოს აშკარად ესიამოვნა ცოლის სიტყვები, მაგრამ არ შეიმჩნია:

– წავიდეთ, ნუღარ ვაგვიანებთ.

***

თიკომ ღვედი შეიკრა და ამოიოხრა.

– რა გჭირს? – ჰკითხა გიგიმ ისე, რომ მისთვის არ შეუხედავს, – უკმაყოფილო ხარ ნაყიდით?

– არა, ეგ არაფერ შუაშია, რაღაცაზე დავფიქრდი.

– მაინც, რაზე?

– იმაზე, რომ ზოგიერთ ქალს ძალიან უმართლებს.

– მაინც, ვის უმართლებს ძალიან? – გამოაჯავრა გიგიმ, მაგრამ, წარბი არ გაუხსნია, აშკარად თავადაც სხვაგან იყო ფიქრებით.

– თუნდაც იმას, ლევანის ცოლს. მისი ქმარი ფულიანიც არის, საქმიანიც, სიმპათიურიც, დახვეწილიც და ინტელიგენტიც... ერთი სიტყვით, ყველა სიკეთით შემკული და, რაც მთავარია, გიჟდება თავის ცოლზე, თუმცა, ის ამას არ იმსახურებს.

– შენ რა იცი, რას იმსახურებს ლიზა და რას არა? – მოულოდნელად გაბრაზდა გიგი, – რატომ ხართ ქალები შურიანები?

თიკო გაშრა და შეურაცხყოფილმა წამწამები დაახამხამა.

– გაგიჟდი? მე ვარ შურიანი? როგორ არ გრცხვენია...

– ჰო, კარგი, სისულელე წამომცდა და ნუ ბრაზობ. ცოტათი გავლიზიანდი და ზედმეტი მომივიდა.

– ვხვდები, ნინის გამო ხარ ასე...

– ჰო, არ უარვყოფ. თვითონაც არ ვიცი, რა მჭირს... ვიჩხუბეთ, დავშორდით და, დარწმუნებული ვიყავი, მასზე აღარასოდეს ვიფიქრებდი... თითქოს ყველაფერი მორჩა, მაგრამ...

– ესე იგი, გიყვარს! – დაასკვნა თიკომ, – ის, რაც შენ გჭირს, რაღაც სიყვარულზე უფრო მეტია.

– სიყვარულზე უფრო მეტი რაღა უნდა იყოს? – გულწრფელად გაუკვირდა გიგის, – რა უცნაური ლოგიკა გაქვთ ქალებს. რადგან ისევ მახსოვს და ვერ დავივიწყე, ამიტომ რაღაც მჭირს?

– გიყვარს, რა...

– მაგარი შარია ეს სიყვარული, მშვენივრად ვიცხოვრებდით მის გარეშეც.

– თქვენ – კი. ნამდვილად იცხოვრებდით, მამაკაცებზე ვლაპარაკობ.

– ქალები განსაკუთრებულები ხართ, არა?! – დაცინვით ჩაილაპარაკა გიგიმ, – ნინის რომ ვყვარებოდი, კიდევ მაპატიებდა და შემრიგდებოდა.

– მაინც, რაზე იჩხუბეთ?

– ეჭვიანობაზე. ძალიან ეჭვიანობდა ყველაზე და ყველაფერზე.

– უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ?

– ნუ, მთლად უსაფუძვლოდაც არა, მაგრამ, სიტუაციის დამძიმება-გამუქება უყვარდა, როგორც ყველა ქალს. სოციალურ ქსელში ჩემთვის ვმაიმუნობდი და ნახა – სულ ეს იყო. გადაირია და ულტიმატუმი წამომიყენა – თუ ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება გინდა, ცოლად შემირთე და სხვა ქალებისკენ აღარ გაიხედოო. მე კი ვერ ვიტან, როცა რაღაცას მძალებენ.

– და... ახლა უკეთ ხარ? – ირონიულად ჰკითხა გოგომ.

– არ გინდა ეგ ცინიზმი და ნიშნის მოგება. კარგი, ცუდად ვარ, მერე?!

– მერე, უნდა მიხვიდე ნინისთან და დაელაპარაკო.

– კი, როგორ არა, აუცილებლად მომისმენს ამ ყველაფრის მერე.

– შენ სცადე, რა...

– ჩხუბით დამთავრდება ჩვენი შეხვედრა, ამიტომ არ ღირს. ვერაფრით დავარწმუნებ, რომ ჩვენ შორის რამე არ ხდება.

– მე დაველაპარაკები-მეთქი, ხომ გითხარი?

– არ გინდა, დამიჯერე... დავივიწყებ, არ არის პრობლემა. ცუდი ისაა, რომ ახლა არავინ მყავს, არადა, პატარა სასიყვარულო ინტრიგა დამხატავდა.

– მერე, ხელს რა გიშლის? შენ ხომ ქალების შებმის დიდოსტატი ხარ?

– ეტყობა, აღარ ვარ. თანაც რაღაცნაირად, ვერ ჩამოვყალიბდი, რა მინდა, მგონი, დავბერდი.

– ჰა, ჰა, ჰა! შენს ასაკში სიბერე ადრე არ არის? ყურები ნუ ჩამოყარე. სოციალური ქსელი ხომ ისევ გაქვს, მიდი... მიაწექი...

– ვახ, რატომ არ შეგიძლიათ ქალებს, მარტივად შეხედოთ ცხოვრებას?

– მარტივად როგორ?

– როგორ და, ჩემი აზრით, ქალებსაც ისევე აქვთ მამაკაცის ბიოლოგიური მოთხოვნილება, როგორც ჩვენ – ქალების! ასეა?! ამ მოთხოვნილებას რეალიზაცია ხომ უნდა?!

– მერე?

– მერე ის, რომ ინსტინქტია, ბოლოს და ბოლოს, თქვენ კი ცდილობთ, ბუნების წინააღმდეგ წახვიდეთ.

– ვერ მივხვდი, რისი თქმა გინდა.

– მოდი, მე და შენ სექსით დავკავდეთ, უბრალოდ, სიამოვნება მივიღოთ ორივემ, – პირდაპირ თქვა გიგიმ და გოგოს თვალებში ჩახედა – აბა, რა ეფექტს მოახდენს ჩემი სიტყვებიო. თიკოსთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ასეთი უცერემონიო შეთავაზება და პირიც კი დაალო გაოცებისგან.

– ოღონდ, წივილ-კივილი არ ამიტეხო, ძალიან გთხოვ, – დაასწრო გიგიმ, – ჯერ დაფიქრდი, რას გთავაზობ.

– რა დაფიქრება მაგას უნდა! ასეთი რა შემამჩნიე?

– გოგო, რა ასეთი, რა ისეთი... ან, შემჩნევა რა შუაშია? ქალი ხომ ხარ? გეუბნები, სექსი გვექნება, ორივე სიამოვნებას მივიღებთ და ისევ მეგობრებად დავრჩებით-მეთქი...

– აფრენ, ხო? – აღმოხდა თიკოს.

– რატომ? გეუბნები, კარგად იქნები.

– შენი გადმოსახედიდან – კი. აბა, მე მკითხე?

– არ მითხრა, რომ ქალიშვილი ხარ და ჯერ კაცი არ გყოლია, – გაეღიმა გიგის.

– იდიოტი ხარ, რა უნდა გელაპარაკო! – აწიკვინდა თიკო, – როგორ შეგიძლია, ასე, პირდაპირ მომახალო შენი ქვენა სურვილები?

– აუ, ქვენა სურვილები არა, კვახი! ეგრევე შეუცვალე შინაარსი შენებური ინტერპრეტაციით. კარგი, დაივიწყე, რაც გითხარი.

– ვიცოდი, ვიცოდი, რაც მოყვებოდა შენს ფსევდო გულისხმიერებას. პრინციპში, რას გერჩი, მე ვარ სულელი – შენი ნდობა როგორ შეიძლებოდა?

– გეყოფა ვიშვიში, დაივიწყე-მეთქი. უბრალოდ, შემოგთავაზე, თუ გენდომებოდა; ხომ არ მოგვარდი და ხომ არ ვძალადობ შენზე?! – გაღიზიანდა გიგი.

– ფაქტობრივად, იძალადე, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ჩავთვალე. მრცხვენია, დედას გეფიცები! ან, ის როგორ მკითხე, ქალიშვილი ვარ თუ არა. დებილი ხარ?

– ვაიმე, ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასეთი რეაქცია თუ გექნებოდა. შეგეძლო, უბრალოდ, გეთქვა, რომ არ გინდა, პანიკა რაღა საჭირო იყო? მაგრამ, რაშია, იცი, პრობლემა? შენც გინდა ის, რაც მე და იმიტომაც ცხარობ, რომ საკუთარ თავს ეწინააღმდეგები.



– გიგი, გაჩუმდი, თორემ, რაღაცას ჩაგარტყამ, – სერიოზულად დაემუქრა თიკო, მაგრამ ბიჭი ამან ვერ შეაჩერა, პირიქით, უფრო გააქტიურდა და ტონიც გამომწვევი გაუხდა.

– კაცი ხომ გინდა და გჭირდება? მითხარი, ხომ გინდა? თიკო, რატომ უნდა უთხრა საკუთარ თავს უარი იმაზე, რისი გაკეთებაც შეგიძლია? ეს ხომ შენი ცხოვრებაა, შენი და სხვა არავისი? ქალი ვერ ძლებს კაცის გარეშე – ეს ფაქტია... იცი, თავს როგორ კარგად იგრძნობ?!

– გაჩუმდი, ახლავე გაჩუმდი! – იყვირა თიკომ, ყურებზე ხელები აიფარა და ტირილი დაიწყო, – რა დაგიშავე, ასე რატომ მომდექი? ჩემი ბრალია, ნინიმ ერთად რომ გვნახა?!

გოგოს ცრემლებმა ბიჭზე დამთრგუნველად იმოქმედა, სახეზე წუხილი გამოეხატა და ხმაც შეარბილა:

– აუ, თიკო, მაპატიე, რა... ზოგჯერ მაგრად ვაფრენ ხოლმე. მართლა არ მინდოდა შენი წყენინება, – გიგიმ სცადა, თმაზე მოფერებოდა. მაგრამ თიკომ ხელი აუქნია.

– მომეშვი! გამიჩერე, უნდა ჩავიდე!

– სახლში მიგიყვან.

– არ მინდა. დანახვაც არ მინდა შენი! იდიოტი რომ იყავი, ვიცოდი, მაგრამ, ნაძირალაც ყოფილხარ. ეს უკვე მეტისმეტია, ამას აღარ გაპატიებ... არასოდეს!

– თიკო, გთხოვ, გემუდარები... როგორც გინდა, ისე დამსაჯე, ოღონდ მაპატიე!

– არა. ვერ გიტან! – თიკო კარის სახელურს დაეჯაჯგურა, – გააჩერე, თორემ, გადავხტები!

– კარგი რა, აბა, რას აკეთებ? დაიმტვრევი. აუ, მართლა, რა იდიოტი ვარ.

– ისედაც საშინლად ვიყავი და ბოლომდე გამანადგურე... – ტირილს უმატა გოგომ.

– თიკო, გთხოვ! არ შემიძლია, ქალი რომ ტირის... სინამდვილეში, კომპლიმენტი გითხარი. აბა, დაფიქრდი...

– დიდი მადლობა, მაგრამ მე შენს იდიოტურ კომპლიმენტებს ვერ ვიგებ. ყველა კაცი ერთნაირი რატომ არის? თუმცა, არა, შენ ყველაზე უარესი ხარ მათ შორის, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია... იმ ლევანზე უარესიც კი.

– მოიცა, რომელ ლევანზე ლაპარაკობ, ჩვენს კლიენტზე ხომ არა, ლიზას ქმარზე? იმანაც შემოგთავაზა სექსი?

– უარესი... იმან უარესი შემომთავაზა... ლამის სიყვარული ამიხსნა. თავი შემაცოდა, ცოლს ვეყრებიო, მითხრა, არადა, ბედნიერად განაგრძობს ცხოვრებას თავის კახპასთან.

– აუ, ეს კი აღარ ვიცოდი... შეხედე ლევანს?!

თიკომ ახლაღა გააცნობიერა, რომ რაღაც ისეთი წამოსცდა, რაც მისთვის მომგებიანი არ იყო და მაშინვე ინანა.

– შენ ახლა მთელ ქვეყანას მოსდებ ამ ამბავს, ყველას ეტყვი.

– არა, რას ამბობ, რა სალაპარაკო ეს არის! გპირდები, სიტყვას არ დავძრავ.

– როგორ არა, დაგიჯერე! საზიზღარო... რა სულელი ვარ, საერთოდ რატომ დაგთანხმდი, საყიდლებზე წამოგყოლოდი! სამაგიეროს მიხდი იმისთვის, რაშიც ბრალი არ მიმიძღვის...

– ნუ სულელობ!

– დიახ, ასეა. ნინიმ ჩემთან ერთად რომ გნახა, ამას არ მპატიობ.

– არ არის ასე, გეფიცები. აი, ცრემლები მოიწმინდე და დამშვიდდი. შევრიგდეთ, რა... ახლა სახლში მიგიყვან და ყველაფერი კარგად იქნება.

– არა! – გადაჭრით თქვა გოგომ.

– რა არა? – ვერ მიხვდა გიგი, – სახლში მისვლა არ გინდა?

– დალევა მინდა... ჰო, რას მიყურებ, სადმე ისეთ ადგილას წამიყვანე, სადაც გამოვთვრები და აღარ ვიფიქრებ იმაზე, როგორი არამზადები არიან კაცები...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები" №28-15(694)

– რა მერე. ზურა მიიმალა. მიმალული ვარ მეც და როგორც კი პოლკოვნიკი ბესარიონ აბრალავა ლენინგრადიდან დაბრუნდება, ენახავ და ყველაფერს მოვუყვები.



აბრალავას ხსენებაზე თავგასიებულს ენა ჩაუვარდა. პატარა პაუზის მერე კი მითხრა:

– საიდან იცნობ მას?

– რა შენი საქმეა. მთავარია, რომ მართალი ვარ და ნახავ, რას გიზამს.

– კობრა, მოდი, შევხვდეთ და მოვილაპარაკოთ. თითს არ დაგაკარებთ. ოღონდ აბრალავას არაფერი უთხრა.

– სულელი გგონივარ? რომ შეგხვდე, ცოცხალს არ დამტოვებ.

– არა, არა. შევხვდეთ.

– არა! წავედი, – ვუთხარი თავგასიებულს და ყურმილი დავკიდე.

ყველაფერი ძალიან ცუდად აეწყო. თბილისში დაბრუნებულმა აბრალავამ ბანდიტური ჯგუფის აყვანაში მიიღო მონაწილეობა, მძიმედ დაიჭრა და რამდენიმე თვე საავადმყოფოში იწვა. ხუჭუჭა ლენინგრადში დარჩა, რადგან იქ სწავლობდა. ხუჭუჭას მამასთან კი ვერ გავბედე მისვლა და კვლავ „პაბეგში" დავრჩი. ზურამ რომ დარეკა და ყველაფერი მოვუყევი, თქვა:

– ფუი, ჩვენი ბედის დედაც. კაროჩე, ცხვირი არსად გაჰყო. გამორიცხული არაა, რომ ის თავგასიებული და მისი პაძელნიკები მოსაკლავად გეძებდნენ.

ზურა სიმართლეს ამბობდა. ამიტომ, თბილისიდან წასვლა გადავწყვიტე. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი ჩემი წასვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მე მაინც ჩემი გავიტანე.

– რას მიშვრები, კობრა. გინდა, რომ ზურამ მომკლას? – მითხრა ჩემმა მასპინძელმა.

– ნუ გეშინია. მე ავუხსნი და არაფერს გეტყვის. ყველაფრისთვის მადლობელი ვარ. ახლა კი უნდა წავიდე.

ჩემმა მასპინძელმა ერთხელ კიდევ სცადა ჩემი შეჩერება, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა, ხუთასი მანეთი მომცა და მითხრა:

– ამაზე თუ უარს მეტყვი, იცოდე, კარში ჩავდგები და არ გაგიშვებ.

– კარგი. გამოგართმევ. ყველაფრისთვის მადლობელი ვარ. ნახვამდის.

– ნახვამდის და ძალიან ფრთხილად იყავი.

მე იმავე ღამეს სოჭში გავემგზავრე მატარებლით. დასვენების სეზონი იდგა. იქ უამრავი ხალხი ირეოდა. თანაც, ერთი ჩემი ძმაკაცი ცხოვრობდა იქ და დარწმუნებული ვიყავი, თავს შევინახავდი. ჩემი ძმაკაცი სამსართულიან სახლში ცხოვრობდა. ადვილად მივაგენი. მესამე სართულზე ავედი და მივუკაკუნე. არავინ გამოსულა. მე უფრო მაგრად მივაკაკუნე და ამ დროს საპირისპირო კარი გაიღო. უკნიდან ქალის სასიამოვნო ხმა მომესმა.

– სახლში არავინაა და ტყუილად აკაკუნებთ.

შევტრიალი და ოციოდე წლის ლამაზი გოგონა შემრჩა ხელში, რომელსაც მოკლე კაბა ეცვა და მიცინოდა.

– მე სევას მეგობარი ვარ, თბილისიდან ჩამოვედი, – ვუთხარი გოგონას.

– სევა ციხეშია. ხუთი თვის წინ დაიჭირეს. ურალში ზის და დედამისი გუშინ გაემგზავრა მის მოსანახულებლად, – მითხრა გოგონამ.

– სამწუხაროა, – ჩავილაპარაკე და კიბეებისკენ გავიწიე, გოგონამ გამაჩერა:

– ჩვენთან დასასვენებლად ჩამოხვედით?

– დიახ.

– რა გქვიათ?

– გოგი.

– მე – ლენა, – მითხრა გოგონამ და თავისი ლამაზი ხელი გამომიწოდა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ხელის ჩამორთმევის მაგივრად, გოგონას ხელზე ვეამბორე.

– ნამდვილი კავალერი ჩანხართ. სოჭში პირველად ხართ?

– ადრეულ ბავშვობაში დავყავდი მშობლებს. თუმცა ეს როდის იყო...

– გოგი, თქვენ, ალბათ, ბინა გჭირდებათ. რაღა სხვაგან წახვიდეთ, ჩემთან იცხოვრეთ. ახლა მე მარტო ვარ ჩემს სამოთახიან ბინაში. დედაჩემი დეიდა ვალიას, სევას დედას გაჰყვა ურალში და ორ კვირაზე ადრე არ ჩამოვლენ. მერე კი, შეგიძლიათ, ჩვენთან დარჩეთ, ან დეიდა ვალიასთან გადასახლდეთ. ის თქვენ შვილივით მიგიღებთ.

ლენას შემოთავაზებას დიდი სიამოვნებით დავთანხმდი და მასთან დავსახლდი. გოგონას მოვეწონე და იმავე ღამეს ლოგინში ჩამიწვა. ჩვენ ძალიან მხიარულად ვატარებდით დროს. ზღვაში ვცურავდით, ბუნების წიაღში გავდიოდით და ძალიან რომანტიკულ, შეიძლება ითქვას, ზღაპრულ ატმოსფეროში ვიყავით. ათი დღის მერე, როდესაც მე და ლენა ველურ პლაჟზე ვიწექით, მან მითხრა:

– გოგი, შენ, ალბათ, პრისტუპნიკი ხარ, არა?

– ასე რატომ ფიქრობ?

– სევას ძმაკაცი ხარ და იმიტომ. სევა კი ქურდია და მაგრად ჩალიჩობდა.

– შენ რა, ქურდები არ მოგწონს?

– მე შენ მომწონხარ და იცი, რა მინდა?

– რა?

– შენთან ერთად ვიჩალიჩო.

ლენას სიტყვებზე გამეცინა და ვკითხე:

– მერე შეძლებ?

– შევძლებ. მე და სევა ერთად ვჩალიჩობდით.

– მართლა?

– კი. არ გატყუებ. აი, ნახავ, რა შემიძლია.

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

## შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას" ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

**მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი"
2 364485, www.cancer.ge**

– რა შეგიძლია?

– ნაკოლის აღება, პატრონის სახლიდან გამოტყუება, საკეტის გახსნა... ერთი სიტყვით, ყველაფერი, – მითხრა ლენამ და მართალი აღმოჩნდა. სოჭში სამი თვე ვიცხოვრე და ამ ხნის განმავლობაში ექვსი საქმე გავაკეთეთ, საკმაო კუში ავიღეთ და ნაწილი სევას გავუგზავნეთ ზონაში, ნაწილი სევას დედას მივეცით. დანარჩენი ფულით კი ზღაპრული დრო გავატარეთ და დიდად ვისიამოვნეთ. სამი თვის შემდეგ კი ლენამ მითხრა:

– დასრულდა რომანტიკა: ლენინგრადში უნდა დავბრუნდე.

– ლენინგრადში?

– ჰო. მე იქ ვსწავლობ, თეატრალურზე. არდადეგები მქონდა და აქ იმიტომ ვიყავი. ისე, ხომ არ წამომყვები?

– სად?

– რა თქმა უნდა, ლენინგრადში. ჩვენ იქ ერთად ვიცხოვრებთ და ვიჩალიჩებთ. სევა ჩამომაკითხავდა ხოლმე და საქმეს ვაკეთებდით. ჰა, რას იტყვი, წამოხვალ?

– წამოვალ.

მე ლენასთან ერთად ლენინგრადში გავემგზავრე და ორი თვე დავყავი იქ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ორი მსხვილი საქმე გავაკეთეთ და ალბათ, კიდევ კარგა ხანს დავრჩებოდი იქ, მაგრამ მამაჩემს ინფარქტი დაემართა და თბილისში იძულებით დავბრუნდი. ამასობაში სრულწლოვანიც გავხდი. თანაც, თავგასიებული ოპერისა და მისი ორი პაძელნიკის ამბავიც გაირკვა: ისინი ვიღაც ბობოლა პროფესორის შვილის ცემისთვის დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. იქ კი სამივე საქათმეში მოხვდა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ნაცემი ბიჭი ძლივს გადაურჩა სიკვდილს. დაზარალებულების ახლო ნათესავი კი მილიციის გენერალი იყო და თავის ყოფილ სამივე კოლეგას სწორედ მან „მოუხერხა" საქათმე... ამასობაში თვრამეტი წლის შევსრულდი. „მალალეტკებში" მოხვედრა აღარ მემუქრებოდა და უბანში გამოვჩნდი.

ლენასთან გატარებული დრო მთელი ჩემი მომავალი ქურდული ცხოვრების უვერტიურა იყო. ერთი მხრივ, ქალთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მივიღე, მეორე მხრივ კი, ქურდული გამოცდილება გავიღრმავე და კონსპირაციული ცხოვრებისა და „მოღვაწეობის" უნარ-ჩვევები შევიძინე. სხვათა შორის, ლენა დღეს რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული მსახიობია. ამას წინათ, მან ავტობიოგრაფიული ბესტსელერი გამოსცა, რომელშიც მეც ვარ მოხსენიებული, მაგრამ სხვა სახელით. იქ, არაფერია ნათქვამი ჩვენი კრიმინალური საქმიანობის შესახებ და მხოლოდ ჩვენი ურთიერთობის სასიყვარულო-რომანტიკული მხარეა აღწერილი. სხვათა შორის, მრავალი წლის შემდეგ ლენას კვლავ შევხვდი. მაშინ ლენა უკვე საბჭოეთის ცნობილი სექს-სიმბოლო იყო. მე კი ისევ „პაბეგში" ვიყავი, მილიცია კუდზე მაჯდა და ვემალებოდი. ჩვენი შეხვედრა იალტაში მოხდა. იმ კონსპირაციულ ბინაში, სადაც მე ვიმალებოდი, მილიციის ოპერჯგუფი დამადგა. მე მათ „სკვაზნოით" „მოვუტყდი", თანაც, მათივე მანქანით. „ვორონკა" ერთ ჩიხში მივაგდე და სასტუმრო „დომ აქტიორაში" აივნებიდან ავძვერი. მეოთხე სართულამდე ავაღწიე და ნომერში შევიპარე. ოთახში არავინ იყო. ამიტომ გადავწყვიტე, კართან მივსულიყავი და „გლაზოკში" გამეხედა. უცებ სააბაზანოს კარი გაიღო და იქიდან წელზე პირსახოცშემოხვეული, ტანწერწეტა ქალი გამოვიდა. ჩემდა გასაკვირად, მას ჩემს დანახვაზე არ შეშინებია, შემათვალიერა და მითხრა:



– გასაგებია, რომ ჩემი თაყვანისმცემელი ხართ. მაგრამ, იმის უფლება არ გაქვთ, პირდაპირ ნომერში შემომივარდეთ, თანაც შხაპის მიღებისას.

– გაამოთ, – გავუღიმე ნომრის მასპინძელს, რომელმაც თვალები მოჭუტა და მითხრა:

– რა ნაცნობი სახე გაქვთ, ჩვენ ერთმანეთს შევხვედრივართ?

– ლენაჩკა, როგორ ხარ?

– ლენაჩკა?! თქვენი სახელი?

– ვერ მიცანი, ჩემო ლამაზო? ამდენი წელი გავიდა და შენ ისევ ისეთი მშვენიერი ხარ, როგორც ოცი წლის ასაკში.

– კობრა, შენ?

– როგორც იქნა, მიცანი.

– კობრა! ჩემო საყვარელო, როგორ მიხარია შენი ნახვა, – ლენა კისერზე ჩამომეკიდა და მთელი სხეულით მომეკრა.

– შენთან ასე ჩახუტებაზე, ალბათ, მთელი საბჭოთა მამაკაცები ოცნებობენ, – ვუთხარი ლენას, რომელმაც ხალათი მოიცვა, პირსახოცი მოიხსნა და ჩემ წინ, სავარძელში ჩაეშვა.

– ყელში ამომივიდნენ. შენზე მომიყევი, როგორ ხარ და რას საქმიანობ?

– რასაც ადრე ვსაქმიანობდი. ამჟამად პაბეგში ვარ.

– გასაგებია. ძაღლებს გაექეცი და აქ იმიტომ ხარ.

– კი, მასეა.

– ჩემთან, სწორედ რომ, განგებამ მოგიყვანა. აქ ვერავინ მოგაგნებს. მერე კი სადაც მეტყვი, იქ გაგიყვან.

– როდის მერე?

– მე აქ გადაღებებზე ვარ და კიდევ ერთი კვირა დავრჩები. შემდეგ მოსკოვში უნდა დავბრუნდე და შენთვის სასურველ ადგილზე მიგიყვან.

– ერთი კვირა აქ გავჩერდე?

– რა, ჩემთან ყოფნა არ გსურს?

– კი, მაგრამ ვინმემ რომ მნახოს?

– ნუ გეშინია. უჩემოდ აქ არავინ შემოვა.

უცებ კარზე დააკაკუნეს და ლენას ვუთხარი:

– საეჭვო კაკუნია.

– საძინებელში შედი, მე გავუღებ, – მითხრა ლენამ.

მე საძინებელში შევედი, კარი მივიხურე და მივაყურადე.

– გამარჯობა. ჩვენ სასტუმროს ნომრებს ვათვალიერებთ და თუ შეიძლება, შემოგვიშვით, – უთხრა ლენას ბოხხმიანმა მამაკაცმა.

– რატომ, რაშია საქმე?

– განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმე-





დს ვეძებთ და ვვარაუდობთ, რომ ის ამ სასტუმროშია.

– გარწმუნებთ, რომ აქ არავინაა. შემოსასვლელი კარი ჩაკეტილი მქონდა და თქვენ გაგიღეთ პირველად. აივნიდან კი არავინ შემომძვრალა, რადგან ამ წუთას იქ ვიყავი, მზის აბაზანას ვიღებდი და ეს სიამოვნება თქვენ შემაწყვეტინეთ.

– ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის. ახლავე დაგტოვებთ. ერთი თხოვნა მაქვს და უარს ნუ მეტყვით, – უთხრა მილიციელმა ლენას, – თქვენი ავტოგრაფი მაჩუქეთ.

– აქ დამელოდეთ, – უთხრა ლენამ მილიციელს. შემდეგ საძინებელ ოთახში შემოვიდა. გვერდით უხმოდ ჩამიარა და კომოდიდან ფოტო აიღო, რაღაც წააწერა, მილიციელთან დაბრუნდა და გადასცა, – აი, ინებეთ.

როგორც შემდეგ ლენამ მომიყვა, მან მილიციელს თურმე საკუთარი პორტრეტი აჩუქა, რომელსაც წააწერა: „მამაც მილიციელს სახსოვრად ჩემგან“. მილიციელი, თურმე საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. შემდეგ სიხარულისგან სახე გაებადრა, ლენას ხელზე ეამბორა, ბოდიში მოუხადა და გაბრუნდა.

მე და ლენამ „დომ აქტიორაში“ ერთი კვირა გავატარეთ. ფილმის გადაღება რომ დასრულდა, ლენამ თავისი ხელით გამიკეთა გრიმი, პარიკი მომარგო და თავისივე „ჟიგულით“ ჩამიყვანა მოსკოვში.

– თუ გინდა, ჩემთან დაგმალავ. სანამ არ მოგბეზრდება, შეგიძლია, ჩემთან იცხოვრო, – მითხრა ლენამ, რაზეც მივუგე:

– არა, ლენაჩკა, გამორიცხულია. შენ ისედაც ბევრი გარისკე ჩემ გამო. ახლა კი უნდა წავიდე. ყველაფრისთვის დიდი მადლობა, მშვიდობით!

– ნახვამდის და იმედია, ერთმანეთს კვლავ შევხვდებით, – მითხრა ლენამ, მაკოცა და წავიდა.

მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ლენას შევკედლებოდი, რაც თავად მას ძალიან უნდოდა და იქ ვერავინ მომაგნებდა, მაგრამ „თბილ ადგილზე“ ყოფნა ნეპმანელი ქურდის საქმე არაა. ამ შემთხვევაშიც არ დამირღვევია ეს ქურდული ცნება. მოსკოვში რამდენიმე კონსპირაციული ბინის მისამართი ვიცოდი, მაგრამ მათ საიმედოობაზე თავს ვერ დავდებდი. ამიტომ, „არიოლ-რეშკას“ პრინციპით შევუდექი ამ საქმეს და წილი ვყარე, შემდეგ კი იმ კონსპირაციული ბინისკენ გავემართე, რომელიც „სადოვოე კოლცოზე“ მდებარეობდა. მისი მეპატრონე იყო ძველი „პრესტუპნიკი“ ქალი, სამჯერ ნასამართლევი, მეტსახელად „ჟანა დარკი“. ის ნებისმიერ კრიმინალ მამაკაცს არაფერში ჩამოუვარდებოდა. ქურდული გაგებაც სრულიად ესმოდა და სქესს რომ ხელი არ შეეშალა და მამაკაცი ყოფილიყო, მისგან მრისხანე კანონიერი ქურდი გამოვიდოდა. ჟანა დარკი „დომუშნიკობაზე“ სპეციალიზირდებოდა, უბადლოდ ესმოდა ეს საქმე და არაერთი დიდი საქმე ჰქონდა გაკეთებული. ის ძველებური „ასობნიაკის" მეოთხე სართულზე ცხოვრობდა და მისი ბინის უზარმაზარ, მუხის მოჩუქურთმებულ კარს, ცარიზმის დროინდელი, ძველი რუსულით ნაწერი ფირფიტა ჰქონდა მიკრული. მასზე მცხოვრებლის ვინაობა და ტიტული ეწერა. უზარმაზარ ზარს თითი მივაჭირე და დაველოდე. მალე კარი გაიღო, ზღურბლზე ოციოდე წლის ძალიან ლამაზი გოგონა იდგა, რომელმაც ნაზი ხმით მკითხა:

– ვინ გნებავთ?

ჟანა დარკის ნამდვილი სახელი კლარა იყო, ამიტომ, გოგონას ვუთხარი:

– კლარა სერგეევნა სახლშია?

– დიახ. შემობრძანდით. ის ახლავე მოვა, – მითხრა გოგონამ, წინ გამატარა, კარი მიხურა და ოთახში შემოვიდა, – დაბრძანდით და დაელოდეთ.

მე ანტიკვარულ სავარძელში ჩავეშვი. გოგონამ მომიბოდიშა და გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ სასტუმრო ოთახში ჟანა დარკი შემოვიდა. ის ისეთივე მომხიბვლელი და ტანწერწეტა იყო, როგორც ხუთი წლის წინ, ბოლოს რომ ვნახე. მან გამიღიმა, გადამეხვია და მითხრა:

– ისევ ისეთი გალანტური ხარ, როგორიც ადრე იყავი.

– შენ კი ისევ ისეთი მშვენიერი, როგორც ყოველთვის, კლარა სერგეევნა, – ვუთხარი ქალს და ჟანა დარკი იმიტომ არ ვუწოდე, რომ იმ მომენტში ოთახში ის ულამაზესი გოგონა შემოვიდა, კარი რომ გამიღო.

ჟანა დარკი ყველაფერს მიხვდა, გაეცინა და მითხრა:

– ეს ლიზაა, ჩემი ქალიშვილი. მან ჩემზე ყველაფერი იცის. ამიტომ, შეგიძლია, ჩვეულებრივად, ჟანა დარკი დამიძახო.

– არ გეწყინოს ჟანაჩკა, მაგრამ შენი ლიზა დედიკოზე ბევრად მშვენიერია. სად იყო აქამდე?

– დედაჩემთან, ვოლგისპირეთში. ის ზრდიდა. აბა, მე სად შემეძლო მისი პატრონობა, როცა სულ საქმეებსა და ციხეებში ვიყავი. ორი წლის წინ კი, დედა გარდაიცვალა და ლიზაჩკა მოსკოვში ჩამოვიყვანე. მან ჩემი ნამდვილი ცხოვრების შესახებ არაფერი იცოდა და როცა მოვუყევი, ყველაფერს გაგებით შეხვდა. ლიზა ახლა „ემგეუში“ სწავლობს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსზე.

– მოხარული ვარ, ჟანაჩკა, რომ ასეთი კარგი შვილი გყავს.

– შენ, როგორ ხარ, კობრა?

– ძველებურად.

– გავიგე, რომ პაბეგში ხარ.

– კი.

– ჰო და, ძალიან კარგი. ჩვენთან დარჩი. აქ ვერავინ მოგაგნებს და იცხოვრე, რამდენი ხანიც გინდა, – მითხრა ჟანა დარკმა და დაამატა, – დარწმუნებული ვარ, რომ აქ სწორედ დასამალად მოხვედი.

ჟანა დარკი რომ მარტო ყოფილიყო, მე, რა თქმა უნდა, წამითაც არ ვიყოყმანებდი და მასთან დავრჩებოდი. ლიზას იქ ყოფნა კი, რადიკალურად ცვლიდა ვითარებას და უყოყმანოდ გადავწყვიტე იქიდან წასვლა. თუმცა, ჟანა დარკისთვის ეს არ მიგრძნობინებია და ვუთხარი:

– ყავას დამალევინებ?

– რაზეა ლაპარაკი, – მითხრა ჟანამ და ლიზას გახედა. გოგონა უკვე სამზარეულოში გადიოდა ყავის მოსატანად.

იმ ღამეს ჟანასთან დავრჩი და კარგად გამოვიძინე. მეორე დღეს კი დიდი მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

– კობრა, იქნებ დარჩენილიყავი? – მითხრა ჟანამ. პასუხად ხელზე ვეამბორე და მივუგე:

– მშვიდობით, ჩემო კარგო. შენს ლიზაჩკას გაუფრთხილდი, ის ნამდვილი განძია. ახლა სჭირდება პატრონობა და ეს შენ არ შეგეშლება.

– მშვიდობით, ჩემო კობრა. შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ, – მითხრა ჟანამ და ცრემლიანი თვალებით გამიღიმა...

როგორც იქნა, ჩემთვის შესაფერისი ბინა მოვნახე და ერთ ჩემს ძველ „ნაშას“ ჩავუსახლდი, რომელსაც ჩემი დანახვა უზომოდ გაუხარდა. ტანიასთან თითქმის ერთი წელი ვიცხოვრე, ბოლოს კი „მურმა“ „ამაგდო“, რომელიც ინტენსიურად მეძებდა და კრიმინალისტთა ენაზე რომ ვთქვათ, „გამომითვალა“... მოსკოვში ჩემი ყოფნის შესახებ დედაქალაქელმა მაძებრებმა ჩემი ხელწერით შეიტყვეს. ანუ, მოსკოვში ყოფნის დროს მე ოთხი მსხვილი ქურდობა მოვახერხე. მართალია, არანაირი კვალი არ დამიტოვებია და არც თვითმხილველები იყვნენ, მაგრამ „მურელმა“ გამომძიებელმა კმაყოფილებით მითხრა:

– შენი ხელწერაა, რომ ყოველგვარი კვალის გარეშე მუშაობ და არანაირ ხელჩასაჭიდს არ გვიტოვებ. ის ოთხი ქურდობა რომ გავაანალიზეთ, მივხვდით, შენ იყავი. ამიტომ, ყველა შენი ძველი კავშირი ამოვწიეთ. ბიჭები ღრმად ჩაუჯდნენ არქივსა და ძველ ოპერატიულ ცნობებს და მოგაგენით.

– თქვენ თვითონ ამბობთ, რომ არანაირი ხელჩასაჭიდი არ გაქვთ და მაშინ, რის გამო მიჭერთ? – ვკითხე გამომძიებელს. მან კი თავი გააქნია, გაეცინა და მომიგო:

– გავიწყდება, ძებნაში რომ ხარ?

– ეგ მართალია, მაგრამ სულ ტყუილად მეძებენ. არაფერი ჩამიდენია. ყოველ შემთხვევაში ის, რისთვისაც ჩემზე ძებნა გამოაცხადეს.

– ჰო. სუფთად მუშაობა შენი სტილია, მაგრამ არსებობს მოწმე, რომელიც ადასტურებს, რომ შენ და შენი პაძელნიკი სადგურზე მიგიყვანათ ნაქურდალი ნივთებით. თანაც, შენ გაუჩინარდი, როცა მილიცია შენს დასაკავებლად მოვიდა, – მითხრა გამომძიებელმა.

– თქვენ ხომ იცით, რომ ტუფტა ბრალდებაა. მილიციას კი იმიტომ მოვუტყდი, არ უარვყოფ, რომ ფაქტს ჩამიდებდნენ და ისე გამსროკავდნენ.

– არ უარვყოფ, რომ შეიძლება, მართლ-

აც ასე ექნათ, მაგრამ, როგორ გინდა, შენნაირი ქურდი სხვანაირად ჩასვა ციხეში?

– რა აუცილებელია ჩემი ციხეში ჩასმა?

– „ქურდი ციხეში უნდა იჯდეს“, მე ამ საკითხში სრულიად ვეთანხმები გლებ ჟიგლოვს, – მითხრა გამომძიებელმა და ცნობილი საბჭოთა სერიალიდან ციტატა მოიყვანა, რომლის მთქმელის როლსაც ვლადიმირ ვისოცკი ასრულებს.

– მოქალაქე გამომძიებელო, რაღა ჟიგლოვზე ჩაიციკლეთ, უფრო ცნობილი და თანაც, სამართლებრივი გამოთქმაა: „ნე პოიმან, ნე ვორ“ (თუ არ დაიჭერ – ფაქტზე ქურდი არაა).

– ჰო და შენ ხომ დაგიჭირეთ?

– ფაქტზე რომ არა?

– ყოველ შემთხვევაში, ძებნილი ხომ ხარ. დანარჩენს სასამართლო გადაწყვეტს, – მითხრა გამომძიებელმა და განაგრძო, – რას იზამ, კობრა, ასეთი პროფესიები გვაქვს, შენ იპარავ და გაგვირბიხარ, ჩვენ კი გეძებთ და გიჭერთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, თითქმის ორწლიანი მალვის შემდეგ, ისევ შემიპყრეს და ოთხი წლით ციხეში ამომაყოფინეს თავი. გამომძიებამ ვერც ერთი ქურდობა ვერ დამიმტკიცა და ფაქტობრივად, ირიბი ბრალდებით ამკიდეს სროკი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მინიმუმ ათი წელი მქონდა გარანტირებული. ეს კი ძალიან ბევრია და ამდენი ხანი მიყოლებით ჯდომა ძალიან დიდ დაღს ასვამს ყველაზე ჯანმრთელ ადამიანსაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობაში თვრამეტი წელი მაქვს გატარებული, შემიძლია ვიამაყო ჩემი ჯანმრთელობით. თუმცა, ჩემი პატიმრობის მეტი ნაწილი უმძიმეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ პირობებში ვიმყოფებოდი. ჩემი ჯანმრთელობის საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე არასდროს შევეჯდარვარ. არასდროს დავცემულვარ მორალურად. ქურდული იდეისთვის არასდროს მიღალატია და თავისუფლება სინდისზე არ გამიცვლია. რა თქმა უნდა, ბევრჯერ მიჭირდა და არაერთხელ ბეწვზეც კი ეკიდა ჩემი სიცოცხლე, მაგრამ არ გავმტყდარვარ და გაჭირვებისთვის ქედი არ მომიხრია... იური ანდროპოვის დროს, რაც ვლადიმირის კრიტში გადაგვხვდა ქურდებს, ამის შესახებ ადრე გიამბეთ. მაგრამ, არანაკლები სიმწარე შეგვხვდა ქურდებს გორბაჩოვის დროსაც – ეგრეთ წოდებული „ადრეული პერესტროიკის“ ხანაში, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო არეულდარეული და საბჭოთა კავშირის დაშლას ყველაზე სკეპტიკური ადამიანიც კი ვერ წარმოიდგენდა.

იმ პერიოდში „გუბერნსკში“ (ორთაჭალის ციხე) ვიჯექი და ყველაზე ცუდს „კრიტში“ დატოვებას ველოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს პირადად ციხის უფროსმა გამოგვიცხადა იმ ათი პატიმრის ვინაობა, ვინც ციმბირში უნდა გაეშვათ ეტაპით. მათ შორის ვიყავი მე და კიდევ ერთი ქურდი, დანარჩენები კი „ასობისტები“ (განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები) იყვნენ. მე ხმა არ ამომიღია. ჩემი კოლეგის სახელს კი შეგნებულად არ ვასახელებ და პირობითად მას რობოს ვუწოდებ. ის დღესაც ცოცხალია, თუმცა უკვე დიდი ხანია, ქურდი არ არის...



რობომ ციხის უფროსს ჰკითხა.

– რა პონტია? რატომ გვაეტაპებენ?

– არ ვიცი, – თავი გააქნია ციხის უფროსმა, – წუხელ პატიმართა სია მოვიდა მოსკოვიდან და ეს სია წაგიკითხეთ. ჩემზე არაფერია დამოკიდებული.

– უფროსო, თუ მაყუთზეა ბაზარი, იცი, რომ ჩვენგან ფოსტა მოგივა და არ დაგიგვიანებთ, – თავდაჯერებულად უთხრა ციხის უფროსს რობომ, რომელსაც ორივე სროკი საქართველოში ჰქონდა მოხდილი, ბაირამობას იყო მიჩვეული და ციმბირი მხოლოდ პროგრამა „ვრემიაში“ ჰქონდა ნანახი, ისიც სურათზე, როცა ამინდს აცხადებდნენ.

– ამჯერად სხვაგვარადაა საქმე, ჩემო რობო, – თქვა ციხის უფროსმა, – მოსკოვიდან გამოგზავნილ სიას წინ ვერაფერი დაუდგება. მილიონიც რომ გადაიხადო, იქიდან ვერავის ამოვშლი. ამისთვის ორი გზა არსებობს. ერთისგან ღმერთმა დაგიფაროს, მეორეზე კი შენ თვითონ არ წახვალ.

– რა გზა, ვერ გავიგე, – იკითხა რობომ, – ყველაზე ნაღდი გზა მაყუთია. შენ თანხა დაასახელე და მაყუთი ხვალვე მოვა.

– შენ რა, ვერ გაიგე? – ხმას აუწია ციხის უფროსმა, – მოსკოვის სიებზე მაყუთი არ ჭრის. თუ გაციმბირებას გინდა, გადაურჩე, ან უნდა დაიბრიდო, ან ქურდობაზე უარი თქვა. ჰა, თანახმა ხარ არაქურდობაზე?

– ვენები რომ გადავიჭრა, „ბალნიჩკაზე“ დავწვე და ისე ავიცილო გაციმბირება?

– რომ მორჩები, მაინც გაგაციმბირებენ, მაგრამ, ეს რომ გააკეთო, იცოდე, მეც მაგრად მომხვდება და ამას კი არ გაპატიებ, – აღელდა ციხის უფროსი და იყვირა, – ეტაპი მაინც არ აგცდება და მე ნუღა გამიფუჭებ პალაჟენიას.

რობოს აშკარად ეტყობოდა, რომ ციმბირში წასვლა სიკვდილივით არ უნდოდა და ამის გამო ბევრ რამეზე წავიდოდა. ამიტომ, უცებ პირის ღრუდან გადატეხილი ბრიტვა გამოიღო და ის იყო ვენებზე უნდა დაესვა, რომ ციხის უფროსი ხელში ეცა. მას ზედამხედველებიც მიეხმარნენ, რობოს ბრიტვის ნახევარი წაართვეს და იქვე გაკოჭეს. ჩვენ საკნებში დაგვაბრუნეს, რობო კი, ჯერ გულდასმით გაჩხრიკეს, შემდეგ სპეციალურ საკან-პალატაში შეიყვანეს. იქ დააბეს, რომ თავი ავტოტრავმით არ დაეზარალებინა. სამი დღის მერე კი ათივე პატიმარი რკინიგზის სადგურზე მიგვიყვანეს, ციხის ვაგონში ჩაგვსვეს და ციმბირის გზას გაგვიყენეს. მე და რობო ერთ კუპე-საკანში გამოგვამწყვდიეს. მიუხედავად იმისა, რომ მასზე წარმოდგენა ჯერ კიდევ „გებურნსკში“ დამეკარგა და შემეძლო, პასუხი მომეთხოვა მისთვის, თავი შევიკავე. ჯერ ერთი, იმიტომ რომ, ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო და შემეცოდა. თანაც, მაინცდამაინც არაქურდული, ბოზური არაფერი ჩაუდენია და გამოსწორების შანსი მივეცი. თუმცა, არაფერი ვაგრძნობინე და როგორც თანაბარს, ისე ვექცეოდი. ის კი დედის კალთას მოწყვეტილი, პატარა ბავშვივით დამფრთხალი იყო და ვერ მშვიდდებოდა. თბილისიდან ციმბირში მიმავალი გზა როსტოვზე გადიოდა. იქ გამანაწილებელი ციხე იყო და მაქსიმუმ ორი კვირის მერე, როსტოვიდან უკვე პირდაპირ ციმბირში გაგვიშვებდნენ. ადრე, ორჯერ მქონდა ეს მარშრუტი გავლილი, ყველა პროცედურა ზეპირად ვიცოდი და წარბიც არ შემიხრია. რობო კი პირიქით, ცქმუტავდა, ადგილს ვერ პოულობდა და წარამარა მეკითხებოდა, როსტოვში როდის ჩავალთო. როსტოვში რომ ჩავედით, იქ ერთი სიურპრიზი გველოდა. მთელი სამხრეთ რეგიონებიდან როსტოვში გასაციმბირებლად შეყრილი ოცი ქურდი ეზოში, პლაცზე დაგვამწკრივეს და მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსულმა პოლკოვნიკმა გამოგვიცხადა:

– საბჭოთა მთავრობა ბოლო შანსს გაძლევთ, რომ გამოსწორდეთ და თქვენს დანაშაულებრივ ცხოვრებაზე ხელი აიღოთ. ვინც ქურდობაზე უარს იტყვის და ამას წერილობითაც დაადასტურებს, მას ციმბირის ჯოჯოხეთი თავიდან ასცდება და საერთო რეჟიმის ციხე-კოლონიაში გადავიყვანთ. შესაძლებელია, მის საქმესაც გადავხედოთ და პატიმრობის ვადა შევუმციროთ. აბა, თამამად, ვის სურს, პატიოსან ცხოვრებას დაუბრუნდეს?

ოც ქურდს შორის მხოლოდ რობომ გადადგა წინ ხუთი ნაბიჯი და თქვა:

– მე!

– რა მე, თქვენი ვინაობა დაასახელეთ და გარკვევით გააკეთეთ განცხადება, – უთხრა რობოს პოლკოვნიკმა, რომელმაც, რა თქმა უნდა, მშვენივრად გაიგო, თუ რა თქვა რობომ, მაგრამ უფრო დააკონკრეტებინა თავისი სათქმელი.

რობომ თავისი ვინაობა დაასახელა და დაამატა:

– უარს ვაცხადებ ქურდობაზე და მსურს, პატიოსან ცხოვრებას დავუბრუნდე.

რობოს სიტყვებზე დანარჩენ ცხრამეტ ქურდს მწარედ გაგვეცინა და მისი მიმართულებით გადავაფურთხეთ. გასუსულმა პატიმრებმა კი, რომლებიც მანამდე გისოსებს იყვნენ აკრულები და პლაცზე მიმდინარე პროცესს უხმოდ აკვირდებოდნენ, ერთხმად იხუვლეს:

– რო-ბო ქა-თა-მო, რო-ბო ქა-თა-მო!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**სიმართლე გითხრათ, როდესაც სოციალურ ქსელში „ისი პარის" პიარ-მენეჯერს, ხატია შამუგიასა და ანტონიო ბანდერასის ფოტო ვნახე, სადაც ისინი ერთმანეთთან ჩახუტებულები იღიმიან, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მადამ ტიუსოს მუზეუმში, მსახიობის ცვილის ფიგურასთან იყო გადაღებული; ისიც კი გავიფიქრე, ფოტომონტაჟია-მეთქი. თუმცა, როცა ესპანეთიდან დაბრუნებულ ხატიას ვკითხე, მითხრა, ჩემ გვერდით ნამდვილად ცოცხალი, ჩემი ოცნების მამაკაცი დგას და ბევრს ჰგონია, რომ ცვილის ფიგურასთან ვდგავარო. ასევე, როგორც თავად გვითხრა, მაროკოსა და ესპანეთში ის საქმიან შეხვედრებზე იყო მიწვეული, თუმცა, ისეთ სელებრითებში მოხვდა, რომ ახლაც შოკშია. მოკლედ, საერთაშორისო პარფიუმერიული ქსელის ორგანიზებულ საღამოებს შორის, ცნობილი დიზაინერის, კაროლინა ერერას იუბილეც დაიგეგმა, სადაც ხატია შამუგია საპატიო სტუმრებს შორის მოხვდა და დათუნა სულიკაშვილის ბრჭყვიალა, გრძელი კაბით, დამსწრე საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ასე რომ, ჟან პოლ გოტიეს, კაროლინა ერერასა და ანტონიო ბანდერასის გარემოცვაში ყოფნა, ფაქტია, ხატიასთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა და საქართველოში დაბრუნებული, დღესაც ვერ მალავს აღფრთოვანებას.**

# რა საერთო აქვთ ხატია შამუგიასა და ანტონიო ბანდერასს და სად გადაიხადეს მათ დაბადების დღე ერთობლივად, ხუთი თვით ადრე

**ხატია შამუგია**: ზოდაქოს ნიშნით „ლომი" ვარ და, როგორც ვიცი, ამ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებს ძალიან უყვართ მოგზაურობა. თუმცა, ადამიანი არ მეგულება დედამიწის ზურგზე, ვისაც მოგზაურობა, სიახლეები და უცხო ქვეყნების კულტურის ნახვა და გაცნობა არ უყვარდეს და არ უნდოდეს. ღმერთის წყალობით, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და უამრავი კულტურა მაქვს ნანახი. ზოგადად კი, თბილი ქვეყნები უფრო მიყვარს და ეტყობა ესეც ჩემი ზოდიაქოს ნიშნის დამსახურებაა ***(იცინის).*** როცა უცხოეთში ხარ, ამინდს დიდად არ აქცევ ყურადღებას, თუმცა, მე ვარ ადამიანი, რომლის განწყობაც და დამოკიდებულებაც გარემო ფაქტორებზე ძალიან სენსიტიურია. ამიტომ, სადაც კარგი ამინდი და სითბოა, იმ ქვეყანაში უკეთესად ვგრძნობ თავს. არასდროს ვფიქრობ უცხო მხარეში რამის ყიდვას, მირჩევნია, გარემო ვათვალიერო, ბევრი ვიარო ფეხით და არა ვიშოპინგო. რასაკვირველია, თუ დრო ცოტა მაქვს, თორემ, თუ დიდხნიანი ვიზიტია, დრო შოპინგისთვისაც მრჩება. შოპინგი რომელ ქალს არ უყვარს? ***(იცინის).***

**– ძალიან ბევრ ქვეყანაში ხარ ნამყოფი. თუ დარჩა მხარე, სადაც ძალიან გინდა წასვლა, მაგრამ, ჯერ ეს ოცნება ვერ აისრულე?**

– დიახ, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ამერიკაშიც კი, მაგრამ, ჯერჯერობით აუხდენელ ოცნებად მრჩება პორტუგალია, რომელზეც ვგიჟდები და წელს აუცილებლად დავდგამ მის მიწაზე ფეხს.

**– სულ რამდენიმე დღეა, რაც თბილისში ჩამოხვედი. თუმცა, სოციალურ ქსელში უკვე დადე ფოტოები, სადაც ანტონიო ბანდერასის გვერდით იწონებ თავს. ამ ფოტოს უამრავი ლაიქი და კომენტარი მოჰყვა. როგორ მოხვდი მის გვერდით?**

– სანამ ამას მოგიყვებით, გეტყვით, რომ მე და ანტონიო ბანდერასი ერთ დღეს – 10 აგვისტოს ვართ დაბადებულები. სულ ვამბობ ხოლმე, მე ისეთ დღეს ვარ დაბადებული, როცა ყველაზე ცნობილი და ჩემთვის საყვარელი ადამიანები – ანტონიო ბანდერასი, გია ყანჩელი და ზურა ყიფშიძე დაიბადნენ-მეთქი. ასე რომ, ამ დღეს ცნობილი ხალხი ვართ დაბადებული ***(იცინის).*** ახლა ვხუმრობ, მე და ანტონიომ ხუთი თვით ადრე გადავიხადეთ სელებრითებთან ერთად დაბადების დღე-მეთქი. მოკლედ, წასული გახლდით ესპანეთში, კერძოდ, ბარსელონაში, პარფიუმერიული ჯგუფის მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რომელიც ფლობს ცნობილ და ყველასათვის საყვარელ პარფიმერულ ბრენდებს. ამ ჯგუფს ასი წელი შეუსრულდა და მთელი ხუთი დღე აღნიშნავდნენ ამ თარიღს. იყო შეხვედრები, ღონისძიებები, 110 ქვეყნიდან 1 200 სტუმარი ჰყავდათ დაპატიჟებული. ერთ დღესაც, გაიმართა ღონისძიება, სადაც სპეციალური სტუმრის სტატუსით მოვიდნენ ანტონიო ბანდერასი, კაროლინა ერერა და ჟან პოლ გოტიე. სხვათა შორის, გაგვაფრთხილეს, რომ ამ ღონისძიებაზე ქალბატონები უნდა მივსულიყავით კოქტეილის კაბებით, მამაკაცები კი – ფრაკებით. დიზაინერ დათუნა სულიკაშვილის კაბა მქონდა წაღებული, იმ დღეს ჩავიცვი და ძალიან იღბლიანი აღმოჩნდა ***(იცინის).*** მოკლედ, მაგიდასთან რომ ვისხედით, მოწვეული სტუმრები სიტყვით გამოვიდნენ, მათ შორის – კაროლინა და ანტონიოც. სხვათა შორის, კაროლინა ერერა აღფრთოვანდა ჩემი კაბით და მითხრა, ძალიან მაგარიაო; ანტონიომ კი სურვილი თავად გამოთქვა – შენთან ფოტოს გადავიღებო. ცოტა არ იყოს, გავოცდი, რადგან, ბევრს სურდა მასთან სურათის გადაღება, მაგრამ, უარს ამბობდა. სიმართლე გითხრათ, მეც მინდოდა მასთან ერთად გადაღებული სურათი მქონოდა, მაგრამ, რადგან სხვებს უარს ეუბნებოდა, ვერ გავბედე თხოვნა. მოკლედ, დამიძახა, დამიდგა გვერდით, თავი ჩემკენ გადმოხარა და ასე გადაიღო ფოტო. საოცარი შარმი აქვს ამ მამაკაცს. გარუჯულიც იყო და არც ბოტოქსით ჰქონდა სახე გადატკეცილი. მიუხედავად იმისა, რომ 54 წლისაა, საოცრად გამოიყურება – გამხდარია, მაგრამ, აშკარად ნავარჯიშევი სხეული აქვს. ახლოდან რომ ვნახე, მაშინ დავრწმუნდი, რატომ მოიხიბლა მსოფლიოც და ჰოლივუდიც არა მარტო მისი სამსახიობო ნიჭით, არამედ, იმ შარმით, რაც მას აქვს. ძალიან უშუალოა, დადებითი და მიმზიდველი. ლაპარაკობს ესპანურთან შერეული ამერიკული აქცენტით და ეს უფრო დამაინტრიგებელს ხდის მის პიროვნებას. კი ამბობენ, მამაკაცი ლამაზი კი არა, სიმპათიური უნდა იყოსო, მაგრამ, ანტონიო სიმპათიურიცაა და ლამაზი ნაკვთებიც აქვს, სრულყოფილი მამაკაცია. სიმართლე გითხრათ, ისე დავიბენი, რა მითხრა ფოტოს გადაღების დროს, ვერც კი გავიგე. არადა, მინდოდა, მეთქვა, ჩვენ ერთ დღეს ვართ დაბადებულები-მეთქი. მაგრამ, არა უშავს, იმედია, კიდევ შევხვდები მას და დიდხანს ვისაუბრებთ ***(იცინის).*** მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში ვარ ნამყოფი და ანტონიოს ცვილის ფიგურასთანაც მაქვს გადაღებული ფოტო და, ხომ წარმოგიდგენიათ, ცოცხალ ანტონიო ბანდერასს რომ დავინახავდი, რა მომივიდოდა?! შოკში ჩავვარდი. გადავიღეთ თუ არა ფოტო, ეგრევე ავტვირთე სოციალურ ქსელში და პირველებს, ჩემს მეგობრებს – დათუნა სირბილაძესა და გვანცა კილასონიას დავურეკე. ვუთხარი, შოკში ვარ, მიშველეთ-მეთქი ***(იცინის).*** ემოციებს ვერ ვმალავდი.



**კაროლინა ერერა აღფრთოვანდა ჩემი კაბით და, მითხრა, ძალიან მაგარიაო**

**– ამბობ, დათუნა სულიკაშვილის კაბით მოვხიბლე სელებრითებიო. მას რატომ არ დაურეკე და არ ახარე ეს ამბავი?**

– დათუნას ფოტო გადავუგზავნე და ამით ვახარე ეს ამბავი. მივწერე კიდეც – კაროლინა ერერა მოიხიბლა შენი ნამუშევრით-მეთქი. იქ ძირითადად, შავი, გრძელი კაბები ეცვათ, ჩემი მოვარდისფრო ბრჭყვიალა კაბა კი მათ ფონზე აშკარად უცხოდ ჩანდა. ისე იღბლიანად დავცადე დათუნა, აწი სულ მის შეკერილ სამოსს ჩავიცვამ, როცა სელებრითებში მოვხვდები.

**– ცნობილია, რომ საკმაოდ კარგად ერკვევი არომატებში და ზუსტად ხვდები, ვის რა ბრენდის სუნამო ასხია. ფოტოზე საკმაოდ ახლოს ხართ შენ და ანტონიო ბანდერასი. თუ შეიგრძენი, რა სუნამო ესხა?**

– იმ სურნელს რა დამავიწყებს. ***(იცინის)*** ანტონიო ბანდერასს იმ დღეს ესხა „ანტონიო ბანდერასი". გაიხუმრა კიდეც – მე ამ სუნამოს ცდუნების მეფე ვარო.

**ნონა დათეშიძე**

**უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, რაც თეონა თავართქილაძე ქართული მოდის სამყაროს ერთ-ერთ ცნობილ სახედ რჩება. ამ ხნის განმავლობაში არაერთი ახალი სახე გამოჩნდა ამ სფეროში, რომელთაგან, ზოგი დარჩა, ზოგიც გაქრა... თეონა არასდროს არ თმობს პოზიციებს, იმიტომ რომ მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება. თუ რა არის მისი წარმატების საიდუმლო, რა საქმიანობითაა იგი დაკავებული ამჟამად და რა რჩევებს აძლევს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს იმისთვის, რომ ბანკეტზე მოხდენილად და ინდივიდუალურად გამოიყურებოდნენ, ამას თეონა თავად გვიამბობს ჩვენს ინტერვიუში.**

# რა შემთხვევაში დაასრულებს მოდის სფერო პროგრესს და როგორ ურჩევს შემოსვას ბანკეტზე გოგონებს თეონა თავართქილაძე

**თეონა თავართქილაძე:** ძალიან დატვირთული პერიოდი მაქვს. გარდა იმისა, რომ მაქვს შეკვეთები სახელოსნოში. კეთდება ქართველი დიზაინერების ახალი საიტი – „ონლაინ შოფინგი" და ვაკეთებ მინი-კოლექციას სპეციალურად ამ საიტისთვის. ეს კაბაც, რომელიც ახლა მაცვია, სწორედ იმ კოლექციიდან არის, რომელიც საიტზე განთავსდება. ამას გარდა, მოდის კვირეული ახლოვდება. მოგეხსენებათ, წინა სეზონზე მოდის კვირეული არ ჩატარდა – ჩავარდა, რაც სამწუხარო იყო და, ძალიან მიხარია, რომ ამჯერად კვლავ ტარდება. თუ მოდის კვირეული ან მსგავსი ღონისძიებები არ ჩატარდება, მთლიანად დაამთავრებს მოდის სფერო პროგრესს. რადგან, ამ დროს ჩამოდიან ძალიან მნიშვნელოვანი სტუმრები – ფოტოგრაფები, ბაერები, რომლებიც ამაზე წერენ, აშუქებენ... მერე შეკვეთებს იღებ, გადის ეს ყველაფერი საზღვრებს გარეთ და ასე შემდეგ. ეს თუ არ იქნება, როგორც ადრე ვიყავით, ჩვენ თვითონ რომ ვაწყობდით ჩვენებებს, ისევ იქ დავბრუნდებით. ამიტომ, ძალიან კარგია, რომ აღდგა მოდის კვირეული, ყველა ძალიან ველოდებით და, მიხარია, რომ ეს სფერო პროგრესირებს.

**– როდის იწყება წლევანდელი მოდის კვირეული?**

– 6 მაისიდან დაიწყება. ამ კვირეულისთვისაც ვამზადებ კოლექციას. გარდა ამისა, ტელეკომპანია „მაესტრო" გავა აპრილის ბოლოდან ახალი შეფუთვით და ამ კომპანიისთვისაც ვზრუნავ რალაცეების დიზაინზე. მოკლედ, საგიჟეთი პერიოდი მაქვს.

**– რადგან შევხვდით, მე გამოვიყენებ მომენტს – ძალიან ბევრ გოგონას გავახარებ, მათ ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს დავაკმაყოფილებ და გკითხავთ: რას ურჩევთ მათ სკოლის გამოსაშვები საღამოსთვის?**

– პირველ ყოვლისა, აღვნიშნავ იმას, რომ ძალიან ბევრი საბანკეტო კაბა გამიკეთებია და ყოველთვის ვცდილობ ხოლმე ვურჩიო დამამთავრებელი კლასის გოგონებს, რომ, მთავარია, არ დაკარგონ იდივიდუალურობა. რომ მოდიან საბანკეტო კაბის შესაკვეთად, თითქმის ერთნაირი კაბები უნდათ.

**– ამასთან ერთად, უმრავლესობას სურს, რომ თმები ქერად შეიღებონ – რატომღაც, ამით აღნიშნავენ სკოლის დამთავრებას.**

– ასეა. ეს ხომ ისეთი ასაკია, როცა ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიან – ანუ, სადაც უკვე დიდი ხარ და ყველაფერი შეიძლება: მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმაც, მაკიაჟის გაკეთებაც, თმის შეღებვაც და ასე შემდეგ. სწორედ ამ დროს არის ძალიან დიდი სიფრთხილე და ზომიერება საჭირო და, რაღაც ზედმეტად ქალურად თუ მოგივიდა, შეიძლება, სასაცილოდ გამოიყურებოდე. ამიტომ, სულ ვცდილობ ხოლმე, რომ მე ვურჩიო და შევთავაზო რაღაცა ორიგინალური.

**– მაგალითად?**

– მაგალითაც, არ მიმაჩნია, რომ, რადგან საბანკეტოა, კაბა უნდა იყოს გრძელი, არადა, სულ ასეთებს ითხოვენ. თუმცა, წელს ვისაც უნდა ასეთი სიგრძის კაბის შეკერვა, იმაშიც გაუმართლა, რომ ზოგადად წლევანდელი გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე სულ გრძელი კაბებია მოდაში. ამიტომ, ვისაც უნდა, რომ საბანკეტო კაბაც მოდის ტენდენციებთან ახლოს იყოს, გრძელი კაბა წელს ნამდვილად ამართლებს. თუმცა, ვფიქრობ, რომ, ვისაც ტანი უწყობს ხელს და მოკლე უხდება, თუკი იცის, რომ ყველა გრძელი კაბით იქნება, ძალიან ორიგინალური და ლამაზი მოკლე კაბა რომ შეიკეროს, ბევრად მეტ ყურადღებასა და მოწონებას დაიმსახურებს.

**– წელს როგორი ქსოვილებია აქტუალური?**

– წელს აქტუალურია მეტალიკანარევი, მკვეთრი ერთფეროვანი ქსოვილები, რომლებსაც თავისი ბზინვარება აქვს. ეს ბზინვარება ძალიან მოუხდება საბანკეტო კაბასაც, თუმცა, რადგან ასეთი ქსოვილია აქტუალური, ამიტომ, კაბის მოდელი მინიმალიზმამდეა დაყვანილი – ზედმეტი აქსესუარისა და ზედმეტი გადატვირთულობების გარეშე, ანუ, აქცენტი ქსოვილზეა გაკეთებული. ასევე, წელს კვლავ შენარჩუნებულია სხვადასხვანაირი პრინტები, პრინტიანი ქსოვილები; ძალიან ჭრელი ან ძალიან მკვეთრი ფერებია მოდაში, მაგალითად, წითელი, ყვითელი ლურჯი და ასე შემდეგ. სიმკვეთრე წელს ყველაფერში აქტუალურია – პომადის ფერშიც, მაკიაჟშიც, ტანსაცმელშიც, თუმცა, თვითონ მოდელი მინიმალისტურია, ყოველგვარი ასიმეტრიების გარეშე.



**როდესაც გასაპრანჭად მიდიხართ, თუნდაც ბანკეტზე და, გინდათ, რომ ორიგინალურად და განსხვავებულად გამოიყურებოდეთ, მკერდქვემოთ გადაჭრილი ფრიალა კაბით არ წახვიდეთ; ჩაიცვით, მაგალითად, მამაკაცის ფრაკი, რომლის ქალის ვარიანტიც ბევრმა მეტრმა შექმნა და იქნებით „სუპერგაპრანჭულები"**

**– მაღალი ქუსლებია მოდაში თუ დაბალი?**

– მოდაშია, ძალიან მაღალი ქუსლები. კაბის სიგრძეს კი აქვს ორი უკიდურესობა: ან სულ გრძელი, ან – ძალიან მოკლე. ძალიან მოკლე კაბაზე ძალიან მაღალი ქუსლები კარგად გამოიყურება.

**– კიდევ რა ტენდენციებია მოდის სამყაროში?**

– ამ სისადავესთან ერთად, ძალიან მისაღებია მამაკაცური ხაზიც, მაგალითად, როდესაც გასაპრანჭად მიდიხართ, თუნდაც ბანკეტზე და, გინდათ, რომ ორიგინალურად და განსხვავებულად გამოიყურებოდეთ, მკერდქვემოთ გადაჭრილი ფრიალა კაბით არ წახვიდეთ, ჩაიცვით, მაგალითად, მამაკაცის ფრაკი, რომლის ქალური ვარიანტიც ბევრმა მეტრმა შექმნა და იქნებით სუპერგაპრანჭული. ეს ფრაკი შეიძლება იყოს რომელიმე მკვეთრი ფერის, ვთქვათ, წითელ ან თეთრ ფრაკში რომ მიხვიდეთ ბანკეტზე, საოცრად ელეგანტური იქნებით, ჩემთვის ეს ძალიან მისაღები იქნება – ძალიან გაპრანჭულიც, ძალიან თვალშისაცემიც და ირგვლივ ყველა თქვენზე ილაპარაკებს.

**– თმაზეც ვისაუბროთ, რადგან ძალიან ხშირად გოგონები სამსართულიან ვარცხნილობებს ირჩევენ ხოლმე ამ დღისთვის.**

– მე მგონია, ეს ყველაფერი ჯაჭვივითაა გადაბმული ერთმანეთზე – სილუეტი, ფერი, მაკიაჟი, ვარცხნილობა... იქიდან გამომდინარე, რომ სილუეტში მინიმალიზმია, ამიტომ, ყველაფერი სხვა არის გამძაფრებული იმისთვის, რომ საინტერესო ვიზუალი შეიქმნას. როდესაც ძალიან ბევრი რუში, მაქმანი და ასე შემდეგ იყო მოდაში, მაშინ შედარებით წყნარდებოდა მაკიაჟი, ვარცხნილობა თუ აქსესუარები, ახლა კი პირიქითაა – რადგან მშვიდი სილუეტია, მოდაში, მგონია, რომ ეფექტის მოსახდენად გამართლებული იქნება ასეთი მრავალსართულიანი ვერცხნილობები. ჩალმებიც ძალიან აქტუალურია წელს. რადგან ტანისამოსის „სიმშვიდეა" მოდაში, ამიტომ, ექსპერიმენტები ვატაროთ თმაზე. აქაც ძალიან მკვეთრი ფერებია აქტუალური, მაგალითად, კარგი სტაფილოსფერი, წითური, ოღონდ, უფრო მკვეთრი, ვიდრე ნატურალური.

**– დარწმუნებული ვარ, ყურადღებით წაიკითხავენ თქვენს რჩევებს. რადგან შეგხვდით, მომენტს არ გავუშვებ და თქვენგან შევიტყობ, როგორ არის მაკა ასათიანი და რას საქმიანობს იგი ამჟამად?**

– მაკა კარგად არის. ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, მაგრამ, მალე ჩამოვა. მაკა ახლა დაკავებულია ტელეკომპანია „მაესტროთი", რომელიც აპრილის ბოლოდან გადის ახალი შეფუთვით, სულ ახალი გადაცემებით და, ამ პერიოდისთვის, რა თქმა უნდა, მაკა აქ იქნება, რადგან, ამ ყველაფერში თავიდან ბოლომდე თვითონ არის ჩართული. მარტო მაყურებელი კი არ არის, თითქმის ყველაფერში მონაწილეობას იღებს.

**– არხის საორგანიზაციო საკითხების ყველა ნიუანსში რომ ჩახედულია, შევიტყვეთ. რომელიმე ახალი პროექტის ავტორად ან წამყვანადაც ხომ არ მოგვევლინება?**

– არა, მხოლოდ არხის ვიზუალით არის დაკავებული – არტი ხომ ძალზე მნიშვნელოვანია.

**– დიდი ხნით დარჩება საქართველოში?**

– არა, ცოტა ხნით დარჩენას შეძლებს. სხვა დროს ოთხი-ხუთი დღით, მაქსიმუმ – ერთი კვირით თუ ჩამოვა ხოლმე. ახლა იმდენი საშუალებაა, რომ იქიდანაც ადევნებს თვალს ყველაფერს.

ჩვენ ერთად გავიზარდეთ და ცალ-ცალკე ყოფნა ვერც წარმოგვედგინა, მაგრამ, რადგან ახლა აქ არ ცხოვრობს, მე ჩავდივარ ხშირად; მაკაც, როცა ახერხებს, ჩამოდის. რაც „მაესტროს" ორგანიზებაში აქტიურად ჩაება, ბევრად უფრო ხშირად უწევს ჩამოსვლა.

**– მოდას საერთოდ ჩამოშორდა?**

– დიახ, საეროდ.

**– „მაესტროზე" მოდის სფერო თუ იქნება აქტუალური?**

– არა, მოდის სფერო არ იქნება აქტუალური, რადგან, სხვა მნიშვნელობა ექნება ტელეკომპანია „მაესტროს". ჯერჯერობით არ არის დაგეგმილი არანაირი მსგავსი გადაცემა. სექტემბრიდან ბევრი სიახლე დაემატება და, მერე ვნახოთ, როგორ იქნება.

**– უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ქართული მოდის სამყაროს ერთ-ერთ წარმატებულ სახედ რჩებით. რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?**

– შრომა, სიახლეების ძიება, რომ სულ წინ უნდა იყურო, აგრეთვე კრეატიულობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და მაქსიმალიზმი – ალბათ, ამ თვისებების გამო ვარ ის, რაც ვარ.

**ეკა სალაღაია**

# რა „უგვანი კანონი“ დაადგენინა ერეკლე მეორეს დარეჯან დედოფალმა

რუსული ოფიციალური პროპაგანდა საქართველოს შეერთებას რუსეთთან დიდ ქველმოქმედებად და სიკეთედ წარმოაჩენს დღესაც.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება რუსეთის იმპერატორების მხრიდან იყო დიდი ვერაგობა. ამას აღიარებენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერებიც. თუმცა, ობიექტური სურათის მისაღებად გადავხედოთ, რას აცხადებს რუსეთის საიმპერატორო ოჯახი მეოცე საუკუნეში.

რუსეთის საიმპერატორო ოჯახის პოზიცია, რომელიც გასული საუკუნის შუა ხანებში გამოხატეს, ასეთია:

მეფე გიორგი მეთორმეტემ „სცადა თავისი ვაჟის, დავითისთვის უზრუნველეყო მემკვიდრეობა და ახალი ხელშეკრულების პროექტიც შემუშავდა, რომელსაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი უნდა შეეცვალა. ამ პროექტით საქართველო უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა რუსეთის იმპერიას, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ბაგრატიონთა ტახტის ხელშეუხებლობა გარანტირებული იყო. მაგრამ, მეფე გიორგი მიიცვალა 1800 წლის დეკემბერში, სანამ ეს პროექტი რეალურად შეთანხმების სახეს მიიღებდა. ბატონიშვილმა დავითმა ვერ გაბედა, თავისი ტახტზე ასვლა გამოეცხადებინა და 1801 წლის იანვარში გამოიცა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი.



ასე რომ, რუსეთმა დაარღვია პირობა, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატით ეკისრებოდა. ჩვენ აქ არ შევჩერდებით იმ მოტივების კრიტიკაზე, რომლებმაც პოლიტიკის შეცვლა გამოიწვია. ამისთვის, მაშინ უცილობლად იქნებოდა გარკვეული მიზეზები. მაგრამ, თუ წმინდა ადამიანური მოსაზრებებით განვსჯით, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკის ამ ცვლილებამ, რომელიც მუხანათობა უფროა, არ შეიძლება სინანულის გრძნობა არ გამოიწვიოს რუს ადამიანებში...

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავოა: როგორიც არ უნდა ყოფილიყო კონიუნქტურული მოსაზრებები, რის გამოც რუსეთის ხელისუფლებამ აუცილებლად მიიჩნია საქართველოს გამგებლობა თავისი უშუალო კონტროლის ქვეშ მოექცია, ეს ვერ გაათავისუფლებს რუსეთს იმ დაპირებებისგან, რაც მან მისცა ბაგრატიონების სახლს გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს“ (კრებულიდან „რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობა“, თავი: „ბაგრატიონთა სახლის შესახებ“). ეს მოხდა გასული საუკუნის შუა ხანებში და ამის ინიციატორი გახლდათ რუსეთის ტახტის მაშინდელი მემკვიდრე, ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვი.

ქართლ-კახეთის შემდეგ, რუსებმა ასევე ვერაგულად, ზეწოლით, მოტყუებით, ძალის გამოყენებით, მეფის დაპატიმრებით და ასე შემდეგ მიუერთეს იმერეთის სამეფო იმპერიას. მერე კი სხვა ქართული სამთავროების დაუფლება დროისა და ტექნიკის საქმე გახდა. არ შეიძლება, ვინმე რუსეთის ამგვარ პოლიტიკას ადამიანური თვალსაზრისით ამართლებდეს.

ბოლომდე ობიექტურები რომ ვიყოთ, უნდა ვთქვათ – საქართველოს თუ ეყოლებოდა ორგანიზებული და დარაზმული ზედა ფენა, რუსეთი ვერ შეძლებდა, ასე ადვილად გაეუქმებინა ქართული სახელმწიფოებრიობა.

არადა ქართლ-კახეთის სამეფოში მაშინ სიტუაცია ძალიან არეული იყო. ჯერ კიდევ ერეკლე მეორე ვერ ახერხებდა მრავალრიცხოვანი შვილების ამბიციების მოთოკვას. განსაკუთრებით ერეოდა საქმეში დედოფალი დარეჯანი, რომელმაც, ისტორიკოსის სიტყვა რომ გავიმეოროთ, „უგვანი კანონი“ დაადგენინა ერეკლე მეორეს. ამ კანონის მიხედვით, მეფის გარდაცვალების შემდგომ, ერეკლეს ყველა ვაჟს უნდა ემეფა – უფროსიდან უმცროსის ჩათვლით, რიგრიგობით. თუმცა, შემდგომ ეს კანონი თავადვე უარყო ერეკლემ, მაგრამ სამეფო ოჯახი მაინც არეული დარჩა.

სამეფოს არევას კიდევ მრავალი მიზეზი ჰქონდა, რის გადაწყვეტაც უნდა ეცადათ მაშინდელი საქართველოს მმართველებს და ვერ შეძლეს, რადგან, უნარი არ ჰქონდათ. მოშლილი იყო ყველაფერი. განსაკუთრებით ერეკლე მეორის გარდაცვალების მერე. სახელმწიფოში, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობდა სტრუქტურების დახვეწა და რეორგანიზაცია. თვითონ მეფე გიორგი მეთორმეტე ცხენზე ველარ ჯდებოდა სიმსუქნის გამო და მუდამ შინ იჯდა.

მეფე გიორგის არც ძმები და არც შვილები, მათ შორის ტახტის მემკვიდრე დავითი, არ ემორჩილებოდნენ.

მამა-შვილს, მეფესა და ტახტის მემკვიდრეს შორის არ იყო ერთსულოვნება. დავით უფლისწული რუსეთში გაიზარდა და გატაცებული იყო ვოლტერის იდეებით. არად დაგიდევდა მარხვას და ნაკლებად მორწმუნე ყოფილა.

მეფეს ეს სწყინდა. გაუგზავნა მოციქული და სთხოვა, მარხვას ნუ ტეხავ და ეკლესიაში იარეო. წარმოგიდგენიათ, რომ მეფე და ტახტის მემკვიდრე – მამა-შვილი ერთმანეთს სხვათა პირით, მოციქულის მეშვეობით ელაპარაკებოდნენ, ერთმანეთს თითქმის არ ნახულობდნენ. დავითმა შემოუთვალა მეფე-მამას: „რაც მე მწამს, ის შენ გაგიწყრეს და რაც შენ გწამს, ის მეო“.

პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ გიორგი მეფის შვილთაგან მხოლოდ დავითი და იოანე ვარგოდნენ სამეფოდო.

მეფე გიორგიც დიდად არ ზრუნავდა სახელმწიფოს სტრუქტურულ გაუმჯობესებაზე. გამოსავალი იპოვა რუსეთთან ახალი ტრაქტატის დადებაში, რომლის მიხედვითაც, ის და მისი შვილები გამოცხადდებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებად მხოლოდ სიტყვიერად.

## მეფე გიორგის არც ძმები და არც შვილები, მათ შორის ტახტის მემკვიდრე დავითი, არ ემორჩილებოდნენ

სინამდვილეში მეფე იქნებოდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც თავისი შეხედულებების მიხედვით მართავდა ქვეყანას. მას კი რუსეთის რომელიმე გუბერნიაში მისცემდნენ მამულებს.

გავიდა დრო, გიორგი მეთორმეტე გარდაიცვალა. მის ძმებს აეშალათ მეფობის საღერღელი და რამდენჯერმე კინაღამ შეტევა წამოიწყეს ტფილისზე თავისი მხედრობით. დიდი არეულობა და შფოთი ყოფილა ქვეყანაში. ზოგს მეფედ დავითი უნდოდა, ზოგს დავითის ბიძა იულონი, ზოგს დარეჯან დედოფლის ბატონობა...

კარგა ხანი ვერ დაკრძალეს მეფე გიორგი, ვერ გაბედეს ანდერძის თანახმად წაესვენებინათ გარეჯში. ალექსანდრე ბატონიშვილისა და სხვა ბატონიშვილების შიშით, ამისთვის არავის ეცალა. მეფის ცხედარს გახრწნისგან ყინულებით იცავდნენ (გარდაიცვალა 29 დეკემბერს, დაკრძალეს 20 თებერვალს).

ამ დროს რუსეთის იმპერატორის წარმომადგენელი, გენერალ-მაიორი ლაზარევი აფრთხილებდა კათალიკოსს, მღვდელმთავრებმა წირვისას დავითი გამგებლად მოიხსენიონ და არა მეფედო. ასეთივე ბრძანება მიუვიდათ გიორგი მეთორმეტის ძმებს 14 იანვარს, პავლე პირველის მითითებით, მაგრამ მათ თვითონ სურდათ მეფობა და განაცხადეს იმპერატორმა ყველაფერი არ იცისო. დაიძრნენ მცხეთისკენ და სვეტიცხოველში იულონის გამეფება უნდოდათ.

დავითის რჩევით, ლაზარევმა 250 რუსი ჯარისკაცით მათ ეს საქმე ჩაუშალა. გიორგი მეფის ძმები წავიდნენ და ომარ ხანი და ლეკები მოიწვიეს დამხმარედ. დავით უფლისწულმა და რუსებმა ამაშიც შეუშალეს ხელი. იულონი და ფარნაოზი იმერეთს შეეხიზნენ. ამით ისარგებლა დავით უფლისწულმა და როგორც იქნა დაკრძალა მეფე.

იულონის სასარგებლოდ მოქმედებდა დარეჯან დედოფალიც. თითქმის ყველა უფლისწულმა, ასეთები კი ბლომად იყვნენ, თავ-თავისი დიდებულებისგან პატარ-პატარა დაჯგუფება შექმნეს და ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ.

რუსეთის იმპერატორის წარმომადგენლები – კავკასიის ხაზის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი და გენერალ-მაიორი ლაზარევი ცდილობდნენ, რუსეთის გუბერნიად გამოცხადებულიყო ქართლ-კახეთი. იმპერიაში აგზავნიდნენ პატაკებს. მათ არაერთი ქართველი დიდებული მიემხრო.

ასეთ დროს იოანე სარდალი (ორბელიანი) მივიდა ტახტის მემკვიდრე დავითთან, მიუხედავად იმისა, რომ ის დავითს არ უყვარდა. სარდალმა უთხრა, ნურავის დაანებებ მეფობას, თუ საჭიროა, რუსები გავაძევოთ საქართველოდან და დავიცვათ ჩვენი სამეფოო. დავითი ადგა და ყველაფერი გენერალ ლაზარევს უამბო...

რუსებმა დაიბარეს გაოგნებული სარდალი. „მე ერთგულება მინდოდა დავითისი, როგორც ქართველს, ხოლო თუ მას არ უნდა მეფობა, ერთგულების ფიცს მივცემ რუსეთის იმპერატორს“ – განაცხადა გულგატეხილმა სარდალმა.

ბევრი ეხვეწებოდა დავით უფლისწულს წასულიყო მცხეთაში და „დაგვირგვინებულიყო მეფედ“, მას მხარს უჭერდნენ სოლომონ ლეონიძე, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე და სხვა ბრძენკაცნი. ის კი მაინც რუსეთიდან ელოდა მეფედ დამტკიცებას და ვერ ბედავდა გამეფებას. რუსეთის იმპარატორი პავლე დავითის წერილზე პასუხს აყოვნებდა.

დავითის ბრძანებით დააპატიმრეს სარდალი ოთარ ამილახვარი და სოლომონ ლეონიძე. ლეონიძე საკანშიც არ ცხრებოდა და გლოვობდა: „დავითმა დაღუპა მეფის ოჯახი, გამოსჭრა ყელი მეფობას და დაამცირა ერი და თავის თავი“. დავით უფლისწულს ურჩიეს და ვითომ ციხიდან გაიპარა ლეონიძე. ასე „გააპარეს“ დამსახურებული ლეონიძე. გულგატეხილი სოლომონ ლეონიძე გადავიდა იმერეთში.

ამ დროს მოვიდა პავლე იმპერატორის წერილი, სადაც ის იტყობინებოდა, რომ გიორგი მეფის სურვილის მიხედვით პავლე ჩაიბარებდა ქართლ-კახეთის მეფობას. დავითმა ხმა ვერ ამოიღო. ასე გაუქმდა სამეფო ქართლ-კახეთში.

ასე გაუწყრა დავითს ის, რაც სწამდა მამამისს.

მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერატორს არავითარი უფლება არ ჰქონდა, გაეუქმებინა ქართლ-კახეთის სამეფო და გამოეცხადებინა რუსული მმართველობის დამყარება აღმოსავლეთ საქართველოში, რასაც მერე დასავლეთ საქართველოს ანექსიაც მოჰყვა.

ამის გამო შეაფასა პავლე პირველის შთამომავალმა და მისი ტახტის მემკვიდრემ ვლადიმერ კირილეს ძემ თავისი წინაპრების ქმედება „მუხანათობის ზღვართან მდგარ საქციელად“.

**გიორგი მახოზეშვილი**

**სწორი კვება აუცილებელია, რათა ადამიანის ორგანიზმი არ გამოიფიტოს და არ დაუძლურდეს. ბევრმა არც კი იცის, რომ მარხვის პერიოდში არასწორად შერჩეული კვების რაციონი, მომავალში არაერთი საშიში დაავადების მიზეზი ხდება. როგორც ექიმი-დიეტოლოგი, ქალბატონი ასმათ კევლიშვილი ამბობს, ადამიანთა უმრავლესობა, არ აქცევს სათანადო ყურადღებას მარხვის პერიოდში კვების რაციონს, ყოველდღიურად მიირთმევს არასასურველ საკვებს და ამით იმუნიტეტს იქვეითებს, ამწვავებს ორგანიზმში ქრონიკულ დაავადებებს, რაც სამომავლოდ ინფექციებისადმი გამკლავების უნარსაც მკვეთრად ამცირებს.**

# რატომ იჩენს თავს მარხვის დასრულებისთანავე ორგანიზმში „დროებით მიძინებული" დაავადებები და რა არის ამის მიზეზი

**ასმათ კევლიშვილი**: დიდი მარხვა დასრულდა და მას ბევრი ადამიანი იცავდა. თუმცა, როგორც ვიცი, არასწორად, რადგან, როცა ვეკითხები, რას მიირთმევდნენ ამ პერიოდში, ისეთ საკვებს მისახელებენ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე მომავალში, და არა პირიქით – გაწმენდს. ზოგადად, გეტყვით, რომ გაზაფხულზე, იმისთვის, რომ ჩვენი იმუნური სისტემა დავიცვათ, აუცილებელია, მარხვა, ოღონდ გაცნობიერებული და არა ისე, როგორც მას იცავს ბევრი. მარხვის დროს კვება ბალანსირებული უნდა იყოს, რადგან მარხვის არასწორად დაცვით, თქვენ ორგანიზმს დაანგრევთ. არადა, მარხვა გულისმობს გაზაფხულზე იმუნური სისტემის გაძლიერებას და არა შიმშილს, ორგანიზმის გამოფიტვას. სწორად მარხვის დროს, ორგანიზმი სუფთავდება ტოქსიკური, ცილოვანი და ცხიმოვანი მჟავებისგან, რომელსაც ხორციდან ვიღებთ, ასევე ჭარბი სახამებლისგან. ამ დროს, დიდი რაოდენობით საფუარიანი პურის, ლობიანების, ღვეზელებისა და შემწვარი კარტოფილის ჭამა არ შეიძლება. უნდა იკვებოთ რაც შეიძლება ბევრი ხილ-ბოსტნეულით. რაც შეეხება ამ პერიოდში ნატურალური წვენების სმას, აქაც სიფრთხილეა საჭირო, რადგან შესაძლოა ადამიანს ისეთი დაავადება აწუხებს, როცა ზედმეტი სითხის მიღება არ შეიძლება. წყალი კი გაზაფხულზე უნდა დალიოს ჯანმრთელმა ადამიანმა დაახლოებით, ლიტრანახევარი. გირჩევთ, წვენების ნაცვლად, ჭამოთ რაც შეიძლება მეტი სეზონური ხილ-ბოსტნეული.

**– ამის შედეგი ხომ არ არის ის, რომ დღეს ბევრი უჩივის საერთო სისუსტეს, ადვილად დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას და ასე შემდეგ?**

– საერთო სისუსტეს ზოგი გაზაფხულზე დათბობას აბრალებს, ზოგი არასწორ კვებას, ზოგი რას და ზოგი – რას. რეალურად კი, ეს იმაზე მეტყველებს, რომ თქვენი იმუნიტეტი დაქვეითებულია და ის სასწრაფოდ აღდგენას საჭიროებს. იმუნიტეტის დონე იმაზეა დამოკიდებული, იღებთ თუ არა საჭირო ვიტამინებს, ნახშირწყლებს, ცილებსა და ამინომჟავებს ყოველდღიური საკვებიდან, რასაც მარხვის პერიოდში ბევრი არ აკეთებდა. თავი მხნედ, ჯანმრთელად და ძლიერად რომ ვიგრძნოთ, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება სწორ და სრულფასოვან კვებას, რადგან, არასწორად შერჩეული კვების რაციონი, მით უმეტეს, მარხვის პერიოდში, ათასგვარი დაავადების გამწვავების მიზეზი ხდება. ადამიანის ორგანიზმი თვითმარეგულირებელი სისტემაა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ვიტამინები, მინერალები, ფერმენტები და არა ხელოვნური დანამატები. ზოგი ცდილობს, წლის გარკვეულ პერიოდში ორგანიზმი თავისივე მეთოდებით მოამარაგოს, კერძოდ, მიაჩნია, რომ დატვირთული კვება უნდა ჰქონდეს და ამიტომ იღებს ისეთ საკვებს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ცილებს, სახამებელსა და ასე შემდეგ. ზოგი კი, პირიქით, ფიქრობს, რომ წლის გარკვეულ პერიოდში ორგანიზმი უნდა დაასვენოს, ფორმაში ჩადგეს და ნაკლები საკვების მიღებით ცდილობს, ეს პრობლემა მოაგვაროს. ასეთი მიდგომა საკუთარი ორგანიზმის მიმართ, ნამდვილად არასწორია. ახლა სწორედ ის დროა, როცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებას, რათა ასე გახშირებულ გაციებას, ვირუსებსა და ათასგვარ ინფექციურ დაავადებას ავარიდოთ თავი. ამისთვის კი უნდა მივირთვათ სხვადასხვა ბოსტნეული და სეზონური ხილი. სწორი კვება, ამ სეზონზე, ჩვენი ჯანმრთელობის საწინდარია.



**თვითნებურად დაცული დიეტა, შესაძლოა, ადამიანის სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს, მით უმეტეს გაზაფხულზე, როცა ყველას სათანადო, ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება ესაჭიროება**

**– ქალბატონო ასმათ, თქვით, არასწორად შენახული მარხვა იწვევს გართულებას ჯანმრთელობის თვალსაზრისითო. კონკრეტულად, რა საფრთხეს გვიქმნის ის მომავალში?**

– კარგია, ეს კითხვა რომ დასვით, რადგან ამით, საბედნიეროდ, ბევრი ინტერესდება და თუ ჩემს რჩევებსაც გაითვალისწინებს, უკეთესი. მოკლედ, არავისთვის უცხო არ არის, რომ, პრაქტიკულად, ჩვენი რელიგია გვკარნახობს ცხოვრების წესს. შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენოთ, რომ, არ შემხვედრია პრაქტიკაში ადამიანი, რომელიც სწორად იცავდეს მარხვის წესს კვების თვალსაზრისით. მარხვის დროს საკვების შერჩევა-მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როდესაც ვესაუბრები მათ და ვეკითხები, როგორ ჩაატარეთ მარხვის დღეები-მეთქი, არც ერთი მათგანის პასუხი ჩემთვის, როგორც სპეციალისტისთვის, დამაკმაყოფილებელი არ არის. უფრო მეტსაც გეტყვით – ახლოსაც კი არაა იმასთან მათი საკვები რაციონი, რასაც მარხვა ჰქვია და რომელმაც ჩვენ უნდა გაგვაძლიეროს და გამოგვაჯანმრთელოს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. სამწუხაროდ, ამ დროს, გამოჯანმრთელების ნაცვლად, ბევრი დაავადების განვითარების საფუძველს უქმნის თავის ორგანიზმს. საერთოდ, დაავადების პროვოცირება ხდება არასწორი მარხვის პერიოდში. მარხვის დასრულებისთანავე კი, თავს იჩენს ეგრეთ წოდებული „დროებით მიძინებული" დაავადებები. ამიტომ, ამაზე მანამდე უნდა დაფიქრდეთ, სანამ მარხვას დაიწყებთ და სწორად უნდა შეადგინოთ თქვენი კვების რაციონი მარხულობისას. როგორც მარხვის, ისე ხსნილის პერიოდში ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს კვების კულტურა. მარხვის არასწორად დაცვა კი მიუღებელია. ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ დიდი მარხვა სპეციალურად არის დადგენილი ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისში. რადგან, ზამთარში ორგანიზმი დათრგუნულია, შენელებულია ნივთიერებათა ცვლა, დეპრესიულია, შედეგად, სასიცოცხლო ძალები დაქვეითებული აქვს. მარხვის დროს კი სწორი კვებით ორგანიზმი მომარაგდება აუცილებელი სასიცოცხლო ძალებით, რაც მისი სწორი ფუნქციონირებისთვისაა საჭირო.

**– მარხვის დასრულების შემდგომ, კერძოდ, რომელ საკვებ პროდუქტს მივანიჭოთ მეტი უპირატესობა?**

– საკვები რაციონიდან უნდა გამორიცხოთ ის საკვები პროდუქტები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმოვან, ტოქსიკურ მჟავებსა და სახამებელს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საერთოდ ამოვიღოთ კვებიდან ცხიმები, ცილები და სახამებელი. უბრალოდ, უპირატესობა იმ პროდუქტს უნდა მივანიჭოთ, რომელიც შეიცავს ბუნებრივ, ნატურალურ ორგანულ ცილებს, ცხიმებსა და სახამებელს. არც პური ამოიღოთ რაციონიდან იმის გამო, რომ გსურთ, გაზაფხულს კარგ ფორმაში შეხვდეთ. ხორბალი შეიცავს B ჯგუფის ყველა ვიტამინს, ანუ, მასში თავმოყრილია ყველა ის ორგანული სახამებელი, რომელიც ადამიანის ორგანიზმისთვისაა აუცილებელი. გარდა ამისა, ის ენერგიით გვავსებს. მიირთვით არარაფინირებული ხორბლის ფქვილისგან გამომცხვარი პური, ის ძალიან სასარგებლოა ნორმალური განვითარებისა და ჯანმრთელობისთვის.

**– არადა, ბევრი, სწორედ ამ პერიოდში იწყებს კვების რაციონის შეზღუდვას, რომ ზაფხულს ფორმაში ჩამდგარი და ზედმეტი კალორიების გარეშე შეხვდეს. მათ რას ურჩევთ?**

– დიახ, ასეა და უამრავი დიეტა არსებობს, რომლებსაც სპეციალისტთან შეუთანხმებლად უნიშნავენ საკუთარ თავს. იმაზე კი არ ფიქრობენ, თუ რა სერიოზული შედეგები შეიძლება, მოჰყვეს ამას. არასწორად, თვითნებურად დაცული დიეტა, შესაძლოა, ადამიანის სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს, მით უმეტეს, გაზაფხულზე, როცა ყველას სათანადო, ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება ესაჭიროება. მოკლედ, დღეს ბევრი იცავს თვითნებურად მოდურ დიეტას და არ ფიქრობს იმ სავალალო შედეგზე, რაც ამას დროთა განმავლობაში მოჰყვება. გახდომის მიზნით, თვითნებურად აკრძალულმა საკვებმა და ზოგადად შედგენილმა კვებითმა რაციონმა, ბევრ ახალგაზრდას დაუზიანა ორგანოები და ჯანმრთელობა. არ არის გამორიცხული, ეს ყოველივე სიკვდილითაც კი დასრულდეს. ამიტომ, სანამ გახდომას დაიწყებთ და თავს რომელიმე საკვებს აუკრძალავთ ჯობია, კონსულტაცია შესაბამის სპეციალისტთან გაიაროთ და ასე დაიზღვიოთ თავი შესაძლო გართულებებისგან. დიეტა, უმეტეს შემთხვევაში, გაზაფხულზე ახსენდებათ, როცა თბილი ტანსაცმლიდან შედარებით ხალვათ სამოსზე გადასვლა უწევთ. დანარჩენ შემთხვევაში კი, რა დაავადებაც არ უნდა სჭირდეთ, სამკურნალო კვებას ყურადღებას არ აქცევენ. დამიჯერეთ, ყოველგვარი თვითნებურად დაცული დიეტა, ორგანიზმისთვის დამანგრეველია და იმ შედეგს არ იძლევა, რისი იმედიც გაქვთ. შედეგსაც რომ თავი დავანებოთ, ადამიანის ორგანიზმი ამ დროს მწყობრიდან გამოდის და ღირს კი ამად ექსპერიმენტის ჩატარება? დიეტის დაცვის დროს, ადამიანი ხედავს ვიზუალურ ეფექტს, მაგრამ, შიგნით რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს, ამას ვერ ამჩნევს და პრობლემა რომ ღრმავდება, მერე უკვე გვიანია. მით უმეტეს, გაზაფხულზე, როცა ორგანიზმი გამოფიტულია, დანგრეულია და საერთოდ ქაოსია მასში. დიეტის არასწორად დაცვა სწორედ გაზაფხულზე იწვევს იმუნური სისტემის მკვეთრ დაქვეითებას, ჰემოგლობინის დაცემას, სისხლძარღვების დაბინძურებას, ქოლესტერინის დონის მომატებას და ასე შემდეგ. ამის ფონზე კი ვითარდება სხვადასხვა დაავადება. ასე რომ, გაზაფხულზე თუ სწორად არ შეარჩიეთ საკვები რაციონი, შეიძლება, ჯანმრთელობას სერიოზულად ავნოთ.

**ნონა დათეშიძე**

**ინტერვიუ გასულ ორშაბათს ჩავწერეთ, აი, მაშინ „პარიკი, რომ მოიხსნა და წავიდა“. დარწმუნებული ვიყავი გავიდოდა, სხვანაირად არ შეუძლია, ასე ცხოვრობდა და იცხოვრებს ყოველთვის. თუმცა, ჩემი პროგნოზი, რომ შემობრუნდებოდა – გაამართლა. ის პროფესიონალია, თავისი საქმე არაჩვეულებრივად იცის და ზღვარსაც ყოველთვის იდეალურად ავლებს, თუ სად მთავრდება საქმე და იწყება პირადი. თეონა კონტრიძის ამ კონკრეტული საქციელით ქართველმა მაყურებელმა კიდევ ერთხელ დაინახა, თუ რამხელა ენერგიას და ძალას ატარებს ეს ადამიანი, რომელიც შეუძლებელს გხდის მის მიმართ ნეიტარული დარჩე – ის ან ძალიან მოგწონს ან საშინლად გაღიზიანებს.**

# როდის დაასხა საკუთარ ამპარტავნებას ბენზინი თეონა კონტრიძემ და როგორ იქცა ის „ორი ვარსკვლავის“ მძაფრ ელემენტად

**– ჩამოხვედი და სრულიად საქართველო შენზე აალაპარაკე. რა მოლოდინები გქონდა ამასთან დაკავშირებით, გრძნობდი, რომ ეს ასეთ რეაქციას გამოიწვევდა?**

– პროექტის ჟიურის წევრობა შემომთავაზეს მაშინ, როცა იანვარში, ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად ჩამოვედი. იმდენად დიდი იყო ჩემი საქართველოში მიმოსვლის სურვილი, რომ მარტივად დავთანხმდი. არანაირი გათვლა იმაზე, რომ შოუს ასეთ მძაფრ ელემენტად შევდგებოდი, არ მქონდა. საქმის გარეშე, ასე ტუტუცურად მიდი-მოდი, არ შემიძლია და მომეცა შანსი, თბილისში ხშირად ჩამოსვლის, რომელიც კარგი ფონი იქნებოდა. პირველი მოტივაცია სწორედ ეს იყო.

**– მაგრამ, პირველივე კონცერტზე მიხვდი, რომ...**

– მივხვდი, რომ ყველა სიტყვას, ყველა ემოციას, რომელსაც გამოვცემ, ძალიან დიდი ეპატაჟური კონტექსტი ერთვის. დიდი ხანია, მიცნობ და კარგად იცი, რომ ამაზე არანაირ გათვლას არ გავაკეთებდი.

**– გულწრფელობა ითვლება ეპატაჟურობად?**

– გულწრფელობა იმდენად არა, რამდენადაც არაორდინარულობა. ადამიანი შეიძლება იყოს გულწრფელი და იმეორებდეს იმ აზრებს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი ეთანხმება – ეს არ გამოიწვევს იმ რეაქციას, რასაც მე. სხვა ქვეყანაში მოხდა ჩემი ჩამოყალიბება, თუმცა სტანდარტული აზროვნება არც მაშინ მქონია. ეს არ იწვევს ჩემში არც სიამაყეს, არც არანაირ ვიბრაციას. მაგრამ ფაქტი ასეთია – არაორდინარული ვარ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთში. ბავშვობიდან ვგრძნობდი ამას.



ხუთივე მიმართულებაში შემდგარი ვარ. მე – ოთხმოცკილოიანი, მეტრი და ორმოცდაჩვიდმეტი ქალი. ამიტომ მე რომ ქალებში აგრესიას ვიწვევ – ეს არ მიკვირს

**– რაიმე ასაკამდე ეს დისკომფორტს გიქმნიდა?**

– კი, ყოველთვის. სკოლაში, „მზიურში“, ინსტიტუტში... ყველა კოლექტივში მიქმნიდა ეს დისკომფორტს.

**– როდის შეეგუე ამ მდგომარეობას?**

– იმ დროს, როცა საკუთარ თავში ვიპოვე შერკინების და შეპასუხების ძალა. ძალა იმის, რომ საკუთარ არაორდინარულობაზე პასუხი მეგო. ანუ, ბავშვობიდან. არასდროს ჩემში, შიგნით, ეს პრობლემას არ ქმნიდა.

**– კოლექტივები ახსენე. გიჭირდა თუ არა კოლექტივთან ურთიერთობა და თუ გიწევს ამის გამო, რაიმე კომპრომისზე წასვლა?**

– კოლექტივთან ურთიერთობა არასდროს მიჭირდა, რადგან ჩემს კონფლიქტურ ხასიათს პარალელურად ყოველთვის ერთვოდა კომუნიკაციის საოცარი ნიჭი. უზომოდ კომუნიკაბელური ვარ და თუ ეს მე მინდა, შემიძლია, კონტაქტი დავამყარო ყველასთან – გეიდან დაწყებული კანონიერი ქურდით დამთავრებული. მხოლოდ თუ ეს მე მსურს. თუ არ მსურს, რაც არ უნდა ხდებოდეს, ადამიანთან არანაირ კონტაქტში არ შევალ. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება პროფესიონალურ მხარეს. მომღერლობის გარდა, ჩემი კოლექტივის მენეჯერი ვარ, რაც ითვალისწინებს მილიონ კომპრომისს. როდესაც გადაწყვეტილებას ვიღებ, ვიცი, რომ ჩემს გარდა, კიდევ შვიდი ადამიანის ბედს ვწყვეტ, რომელიც ჩემს კოლექტივშია. ამის გამო, თავს ბევრი რამის უფლებას არ ვაძლევ.

**– შენი ფეისბუქპოსტებით თუ ვისმჯელებთ, არ გქონდა იმის მოლოდინი, რაც მაყურებლისგან მიიღე. რატომ გაგიკვირდა ეს?**

– ვიცოდი, რომ ქვეყანაში საშინელი სიდუხჭირეა, მაგრამ უბრალოდ, ვერ ვხვდები, ადამიანი ამხელა აგრესიას როგორ უნდა გენერირებდეს. ვერ წარმოვიდგენდი, უბრალოდ. ჩემში აგრესიის გრადუსს მხოლოდ ერთადერთი მოვლენა წევს, კონკრეტული ფაქტი, რასაც შემიძლია, ომი გამოვუცხადო – პედოფილიაა. სხვა დანარჩენ მოვლენებს, აბსოლუტურად ლოიალურად ვეპყრობი. ვიცოდი, რომ საქართველოში სიდუხჭირეა, არსებობს „ჰაი“ კლასი, ანუ მდიდარი ფენა და გაჭირვებული ხალხი, საშუალო ფენა არ არსებობს. მსოფლიოს რომელ ქვეყანაში არ მიმუშავია და ვიცი, რა ხდება მუსიკალურ სფეროში. როდესაც პროდიუსერები ცდილობენ, რომ ანტირეკლამა ააგორონ, რაც რეკლამაზე კარგად მუშაობს, ითვალისწინებენ იმას, რომ რეაქცია გამოიწვიონ ქალებში. ამიტომაც, ყველაზე მეტად გამაკვირვა, რომ საქართველოში ჭორაობენ კაცები – მოცლილი, უსაქმური კაცები. აი, არც ერთი ქალი არ იმეტყველებს და იჭორავებს იმ ზიზღის ენით, რომლითაც ისინი მეტყველებენ; არ გამოუშვებენ იმხელა აგრესიას, რასაც ისინი უშვებენ. ამან მართლა ძალიან გამაკვირვა.

**– ქალებიც საოცრად დაუნდობლები არიან ოდნავ განსხვავებული ქალების მიმართ და სოლიდარობის ნაცვლად, ქვებს უშენენ.**

– რეალიზებულ ქალს ქვებს ყოველთვის დაუშენენ. მაქვს რეალიზებულობის ხუთი ძირითადი და აუცილებელი კომპონენტი, ესენია: ქალი-დედა; ქალი-მეუღლე; ქალი-შვილი, ანუ იმ ოჯახის წევრი, სადაც დაიბადა; ქალი-მეგობარი და ქალი-პროფესიონალი. ამ ხუთივე მიმართულებაში შემდგარი ვარ. მე – ოთხმოცკილოიანი, მეტრი და ორმოცდაჩვიდმეტი ქალი. ამიტომ, მე რომ ქალებში აგრესიას ვიწვევ – ეს არ მიკვირს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ქვის სროლაში ყველაზე მეტად კაცები არიან ჩართული. კაცი არ ეხმაურება ქალის დაჩაგვრას – ეს საშინელებაა.

**– რა იწვევს მათ ასეთ გაღიზიანებას?**

– ალბათ, ქართველი მამაკაცების ისეთ სიმებს შევეხე, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ასეთი რამ ითქვა: მე იმ ქალის დედა ვატირე, რომელიც ფიქრობს, რომ დიასახლისობა მეასეხარისხოვანიაო. ნეტავ, ამ კაცებმა იცოდნენ, რამდენს ვშრომობ ოჯახში. როგორ ვუვლი ჩემს შვილებს, ქმარს, როგორ საჭმელს ვაკეთებ. ეს კიდევ ცალკე სასაუბრო თემაა, მაგრამ საერთოდ არ მაინტერესებს მათი აზრის შეცვლა. საერთოდ არ მაღელვებს რას ფიქრობენ ისინი ჩემზე. მსოფლიოში ალბათ, სულ თხუთმეტი ადამიანის აზრი მაინტერესებს.

**– ალბათ, მაინც უსაქმურობაა უპირველესი, როცა სცალიათ, სოციალურ ქსელებში მთელი დღის განმავლობაში ილანძღონ.**

– რა თქმა უნდა. უსაქმურობა, უსაქმურობა და კიდევ ერთხელ უსაქმურობა. საქართველოში ქალი-პროფესიონალი და ქალი-დიასახლისი ანტონიმია. კაცებს ეშინიათ, რომ თუ ქალები სამსახურში გავლენ, საკუთარ ქმედებებს დაიწყებენ, ფულს იშოვიან, ისინი ავტომატურად დაკარგავენ ძალაუფლებას.

**– და ყველაზე პარადოქსული ამ დროს ის არის, რომ ინტერნეტის ფულს, რომლითაც მთელ დღეს „ფეისბუქზე“ ატარებს, ცოლი უგზავნის საბერძნეთიდან.**

– სწორედ ეს რომ ვახსენე, ქართლის დედასთან დაკავშირებით, ამან გამოიწვია ყველაზე დიდი ვიბრაცია. მამაკაცებს ეს ყველაზე მეტად მოხვდათ, რადგან ზუსტად იციან, რომ სიმართლეა. ზუსტად იციან, რომ თვითონ არ არიან წასული ემიგრაციაში და ოთხმოცი წლის ჩაფსმულ მოხუცებს არ ბანენ. თვითონ მშვენივრად იფერებენ იმ თანხებს, რასაც ჩვენი ნაწვალები და ნაჯახირები ქალები შოულობენ.

**– მგონი, საბჭოთა ცხოვრებამ გაადარდიმანდა ეს ქართველი კაცები და მიაჩვია იმას, რომ ცოლი მხოლოდ უნდა რეცხავდეს და საჭმელს აკეთებდეს, თორემ ქართველი და ზოგადად, კავკასიელი ქალი, ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო. კაცი ომში იყო და ქალი ბავშვებსაც უვლიდა, მიწაზეც მუშაობდა და გარე საქმეებსაც აგვარებდა.**

– გეთანხმები. ელემენტარულად, სადმე რომ ვსხედვართ მოსკოვში კავკასიელი ქალები. ატმოსფეროთი ჩვენები იმდენად ძლიერები არიან, რომ ამის მხოლოდ ხელოვნური ჩაკვლა შეიძლება. სწორედ საბჭოთა კავშირის ფეხი-ფეხზე გადადებულობამ მოიტანა ეს დამოკიდებულება. მამაკაცები მანდარინიდან და მიხაკებიდან დაწყებული ჩინოვნიკობით დამთავრებული, მარტივად შოულობდნენ ფულს. ქალები ფიქრობდნენ მხოლოდ იმაზე, რამხელა სუფრა გაეშალათ, სად ეყიდათ ახალი ქურქი და ჩექმა, ჩეკები და ასე შემდეგ. ეს ნამდვილად არ ყოფილა ჩვენს ბუნებაში. როდესაც ჩვენთან სტანდარტი და კლასიკა ოთხი და მეტი შვილი იყო, ვერანაირად ვერ იქნებოდა ქალი სუსტი და უძლური.

**– „მძიმე კაცთან“ ინტერვიუს შემდეგ, ხომ იცოდი, რომ ანათემას გადაგცემდნენ?**

– არ მეგონა, მაგრამ თუ გადამცემდნენ ამისთვის აბსოლუტურად მზად ვიყავი. ჩემთვის კონფლიქტური გარემო ორგანულია, ბავშვობიდან ასეა. ჩემს გამონთქვამს, ქცევას რომ აგრესიული ვიბრაცია მოჰყვება, ამაზე იმუნიტეტი გამომუშავებული მაქვს. მაგრამ, ჩემი გადმოსახედიდან ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, ამ ინტერვიუში ძალიან რბილი, ლოგიკური, მოტივირებული და მშვიდი ვიყავი. მიხარია, რომ ძალიან ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც მეთანხმება და ვინც რაღაცეები შეცვალა თავის ცხოვრებაში. ამას აქვს აზრი. თორემ, ვინც მლანძღავს, მათ მიერ ენერგიის ხარჯვა აბსოლუტურად უაზრო და ფუქსავატურია. მე თუ ვინმესთვის მოკრივის მსხალი ვარ, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, დადგნენ და მირტყან. საზოგადოებას არ სძინავს, ეს არის მთავარი და საზოგადოება ითხოვს პროგრესს. ახლა ხშირად მაქვს საუბარი უკრაინელებთან, დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც. საუბარი მაქვს ქართველებთან და ვხვდები, რატომ არის ასეთი კატეგორიული პროტესტი ნებისმიერ დასავლურ გამოვლინებასთან. დასავლეთი სხვა სოციალური და ინტელექტუალური ნორმატივებია, რომელიც უნდა შევასრულოთ, რომ მისი ნაწილი ვიყოთ. რუსეთი ჩვენთვის უკვე ნაცნობი ადგილია. ეს არის ყოფილი ქმარი, რომელიც გირტყამს, გამცირებს, მაგრამ ის შენთვის ნაცნობი, შეჩვეული ჭირი, კომფორტის ზონაა. შეიძლება გრძნობ, რომ ეს ცუდია, არ არის ის, რასაც იმსახურებ, ხვდები, რომ სადღაც შორს უკეთესი რაღაცეები გელოდება, მაგრამ შიში, რომ დატოვო ეს კომფორტის ზონა და დაიწყო ნულიდან, უფრო ძლიერია, ვიდრე პროგრესის სურვილი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და სამწ-

**(გაგრძელება 70-ე გვერდზე)**


FRESCO ფრესკო
სუპერმარკეტების ქსელი
აიღეთ 5%-იანი
ფასდაკლების ბარათი და მიიღეთ
ყველაზე დაბალი ფასები საქართველოში
FRESCO ფრესკო
სტაბილურად დაბალი ფასები
5%
ფასდაკლება
ფრესკო ვარკეთილი
კალოუბნის ქ.9
2 76 00 08
ფრესკო გლდანი
ბობრონიძის ქ.18
2 24 10 20
ფრესკო ორთაჭალა
გორგასლის ქ.61
2 90 71 07
FrescoRetailGroup
www.fresco.ge

# ბრძნული აზრები

**გოეთე**: თუ ადამიანი ამაყობს საკუთარი სიმდიდრით, ჩვენ არ უნდა ვცეთ მას პატივი. სანამ არ გვეცოდინება, როგორ იყენებს ის ამ სიმდიდრეს.

**კენედი**: თუკი თავისუფალ საზოგადოებას არ ძალუძს, დაეხმაროს მრავალ უპოვარს, ის ვერაფრით დაეხმარება ცოტა მდიდარს.

**დემოკრიტე**: სიამოვნებებისგან ყველაზე სასიამოვნოა ის, რომელიც იშვიათად ხდება.

**ჯონსონი**: ადამიანის მთავარი ღირსებაა, შეძლოს საკუთარ თავთან შეწინააღმდეგება.

**ლაროშფუკო**: ადამიანის ხასიათი უფრო მეტ ნაკლს შეიცავს, ვიდრე მისი გონება.

**ლაბრუიერი**: საღ აზრსა და კარგ გემოვნებას შორის ისეთივე სხვაობაა, როგორიც მიზეზსა და შედეგს შორის.

**ბალზაკი**: ეჭვი გეპარებოდეს ღმერთში, ნიშნავს, გჯეროდეს მისი.

**განდი**: ლოცვაში უკეთესია, გული გქონდეს უსიტყვებოდ, ვიდრე სიტყვები უგულოდ.

**ავრელიუსი**: მე ვეძებ ჭეშმარიტებას, რომლისგანაც ჯერ არავის არასდროს მოსვლია ზიანი. ზიანი კი მოსდის მას, ვინც ჟინიანობს თავის მცდარობასა და უვიცობაში.

**ებნერ-ეშენბახი**: მეტად ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ, თუკი ისინი ერთხელ გამოტყდნენ თავიანთ შეცდომაში, აღარ არის საჭირო, ხელი აიღონ შეცდომებზე.

**დეკარტი**: მშიშრობა გამომდინარეობს იმედისა და სურვილის უქონლობისგან.

**კონფუცი**: მშიშრობა ისაა, როცა იცი, რა უნდა გააკეთო და არ აკეთებ.

**ჯონსონი**: შური ჭკუის მუდმივი მოთხოვნილებაა, რომელიც კულტურითა და ფილოსოფიით მკურნალობას ნაკლებად ექვემდებარება.

**პეტრე პირველი**: არ არსებობს აღიარებისთვის პატიება, დამალვისვის – შეწყალება; ცოდვა აღიარებული სჯობია, ვიდრე დამალული.

**მონტენი**: რატომ არის, რომ თავის ნაკლოვანებებს არავინ აღიარებს? იმიტომ, რომ ნაკლოვანებები მათშია. საკუთარი სიზმრის მოსაყოლად ხომ გაღვიძებაა საჭირო.

**ჩესტერფილდი**: მოჩვენებითი არცოდნა ხშირად მსოფლიო ცოდნის აუცილებელ ნაწილს შეადგენს.

**სუვოროვი**: იომებენ არა რიცხვით, არამედ ცოდნით.

**სოკრატე**: რაც მე გავიგე, მშვენიერია; აქედან ვასკვნი, რომ, ისიც, რაც მე ვერ გავიგე, მშვენიერია.

**ბრიუნი**: ხელოვნების შექმნა ხვედრი მხოლოდ რჩეულთა, ხელოვნების ფასი კი ყველას უნდა ესმოდეს.

**ვინკელმანი**: იქ, სადაც ხელოვნება ყვაოდა, ყველაზე მშვენიერი ადამიანები იბადებოდნენ.

**ბიორკი**: საკუთარ წარმატებებს ადამიანი გარკვეულწილად იმ აზრს უნდა უმადლოდეს, რომელიც საკუთარი თავის მიმართ შექმნა.

**გორკი**: ცხოვრება ისეა მოწყობილი, თუ არ იცი სიძულვილი, არც ჭეშმარიტი სიყვარული გეცოდინება.

**სანდი**: არასრულფასოვნების კომპლექსია, როცა ცოლზე ნებისმიერი მამაკაცის მიმართ ეჭვიანობ; განდიდების მანიაა, როცა გგონია, რომ ქალს მარტო შენ უყვარხარ.

**რენიე**: ქალს ისე სჭირდება სიყვარული, როგორც მამაკაცს – აღფრთოვანება.

# თუ გაგიგიცნოგთ

1. ცნობილ არქიტექტორს, კრისტოფერ რენს, საყოველთაო დიდება წმიდა პავლეს ტაძრის თავიდან აგებამ მოუტანა, ეს კი სრულიად უცნობი ლონდონელი მოქალაქის საცხობიდან დაიწყო 1666 წლის 2 სექტემბერს. **რა?**

2. დღეს იგი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ, გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა ის მეორადი ავეჯით ვაჭრობდა, ცოტა ვინმე თუ იცნობდა. ბოლოს ციხეში გადასახადების გადაუხდელობის გამო მოხვდა. **ვინ?**

3. 1904 წელს, როდესაც საოცარი სიცხე იდგა, სენტ-ლუისის დიდ ბაზრობაზე არაბული ტკბილეულის – „ზალაბიას" გამყიდველი, რომელიც ვერა და ვერ ასაღებდა თავის საქონელს, მოწყენილი უყურებდა გვერდით მდგომ ნაყინის გამყიდველს, ვისკენაც დასიცხული ადამიანები გარბოდნენ, თუმცა, არც მენაყინე იყო კარგ დღეში – მომხმარებელი უკმაყოფილო იყო, რადგან, ნაყინი სწრაფად დნებოდა. აზრიანმა ტკბილეულის გამყიდველმა მენაყინეს თანამშრომლობა შესთავაზა და კარგი ბიზნესიც გამოუვიდათ. **დაასახელეთ, რა იყო „ზალაბია".**

4. **დაასახელეთ**, რომელი ცნებით ერთიანდებიან ჰადიტი, იჯმა, კიიასი და იჯტიჰადი.

5. ამ ლითონის არც ერთი მარილი წყალში არ იხსნება და, ალბათ, ამიტომ დაარქვეს ბერძნული მითოლოგიის იმ პერსონაჟის სახელი, რომელიც ყელამდე იდგა წყალში და წყალს ვერ სვამდა. **რა ერქვა მას?**

6. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობაც, ისევე, როგორც წინა სამი, მიზნად იერუსალიმის აღებას ისახავდა, თუმცა, ამჯერად, იერუსალიმის ნაცვლად, მათ აიღეს და გაძარცვეს სულ სხვა ქალაქი, სხვათა შორის, ქრისტიანული. **რომელი?**

7. **დაასახელეთ,** სლავურ მითოლოგიაში რომელ ფრინველად შეეძლო გადაქცევა სიცოცხლის ქალღმერთ ჟივას?

8. ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შემდეგ, მის მოწაფეებზე სულიწმიდა გადმოვიდა და ისინი საქადაგებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებისკენ გაემართნენ. სწორედ ის დღე ითვლება ქრისტიანული ეკლესიის დასაბამად და საეკლესიო ზეიმითაც აღინიშნება. **დაასახელეთ,** რამდენი დღე გავიდა ქრისტეს აღდგომიდან მის მოწაფეებზე სულიწმიდის გადმოსვლამდე, თუკი სწორედ ამ დღის მიხედვით დაერქვა სახელი ერთ-ერთი ქრისტიანულ მიმართულებას, სექტას.

9. ტენისსა და ბეისბოლში ნულოვანი ანგარიშის გამოსახატავად ინგლისურ ენაში გამოიყენება ტერმინი „Love", თუმცა ამ სიტყვას არანაირი კავშირი არ აქვს სიყვარულთან, რადგან ის ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს იმას, რისი გეომეტრიული გამოსახულებაც ამ ანგარიშს ჰგავს. **რას ნიშნავს ის ფრანგულად?**

10. **დაასახელეთ** უძველესი გამოცდილი ჟესტი, რომელსაც მშენებლები იყენებდნენ მართი კუთხის განსაზღვრის მიზნით.

*პასუხები იხილეთ 50-ე გვერდზე*

# გამოჩენილ ადამიანთა სიკვდილისწინა სიტყვები, ეპიტაფიები და წარწერები მათ პირად ნივთებზე

**გოეთე** სიკვდილის წინ, მწოლიარეს, თვალთ დაუბნელდა და ითხოვა: „მეტი სინათლე, მეტი სინათლე!"

გოეთეს ეს სიტყვები გალაკტიონს უბის წიგნაკში ჰქონდა ჩაწერილი.

**ჰაინე** ბუნებით ცინიკოსი და ათეისტი იყო, თუმცა სიცოცხლის დასასრულს მოინანია თავისი ურწმუნოება შემდეგი სიტყვებით: „უფალო, უფალო ჩემო, მდაბლად გიხრი თავს. შემინდე, შემინდე ჩემი სიმღერები".

**რომენ როლანმა** სიკვდილის წინ თავისი თხზულების გმირის, კოლა ბრუნიონის სიტყვები გაიმეორა: „სიკვდილში ყველაზე საზარელი დუმილია".

**შარლ ტალეირანის** სიკვდილის წინა სიტყვებია: „მე ვიტანჯები, როგორც წარწყმედილი".

**ვოლფენშტეინი** – ფიზიკოსი. გულზე ეკიდა ექვსქიმიანი ვარსკვლავი წარწერით – „წონასწორობა ნიშნავს სიკვდილს". ამ ფრაზას ასეთი ახსნა აქვს. სრულ წონასწორობას განუვითარებლობა და უმოძრაობა მოსდევს.

**პეტრო პრეტინო** – ფლორენციელი სატირიკოსი. ის ატარებდა მედალს, რომლის ერთ მხარეს ეწერა: „ჭეშმარიტება ბადებს სიძულვილს". ხოლო მეორე მხარეს: „პეტრო პრეტინო – მათრახი მეფისა".

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh3-d7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– მაგარი გოგო გავიცანი, მაგრამ, რად გინდა: კაფეში მივიპატიჟე – დაქალთან ერთად მოვიდა, კინოში – დაქალთან ერთად, პარკში გავისეირნოთ-მეთქი – დაქალი წამოიყვანა... უნდა დავშორდე.

– არ გაგიჟდე... სექსზე დაპატიჟე, არ ინანებ, იცოდე...

***

– გაუმარჯოს! რა იყო კარგი, სანამ მე მოვიდოდი?

– არ დამიჯერებ და, ყველაფერი კარგი იყო, სანამ შენ მოხვიდოდი...

***

– მიხო, მილიონი დოლარი რომ მოგიგ-ანო, რას გააკეთებ პირველ რიგში, ჰა?




– გადავითვლი, ჯო, შენი ამბავი რომ ვიცი...

***

ტიპი სალონში შევიდა წვერის გასაპარსად. მოემზადა პარიკმახერი და კლიენტს ხის ბურთულა მიაწოდა:

– პირში ჩაიდე, ლოყებს თავად გამოგიბერავს და არ გაწვალდები...

– რომ გადამეყლაპოს? – შეშფოთდა კაცი.

– არანაირი პრობლემა, ოღონდ, ხვალ აუცილებლად დამიბრუნეთ, შევარდნილი ლოყები მარტო თქვენ არ გაქვთ...

***

წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რა უნდა მომხდარიყო, თუკი თქვენ მივლინებაში ხართ, ღამით კი ცოლი გირეკავთ და გეუბნებათ: „ძვირფასო, შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ...“

***

რუსეთის ევროპულ ნაწილში, თურმე 1 343 დასახლებული პუნქტია მობილური ქსელის გარეშე, ინტერნეტზე რომ არაფერი ვთქვათ... შეგშურდება, პირდაპირ! ცხოვრობენ ადამიანები თავისთვის, მშვიდად, წყნარად...

***

იჯდე დილამდე სოციალურ ქსელში და გიხაროდეს, რომ ტელევიზორს არ უყურებ, იგივეა, რომ იჯდე ნარკოტიკზე და გიხაროდეს, რომ ალკოჰოლს არ სვამ.

***

სამსახურში შემოვიღეთ: ვინც შეიგინება ან უწმაწურ სიტყვას იტყვის, ყულაბაში 50 თეთრს აგდებს...

მოვედით ორშაბათს. ერთი თანამშრომელი ჩუმადაა, ხმას არ იღებს, მერე ადგა, ჩააგდო ყულაბაში 15 ლარი და მოყვა, როგორ გაატარა შაბათ-კვირა მასთან სტუმრად მყოფ სიდედრთან ერთად... ჩვენც, ავდექით და, სათითაოდ ჩავყარეთ ორ-ორი ლარი – კომენტარებისთვის.

***

– იცი, რამდენ ხანს გრძელდება დღე-ღამე პლუტონზე? 152 საათი.

– როგორც ჩვენთან ორშაბათი...

***

მამაკაცი საავადმყოფოში მოხვდა – ყბები ჩალეწილი აქვს, ხელები ამოვარდნილი, ფეხები მოტეხილი...

– თქვენ, ალბათ, ავარიაში მოყევით?

– არა. დამაცემინა... კარადაში.

***

კაცი ცოლის მშობიარობას ელოდება. გამოდის ექთანი და ეუბნება:

– თქვენ ბიჭი შეგეძინათ, 3 კილო და 700...

კაცი იღებს საფულეს და ექთანს სამახარობლო ფულს აწვდის.

– ... და, თანაც, ასე იაფად...

***

თუ გინდა, შენი ქმარი, შენით, როგორც ცოლით კმაყოფილი იყოს, სახლში კარგი დიასახლისი უნდა იყო, სტუმრად – დედოფალი, საწოლში – მაგარი ნაშა... ოღონდ, არ აურიო...

***

გოჭები ცელქობენ, თამაშობენ, ერთმანეთზე გადადიან. უცბად საღორეში მგელი შემოდის. ყველა აკანკალდა...




– ასალამალეიქუმ!

– უჰ, მუსლიმანი ყოფილა... – შვებით ამოისუნთქეს გოჭებმა.

***

ტიპი ტაქსით მგზავრობს და, ასე ვთქვათ, გაზი ხმამაღლა გაეპარა... ცდილობს, უხერხულობა თავიდან აიცილოს და ვითომ ეს ტუჩებით გააკეთა... ტაქსისტმა სარკეში გახედა:

– ხმა – გასაგებია, მაგრამ, სუნს რას უშვრები, სუნს?

## ცნობილ ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

ერთ ქართველ თავადიშვილს თბილისში უსესხია ერთი ქართველი აზნაურიშვილისგან სამოცი თუმანი. ერთ დროს ერთმანეთს შეჰხვედრიან პეტერბურგში. დავალებულს ფული აუღია და მადლობით შეუძლევია აზნაურიშვილისთვის.

– აი, ხელი არ უნდა მომტყდეს, რომ ჩემს მოძმე ქართველს ფული გამოვართვა ამ შორს ქვეყანაშიო, – უთხვამს სულგრძელ აზნაურს და არ გამოურთმევია ფული, თუმცა თავადიშვილს ბევრი უხვეწნია – გამომართვი, თორემ, მერე, იქნება, ველარ შევძლო შენი ვალის გადახდაო.

გასულა რამდენიმე ხანი და ეს ორი მართლაცდა იშვიათი ქართველნი თბილისში შეხვედრიან ერთმანეთს. აზნაურიშვილს უთქვამს:

– ახლა კი დროა, ჩემი ფული დამიბრუნოო.

– აი, ხელი არ უნდა მომტყდეს, რომ ჩემს ქვეყანაში ფული ვინმეს დავუბრუნოო, – უპასუხია თავადიშვილს.

***

– გიორგი, რამდენჯერ იცვლი თვეში პერანგს? – უკითხავს ერთხელ პლატონ იოსელიანს გიორგი მუხრანსკისთვის.

– როგორ თუ თვეში? ყოველდღე ვიცვლი.

– ოჰ, დიდად ჭუჭყიანი ყოფილხართ, თქვენმა მზემ, – გაიოცა თურმე პლატონმა.

***

აკაკის ღამე ქურდი შეეპარა ოთახში. პოეტს ჯერ არ ეძინა, მაგრამ თავი მოიმძინარა. ქურდმა აქეთ-იქით ფათიალი დაიწყო, ბოლოს ბალიშის ქვეშ შეაცოცა ხელი. პოეტმა ჩუმად ჩასჩურჩულა ყურში: „ვერა იპოვე რაო?“

***

ერთხელ, როდესაც ნოდარ დუმბაძის მეუღლე ავად გახდა, ექიმებს, თურმე, კონსილიუმი მოუწვევიათ. ბევრს უთქვამს, ეს ჩემი ავადმყოფი არ არისო...

– ავადმყოფი რომ ჩემია და თქვენი არა, ეგ მეც ვიცი, თქვენ ის მითხარით, რა სჭირსო! – ღიმილით უთქვამს ნოდარ დუმბაძეს.

# რა ოინი მოუწყვეს ქართველ კაპრალს ქუვეითში

2007 წელს თბილისიდან ერაყში მიმავალი ქართველი სამხედროები ჯერ ქუვეითში ჩაფრინდებოდნენ ხოლმე სამოქალაქო თვითმფრინავებით (სადაც სპეციალურ მოსამზადებელ ბანაკში 2-3 დღე აჩერებდნენ), ხოლო შემდეგ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით ერაყში გადაჰყავდათ.




მოკლედ, ჩავედით ქუვეითში. საღამო ხანი იყო, საწვრთნელ ქალაქში დავბინავდით. დილით კარვიდან გამოსულს თვალი მომეჭრა – თაკარა მზე და ყველგან ყვითელი ქვიშა. ცა და დედამიწა მხოლოდ ერთ ოქროსფერში ბრჭყვიალებდა.

ვხედავ, ჩვენი კარვის წინ ახალგაზრდა კაპრალმა ჩაიმუხლა და ქვიშაში ხელი ამოურია.

– თვალებს გაუფრთხილდით, ბატონო კაპრალო... მზის სათვალე გაიკეთეთ და არ მოიხსნათ შენობაში შესვლამდე! – გავახსენე ახალგაზრდას ამერიკელების ინსტრუქტაჟი.

ბიჭი გაიმართა, ხელიდან ქვიშა ჩამოიფერთხა და სათვალე გაიკეთა.

– რაო, ცხელია? ხელი ხომ არ დაგეწვა? – გამოველაპარაკე.

– არა, ბატონო... რავა გეკადრებათ. ეს ხომ ჩვენი ქვიშაა... ქართული, – მომიგო პასუხად.

– „ჩვენი“ რას ჰქვია? – დავიბნენი აშკარად.

– დიახ, ბატონო, არ იცოდით? – კილოზე შევატყვე, ზემო იმერელია.

გავიხედე და რას ვხედავ – კარვის უკან სერჟანტები იკრიჭებიან. რაღაცას მივხვდი, მაგრამ არ შევიმჩნიე და როგორც შემეძლო, სერიოზულად ვკითხე:

– ბიჭოს... ისე მეც მივამგვანე, მაგრამ... საიდან? როგორ?

– საჩხერისაა, ბატონო, ამის მეტი რა მინახავს, – მიპასუხა გაღიმებულმა, – ბიძინა ივანიშვილს გამოუგზავნია ქართული ბანაკის მოსაწყობად...

აქ უკვე მეც ველარ შევიკავე თავი და სიცილისგან ძირს მხოხავ, გადაბჟირებულ სერჟანტებს შევუერთდი.

**მოამზადა**
**გიორგი გოგეჩიამ**

# როდის დაასხა საკუთარ ამპარტავნებას ბენზინი თეონა კონტრიძემ და როგორ იქცა ის „ორი ვარსკვლავის“ მძაფრ ელემენტად

**(66-ე გვერდიდან)**

უხაროდ, უნდა ამოვირჩიოთ, ვის მივეცეთ.

**– ორი ადამიანია ჩვენს სატელევიზიო სივრცეში, ვინც ბედავს და ცნობილ ადამიანებს ეუბნება იმას, რასაც ფიქრობს – გოჩა ჩერტკოევი და შენ. ამან გააჩინა თუ არა რაიმე უხერხულობა შენსა და მონაწილეებს შორის.**

– კი, რა თქმა უნდა. შოუს ჰქვია „ორი ვარსკვლავი“. მე არ მაინტერესებს პროფესიონალები როგორ მღერიან და როგორ მოღვაწეობენ თავიანთ სოლო კარიერაში. არ მაინტერესებს არაფერი. მე მაინტერესებს მისი შესრულება მხოლოდ ამ დუეტის კონტექსტში. ვაკრიტიკებ მხოლოდ ამ კონტექსტში და თუ ვხედავ პროფესიონალურ ხარვეზს, ამას ყოველთვის აღვნიშნავ. ჟიურის ფუნქცია არის რეპრესიული. რა თქმა უნდა, ვიღაცაში გაღიზიანებას ვიწვევ, მაგრამ უნდა გაათვითცნობიერონ, რომ აქ შესაფასებლად მოდიან. გინეკოლოგთან მიდიხარ იმისთვის, რომ დიაგნოზი მოისმინო. თუ არ გინდა გაგება, არც მიდიხარ. დამიმალეთ ტრიქამონა – არ მოსულა! ვინც ჩემზე უმცროსია, მათ ვატყობ, რომ კონცერტიდან კონცერტამდე ძალიან იზრდებიან და ზუსტად ხვდებიან იმის მნიშვნელობას, რასაც ვეუბნები. მე მაქვს ჩემი მეთოდები, ჩემი დაპატენტებული მეთოდები, თუ როგორ უნდა მონახოს ადამიანმა კავშირი თავის თავსა და პუბლიკას შორის. ამ მეთოდების გაზიარება და რჩევები საკმაოდ ძვირად ღირებულია მოსკოვში. ბევრ მათგანს ვუთხარი, შესაძლოა, ახლა ვერ მიხვდე, რას გეუბნები, მაგრამ ხუთ წელიწადში გამოიწვიოს ამან ვიბრაცია. ვეუბნები, რომ ამის გამო, მადლიერი უნდა იყო ჩემი და არა გაბრაზებული. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ერთი კვირის შემდეგ, ეს ნაცემი მონაწილეები ისეთი გაზრდილები მოდიან, რომ ვგიჟდები. ზოგი შეურაცხყოფილია, ზოგს სენტიმენტები აწვება, ზოგი აგრესიული ხდება, ზოგი საკუთარ თავში იკეტება და ზოგიც „მეიაზვება“ *(იცინის)*. ვინც უფრო ძლიერი პიროვნებაა, ცდილობს, სარკაზმში გამიტაროს ყველაფერი და ამაზე მეცინება. არც ერთ ამ დამოკიდებულებაზე პრობლემა არ მაქვს, მთავარია, რომ შედეგი მოაქვს.

**– რაიმე გეგმები კიდევ გაქვს ქართულ სატელევიზიო შოუებთან დაკავშირებით?**

– ისე ვილლები ამ აგრესიასთან შერკინებით, რომ არ ვარ დარწმუნებული...

**– რუსეთში ასე არ ხდება?**

– არა. იქ გაცილებით რთულია პოპულარობის მოპოვება. საქართველოში ეს უადვილესი ყოფილა. საკმარისია, ერთი წინადადება თქვა, რომელსაც არ ეთანხმება უმრავლესობა და ეგრევე, დაპუტული აქვს მთელ საქართველოს თმა. ეს მეტყველებს მდაბიოობაზე და მენტალიტეტის სერიოზულ შავ დღეში ყოფნაზე, თუ ასე ადვილად შეუძლია, ადამიანს სახელი გაითქვას, ისე რომ ლარი არ ჩადოს. ეს არსად არ ხდება. თან, ამ პოპულარობას არანაირი აზრი არ ჰქონდეს. როდესაც სახელს ითქვამ, ამას კონკრეტული გეზი უნდა ჰქონდეს და ფული მოჰქონდეს. როდესაც ოცი წლის ვიყავი პოპულარობას ჰქონდა აზრი, რომ ჩემი ამპარტავნებისთვის კიდევ უფრო მეტი ბენზინი დამესხა, მაგრამ ახლა, 37 წლის ასაკში, ჩემს პოპულარობას ჩემთვის ფული თუ არ მოაქვს, მას არანაირი აზრი არ აქვს. არც პუბლიკა მაკლია, არც აღიარება და ტაში. ჩემს ამპარტავნებას უკვე ძალიან ბევრი წლის წინ დავასხი ბენზინი. პირიქით, სულ ვაკონტროლებ, რომ ზედმეტად არ მოვექცე ყურადღების ცენტრში. რაღაც ენერგია მაქვს, რომელიც ჯინსებით და მაისურით რომ გავიდე სუპერმარკეტში, მაინც იქცევს ყურადღებას. ამიტომ, ზედმეტი რაღაცეებისგან ყოველთვის თავს ვიკავებ. მოკლედ, არ უნდა დაიბადოს ისეთი ადამიანი, ვინც განსხვავებულ ვიბრაციას იწვევს უმრავლესობაში და თუ დაიბადა, სადმე უნდა გაიქცეს. ძალიან ბევრი მწერს, წადი, წაეთრიე შენს მოსკოვშიო. მოდი, აქ მივცეთ სასიცოცხლო სივრცე განსხვავებულ ადამიანებს, არ არიან ისინი საშიშები, დამიჯერეთ.

**სალომე გველესიანი**



**ინტერვიუ დუტა სხირტლაძესთან შოუს „ერთი ერთში“ დაწყებამდე ჩავწერე, ამიტომ, შთაბეჭდილებებზე მხოლოდ მომავალ კვირას შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ, მსახიობის მრავალწლიან შემოქმედებაზე დაკვირვების შედეგად, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ის შოუს მთავარი ძალა იქნება. კონკურსების სტაჟიანი წამყვანისთვის რა გახდა კონკურსში მონაწილეობის მთავარი მოტივაცია, ალბათ, რთული მისახვედრი არ არის, მაგრამ დეტალებზე დუტა „თბილისელებს“ სიამოვნებით ესაუბრა.**

# რა შემთხვევაში „იკაჩავებს“ დუტა სხირტლაძე

**დუტა სხირტლაძე**: პირველ სეზონზე ეკა ანდრონიკაშვილის მხარდასაჭერად გახდა შოუში ჩემი მონაწილეობის მოტივაცია. სოციალური ქსელი იყო, ალბათ, გადამწყვეტი, რადგან, ჩვენმა ფოტომ დაახლოებით ერთ საათში რვაასზე მეტი ლაიქი აიღო და, მივხვდი, რომ აქედან რაღაც გამოვა. სცენაზე გასვლამდე, გრიმსა და გარდასახვაზე მუშაობის დროს მივილე, ალბათ, უფრო მეტად გადაწყვეტილება – ვა, რა მაგარია, ამ პროექტში ხომ არ მივიღო მონაწილეობა-მეთქი?! გრიმთან შეხების ასეთი ფუფუნება მსახიობებს, სამწუხაროდ, არ გვაქვს. არ აქვს არტისტისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა, ვარსკვლავს ქმნი თუ არა, მისთვის მთავარი გარდასახვაა. თან, ამას ემატება ერთი სირთულე – ვოკალი, რომელიც შოუში პრიორიტეტულია. ერთადერთხელ მქონდა საშუალება, რომ კონკრეტული პიროვნება გამესახიერებინა – როდესაც სტალინის როლზე ვიმუშავე. არსებობს დოკუმენტური მასალა და მასზე დაყრდნობით ვმუშაობდით. დანარჩენ პერსონაჟებს რეჟისორთან, მხატვართან და სხვებთან ერთად იგონებ. ასე რომ, ეს პროექტი ჩემს პროფესიასთან პირდაპირ კავშირშია, ოღონდ, ვოკალური მონაცემებით არ გამოვირჩევი...

**– თუმცა არც გიჭირს.**

– მიჭირს ნამდვილად. სუფრასთან დავჯდები, რაღაცას ვიღნავლებ და შეცდომებს მაპატიებენ, მაგრამ, ასეთ დონეზე სიმღერისთვის მზად ნამდვილად არ ვიყავი. თავის დროზე ჯგუფი კი მყავდა, მაგრამ, როკ-ენ-როლს, რითმენ-ბლუზს ვუკრავდით და არც იქ ვყოფილვარ დომინანტი ვოკალისტი. თუმცა, იმდენად მიმზიდველი მოვლენაა გარდასახვა ამ პროექტში, რომ, მიუხედავად ამ სირთულისა, მონაწილეობას ვიღებ. კარგია სიურპრიზის მომენტი – არ იცი, ვისი გაკეთება მოგიწევს. ერთი კვირა გაქვს იმისთვის, რომ ფსიქოტიპი შეისწავლო, ამოხსნა მისი მანერები, ქცევები, შეისწავლო მისი სხეულის ენა, თვალები; განსაზღვრო, რას ფიქრობს იმ დროს. პიროვნების ფსიქოანალიზი უნდა ჩაატარო, რენტგენში უნდა გაატარო, ფეხის, მენჯის, ხელის მოძრაობებს დააკვირდე, გაიგო, რატომ დგამს ფეხს ასე, რა რეფლექსი აიძულებს ტვინში, რომ ეს მოქმედება გააკეთოს; უცებ, იგებ, როგორი ბავშვობა ჰქონდა... ხატავ ფსიქოპორტრეტს და ამის მიხედვით მუშაობ. ჩვენს პროფესიაში ამის სწავლას პირველ კურსზე ვიწყებთ ცხოველებზე დაკვირვებით. მერე გავადგივართ ტიპაჟებზე – ვაკვირდებით მეზობლებს, მეგობრებს, ნაცნობებსა და უცნობებს. ჩემი თავისგან ვარსკვლავი არასდროს შემიქმნია; ვნახოთ, რა გამოვა.

**– ეს, ალბათ, ძალიან დიდი ფორა იქნება შენთვის, სხვა კონკურსანტებთან შედარებით.**

– ფსიქოტიპის შექმნაზე ნამდვილად არ ვნერვიულობ, საინტერესო სამუშაო იქნება, მაგრამ, მურტალია ვოკალი, რაშიც ძლიერი ნამდვილად არ ვარ. შეფასებები იქნება ოთხი მიმართულებით: არტისტიზმი, პლასტიკა, ვოკალი და შოუ. სამი მიმართულებით თავს მშვიდად ვგრძნობ, ვოკალი არის ჩემი სუსტი მხარე. მაგრამ, თუ ამ სამი მიმართულებით მაღალ შეფასებებს დავიმსახურებ, ვოკალშიც რაღაცას შევძლებ, მოვახერხებ იმას, რომ პროექტის წარმატებული მონაწილე ვიყო.

**– ამას, ალბათ, ყველა გეკითხება, მაგრამ, მეც უნდა გკითხო. ქართულ ტელესივრცეში კონკურსების გაჩენასთან ერთად, შენც გამოჩნდი მის წამყვანად. როგორი გრძნობაა, როცა თავად ხარ კონკურსანტი და გაფასებენ, ელოდები ესემესებს და ასე შემდეგ?**

– უცხო და უხერხული შეგრძნება ნამდვილად არ არის, რადგან, ჩვენთვის, მსახიობებისთვის, ქასთინგი იგივე კონკურსია. გაცილებით უფრო მაგრად ვემზადებით ქასთინგებისთვის, ვიდრე კონკურსებისთვის ემზადებიან, რადგან, როცა როლის მოპოვება გინდა, ყველაფერს აკეთებ: ქმნი პერსონაჟს, ადგენ მის ბიოგრაფიას, წარსულს და, როდესაც რეჟისორი რაღაც დავალებას გაძლევს, თუ კარგად ნაფიქრი გაქვს, იმ დავალების შესრულების მილიონ ვერსიას სთავაზობ. დაჯექიო, რომ გეტყვის, შენ შეგიძლია, მილიონნაირად დაჯდე. ყოველი ზმნა ჩვენთვის მინიმუმ თხუთმეტი-ოცი ვერსიაა. ამის გამოცდილება დიდი მაქვს – ორმოცდაათი პრემიერა მაქვს ნათამაშები, ასე რომ, ორმოცდაათი ვერსია ყოველთვის მზად მაქვს.

**– შენ თვითონ ვისი განსახიერება გინდა, ვინ გაინტერესებს?**

– ბევრია ასეთი, ვინც მიყვარს, ვისაც სულ ვუსმენ. არ ვიცი, მერე იმას როგორ ვიმღერებ, მაგრამ, ორგანულად და თავისუფლად რომ ვიგრძნობ იმ ადამიანის ტყავში თავს, ნამდვილად ვიცი. კლასიკური როკის მოყვარული ვარ. პირველ კონცერტზე ჯო კოკერს ვასახიერებ და უკვე კარგია. მაინც ჩემი ვუდსტოკისტი კაცია, ძალიან ინდივიდუალური. მისი ვოკალი არ ბრწყინავს, ხრინწიანი ხმა აქვს, ზოგჯერ ბგერაც სადღაც უწყდება, რაღაც მომენტში ალკოჰოლიც რომ იჩენს თავს – ეს ნიუანსები საინტერესოა. სულ ოფლიანი დგას სცენაზე და ხელის უცნაური მოძრაობებით მღერის. არაფერში, არანაირი რიტმში არ ზის ეს მოძრაობა, ჩვევაა ეს მისი, „წიკია”.



**„ეტ სეტერას“ შემდეგ ჩემთვის ეს არანირ პრობლემას არ წარმოადგენს და მაყურებლის წინაშე ასეთი სახით წარდგომის კომპლექსი ნამდვილად არ მაქვს**

**– ქალბატონების განსახიერებას, ალბათ, სულმოუთქმელად ელოდება შენგან მაყურებელი.**

– მომიწევს, აბა ისე როგორ იქნება. „ეტ სეტერას“ შემდეგ ჩემთვის ეს არანირ პრობლემას არ წარმოადგენს და მაყურებლის წინაშე ასეთი სახით წარდგომის კომპლექსი ნამდვილად არ მაქვს. ქალზეც და კაცზეც ერთნაირად ვიმუშავებ – ჩემთვის ამაში განსხვავება არ არის.

**– მართლა საოცარ გრიმს აკეთებენ, პროთეზიდან დაწყებული...**

– ჩემი ყბის ყალიბი უკვე აიღეს, ჩემი ჩანა არსებობს და სატესტოდ რაღაცეებს გვიკეთებენ. გააჩნია, რა შემხვდება – იმის მიხედვით დამზადდება პროთეზი.

**– კინოში გრიმი არ კეთდება?**

– კინოში ცოტა სხვანაირი სიტუაციაა. უცხოეთში ვიღაცა სირანო დე ბერჟერაკსაც თამაშობს, რომეოსაც და ქუჩის ხულიგანსაც. რეჟისორი ამბობს, რომ ეს არტისტი მჭირდება, რომელიც ამას გააკეთებს და იწყება მოსამზადებელი სამუშაოები, სხეულის მომზადება, გრიმი და ასე შემდეგ. ჩვენთან არის პირიქით. იმის გამო, რომ გრიმს და სხვა მოსამზადებელ სამუშაოებს ავცდეთ, რეჟისორი ეძებს ტიპაჟს, რომელიც მის პერსონაჟთან ვიზუალურად ახლოს დგას და გრიმზე და სხვა ამბებზე თანხას ზოგავს. დუტასნაირი დადის მილიონი, ამიტომ მას თუ არ სცალია, სხვას ვათამაშებ. „ჯიდიესზე“ არის სერიალი „პანიკის გარეშე“, სადაც ლევან დაბრუნდაშვილი ზუსტად ასე მუშაობს. მსახიობს ირჩევს ერთს და გრიმით და სხვა ხერხების დახმარებით მისგან სულ სხვა პერსონაჟს ათამაშებს.

**– ამის გამო მსახიობების მიმართ პრეტენზიები ხშირად ისმის – ყველგან ერთნაირები არიანო.**

– ერთნაირ ტიპებს გვათამაშებენ. აბა, სცადე და რამე სხვა პერსონაჟი შემაქმნევინე. როდესაც გინდა, რომ ეგეთი ვიყო, როგორიც ვარ, რა გავაკეთო, დავიჭყანო?! მერე „ნაიგრიშია“ და, თეატრი არ მინდაო ამბობენ. დუტა – ამ ხასიათის, დუტა – იმ ხასიათის და კიდევ უფრო სხვა ხასიათის შეიძლება, მაგრამ, ხომ ითამაშა დე ნირომ ფრანკენშტეინი, ალ პაჩინომ წვერი მიიმაგრა და ვენეციელი ვაჭარი გახდა!.. როდესაც ასეთ დონეზე მუშაობ, დრო გაქვს იმისთვის, რომ წონაში მოიმატო, დაიკლო, „იკაჩავო“...

**– მეთიუ მაკკონაჰის „ოსკარი” სწორედ ამის დამსახურებაცაა: სერიოზული ფიზიკური მომზადება, ოცი კილოს გრიმით დაკლება, საოცარი გრიმი და, რა თქმა უნდა, შესრულება.**

– ორი და სამი წლით ადრე იგეგმება რაღაცეები. „ჯეიმს ბონდში“ ერთი ტრიუკისთვის სამი წელი ემზადებიან, როგორ გამოეკიდება თვითმფრინავი და როგორ დაუჯდება მანქანას წინ. ამ ტრიუკს მართლა ორი წელი ამზადებენ. სწორედ ამან მომხიბლა ამ პროექტში – გიწევს მუშაობა ისე, რისი ფუფუნებაც მსახიობებს ძალიან ხშირად არ გვაქვს. ვთქვათ, მომიწია მადონას განსახიერება. ძალიან სერიოზული ვიზუალური მუშაობა გახდება საჭირო, რომ ვიღაც ტრანსსექსუალს არ დავემსგავსო და ეს მართლა მადონასთან მიახლოებული იყოს.

**– თან, არ იყოს ამა თუ ვარსკვლავის პაროდია და შარჟი.**

– როგორც კი პაროდიას დაიწყებ, მაშინ ყველა იცინის და „ერთი ერთში“ აღარ გამოდის. თვალია მთავარი.

**– როგორც მივხვდი, „იმედის“ მხრიდან შეზღუდვა არ ყოფილა.**

– სანამ „იმედის“ თანამშრომელი, მათი სახე გავხდებოდი, „ჯიდიესთან“ შეთანხმება უკვე არსებობდა და, ამიტომ, უხერხული იქნებოდა ბოლო მომენტში უარის თქმა. გაგებით შევხდნენ „იმედზე” ამ ამბავს და გამომიშვეს, რის გამოც მადლობა მინდა ვუთხრა დირექციას, გიორგი ბახტაძეს და რეზო საყევარიშვილს.

**– ცეკვებზეც იქნები?**

– „ორი ვარსკვლავი”, ცეკვები და „ერთი ერთში“ დაემთხვევა ერთმანეთს. კვირაში სამი პროექტი მექნება: ორში წამყვანი ვიქნები, ერთში – მონაწილე. მომწონს ეს ყველაფერი. რომ არ ვმუშაობ და უზომოდ ბევრი საქმე არ მაქვს, მაშინ ვარ ცუდად. იმ ორ პროექტში უკვე გაშინაურებული ვარ, დრო ძირითადად ამას მიაქვს. პირველ კონცერტზე ცეკვაში დიდი ვარჯიში არ დამჭირვებია, მაგრამ, თუ დამჭირდება, ვიცეკვებ და „ვიკაჩავებ“ კიდეც – „კაჩაობაში“ ვარჯიშს ვგულისხმობ.

**სალომე გველესიანი**



გვ. 10

როგორ დახატა გიორგი მახარაშვილმა 13 ტილო რეკორდულ დროში და როგორ შეაფასა მისი ნამუშევრები პოლანდიურმა პრესამ



გვ. 65

რატომ იჩენს თავს მარხვის დასრულებისთანავე ორგანიზმში „დროებით მიძინებული“ დაავადებები და რა არის ამის მიზეზი



გვ. 12

როგორ განარისხეს ზურაბ ასტახიშვილმა და გია თორთლაძემ ტიბეტელების ღმერთი და რა მოჰყვა ამას



გვ. 2

რა მიზეზით შეიძლებოდა მოეკლა თავი დიანა ქვარიანს და რის გამო თქვა მან წარმატებულ სამსახურებზე უარი


საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №16 (695) * 21-27 აპრილი * ფასი 1,50 ლარი